

# ნამაზის წიგნი

თეოლოგიური რედაქტორი

გ. გოგიტიძე



ავტორი:

პუსიენ პილმი იშიქი

[www.hakikatkitabevi.com.tr](http://www.hakikatkitabevi.com.tr)

E-mail: bilgi@hakikatkitabevi.com.tr

2023 წელი



## ნიგნის წერას ვიწყებთ უზენაესი ალლაპის სახე- ლით. (ბისმილლაპირ რაპმანირ რაპიმ) და მას უამრავ მადლობას ვწირავთ. სელათი და სელამი იყოს უზენაესი ალლაპის რჩეულ, საყვარელ მონა-მორჩილ და მათ შორის ყველაზე გამორჩეულ შუამავალ მუჰამმედზე. უკეთილშობილეს შუამავლის სუფთა ოჯახს - „ეპლი ბეითს“, სამართლიან და ერთგულ ესპაბს (რადი- ალლაპუ თეალა ალეიიში ეჯმა'ინ) ყველაზე ხეირიანი ლოცვები მათ.

ამ ქვეყნად კარგი სასარგებლო საქმეები, ცუდ საზიანო  
საქმეებშია გარეული. ბედნიერებისთვის და და მშვიდობის მი-  
საღწევად სულ სასარგებლო საქმეების კეთებაა საჭირო. ალ-  
ლაპუ თეალა უდავოდ შემბრალებელია და ამიტომაც, ადამიანს  
კარგი ქმედებების ცუდისაგან განსხვავების უნარი მიანიჭა. ამ  
ძალას **გონიერება ეწოდება**. სუფთა და ჯანსაღი გონება, ამას  
საუკეთესოდ განასხვავებს და არასოდეს შეიყვანს შეცდომაში.  
ცოდვის ჩადენა და ცუდ ზრახვებზე აყოლა გონებისა და გულის  
დაავადებას გამოიწვევს, რის შემდეგაც კარგს ცუდისგან ვეღარ  
განარჩევს. უზენაესი ალლაპი შემწყნარებელია, ამიტომ ადამი-  
ანებს შუამავლების საშუალებით კარგ ქმედებებს ამცნობს და  
მისი შესრულებისკენ მოუწოდებს, ხოლო ცუდი ქმედებებისგან  
განრიდებას უბრძანებს. ამ ბრძანებებისა და აკრძალვების ერ-  
თობლიობას **რელიგია** ჰქვია. რელიგიას, რომელიც შუამავალმა  
მუჰამმედმა (სალლალლაპუ ალეიიში ვესრულემბა) გვიქადაგა  
-ისლამი ჰქვია. დღეს დედამიწაზე სახეუცვლელი ერთადერთი  
რელიგიაა. იმისათვის, რომ იყო მუსლიმი, საჭიროა ჯერ გულით  
ირწმუნო, ხოლო შემდეგ ისლამის ბრძანებები და აკრძალვები  
შეისწავლო და შეასრულო.

რწმენისთვის (იმანი) **ქელიმეი შეჰპადეთის** წარმოთქმა და  
მისი მნიშვნელობის გააზრებაა საჭირო. იმისათვის, რომ ქელი-  
მეი შეჰპადეთი სწორად გავიაზროთ ეპლი სუნნეთის სწავლულე-

ბის ნაშრომები უნდა წავიკითხოთ და შესაბამისად უნდა ვირწ-მუნოთ. ოთხივე მეზჲების სწავლულები ეპლი სუნნეთის მიმ-დევარი არიან. რწმენის პირობები წიგნში სრულად არის ახსნი-ლი. ამიტომაც გირჩევთ ეს წიგნი გულისყურით წაიკითხოთ.

დღეს მსოფლიო მუსლიმები სამ ნაწილად არიან დაყოფილი. პირველი ნაწილი (ეპლი სუუნეთის) მუსლიმები, (სუუნი), (ფიქ-რა-ი ნაჯიიე), მეორე ნაწილი (ფიქრა-ი დალლე) მესამე ნაწილი ვეჰაბები (ნეჯიდი) ჰქვია.

რომელ ნაწილიდანაც არ უნდა იყოს ვნებებზე ამყოლი ჯო-ჯოხეთისთვის განწირულია. ყოველი მუსლიმი ვალდებულია სულის სისუფთავისთვის, ურწმუნოებისა და ცოდვებისაგან გა-სუფთავებისათვის ხშირად (**ლა ილაჰე ილლაჰ**) წარმოთქ-ვას. გულის გასუფთავების, ცუდი ამხანაგებისაგან და არასწო-რი საზიანო წიგნებისაგან დასაცავად ხშირად (**ესთე'ლფირულ-ლაჰ**) უნდა წარმოთქვას. მუსლიმის ვედრებანი აუცილებლად მიღებული იქნება. არ მიიღება მათი ვედრება, ვინც არ ლოცუ-ლობს, აკრძალულს მიირთმევს და მრუშობას არ განერიდება.

რწმენის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძანება ნამა-ზი ანუ ლოცვაა. ხუთი დროის ლოცვა ყველა მუსლიმისთვის „ფარზი აინია“. არ ლოცვა დიდი ცოდვაა. ჰანბელი მეზჲების მიხედვით კი ურწმუნოების ტოლფასია. იმისათვის, რომ ლო-ცვა სრულად და სწორად შევასრულოთ, ჯერ მისი შესწავლაა საჭირო. ამ წიგნში ლოცვის შესახებ მოკლედ და კონკრეტულად არის ახსნილი. აღნიშნული ნაშრომი რამდენიმე მუსლიმი სწავ-ლულის წყაროების გამოყენებით მომზადდა. მასში მოცემული ცოდნა აუცილებელია ყველა მუსლიმმა ისწავლოს და სხვებსაც ასწავლოს.

მორწმუნებ ლოცვის სწორად შესრულებისთვის საკითხა-ვი სურეები აუცილებლად უნდა დაისწავლოს. ყურანი ქერი-მის სწორად წაკითხვისთვის შესაბამის პედაგოგისგან სწორად კითხვა უნდა ისწავლოს.

ყურანის სხვა რომელიმე ენაზე დაწერა შეუძლებელია, ამიტომ მისი არაბული ენიდან შესწავლა მნიშვნელოვანია. ყურანის კითხვა ძალიან ადვილია. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ალეიი ვე სელლემ) გადმოგვცემს. “ვინც შვილებს ყურანს ასწავლის ან მასწავლებელთან გაგზავნის, შენავლილი ყურანის ყველა ბეგერაზე ათჯერ ქა'ბას მონახულების მადლი დაეწერება და განკითხვის დღეს თავზე გვირგვინი დაედგმება, რომელსაც ყველა დაინახავს და შეშურდება.”

უზენაესმა ალლაჰმა სწორი რწმენის შემდეგ, ლოცვის სწორად აღმსრულება და ყოველთვის კარგ და სასარგებლო ადამიანების რიგებში გვამყოფოს. აამიინ!

# სარჩევი

წინასიტყვაობა.....	3
ლოცვა მნიშვნელოვანი პრძანებაა .....	12

## პირველი ნაწილი

რწმენა და ნამაზი.....	16
უპირველესად ყველას უნდა სწამდეს.....	16
რწმენა ჭეშმარიტი უნდა იყოს .....	17
ეპლი სუნნეთის მრწამსი.....	20
რწმენის პირობები.....	23
1 უზენაესი ალლაპის რწმენა .....	24
2 ანგელოზების რწმენა.....	27
3 ღვთიური წიგნების რწმენა.....	28
4 შუამავლების რწმენა.....	30
ჩვენი ფეილამბერი ჰაზრეთი მუჰამმედი .....	32
ძვირფასი თანამიმდევრები (ესპაბი).....	35
ოთხი მეზჰების (მიმდინარეობის)	
იმამები და სხვა სწავლულები.....	36
5 საიქიოს რწენა .....	38
6 განგებისა და აღსრულების რწმენა.....	40
ღვთისმსახურება - ლოცვა.....	41
ვის ეკისრება პასუხისმგებლობა (ვინ არის მუქელლეფი)? ....	42
„ეფლ'ალი მუქელლეფინ“ .....	43

## მეორე ნაწილი

ისლამის პირობები .....	48
1 - ქელიმეი შეჰადეთი .....	48
2 – ნამაზი.....	48

3 – ზექათი .....	49
4 – მარხვა .....	49
5 – ჰაჯი წასვლა .....	50

## მესამე ნაცილი

ნამაზი .....	51
ვინ არის ვალდებული შეასრულოს ლოცვა? .....	53
ნამაზის მლოცველთა მდგომარეობანი	
ლოცვა, რომელმაც საპყრობილედან იხსნა.....	54
სახლში ხანძარი გაჩნდა .....	56
როგორც წყლის დუღილი ქვაბში .....	56
ფეხში შერჭობილი ისარი.....	56
გულის შემაღლონებელი წამალი .....	57
თავგანწირვა ნამაზისთვის.....	58

## მეოთხე ნაცილი

ნააზის სახეობები .....	59
ხუთი დროის ნამაზი .....	59
ნამაზის ფარზები.....	61
ლოცვის პირობები.....	64
აბდესთი – მცირე განბანვა .....	64
აბდესთის ფარზები .....	65
როგორ სრულდება მცირე განბანვა ანუ აბდესთი? .....	66
აბდესთის სუნნეთები.....	68
აბდესთის აღების წესები (ადაბი) .....	68
აბდესთის აღებისას აკრძალული ქცევები.....	70
აბდესთის მომშლელი ფაქტორები.....	73
აბდესთის მომშლელი ფაქტორები.....	74
1 — მესთებზე მესპის გაკეთება .....	76
როგორ სრულდება მესპი .....	76

მესპისათვის განკუთვნილი დრო.	76
2 — ქრილობაზე და შეხვეულზე მესპი.....	77
ღუსლი- დიდი განბანვა (მთელი სხეულის დაბანა) .....	78
ღუსლის – დიდი განბანვის ვალდებულებები.....	79
ღუსლის სუნნეთები .....	79
როგორ სრულდება ღუსლი .....	80
განმარტება (დაპლომბილი და ჩასმული კბილი) .....	80
ქალებისათვის დამახასიათებელი მდგომარეობანი .....	81
თეიმუმი .....	83
თეიმუმის ფარზები .....	83
თეიმუმის სუნნეთები.....	84
რას უნდა მივაჭციოთ თეიმუმის დროს ყურადღება.....	84
როგორ სრულდება თეიმუმი.....	86
თეიმუმის მომშლელი ფაქტორები .....	87
აბდესის, ღუსლისა და თეიმუმის სარგებლობანი .....	87
2 - ნეჯასეთთენ ტაჰარეთ (უსუფთაობისგან განწმენდა).....	89
ისთინჯა .....	90
ისთიბრა .....	91
3 - სეთრ-ი ავრეთი (სხეულის ის ნანილი, რომლის გამოჩენაც აკრძალულია).....	91
4 - ისთიყბალი ყიბლე (ყიბლეს მიმართულებით დგომა) .....	95
5 - ვაყითი-დრო (ლოცვის დრო).....	96
პოლუსებზე, ლოცვისა და მარხვის შესახებ .....	97
ეზანი და ყამეთი .....	98
როდის იკითხება ეზანი და ყამეთი? .....	98
განმარტება (ეზანი).....	99
6 - ნიეთი (განზრახვა) .....	101
7 - იფთითაპ თექბირი (პირველი თექბირი) .....	102
ლოცვისას შესასრულებელი ფარზები .....	102
2 - ყირაათ (ყურანის კითხვა) .....	103
4 - რუქულ'ი (წელში მოხრა) .....	103

5 – სეჯდე .....	104
6 - ყალდე-ი აახირი (ბოლო დაჯდომა .....	105
როგორ სრულდება ნამაზი? .....	105
როგორ უნდა შეასრულოს ლოცვა ქალბატონმა,	
რომელიც მარტოდ არის?.....	109
ნამაზის ვაჯიბები .....	109
სეპივ სეჯდე .....	111
ნამაზის სუნნეთები .....	113
ნამაზის მუსთეპაბები .....	114
ნამაზის მექრუპები .....	116
ლოცვის გარეთ მექრუპი ქცევები.....	118
ნამაზის მომშლელი ფაქტორები .....	118
ლოცვის მოშლა შესაძლებელია (მუბაჰია)	
შემდეგ შემთხვევებში: .....	119
შემთხვევები, რომლის დროსაც ლოცვის მოშლა ფარზია:... ..	120
ჯემაღ'ეთით ლოცვა .....	120
იმამობისათვის საჭირო პირობები: .....	121
არსებობს იმამზე მიყოლის ათი პირობა .....	123
მესბუქის ნამაზი .....	125
იფთითაპ თექბირის მნიშვნელობა და მადლი.....	127
სასახლეში გაკეთებული მეჩეთი .....	128
ჯუმა ნამაზი .....	129
ჯუმა ნამაზის ფარზები .....	130
ედა – იმისათვის, რომ ჯუმა ნამაზი მიღებული რომ იყოს	
არსებობს შვიდი პირობა: .....	130
ჯუმა ნამაზის ვუჯუბის ანუ აუცილებლობისთვის	
9 პირობა არსებობს .....	131
ჯუმა ნამაზი როგორ ილოცება? .....	132
სუნნეთები, რომელიც ჯუმა დღეს უკავშირდება: .....	133
ბაირამ ნამაზები .....	134
როგორ სრულდება რამადან ბაირამის ლოცვა .....	135

თეშრიყ თექბირები.....	136
მზადება სიკვდილისთვის .....	136
რა არის სიკვდილი? .....	137
როგორ სრულდება მიცვალებულის ნამაზი? .....	140
თერავიჲის ნამაზი .....	141

## **მესუთი ნაწილი**

სეფერი - ანუ ლოცვა მოგზაურობაში ყოფნის დროს .....	143
ავადმყოფობის დროს ნამაზი.....	145
გამოტოვებული (ყაზა) ნამაზები.....	149
განმარტება (ნებადართულია თუარა, რომ სუნნეთების ნაცვლად, გამოტოვებული ლოცვები შევასრულოთ?) .....	152
როგორ სრულდება გამოტოვებული ნამაზები?.....	153

## **მეექვსე ნაწილი**

ვინც ნამაზებს არ ასრულებს.....	155
ვინც ხუთ რამეს არ გააკეთებს, ხუთ რამეს ვერ ეღირსება: ..	156
ნამაზის მლოცველთა სარგებლიანობა .....	158
ნამაზის ჭეშმარიტება .....	164
უპირატესობანი ნამაზის შესრულებისას.....	165
ნამაზის იღუმალება .....	172
ნამაზის შემდეგ ვედრება (დუა).....	175
ვედრება .....	177
ნამაზის სარგებელი (ნამაზი და ჩვენი ჯანმრთელობა).....	177

## **მეშვიდე ნაწილი**

ნამაზის ისყათი. ისყათი და დევრი.....	180
--------------------------------------	-----

## **მერვე ნაცილი**

ოცდათორმეტი და ორმოცდათოთხმეტი ფარძი .....	185
ოცდათორმეტი ფარძი .....	186
(იმანის) რწმენის პირობები (6).....	186
ისლამის პირობები (5) .....	186
ნამაზის პირობები (12).....	187
აბდესთის ფარძები (4) .....	187
ღუსლის ფარზები (3) .....	187
თეიმუმის ფარზი (2).....	188
54 -ფარძი.....	188
ურნმუნოების შესახებ .....	190
იმისათვის, რომ რწმენამ არასოდეს მიგვატოვოს, სამუდამოდ ჩვენს გულებში დარჩეს, ამისათვის: .....	201
ქმედებები, რომელიც რწმენას საფრთხის ქვეშ აყენებს .....	202
სამოცდათორმეთი ცოდვა .....	204
ცუდი ქცევები .....	209

## **მეცხრე ნაცილი**

ლოცვის სურების შესახებ .....	212
ნამაზის დროს საკითხავი ვედრებები შინაარსობრივი თარგმანი.....	214

## ნამაზი/ლოცვა მიმდევროვანი პრაქტიკა

შუამავალი ადამიდან (ალეიის სელამ) მოყოლებული ყველა რელიგიას თავისითვის დამახასიათებელი ლოცვა აქვს. ლოცვა ბოლო შუამავლის მუჰამმედის (სალლალლაჰჰ) ალეიი ვე სელლემ) მიმდევრებისთვისაც (ფარზია) აუცილებელია. ლოცვა რწმენის აუცილებელ პირობათვანი არ არის, მაგრამ ის ისლამის ხუთ პირობათაგან ერთ-ერთია და უზენაესი ალლაჰის ბრძანებაა. ე.ი ვისაც ლოცვის ვალდებულების არ სწამს მუსლიმი ვერ იქნება.

ლოცვა რწმენის საფუძველია, საყრდენია, ღირსეულია ვინც გულით, სწორად და სისტემატიურად ლოცულობს. ხოლო ვინც არ ლოცულობს, არღვევს რელიგიის წესებს. ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „**ლოცვა ისლამის სათავეა**“ . ისევე, როგორც არ არსებობს უთავო ადამიანი, ასევე არ არსებობს ისლამი ლოცვის გარეშე.

ნამაზი უპირველესი ვალდებულებაა. ალლაჰი თეალამ იგი დააწესა რათა ადამიანებს, მხოლოდ მისთვის ეთაყვანად. ყურანი ქერიმის ასსზე მეტი აიათი ლოცვას გვიპრძანებს. ჰადისში ვკითხულობთ: „**ალლაჰი თეალამ ყოველდღიურად ხუთი დროის ლოცვა გვიპრძანა და სამოთხეში დამკვიდრებას აღუთქვამს მათ, ვინც ლოცვას სწორად და სისტემატიურად შეასრულებს.**“

რელიგიურ ბრძანებებს შორის ლოცვა ყველაზე ღირებულია. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰჰ) ალეიი ვე სელლემ) „ვინც ლოცვას არ ასრულებს ისლამისა არა სცხია რა“. სხვა ჰადისში ასეა ნაბრძანები „**მორწმუნეს ურწმუნოსაგან ლოცვა განასხვავებს**“ . ე.ი. მორწმუნე ლოცვას ასრულებს, ურწმუნო კი არა. ფარისევლები (მუნაფიყი) ხან ლოცულობენ ხან არა. მათ ჯოჯოხეთში სასჯელი მოელით. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰჰ) ალეიი ვე სელლემ) ბრძანებს: „**ვინც ლოცვას არ**

**ასრულებს განკითხვის „ყიამეთის“ დღეს უზენაესი ალლაპი განრისხებული შეხედავს“.**

ლოცვის შესრულება ნიშნავს გაიზიაროთ ალლაპუ თეალას სიდიადე და საკუთარი უმწეობა. მისი მიმხვედრი ბოროტებას არ ჩაიდენს და მხოლოდ სიკეთეს დასთესს. რადგან იცის, რომ დღეში ხუთი დროით უზენაესი ალლაპის წინაშე წარსდგება და სული ნათელით ევსება. ყველა მოძრაობა, რომელიც ლოცვისას სრულდება სულისა და სხეულისთვის სასარგებლოა.

მეჩეთებში ჯემა’ეთით ლოცვა მუსლიმებს ერთმანეთთან აახლოებს, ურთიერთ სიყვარულს ჰქადებს, ძმობის გრძნობას აღვივებს, უმცროსი უფროსს პატივისცემით, უფროსი უმცროსს კი მოწყალებით ექცევა. მდიდრები კი ღარიბებს ეხმარებიან. თუკი ვინმეს მეჩეთში ვერ ნახავენ, სახლში მიაკითხავენ რადგან. **ალლაპის შუამავალი პრძანებს:** „უზენაესი ალლაპი დაეხმარება მას, ვინც სულიერ ძმას დახმარებას აღმოუჩენს“ მოცემული ჰადისიდან გამომდინარე, მუსლიმები ერთმანეთს სიკეთეში ეჯიბრებიან, რათა აღნიშნული მადლისგან წილი მიიღონ.

ლოცვა ადამიანს ცოდვისა და ბოროტებისაგან იცავს. ჰადი-სში ვკითხულობთ: „დღეში ხუთი დროის ლოცვა სახლის წინ ჩამომდინარ მდინარეს ჰგავს, ვინც დღეში ხუთჯერ მასში განიბანება მას არანაირი სიბინძურე არ შერჩება. ასევეა ლოცვა, მისით ადამიანს მცირე ცოდვები მიეტევება“. ნამაზი ალლაპუ თეალას წინაშე ყველაზე დიდი ღვთისმსახურებაა, ამიტომაც მის ყველა ვალდებულებას (ფარზებს, ვაჯიბებს, სუნნეთებს, მუქრუპებს, მუსთეპაბებს) უნდა მივაქციოთ ყურადღება. ერთ-ერთი ჰადისი გვასწავლის: „თავის დროზე და სწორად შესრულებული ლოცვა, მუსლიმებისათვის უზენაესი ალლაპის წინაშე ყველაზე კარგი ქმედებაა, შუამავლის სუნნეთია, ანგელოზების მხრიდან მოწონებულია, ცოდნის სინათლეა, სხეულის ძალა და სარჩის ძარაქაა. საშუალებაა იმისა რომ ვედრება შესმენილი იქმნეს, ნამაზი სიკვდილის ანგელოზზე

პასუხის გაცემისას დამხმარეა, საფლავის სინათლეა, განკითხვის დღეს ჩრდილია, ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან დამცველია, ბეწვის ხიდზე ელვისებურად გადამყვანია, სამოთხის გასაღებია, სამოთხეში თავზე დადგმული გვირგვინია. ყველაზე ძვირფასი ლოცვაა მათ შორის, რაც უზენაესმა ალლაჰმა მუსლიმებს უბოძა, ლოცვა რწმენის სათავეა, ისლამის საყრდენი, ზეცის სინათლე და ჯოჯოხეთისაგან ხსნის გზაა“.

ერთხელ ძვირფას ალის (რადიალლაჰუ ანჰ) გამორჩა სამხრობის ლოცვა. დაიწყო მოთქმა დარდისაგან და მწვერვალიდან დაბლა დაეშვა, კვნესითა და ვედრებით დიად გამჩენს მოიხსენიებდა. როდესაც ეს ამბავი შუამავალმა (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემმა) გაიგო, ესპაბთან ერთად ძვირფას ალისთან მივიდა. როდესაც დაინახა თუ რა მდგომარეობაში იყო ძვირფასი ალი, მასაც ტირილი მოეძალა, ვედრება დაიწყო და მზე ხელახლა ამოიწვერა, შემდეგ კი ძვირფას ალის მიმართა: „ო, ალი! თავი მაღლა აწიე და შეხედე, მზე ისევ მოსჩანს“. ძვირფას ალის ძალიან გაუხადრა და მაშინვე სამხრობის ლოცვა შეასრულა.

ერთხელ ძვირფასმა ებუ ბექირმა (რადიალლაჰუ ანჰ) ძალიან ბევრი ილოცა და ღამის მიწურულს ძილი მოერია, რა დროსაც ჩაეძინა და ვითრის ლოცვა ვერ შეასრულა. დილის ნამაზის დროს მეჩეთში ალლაჰის შუამავალს (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) შეხვდა და თავისი დარდი მოუყვა. შემდეგ თხოვა: „ალლაჰის შუამავალო! წუხელ ვითრი ლოცვა ვერ შევასრულე. შეევედრე უზენაეს ალლაჰს და მომიტევოს“. ასეთ ტირილმა ალლაჰის შუამავალიც აატირა, მათ ჯებრაილ ალეიჰისელამი გამოეცხადა და უთხრა: „ალლაჰის შუამავალო! გადაეცი, რომ დიადმა გამჩენმა მას მიუტევა“.

უზენაესი ალლაჰის საყვარელი მსახური, ბაიეზიდ ბისტამი ერთ ღამეს ძალიან გადაღლილი იყო და დილის ლოცვისთვის ვერ გაიღვიძა. რის გამოც გულით იმდენსანს მოთქვამდა, რომ ბოლოს ხმა მოესმა: „ბაიეზიდ, მიტევებული იქნა შენი შეცოდება და უფრო მეტიც სანაცვლოდ სამოცდაათი ათასი ლოც-

ვის ტოლფასი მადლიც მოგეცა“. რამდენიმე თვის შემდეგ ისევ დაღლილს ძილი მოერია. დილით მივიდა ეშმაკი მასთან ფეხზე შეეხო და გააღვიძა: „ადექი, ლოცვა შეასრულე“. ბაიეზიდი ბის-თამი გაოცდა: „შენ ეშმაკი ხარ, ამას როგორ აკეთებ? ადამიანი რაც უფრო მეტ ლოცვას გამოტოვებს, მით უფრო გიხარია და მე რისთვის მაღვიძებო?“ ეშმაკმა მიუგო: „ამას წინათ, დილის ლოცვა რომ გამოგრჩა იმდენი იტირე, რომ სამოცადათი ათა-სი ლოცვის მადლი მოიგე, დღეს ეს გამახსენდა და გაგაღვიძე, რათა მხოლოდ ერთი ლოცვის მადლი მოიგომ“.

ჯუნეიდი ბაღდადმა ბრძანა: ამქვეყნის ერთი საათი საიქიოს ათას წელზე უმჯობესია. რადგან ამქვეყნად ერთ საათში მრავა-ლი ღირსეული და სასიკეთო საქმის გაკეთება შეიძლება, ხოლო საიქიოს ათას წელინადში არც ერთის. “ ალლაპის შუამავალი (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) ბრძანებს: „თუკი ვინმე განზრას ერთი დროის ლოცვას მომდევნო დროის ლოცვას-თან გააერთიანებს და ისე ილოცავს, საიქიო სასჯელს დაიმ-სახურებს“.

მაშ, მორნმუნე ძმებო უსარგებლო ქმედებებზე დრო არ დახარჯოთ, დროის ფასი ვიცოდეთ და ზომიერად გამოვიყენოთ იგი. ალლაპის შუამავალი ბრძანებს: „დროის ფუჭად და უსარ-გებლოდ ხარჯვა დიდი დანაშაულია“. ლოცვა თავის დროზე შევასრულოთ და შესაბამისად მადლიც დავიმსახუროთ, რამე-თუ განკითხვის დროს სინანული სრულიად უსარგებლოა. ვინც განზრას სიზარმაცის გამო ლოცვას დროულად არ შეასრუ-ლებს, გარდაცვალების შემდეგ საფლავში ჯოჯოხეთის 70 ფანჯარა გაიხსნება და მისთვის ქვეყნიერების ალსასრუ-ლამდე სასჯელი გარდაუვალი იქნება“. ვინც შეგნებულად არ ილოცავს და არ იდარდებს რომ ლოცვა არ შეასრულა, ცოდვილ-თა რიგებში ჩაეწერება. მაშ რა ელით მათ, ვისაც შიში არა აქვს საიქიოს სასჯელის, ვინც არ ცნობს ლოცვას სავალდებულოდ, ვინც შეგნებულად უარს ამბობს ლოცვაზე. ამ თემის შესახებ სწავლულთა შეხედულებები ერთმანეთის იდენტურია. „ასეთი ადამიანი რელიგიიდან განდგომილად ჩაითვლება.“

## პირველი თანილი რწმენა და ნამაზი

### უპირველესად ყველას უცდა სძამდეს

უზენაესი ალლაჰის ნებაა, რომ ადამიანებმა ამ ქვეყნად კეთილად და ლალად იცხოვრონ და საიქიოშიც სიმშვიდე და მარადიული ბედნიერება მოიპოვონ. ამისათვის კი გვიპრძანა კეთილი და სასარგებლო ქმედებები. ხოლო უბედურების მომტანი ბოროტი ქმედებები აგვიკრძალა. დიადი გამჩენის პირველი ბრძანებაა რწმენა. ალლაჰის რწმენა ყველა ადამიანს სჭირდება, ის ყველასათვის აუცილებელია.

სიტყვა რწმენა სრულ დაჯერებას და მის სიმართლეში ეჭვის შეუტანელობას ნიშნავს. ისლამში კი რწმენა უზენაესი ალლაჰის ერთად ერთობასა და მუჰამმედის (სალლალლაჰჲ ალეი-ჰი ვესელლემ) შუამავლობის დაჯერებას ნიშნავს. გვნამს, რომ მუჰამმედი (სალლალლაჲ ალეი-ჰი ვესელლემ) არის ჭეშმარიტად უზენაესი ალლაჰის რესული - შუამავალი და იგი გადმოგვცემს დიადი გამჩენის დარიგებებსა და ბრძანებებს. რწმენა ნიშნავს წრფელი გულით გვნამდეს. რამდენადაც ძალა შეგვწევს ვიღვანოთ რწმენისათვის სიტყვითა და საქმით. ძლიერ რწმენას ნათელ მომავლამდე მივყავართ. მაშ ასე, ისე როგორც გავურბივართ ცეცხლს ან შხამიან გველს, ამასთან ერთად უნდა ვისწრაფოდეთ მივუახლოვდეთ უზენაესი ალლაჰის ჭეშმარიტებას. რადგანაც გააზრებული გვაქვს ერთადერთი გამჩენის სიპრძე და სიდიადე. განვერიდებით რა ტანჯვასა და უმეცრებას, რწმენას შევეკედლებით. ამ რწმენას ვინახავთ გულის ფიცარზე დაწერილს ურყევად და სამუდამოდ მსგავსად მარმარილოზე ამოტვირფლური ნაწერისა. რწმენა ეს არის გავითავისოთ და გულწრფელად დავიჯეროთ ყოველი სიტყვა შუამავალი მუჰამმედის (სალლალლაჲ ალეი-ჰი ვესელლემ). ასეთ მორწმუნებს მუსლიმები ენოდებათ. საჭიროა, ყველა მუსლიმმა შუამავალი მუჰამმედის (სალლალლაჲ ალეი-ჰი ვესელლემ) ნაქადაგები გზით იაროს. ამისათვის საჭიროა ჯერ ვინამოთ და შემდეგ შე-

ვისწავლოთ ისლამი. შევასრულოთ ჩვენი მოვალეობანი, მოვერიდოთ ჰარამის, შევასრულოთ სასიკეთო საქმეები და მოვიქცეთ რელიგიის წესების შესაბამისად.

რწმენა ჩვენი რელიგიის საფუძველია. ურწმუნოთა არანაირ სიკეთესა და მადლს უზენაესი ალლაჰი არ სცნობს და არ მიიღებს. ვისაც სურს გახდეს მუსლიმი უპირველეს ყოვლისა უნდა ირწმუნოს, შემდეგ დიდი განბანვა შეასრულოს და შეისწავლოს ლოცვა, ფარზი, ჰარამი, ჰალალი და ისლამის სხვა საკითხები.

## რწმენა ჰამარიტი უდა იყოს

გონიერითა და გრძნობით აღქმული ინფორმაცია გვეხმარება ჩავწვდეთ ჭეშმარიტ რწმენას. მეცნიერება კიდევ ერთხელ ადასტურებს რომ ტყუილად არაფერი არ ხდება და ყველაფერს თავისი გამჩენი ჰყავს. რწმენა ნიშნავს შევისწავლოთ და გავითავისოთ, რაც შუამავალმა მუპამმედმა (სალლაჰჰ ალეიჰი ვე სელლემ) გვირჩია. თუ ზოგიერთ ცნობებს ეჭვის თვალით შევხედავთ და მხოლოდ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ ეს ურწმუნობების ტოლფასია. ზოგი რამ გონებასთან პირდაპირ კავშირში არ არის. ალლაჰის შუამავლის ჰადისები სანდო წყაროებიდან (ეპლი-სუნნეთის სწავლულთა ნაშრომები) უნდა შევისწავლოთ.

ნამდვილი რწმენა ქვემოთ მოყვანილ პირობებს უნდა შეიცავდეს:

- 1 — რწმენა ნებისმიერ დროს მუდმივი და ურყევი უნდა იყოს. თუ ვინმე უარს იტყვის, ის მაშინვე ურწმუნო გახდება ესეიგი რწმენას განუდგება.
- 2 — მორწმუნე მუსლიმი რიდით სავსე უნდა იყოს, დიადი გამჩენის რისხვის უნდა ეშინოდეს და შეწყალებას მუდმივად უნდა იმედოვნებდეს. რწმენის დაკარგვის შიშით ცოდვის ჩადენას უნდა განერიდებოდეს. ყო-

- ველთვის იმ იმედით უნდა იყოს გამსჭვალული, რომ ჩადენილ ცოდვებს დიადი გამჩენი მიუტევებს. მნიშვნელოვანია ცოდვები გულწრფელად მოინანიოს, რამეთუ მომნანიებელი უცოდველის მსგავსია.
- 3 — სულის ყელში ამოსვლამდის უნდა იწამოს. რწმენა სიცოცხლეში უნდა გაითავისოს ადამიანმა, რადგან საიქიოში მისვლისას ყველა შესაძლო მდგომარეობა თვალნათელი გახდება. სიკვდილის პირას ყველა ურნმუნო მორწმუნე ხდება, მაშინ როდესაც მორწმუნეა ურყევად უნდა წამდეს და უხილავად, სიკვდილამდე უნდა იცავდეს. რწმენა მას შემდეგ, როცა ადამიანი სიკვდილის პირისპირ დადგება, მიღებული აღარ იქნება. თუმცა მორწმუნეთა ვეძრებას დიადი გამჩენი შეისმენს.
- 4 — მზის დასავლეთიდან ამოსვლამდე უნდა ვირწმუნოთ. ქვეყნიერების აღსასრულის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიშანი მზის დასავლეთიდან ამოსვლაა. მაშინ მისი მნახველი ყველა იწამებს, მაგრამ ეს რწმენა ალლაპის მხრიდან აღარ მიიღება და მაშინ პატიების და მონანიების კარი მათთვის დახურული იქნება.
- 5 — უნდა გვწამდეს რომ გარდა უზენაესი ალლაპისა, არავინ არ უწყის უხილავი სამყაროს (საიქიოს) შესახებ. ანგელოზებმა, ჯინებმა, ეშმაკმა და შუამავლებმაც კი არ იციან უხილავი სამყაროს შესახებ იმაზე მეტი, რაც უზენაესმა ალლაპმა ამცნო.
- 6 — რელიგიაში რწმენისა და ღვთისმსახურების შესახებ არსებული კანონები უყოყმანოდ უნდა ვირწმუნოთ. ისლამი რელიგიური კანონების ერთობლიობაა. ამიტომ ალლაპის, ანგელოზების, ღვთიური წიგნების, შუამავლების, საიქიოს, ფარზის, ჰარამის ერთიანად უნდა გვწამდეს. ისლამის რომელიმე ბრძანების ან აკრძალვის მნიშვნელოვნად არ ჩათვლა, ყურანის, ანგელოზების ან შუამავლების დაცინვა რწმენიდან

- გასვლის ტოლფასია. ვისაც უზენაესი ალლაპის სწამს, მაგრამ შუამავლებს უარყოფს, მორწმუნე ვერ იქნება.
- 7 — ისლამის რწმენის კანონები უყოყმანოდ უნდა დავი-ჯეროთ. უნდა გვწმდეს რომ ლოცვა ფარზია, ალკო-ჰოლური სასმელების დალევა, აზარტული თამაშები, მევახშეობა კი ჰარამი. თუ ჰალალს ჰარამად, ან ჰა-რამს ალალად მივიჩნევთ რწმენას დავკარგავთ.
- 8 — რწმენა ისლამის საერთო წესებს უნდა ექვემდებარე-ბოდეს. უნდა გვწამდეს ისე, როგორც გვასწავლის ალ-ლაპის შუამავალი და არა ისე, როგორც ხსნიან ფილო-სოფოსები ან მეტაფიზიკოსები.
- 9 — მორწმუნეს მხოლოდ უზენაესი ალლაპის გულისთვის უნდა უყვარდეს ან სძულდეს სხვები. ალლაპის მორწ-მუნე მუსლიმები უნდა უყვარდეს, ისლამისთვის სიტ-ყვითა თუ საქმით ზიანის მომტანები უნდა შეიძულოს. არამუსლიმ მოქალაქეებისა და ტურისტებს მომღიმა-რი და სიკეთით სავსე უნდა მიეგებოს და თავისი მაღა-ლი ზნეობით მათ ისლამის რელიგია შეაყვაროს.
- 10 — იმ ჭეშმარიტი მუსლიმების მსგავსად უნდა გვწამდეს, რომლებიც შუამავლის გზას მიჰყვებიან. სწორი რწ-მენის მისაღებად ისლამი ეპლი სუნნეთის სწავლუ-ლების ნაშრომებიდან უნდა შევისწავლოთ. ”ის ვინც ეპლი სუნნეთის სწავლულების ნაშრომების მიხედვით იცხოვრებს შეჰპიდების ტოლფასი მადლი დაეწერება.“ ოთხივე მიმდინარეობის სწავლულები ეპლი სუნნეთს მიეკუთვნებიან. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო იმამი ებუ ჰანიფეა. ამ სწავლულებმა ესპაბთაგან მოს-მენილი დაწერეს, ესპაბმა კი ეს ყველაფერი მუჰამმე-დის (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლებ) ბაგეებიდან მოისმინეს.

## ეპლი სუნეოთის მრავალი

იმისათვის, რომ იყო მუსლიმი მთავარი პირობა, რწმენაა. სწორი რწმენა კი, ეპლი სუნეოთის კანონების შესაბამის დაჯერებაზეა დამოკიდებული. გონიერი და მონიფებულობის ასაკს მიღწეული კაცისა და ქალის უპირველესი ვალდებულება, ეპლი სუნეოთის სწავლულების ნაშრომების, შესაბამისად შესწავლა და მათზე დაჯერებაა. გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთის სასჯელისგან გადარჩენა, აღნიშნული სწავლების დაჯერებაზეა დამოკიდებული. ვინც მათ გზას ადგას (**სუნიი**) ან კიდევ (ეპლი სუნეოთის მიმდევრებად იწოდებიან!)

ერთ-ერთ ჰადისში ვკითხულობთ: (ჩემი მიმდევრები სამოცდაცამეტ ჯგუფად დაიყოფა. ამათგან მხოლოდ ერთი ჯგუფი ჯოჯოხეთის ტანჯვას გადაურჩება, დანარჩენები კი იმედგაცრუებულნი დარჩებიან, ჯოჯოხეთში დაიმკვიდრებენ). (ებუ დავუდი, სუნეოთი 1, თირმიზი, იმანი, 18) ამ სამოცდაცამეტი ჯგუფიდან ერთერთია ისლამის შესაფერისი. აღსანიშნავია, რომ ყველა თავის ჯგუფს თვლის ამ სწორ მიმართულებად. სურა მუჟმინუნის 54-ე და სურა რუმის 32-ე აიათებში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „იმათ გვარად, რომელთაც განხეთქილება შეიტანეს თავიანთ სარწმუნოებაში და დაიყვნენ სექტებად, და ყოველი მათგანი ხარობს იმით, რაც გააჩნია! ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემი) ბრძანებს: (ამ გზაზე მყოფნი, ჩემი და ჩემს შემდგომ საჰაბების მავალ გზაზე მყოფნი არიან). საჰაბების უარყოფა დაუშვებელია, ხოლო ვინც ეპლი სუნეოთის კანონებს უარყოფს, მორწმუნე ვერ იქნება.

# ეპლი სუნეოთის მიმდინარეობაში ყოფილი ნიშნები:

უზენაესი ალლაპი, კმაყოფილია იმ მორწმუნეთაგან ვინც ეპლი სუნეოთის დოგმების სათანადოდ წამს. ეპლი სუნეოთის სწავლულები რწმენის პირობებს შემდეგნაირად ხსნიან:

- 1— რწმენის ექვსი პირობის უნდა გვწამდეს. ვწამდეს უზენაესი ალლაპის, მისი ერთადერთობის, მსგავსის და ტოლის არ მყოლის. ანგელოზების, ღვთიური წიგნების, შუამავლების, საიქიოს, სიკეთე და ბოროტება, რომ ალლაპისგან მომდინარეობს. ყველა ეს პირობები „ამენთუ“-შია თავმოყრილი.
- 2— უნდა გვწამდეს რომ, - ყურანში არის უზენაესი ალლაპის სიტყვები.
- 3— მორწმუნებ, საკუთარ რწმენაში ეჭვი არასოდეს უნდა შეიტანოს.
- 4— უნდა გვწამდეს ძვირფასი შუამავლის (სალლალლაპუ ალეიიპი ვე სელლემ). ამასთან ერთად ყველა ესპაბი უნდა გვიყვარდეს. პატივით უნდა მოვიხსენიოთ ოთხი მართლმორწმუნე ხალიფა და მათი ახლო ნათესავები. ეპლი ბეითზე (შუამავლის შთამომავლობაზე) და მის დალიცვილ მეუღლეებზე ცუდი და არ უნდა ვთქვათ.
- 5— უნდა ვიცოდეთ რომ ღვთისმსახურება რწმენის შემადგენელი ნაწილი არაა. ვისაც რწმენის პირობები გულით სწამს მაგრამ სიზარმაცის გამო ან სხვა რაიმე მიზეზით ღვთისმსახურებას არ ასრულებს ურწმუნოდ არ ითვლება. ასეთი ადამიანი მუსლიმია, თუმცა ცოდვილი.
- 6— ისინი ვინც ლოცვას ქა'ბას მიმართულებით ასრულებენ, აღიარებენ და სწამთ უზენაესი ალლაპისა და მისი შუამავლის, თუნდად მცდარ მრნამს ადგნენ, არ შეიძლება ისინი ურწმუნოთ იწოდონ.

- 7 — თუ იმამი ღიად ყველას დასანახად ცოდვას არ ჩადის, და მის შესახებ არ ვიცით ცოდვილია თუ არა, მასზე მიყოლით ლოცვა შეიძლება. აღნიშნული დოგმა ვრცელდება მათზეც, ვინც ჯუმისა და ბაირამის ლოცვებს უძღვებიან.
- 8 — მუსლიმმა, მმართველებს, ხელმძღვანელებს არ უნდა აუკანყდნენ. ინტრიგის, განხეთქილების მიზეზი არ უნდა გახდენ. მათვის კარგი სასარგებლო საქმეების გაკეთებისთვის შეძლებისდაგვარად რჩევადარიგებები უნდა მისცენ. ხელმძღვანელებზე, მმართველებზე წინააღმდეგობის განევა არ უნდა ხდებოდეს. აჯანყება ინტრიგის გამოგონება სხვადასხვა ცუდ რამეებს გზას უხსნის. მათ სიკეთის გზაზე ვედრება უნდა აღვავლინოთ და ბინძურ, ცოდვილ საქმეებისგან განრიდებისთვის ტკბილი ენით უნდა მოუწოდოთ.
- 9 — მცირე განბანვის (აბდესთის) დროს ფეხების დაბანის ნაცვლად, თუნდაც საამისოდ არანაირი საპატიო მიზეზი არ არსებობდეს, ერთხელ სველი ხელის მოსმა (მესჲი), როგორც ქალების, ასევე მამაკაცებისთვის, დაშვებულია. შიშველ ფეხზე და წინდებზე მესის გაკეთება არ შეიძლება. შიშველ ფეხსა და წინდაზე მესჲის შესრულება დაუშვებელია.
- 10 — დაჯერება იმისა, რომ ალლაჰის შუამავალი მი'რაჯ-ში როგორც სულიერად ასევე ფიზიკურად ამაღლდა. ისინი ვინც ამბობენ, რომ შუამავალმა მი'რაჯში სიზმრად ამაღლდა, ეჰლი სუნნეთის რიგებში ვერ იქნებიან.

სამოთხეში მორწმუნები უზენაეს ალლაჰს დაინახავენ. განკითხვის დღეს, შუამავალი და სიკეთის მქმნელნი დაცულნი იქნებიან და შვებას იგრძნობენ. საფლავში დაკითხვა ჭეშმარიტებაა. საფლავის სასჯელი იქნება. ალლაჰის საყვარელი ადამიანების განსაკუთრებული მადლიანობა არსებობს. საფლავში

სულები, ცოცხალი ადამიანების ჩადენილ და ნათქვამ სიტყვებს მოისმენენ.

ყურანის კითხვის, მოწყალების გაღების და ყველა მსახურებისგან მიღებული მადლის, მიცვალებულების სულებისთვის ჩუქება, მათთვის სასარგებლო იქნება, ტანჯვის შემსუბუქების ან კიდევ სასჯელისგან განთავისუფლების საბაბი გახდება. ამ ყველაფრის დაჯერება, ეპლი სუნნეთის მიმყოლების თვისებებია.

## რწმენის პირობები

რწმენის პირობა ექვსია და ისინი „ამენთუშია“ თავმოყრილი. ეს პირობები ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) გვამცნო. ყველა მუსლიმმა ბავშვს რწმენის ექვსი პირობა (ამენთუ) უნდა ასწავლოს და მისი არსი აუხსნას. რწმენის პირობები ესენია:

აამენთუ: „აამენთუ ბილლაჰი ვე მელაიქეთიჰი, ვე ქუთუბიჰი ვე რუსულიჰი, ველ იევმილ აახირი ვე ბილ ყადერი, ხაირიჰი ვე შერრიჰი მინ ალლაჰი თეალა, ველ-ბე'ლსუ ბე'ლდელ მევთი ხაყუუნ, ეშპედუ ენ ლაა ილააჰე ილლელლაჰ, ვე ეშპე-დუ ენნე მუჰამმედენ ‘ლაბდუჰუ ვე რესულუჰუ“.

შინაარსობრივი თარგმანი

„მე მწამს ალლაჰის, მისი ანგელოზების, ღვთიური წიგნების, შუამავლების, საიქიოს, განგებისა და იმის, რომ სიკეთე და ბოროტება (კარგი და ცუდი) ალლაჰის მხრიდან მომდინარეობს. ასევე მწამს რომ ალლაჰი ერთადერთია და მუჰამმედი მისი შუამავალია -რესულია“.

## პირველი პირობა უზენაესი ალლაპის რწმენა

**(აამენთუ ბილლაპი)** უზენაესი ალლაპის რწმენა ნიშნავს, რომ მე წრფელი გულით მწამს ალლაპის არსებობისა და მისი ერთადერთობის. არ არის მისი მსგავსი და არ ჰყავს მას თანამოზიარე. მას უფლებამოსილებაში არანაირი მოცილე არ ჰყავს. ის გაჩენილებს არცერთი თვისებით და ფორმით არ ჰგავს.

ყველა არსების, მათი ყველა ორგანოსა თუ უჯრედის გამჩენი მხოლოდ უზენაესი ალლაპია. მისი რეალური აღქმა და დახასიათება არავის ძალუს, რადგანაც ეს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს აღემატება. ჩვენი ვალია მხოლოდ და მხოლოდ ალლაპის შესახებ ყურანში მოცემული სიტყვები (თვისებები და მნიშვნელობები) ვისწავლოთ - გავიაზროთ. რაგდან ყველა მათგანი უტყუარი და სამარადისოა. უზენაესი ალლაპი არა მხოლოდ მაღლა ან დაბლა, მარჯვნივ ან მარცხნივ არის. მისი არსებობა ყოვლისმომცველია.

უზენაეს ალლაპს 14 თავისებურება გააჩნია, რომელთაგან 6 მათგანს **ზაათი**, ხოლო 8 მათგანს **სუბუთი** თვისება ეწოდება. ყველა მათგანის მნიშვნელობების გაგება და სწავლა ძალიან კარგია.

**ზაათი თავისებურებები (თავისებურებები, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ უზენაეს ალლაპს ეკუთვნის)**

- 1 — „**ვუჯუდ**“ (**არსებობა**) „ალლაპი არსებობს, მისი არსებობა აუცილებელია.“
- 2 — „**ყიდებ**“ (**დასაწყისის არარსებობა**) ალლაპის არსებობას დასაწყისი არ გააჩნია.“

- 3 — „ბეყა“ (არსებობის უსასრულობა) ალლაპის არსებობას დასასრული არ გააჩნია.
- 4 — „ვაჰდანიეთ“ (ერთად-ერთობა) ალლაპი ერთადერთია არ ჰყავს ტოლი და სწორი ან მოზიარე სიტყვაში, საქმეში ან უფლებამოსილებაში.
- 5 — „მუჰალეფეთუნ ლილ ჰავადის“ (ყველაფრისგან განსხვავებულობა) ალლაპი გაჩენილებს შორის არცერთ არსებას არ ჰგავს. ასევე არც არავინ და არაფერი ემსგავსება მას.
- 6 — „ყიამ ბი-ნეფსიპი“ თავისთავში არსებობა. არსებობისთვის ალლაპი არავისზე და არაფერზე დამოკიდებული არ არის. მას არ სჭირდება საკვები. ადგილი და სხვა რამ. მაშინ, როცა არაფერი არსებობდა, ალლაპი ყოველთვის იყო, არის და იარსებებს მარადიულად, რადგანაც ის არავისგან არაფერს არ საჭიროებს.

**სუბუთი თვისებები:** (თვისებები რომლებიც უზენაეს ალლაპს გააჩნია და შინაარსობრივი მსგავსების მიუხედავად სხვა არსებების თვისებებისგან განსხვავდება. მაგ: სმენა, ცოდნა, ძალა და სხვა. ეს თვისებები სხვა არსებებში შეზღუდულია, შესაძლებელია მისი მატება ან კლება. თუმცა ალლაპი თავისი ყველა თავისებურებით უსაზღვროა. სუბუთი თვისებები რვა ნანილად იყოფა:

- 1 — „ჰაიათი“ (სიცოცხლე) უზენაესი ალლაპი ცოცხალია. მისი სიცოცხლე სხვა არავის სიცოცხლეს არ ჰგავს. მისი სიცოცხლე სამარადისოა.
- 2 — „ილიმი“ (ცოდნა) ალლაპმა ყველაფერი უწყის და მისი ცოდნა არცერთი სხვა არსების ცოდნას არ ჰგავს. ალლაპი წყვდიად ღამეში შავ ქვაზე მცოცავ შავ ჭიანჭველას ხედავს და მისი ფეხების ბაქუნის ხმა ესმის. ის უწყის ადამიანთა ზრახვბს, რასაც ადამიანები გულში

ან გონებაში გაიაზრებენ ხოლმე. მისი ცოდნა არ იცვლება და სამარადისოა.

- 3 — „**სემლი**“ (**სმენა**) უზენაეს ალლაპს ყველაფერი ესმის. ესმის ყოველგვარი საშუალების გარეშე. მისი სმენის უნარი სხვა არსებების სმენის უნარისგან განსხვავებულია. მისი ეს თვისებაც სამარადისოა.
- 4 — „**ბასარი**“ (**მხედველობა**) უზენაესი ალლაპი ყოვლისმხედველია, ხედავს ყოველგვარი პირობისა და საშვალების გარეშე. მას ერთი რამის დანახვა, სხვა რამის დანახვაში ხელს არ უშლის.
- 5 — „**ირადე**“ (**ნება - ღვთიური ნება**) მისი ნება უსასრულოა და გააჩენს იმას, რასაც ინებებს. ყველაფერი მხოლოდ მისი ნებით ჩნდება. არ არსებობს ძალა, რომელიც მის ნებას წინ აღუდება.
- 6 — „**ყუდრეთი**“ (**ძალა - ძლევამოსილება**) უზენაესი ალლაპი ყოვლისშემძლეა, უძლეველია. არ არსებობს რაიმე სირთულე ან დაპრკოლება მისთვის.
- 7 — „**ქელამი**“ (**მეტყველება**) **სიტყვა, ლაპარაკი.** უზენაესი ალლაპი გააჩნია ლაპარაკის უნარი. მისი ნათქვამი ენით ასოებითა და ხმებით არ გამოიხატება. ყურანი ალლაპის სიტყვებია.
- 8 — **თექვინი (გაჩენა)** ერთად-ერთი გამჩენი ალლაპია. გააჩენს იმას, რასაც ინებებს. არ არსებობს სხვა გამჩენი გარდა ალლაპისა.

არაფერი სხვა რამ უზენაესი ალლაპის თვისებებს არ ჰგავს.

## ანგელოზების რწმენა

(ვე მელააიქეთიპი) ანგელოზების რწმენა ნიშნავს ადამიანს სწამდეს უზენაესი ალლაჰის ანგელოზებისა. ისინი ალლაჰის მონა-მორჩილნი, მსახურნი არიან და ყველა მათგანი ალლაჰის ბრძანებას უპირობოდ ემორჩილება. ანგელოზები სინათლის სხივისაგან (ნურისაგან) არიან გაჩენლნი, ცოცხლები არიან, ცოდვას არ სჩადიან, მათში მდედრობითი და მამრობითი სქესი არ არსებობს, არ იქორწინებენ, არ ჭამენ, არ სვამენ, არ იძინებენ, გონიერები და ნათელით სავსე არიან. მათ შორის არის 4 რჩეული ანგელოზი.

- 1 - **ჯებრაილი** (ალეიიპისსელამ) მისი მოვალეობაა შუამავლებს ალლაჰის ბრძანებები და აკრძალვები ამცნოს.
- 2 - **ისრაფილი** (ალეიიპისსელამ) „მისი მოვალეობაა სურაში ჩაბერვა. სურაში ორჯერ ჩაბერავს: პირველი ჩაბერვის მერე ალლაჰის გარდა ყველა ცოცხალი არსება მოკვდება. მეორე ჩაბერვის შემდეგ კი ყველა მკვდარი ხელახლა გაცოცხლდება“.
- 3 - **მიქაილი** (ალეიიპისსელამ) „მისი მოვალეობაა სარჩოს, ბარაქიანობა, სიდუხფირის და სხვა ყველა ბუნებრივი მოვლენების მართვა.
- 4 - **აზრაილი** (ალეიიპისსელამ) მისი მოვალეობაა მიიბაროს ადამიანის სულები“.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი დიდი ანგელოზისა, არსებობს კიდევ ოთხი ჯგუფის ანგელოზი. **ჰამელე-ი არშის** ანგელოზების რაოდენობა ოთხია. უზენაესი ალლაჰის წინაშე მყოფ ანგელოზებს „**მუქარეებინ**“ ეწოდა. ტანჯვა-წამების ანგელოზები -მთავარს ქერუბიანი ეწოდება. წყალობის ანგელოზები - „**რუჰანიანი**“ ეწოდება. სამოთხის მთავარ ანგელოზს -**რიდვანი**, ჯოჯოხეთისას **მალიქი** ქვია. რაც შეეხება ჯოჯოხეთის

ანგელოზებს მათ-„ზებანი“ ეწოდება. ცაში არ არსებობს თავი-სუფალი ადგილი, სადაც ანგელოზები ღვთისმსახურებით არ იყვნენ დაკავებულნი.

## მასამა პირობა ღვთიური წიგნების რწმენა

**(ვე ქუთუბიჰი):** ღვთიური წიგნები მწამს ნიშნავს, რომ მე ყირნმუნე იმ წიგნებისა, რომლებიც უზენაესმა ალლაჰმა დედა-მიწაზე გარდმოავლინა. უზენაესმა ალლაჰმა ზოგ შუამავალს ჯებრაილ ანგელოზის მეშვეობით ზეშთაგონების სახით ამცნო. ყველა უზენაესი ალლაჰის სიტყვებია. ღვთიური წიგნები ყველა ჭეშმარიტია. მათი რაოდენობა სულ 104-ს შეადგენს. მათ შორის 4 დიდი წიგნია, ხოლ 100 გრაგნილის სახით (სუხუფი) გვხვდება. მათგან 10 შუამავალ ადემს, 50 შუამავალ შიიტს, 30 შუამავალ იდრისს, ხოლო 10 შუამავალ იბრაჰიმს ზეშთაგონა. რაც შე-ეხება 4 დიდ წიგნს, **თევრათი** – ძველი ალთქმა შუამავალ მუსას, (ალეიჰიპის-სელამ) **ზებური** შუამავალ დავუდს, (ალეიჰიპის-სელამ) **ახალი ალთქმა (ინჯილი)** შუამავალ ‘ისას, (ალეიჰიპის-სელამ) ხოლო **ყურანი** შუამავალ მუჰამმედს (სალლალლაჰჰუ ალეიჰი ვესელლემ) ზეშთააგონა.

დაწყებული პირველი შუამავალი ადემიდან (ალეიჰისსე-ლამ) დამთავრებული ბოლო შუამავალ მუჰამმედამდე სალ-ლალლაჰჰუ ალეიჰი ვესელლემ) უზენაესმა ალლაჰმა ეს წმინდა წიგნები შთააგონა, რათა ადამიანებს მშვიდობიანად, ბედნიე-რად ეცხოვრათ ამ ქვეყნად და შესძლებოდათ სამოთხეში დამკ-ვიდრება. უზენაესმა ალლაჰმა ამ ღვთიურ წიგნებში ადამიანებს სამოთხის დამსახურებულად მოსაპოვებლად განუმარტა ყვე-ლა საჭირო საკითხი.

ღვთიურ წიგნებს შორს ყურანი უკანასკნელია. მისი ზეშთა-გონების შემდეგ სხვა წმინდა წიგნებმა აქტუალობა დაკარგა. ყურანი დედამიწაზე ერთბაშად არ ჩამოსულა, ალლაჰის შუამა-

ვალს იგი 23 წლის განმავლობაში ცალკეულად ზეშთაეგონებოდა. ყურანი 114 სურასა და 6236 აიათისაგან შესდგება. ზოგჯერ აიათების რაოდენობა იცვლება, რაც ზოგიერთი გრძელი აიათების რამოდენიმე აიათად ჩათვლით არის განპირობებული. ყურანში ალლაჰის სიტყვებია და იგი შუამავალი მუჰამმედის (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ერთ-ერთი სასწაულია. ყურანის სიდიადემ მის ნინაშე დააჩოქა იმდროინდელი არაბეთის ლიტერატურა თუ მწერლები, რადგან ვერავინ ვერ შესძლო ყურანის მსგავსი ერთი აიათის შექმნაც კი. როგორ შესძლებდა ყურანში ხომ თავიდან ბოლომდეს ალლაჰის სიტყვებია. ყურანს უზენაესი ალლაჰი იცავს, რასაც ადასტურებს ის, რომ დღემდე მასში ერთი ასობგერაც არ შეცვლილა. ყურანი დღესაც ისეთია, როგორიც დედამიწაზე მოევლინა და ქვეყნიერების ალსასრულამდე უცვლელი იქნება.

შუამავალი მუჰამმედის (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლემ) გარდაცვალების შემდეგ, ჰალიფა, ებუ ბექირმა (რადიალლაჰუ ანჲ) ყურანის აიათები ერთ ნიგნად შეკრა, რომელსაც „მუსხა-ფი“ ეწოდა. მესამე ხალიფა -ოსმანმა (რადიალლაჰუ ანჲ) აღნიშნულ მუსხაფი 6 ნიგნად გაამრავლა და სხვადასხვა რეგიონებში გაგზავნა.

ყურანი არაბული ბეგერებით უნდა წავიკითხოთ. სხვაგვარად დაწერილი ყურანი ორიგინალური ფორმის ვერ იქნება.

- ა) კითხვის დროს აბდესთი უნდა გვქონდეს, ყიბლის მხარეს უნდა ვიდგეთ და ყურადღებით უნდა წავიკითხოთ.
- ბ) აუჩქარებლად და მხატვრული გამოთქმით უნდა წავიკითხოთ.
- გ) კითხვისას მისი ყველა აიათის მნიშვნელობა სიღრმისეულად უნდა გავიზიაროთ.
- დ) ყველა სიტყვა ზუსტი გამოთქმით უნდა წავიკითხოთ.
- ე) წაკითხული რომ ალლაჰის სიტყვებია კარგად უნდა გავითავისოთ.
- ვ) ყურანის ყველა ბრძანებებსა და აკრძალვებს უნდა დავემორჩილოთ.

## შუამავლების რწმენა

(ვე რუსულიში). შუამავლების რწმენა ნიშნავს, რომ მე მწამს ალლაჰის შუამავლების. ისინი რჩეულები არიან, რათა ადამიანებსთვის ჭეშმარიტი გზა ესწავლებინათ. ალლაჰის ყველა შუამავალმა ერთი და იგივე რწმენა იქადაგა. ისინი ზოგიერთი განსაკუთრებული თვისისებით ხასიათდებიან. საჭირო ქვემოთ მოცემული შვიდი ნიშანთვისების დაჯერება. ესენია:

- 1 – **ისმეთი (ცოდვებისგან დაცულობა):** შუამავლები არასოდეს ჰარამს, აკრძალულ ქმედებას არ ჩაიდენდენ, ისინი ყოველთვის დიდი თუ პატარა ცოდვებისგან დაცულნი იყვნენ.
- 2 – **ემანეთი (სანდოობა):** შუამავლები ყოველმხრივ სანდოები არიან და არასოდეს მათთვის მიბარებულ ამანათს არ უღალატებდნენ.
- 3 – **სიდყი (გულწრფელობა):** შუამავლები არასოდეს ცრუობდნენ, თითოეულ სიტყვასა და ყოველ საქმეში გულახდილნი დ მართალნი არიან.
- 4 – **ფეთანეთი (განსაკუთრებული ნიჭისა და უნარის ქონა):** შუამავლები გონიერი და გამგებნი არიან. სიბრძავის, სმენის ან მსგავსი ნაკლოვნებები არ გააჩნიათ. ქალებატონებიდან შუამავლები არ ყოფილან.
- 5 – **თებლილი (სარწმუნოების გავრცელება):** ყველაფერი რასაც შუამავლები ხალხს აცნობენ მათ ალლაჰისგან შეისწავლეს. წარმოთქმული არცერთი აკრძალვა ან ბრძანება მათი საკუთარი ნება სურვილი არ არის. ისინი მხოლოდ ალლაჰის ბრანებებს გვამცნობენ.
- 6 – **ადალეთი (სამართლიანობა):** შუამავლები არასოდეს სჩადიან უსამართლობასა და სისასტიკეს, ჭეშმარიტებასა და სამართალს არასოდეს გადაუხვევენ.

7 – ემნულ-აზლი (ალლაპი მათ შუამავლობის ტიტულს არ ჩამოართმევს): ისინი როგორ ამქვეყნად, ასევე იმიერ სამყაროშიც შუამავლებად იქნებიან.

**რესული** ენოდება შუამავალს, რომელიც ახალი რელიგიისა და შარიათის მიზნით მოევლინა სამყაროს. ხოლო იმ შუამავლებს რომლებიც წინამორბედი შუამავლების შარიათს აგრძელებს „**ნები**“ ენოდება. შუამავლები არასოდეს ერთმანეთისაგან არ უნდა გამოვარჩიოთ. ყველა მათგანი ალლაპის მიერ რჩეული, მართალი და ღირსეული არინ. თუ ვინმეს რომელიმე მათგანის არ სწამს, ის სხვა დანარჩენების მორწმუნედაც არ ჩაითვლება, ესეიგიურწმუნოა, ვინაიდან ყველა შუამავლის რწმენა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ რწმენის მთავარი პირობათაგანია.

ადამიანი ბევრი ღვთისმსახურებით, ბევრი ლოცვით, შიმშილისა და ტრჯვის გამოცდით შუამავალი ვერ გახდება. უზენაესი ალლაპი ვისაც შეარჩევს, მხოლოდ ის იქნება შუამავალი. ზუსტი რაოდენობა ცნობილი არაა. ითვლება რომ 124000-ზე მეტი არიან. აქედან 313 ან 315 რესულია, ხოლო 6 უფრო დიდი შუამავალი, რომელთაც ულულ-აზმი ენოდება. ესენია ადემი, ნუპი, იბრაჟიმი, მუსა, ისა და მუჰამმედ მუსტაფა (სალლალაჰუ ალეიჰი ვესელლემ). ცნობილია 33 შუამავლის სახელი: ადემი, იდრისი, შიიტი, ნუპი, ჰუდი, სალიჰი, იბრაჟიმი, ლუტი, ისმაილი, ისჰაკი, იაყუფი, ისუფი, ეიუბი, შუაიბი, მუსა, ჰარუნი, ჰიდირ, იუშა ბინ ნუნ, ილიასი, ელიასი, ზულქიფლი, შე'მუნი, იშმოილი, იუნუს ბინ მეთა, დავუდი, სულეიმანი, ლუკამანი, ზექერია, იაჰია, უზეირი, ისა ბინ მერიემი, ზულყარმეინი, და მუჰამმედ (სალლალაჰუ ალეიჰი ვესელლემ).

აქედან ყურანში მარტო 28 სახელია მოხსენებული. (ზულყარნეინ, ლოყმან, უზეირ, ჰიზირ). ზუსტად ცნობილი არ არის შუამავლები იყვნენ თუ არა. მუჰამმედ მასუმი წერილში გადმოგვცემს, რომ ჰიზირ ალეიჰისელამის შუამავლების ალბათობა უფრო ძლიერია.

## ჩვენი ფილარმონი ჰაზრეთი მუსიკალი

ჰაზრეთი მუსიკამედი (სალლალლაპუ ალეიში ვე სელლემ) ალლაპის შუამავალია, ჰაბიბია (საყვარელი შუამავალია). შუამავალთაგან ყველაზე ბოლო და უპირატესია. მამის სახელი აბდულლაპია. 571 წლის 20 აპრილს ორშაბათ დღეს გამთენისაა მექაში დაიბადა. მამა დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე, ხოლო დედა 6 წლისას გარდაეცვალა. 8 წლისას ბაბუა გარდაეცვალა. შემდეგ ბიძის ებუ ტალიბის გვერდით იზრდებოდა. 25 წლის ასაკში ხატიჯესთან (რადიალლაპუ ანჲა) იქორნინა, მისგან 4 ქალი-მვილი და 2 ვაჟი შეეძინა. პირველ ვაჟიშვილს ყასიმი დაარქვა, სწორედ ამიტომაც მას ებულ ყასიმის, სახელით მოიხსენიებდნენ, რაც ყასიმის მამას ნიშნავს. 40 წლის ასაკში ყველა ადამიანს და ჯინს მისი შუამავლობის შესახებ ეუწყა. შუამავლური მისიდან სამი წლის შემდეგ ადამიანებს რწმენისაკენ მოუწოდა. 52 წლის ასაკში ერთ მშვენიერ ღამეს უზენაესმა ალლაპმა იგი მექადან იერუსალიმში მდებარე „აყსას“ მეჩეთში და იქიდანაც ზეცაში აამაღლა, შემდეგ ისევ დედამიწაზე დაბრუნა. ამ მოგზაურობას (**მი'რაჯი**) ეწოდა. ამ მოგზაურობისას შუამავალმა სამოთხე, ჯოჯოხეთი და უზენაესი ალლაპი იხილა. იმ ღამით ალლაპისაგან მუსლიმებისათვის დღეში ხუთი დროის ლოცვის ბრძანება მიიღო.

ჩვ.წ.ა 622 წელს ალლაპის ბრძანებით შუამავალმა მექადან მედინაში გადასახლდა. ამ მოგზაურობას კი (**ჰიჯრეთი**) ეწოდა. ისლამური წელთაღრიცხვა ამ წლიდან იწყება, რომელაც **ჰიჯრის წელთაღრიცხვას** უწოდებენ. ჰიჯრის წელთაღრიცხვით 11, ხოლო ჩვ. წ. ა 632 წელს ორშაბათ დღეს 63 წლის ასაკში შუამავალი მუსიკამედი გარდაიცვალა.

შუამავალი მუსიკამედი (სალლალლაპუ ალეიში ვესელლემი) თეთრი იყო. ყველაზე მშვენიერი იყო მაგრამ ამას ყველას არ აგრძნობინებდა. ვინც ერთხელ მაინც, ნახავდა მის სილა-

მაზეს (თუნდაც სიზმარში), მთელი მისი ცხოვრება ბედნიერად იგრძნობდა თავს. იგი დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანზე უფრო მშვენიერი და აღმატებული იყო. მისი ფიქრი, აზრი, ქცევები, ხასიათი, აღნაგობა და ძალა სხვა ადამიანებისგან განსხვავდებოდა.

ბავშვობისას ორჯერ ვაჭრებთან ერთად დამასკოს მახლობლად ბუსრაში წავიდა და უკან დაბრუნდა. ამის გარდა არსად წასულა. ბრძენი იყო მაგრამ სკოლაში არასოდეს არ წასულა, არავის გაკვეთილებს არ დასწრებია, მაგრამ ცოდნა ჰქონდა, რამეთუ უზენაესი ალლაპი მას ცოდნით აჯილდოებდა. წათელი გული ჰონდა, რომელიც სხივებს აფქრვევდა. მის მიერ გაცემული ცოდნა და სიბრძნე რადიო ტალღების მსგავსად ყველგან აღნევდა: მთებში, ცაში, ზღვებში, ტბებსა და სხვა. ახლაც იფრქვევა მისი ცოდნა, ისლამი დღითი დღე იზრდება. რადიო-ტალღების დაჭერისთვის მიმღებია საჭირო, ხოლო შუამავლის სიბრნის მისაღებად მინდობა, მორწმუნე, სწორი გზით მავალი და ცოდვებისაგან განწმენდილი გულია საჭირო. ასეთი ადამიანი შუამავლისეულ წათელს მიიღებს და გაავრცელებს. რიგითმა ადამიანებმა გულით რომ უსმინონ, მათი გულიც განიწმინდება, განივრცობა, ჩამოყალიბდება და გაუმჯობესდება. უზენაესმა ალლაპმა გააჩინა მზე, რათა მივიღოთ მისი სითბო, ენერგია და გავიზიაროთ. ხოლო ალლაპის შუამავალი ჩვენი სულისა და გონების მასაზრდოებლად მოგვივლინა. როგორც მზე კვებავს ყველაფერს მატერიალურსა და ფიზიკურს, ისევე სწავლულთა საუბრები უდავოდ ჰქვებავს სულსა და გონებას. რამეთუ იგი ალლაპის შუამავლისგან მომდინარეობს.

უზენაესმა ალლაპმა ანგელოზი ჯებრაილის მეშვეობით შუამავალ მუჰამედს (სალლალლაპუ ალეიიპი ვე სელლემ) **ყურანი** ზეშთააგონა და ადამიანებს უბრძანა ეკეთბიანათ სასარგებლო და სასიკეთო საქმეები, როგორ ამქვეყნად, ასევე იმიერ სამყაროში. თუმცა ყველაფერი რაც ადამიანისთვის მავნებელია აკრ-

ძალა. ამ აკრძალვებსა და ბრძანებებს (**ისლამი**), ან კიდევ (**ისლამური ზნეობა**) ეწოდება.

ალლაჰის შუამავლის (სალლალლაჰჰ ალეიჰი ვე სელლემ) ყველა სიტყვა სწორია, ჭეშმარიტი და სასარგებლოა. ვისაც ასე სწამს, მას (მუ'მინი) მორწმუნე ეწოდება. ხოლო ვისაც მისი შუამავლობის არ სწამს, მას ურწმუნო ეწოდება. უზენაეს ალლაჰს მორწმუნეები უყვარს და მათ სამუდამუდ ჯოჯოხეთისთვის არ იმეტებს. თუ ცოდვილია, ცოდვის შესაბამისად გარკვეულ ხანს ჯოჯოხეთში განაწესებს, შემდეგ კი იხსნის სასჯელისგან. ურწმუნო სამოთხეში ვერ დაიმკვიდრებს. ჯოჯოხეთში იქნება განწესებული და იქ სამუდამოდ დარჩება. სამოთხეში დამკვიდრების საფუძველი შუამავლების რწმენა და მის მიმართ ურწმუნოება მრავალ ტანჯვასა და უბედურებას მოიყოლიებს ხოლმე.

ალლაჰის შუამავალს გამორჩეული, გონიერება სილამაზე, მჭერმეტყველობა, მოთმინება, გამჭრიახობა, შემწყალებლობა, გულუსვობა, სიკეთე, სიყვარული და შემბრალებლობა გააჩნდა. მეგობარსა თუ მტერს ბოროტებას პატიობდა. საპასუხოდ მტრობას არ ირჩევდა. როდესაც ურწმუნოებმა მას ფიზიკური ტკივილი მიაყენეს და კბილები დაუზიანეს, ალლაჰს ასე შეევედრა: „**მერთო ჩემო, მიუტევე მათ, რადგანაც მათ არ იციან რას სჩადიან!**“

ალლაჰის შუამავალს ძალიან კარგი ხასიათი ჰქონდა. საჭიროა მუსლიმებმა შეისწავლონ და მას მიჰბაძონ. ამ გზით ადამიანები სიკეთისა და ბედნიერების სათავეს მიაღწევენ და შაფა-ათს დაიმსახურებენ. ჰადისში ვკთხულობთ: „**იცხოვრეთ ალლაჰის ზნეობით**“.

## **ქვირფასი თანამიმდევრები (ესპაბი)**

იმ მუსლიმებს, რომლებსაც წილად ხვდათ შეხვედროდნენ და ესაუბრათ ალლაჰის შუამავალთან „ესპაბი, სააპაბე“ ეწოდებათ. ყველა დროის ყველაზე საუკეთესო ესპაბი არის ებუ ბექრი სიდდიუი, რომელიც ამავდროულად პირველი ჰალიფა იყო. შემდეგ ჰალიფა ომერ ბინ ხატტაბი, ოსმან ბინ ლაფანი და ხალიფა ალი ბინ ები ტალიბი. ალლაჰის შუამავლის ჰადისის მიხედვით მსოფლიოში ქალთა შორის ყველაზე უპირატესი არიან: „ფატმა, აიშე, ხატიჯე, მერიემი და ასიე“. კვლავ ერთერთ ჰადისში ალლაჰის შუამავალი ასე ბრძანებს: „ფატმა სამოხთის ქალბატონებს შორის ყველაზე აღმატებულია, ხოლო ჰასანი და ჰუსეინი ვაჟიშვილებს შორის ყველაზე საუკეთესონი არიან“.

გარდა ამისა, საპაბეთა შორის ყველაზე საუკეთესო რიგით „აშერეი მუბეშერე“ გახვდება. ესენი არიან, 10 საპაბე, რომლებსაც სიცოცხლეშივე სამოთხეში დამკვიდრების შესახებ ემცნოთ. ესენი არიან: „ებუ ბექირი სიდდიუი, ომერ-ულ-ფარუეი, ოსმან იბინ ‘აფფანი, ალი ბინ ებუ ტაალიბი, ებუ უბეიდე ბინ ჯერრაჰი, ტალჰა, ზუბეირ ბინ ავვამი, სად ბინ ები ვაყასი, სად იბნი ზეიდი და აბდურრაჰმან ბინ ავფი. (რიდვანულლაპი თეალა ალეიჰი ეჯმაინ). შემდეგ ბედრის ბრძოლაში მონაწილეები, ხოლო შემდეგ უჰკუდის და ბიათურ რიდვანში მონაწილეები არიან.

ჩვენ მოვალენი ვართ სიყვარულით და პატივისცემით მოვიხსენიოთ ყველა საპაბე, ვინც ალლაჰის შუამავალს დაეხმარა ძნელ გზაზე, მისთვის ქონება და სიცოცხლე არ დაიშურა. აკრძალულია და დიდ ცოდვად ჩაგვეთვლება მათი აუგად მოხსენიება ან მათდამი არასერიოზული დამოკიდებულება.

ვისაც ალლაჰის შუამავალი (სალლალლაპუ ალეიჰი ვესელლემი) უყვარს მისი ესპაბიც უნდა უყვარდეს. რადგან ჰადისი

ბრძანებს: „თუ კი ვინმეს ჩემი ესპაბი უყვარს ეს ჩემი სიყვარულისთვის უყვარს, ხოლო ვისაც საპაბები არ უყვარს მეც არ ვუყვარვარ, ვინც მათ აწყენინებს მე მაწყენინებს, ხოლო ვინც მე მაწყენინებს ალლაპის გაანაწყენებს. ალლაპის გამნრისხებელი კი უეჭველად სასჯელს დაიმსახურებს“. ასევე სხვა პადისში ვკითხულობთ: „როდესაც იქნება ალლაპის ნება ჩემი უმმეთიდან სიკეთით დააჯილდოვოს ვინმე, მაშინ მას საკუთარ სიცოცხლეზე მეტად ჩემს საპაბებს შეაყვარებს“. შუამავლის გარდაცვალების დღეს მედინაში 33 000, ხოლო საერთო მასშტაბით სულ საპაბეთა რიცხვი 124 000 აღემატებოდა.

## ოთხი მეზოების (მიმდინარეობის) იმამები და სხვა სწავლულები

არსებობს რწმენის ერთადერთი ჭეშმარიტი გზა ეს (ეპლი სუნეთ ველჯემალეთია). არსებობს ეპლი სუნეთის ოთხი იმამი, რომლებიც მუსლიმებს ასწავლიან ჭეშმარიტ მუსლიმობას და გზას, რომელიც მიგვითითა ალლაპის შუამავალმა. ესენია: იმამი აზამი ებუ ჰანიფე ნუმან ბინ საბითი. იმამი მალიქ ბინ ენესი, იმამი მუჰამედ ბინ იდრის შაფი, და ბოლოს იმამი აჰმედ ბინ ჰანბელი. (რაპმეთულლაპი ალეიპიმ ეჯმაინ)

დღეს ვინც ამ ოთხ იმამიდან ერთ-ერთს არ მისდევს დიდ საფრთხეში იმყოფება. რაგდანაც შუამავლის ჭეშმარიტ გზას ესენი გვასწავლიან. ამ წიგნში იხილავთ ჰანეფი მეზეპების მიხედვით ლოცვის შესახებ საკითხებს, რომლებიც ცნობილი სწავლულების წყაროებიდან მოვიძიეთ, გავამარტივეთ და თქვენთვის მოვამზადეთ.

ყურანისა და ჰადისის შესაბამისი რწმენა ამ ორი პირვენების მიერ გადმოცემული სწავლებაა. ეპლი სუნეთის მრწამსის დედამიწაზე გამავრცელებელი ეს ორი პიროვნებაა. ებუ მანსური მათურიდი და ებულ ჰასენ ალი ეშარი.

ეს ორი იმამი ერთი და იგივე მრწამს გვამცნობენ. მათ შორის არსებობს რამდენიმე განსხვავება უმნიშვნელო განსხვავება. ისლამის სწავლულები, როგორც ყურანის, ასევე ჰადისის თანახმად შექებულნი არიან. „განა თანასწორნი არიან განსწავლული და უვიცნი“? (სურა ზუმერი, 39/9) სხვა აიათში ვკითხულობთ: „თუ თქვენ არ იცით, მაშ, ჰკითხეთ მცოდნებს“ (სურა ნახლი, 16/43)

ჰადისებში ნაბრძანებია: „ალლაჰი და ანგელოზები ადამიანებისთვის სიკეთის მასწავლებლებს ლოცავენ“. „განკითხვის დღეს გადარჩებიან ჯერ შუამავლები, შემდეგ სწავლულები და შემდეგ შეპიდები“. „ადამიანებო იცოდეთ რომ ცოდნა, ბრძენთა მოსმენით შეიძლება შეიძინო“. „ისწავლეთ, რადგანაც ცოდნა ღვთისმსახურების ტოლფასია, მცოდნებს ჯიპადის მადლი დაეწერებათ“. სწავლა ქველმოქმედების (სადაყის გაცემის) ტოლფასია, ბრძენისაგან ცოდნის შეძენა, ღამით შესრულებული (თეჰეჯჯუდ) ლოცვის მსგავსია. (ცოდნის მიღება ნებაყოფლობით ლოცვებზე უფრო დიდი მადლია, რაგდანაც ცოდნა სასარგებლოა მისთვის, ვინც მას იძენს და ასევე ვისაც გადასცემს. (ბევრ მადლს მოიგებს ის, ვინც სწავლობს იმისათვის, რათა სხვებსაც შეასწავლოს“). „სიბრძნე საუნჯეა, მისი გასაღები კი კითხვის დასმა და შესწავლაა“. „ისწავლეთ და სხვასაც ასწავლეთ, ყველაფერს სათავე აქვს, ცოდნის სათავე კი ბრძენთა გულებია“, „ცოდნის გაცემა ცოდვების გამოსასყიდია“.

## საიქიოს რწმენა

**(ველ იევმილ ახირი):** საიქიოს რწმენა ნიშნავს რომ მე მწამს სამოთხისა და ჯოჯოხეთის, საიქიოს ცხოვრება ადამიანის სიკვდილის დღეს იწყება. არ არის ცნობილი როდის დადგება უამი ქვეყნიერების აღსასრულისა, მაგრამ ალლაპის შუამავალმა მის შესახებ ზოგიერთი ნიშნები გვამცნო: მეჰდის გამოჩენა, დედჯალი, იეჯუჯი და მეჯუჯი, მზის დასავლეთიდან ამოსვლა, მიწისძვრების გახშირება, ადამიანების მიერ რწმენის მივიწყება და სიავისა ბოროტების გამრავლება. ასევე ცოდვის ჩადენის მნიშვნელოვანი მატება, იემენიდან ცეცხლის წამოსვლა, მთებისა და ცის დანაწევრდება, მზე და მთვარის დაბნელება და სხვა.

არსებობს სასაფლაოს განკითხვა, რომელსაც ანგელოზები მუნქერი და ნექირი უძლვებიან. ამისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი სიტყვები დავიზეპიროთ, გავითავისოთ და ბავშვებსაც ვასწავლოთ: (ჩემი ღმერთი ალლაპია, შუამავალი მუჰამედია, ჩემი რწმენა ისლამია, ჩემი წიგნი ყურანია, ყიბლე ქა'ბაა, მრნამსი მეზჰები ეჰლი სუნნეთი ველ ჯემაეთია. განკითხვის დღეს ყველა მკვდარი გაცოცხლდება და ერთ ტიალ ადგილზე მოიყრიან თავს. ამ ადგილს მაჰშერი ჰქვია. მადლიანებს ცოდვა მადლის წიგნს მარჯვნიდან, ხოლო ცოდვილებს, მარცხნიდან მისცემენ. ურწმუნოების და ფარისევლობის გარდა სხვა ყველა ცოდვას თუკი ინებებს ალლაპი მიუტევებს, ხოლო თუ არ იქნება ნება უზენაესი ალლაპისა სამაგიერო ტანჯვას მიუზღავს.

მის შემდეგ ცოდვა მადლის ასაწონად სასწორი (**ზიზანი**) მოეწყობა და ალლაპის პრძანებით ჯოჯოხეთზე ბეწვის (**სირათის**) ხიდი დაიდგმება. აღნიშნულ ხიდზე ყველა გაივლის, ვინც სამოთხის ღირსი არ იქნება ხიდზე გადასვლას ვერ შეძლებს და ჯოჯოხეთში ალმოჩნდება. იმქვეყნად არსებობს „ქევსერის“

სახელობის აუზი, სადაც ალლაპის შუამავალი თანამიმდევრებს დაელოდება.

(შეფა’ეთი) ჭეშმარიტია. იმ მუსლიმების ჯოჯოხეთიდან გადარჩენისათვის, ვინც ცოდვები ჩაიდინა და მონანიების გარეშე გარდაიცვალა, შუამავლები, ანგელოზები, სწავლულები, შეჰედები, უზენაეს ალლაპს შეევედრებიან და ვისთვისაც იქნება ალლაპი ნება, მას დიდი თუ პატარა ცოდვები მიეტევება.

**(სამოთხე და ჯოჯოხეთი)** არსებობს. სამოთხეს რვა კარი აქვს, ყოველ მათგანს სამოთხეში მივყავართ. ჯოჯოხეთს შვიდი ქვესკნელი აქვს და პირველიდან მეშვიდემდე ტანჯვა-წამება უფრო და უფრო იმატებს.

## მეექვსე პირობა

### განგებისა და ალსრულების რწმენა

(ვე ბილ-ყადერი. ხეირიპი ვე შერრიპი მინალლაპი თე’ა-ლა): განგებისა და ბედისწერის რწმენა ნიშნავს, რომ პიროვნებას სწამდეს ალლაპის მიერ განსაზღვრული განგებისა. ის, რომ სიკეთე და სიავე ალლაპისგან მომდინარეობს. ადამიანების თავს მოვლენილი ყველა სიკეთე თუ ბოროტება, მადლი თუ ცოდვა მხოლოდ ალლაპის ნებით ხორციელდება.

უზენაესი ალლაპის მიერ რაიმეს არსებობის ნების გამოხატვას, განგება ეწოდება. რაც შეეხება უზენაესი ალლაპის ნების სისრულეში მოყვანას, მას „ალსრულება“ ჰქვია. რელიგიური ტერმინებით ალნიშნული სიტყვები „ყაზა და ყადერით“, გამოიხატება.

უზენაესმა ალლაპმა ადამიანებს სურვილის გრძნობა უბოძა, მიზეზად დაადგინა მათ გამოეხატათ სურვილი და შეერულებინათ ქმედებები. თუკი მონა-მსახური რაიმეს ისურვებს

და უზენაესი ალლაპი მას სათანადოდ მიიჩნევს, მაშინ იგი აღ-  
ნიშნულს გააჩენს.

უზენაესმა ალლაპმა ყველას მასზე მინდობა უბრძანა. (**მინ-დობა რწმენის პირობათაგანია**) აიათი ამ ბრძანებებიდან ერ-  
თერთია. „და გქონდეთ იმედი მხოლოდ ალლაპის, თუკი თქვენ  
ხართ მორწმუნები“. (სურა მაიდე, 5/23) „უეჭველად, ალლაპს  
უყვარს მინდობილები“. „ვინც სასოებს ალლაპს, მაშინ იგი  
საკმარისია მისთვის“. (სურა ტალაყი, 65/3) „განა არ არის  
საკმარისი ალლაპი თავის მსახურთათვის? (სურა ზუმერი,  
39/36)

ალლაპის შუამავალი ბრძანებს: „მე მორწმუნეთა ერთი  
ჯგუფი მაჩვენეს, რომელთაც მთები და ველები გაევსოთ.  
მათმა სიმრავლემ გამაოცა და თან გამიხარდა. მკითხეს, გა-  
გიხარდა? –მივუგე: დიახ. მათგან სამოთხეში მხოლოდ 70 000  
შევა განუკითხავად. ვკითხე, ვინ იქნებიან ისინი? „ვინც თა-  
ვის ცხოვრებაში მკითხაობას, ჯადოს, მისნობას განერიდება  
და მთელი არსებით მხოლოდ უზენაეს ალლაპს მიენდობა“.  
უყაშე, რომელიც იქ იმყოფებოდა, უმალ ფეხზე წამოდგა და  
ალლაპის შუამავალს მიმართა: „ო, ალლაპის შუამავალო! დამ-  
ლოცე რომ მეც მათ რიგებში აღმოვჩნდე“ მაშინ შუამავალმა  
დალოცა იგი.

## მეორე ნაწილი

### ღვთისმსახურება - ლოცვა

რა არის ღვთისმსახურება (ღ'იბადეთი)?

ღვთისმსახურება ეს არის, ჩვენი გამჩენის, სიკეთის, ხვავისა და ბარაქის მომცემის, ყოველგვარი უბედურებისაგან დამცავი, ალლაპის ბრძანებების შესრულება და აკრძალვებისაგან განრიდება. გარდა ამისა, მიბაძვა შუამავლებზე, სწავლულებსა და ღვთის საყვარელ პიროვნებებზე.

უზენაესმა ალლაპმა ადამიანებს უთვალავი წყალობა (ნიღ'მეთი) და სიკეთე უბოძა. ამიტომ შეძლებისდაგვარად ალლაპის ქება-დიდება ადამიანთა უმთავრესი მოვალეობაა. მაგრამ ისინი ვერ იპოვიან შესაბამის სიტყვებს ალლაპის სადიდებლად.

ალლაპის სადიდებლად შესრულებული სასიკეთო საქმეები და მოვალეობები უზენაესმა ალლაპმა შუამავალი მუჰამმედის (სალლალლაჰჰ ალეიჰი ვესელლემის) საშუალებით ამცნო. ამ ბრძანებების ერთობლიობას „ისლამი“ ეწოდა. შუამავალზე მორჩილება ნიშნავს, გაითავისო უზენაესი ალლაპის ბრძანებები. ღვთის ნინაშე არ მიიღება ღვთისმსახურება, რომელიც აღნიშნულ გზას სცდება. რამეთუ ქმედება, რომელიც ადამიანს მოსწონს, შესაძლოა ისლამისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყოს.

გამომდინარე აქედან, ნათლად ჩანს, რომ ჭკუადმყოფელი ადამიანი ალლაპისა და შუამავლის გზას არ გადაუხვევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვიგებთ, რომ მუსლიმია ის, ვინც ალლაპის შუამავლის ნაქადაგებს იზიარებს და მორჩილებას გამოხატავს. ასევე ღვთისმსახურება „ღ'იბადეთი“ ალლაპისადმი მაღლიერებაა: ისლამი ორ ძირითად ნაწილისგან შესდგება:

1 — რისი რწმენაც გულით არის საჭირო.

2 — რისი გაკეთებაც გულითა და სხეულითთაა საჭირო.

სხეულით შესრულებულ ღვთისმსახურებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ლოცვაა „ნამაზია“. ჭეშმარიტი მორწმუნებალდებულია ყოველ დღეს ხუთი დროის ლოცვა შეასრულოს.

## ვის ეკისრება პასუხისმგებლობა (ვინ არის მუქელლეფი)?

მოწიფულობის ასაკს მიღწეულ, ქალებსა და მამაკაცებს (**მუქელლეფი**) ეწოდებათ. ასეთი ადამიანი ვალდებულია ჯერ ირწმუნოს, შემდეგ კი ღვთისმსახურებები შეასრულოს. გარდა ამისა განერიდოს რელიგიურად აკრძალულ ქმედებებს.

გონება: ალქმის უნარია, რითაც ადამიანი ერთმანეთისაგან განარჩევს კარგსა და ცუდს. ადამიანი გონიერების საშუალებით განარჩევს, როგორც ორი კარგი რამისაგან უფრო უკეთესს, ასევე და ორი ცუდი რამისაგან უფრო უარესს. გონიერი ადამიანი არათუ კარგისა და ცუდის განსხვავებით შემოიფარგლება, არამედ კარგს იღებს, ხოლო ცუდს უარყოფს. გონება მხედველობას გავს, ხოლო ისლამი სინათლეს. შესაბამისად თუ არ იქნება სინათლე თვალი ვერ დაინახავს.

**მოწიფულობის ასაკი** მოზარდის გარდატეხის პერიოდის დასასრულს ნიშნავს. ვაჟებისთვის ეს პერიოდი დაახლოებით 12 წლის შემდეგ იწყება. არსებობს ზოგიერთი ნიშნები რითაც მოწიფულობა დგინდება. მოზარდს თუნდაც ეს ნიშნები არ აღენიშნოს, 15 წლის ვაჟი მოწიფებულად ითვლება. გოგონებისთვის გარდამტეხის ასაკი 9 წლის შემდეგ იწყება. მდგომარეობა ანალოგიურია გოგონების შემთხვევაშიც, თუნდაც არ აღენიშნოთ მოწიფებულობის ნიშნები, 15 წლის მერე ზრდასრულად ითვლებიან.

## „ეფლ’ალი მუქელლეფინ“

ეფლ’ალი მუქელლეფინი ეწოდება ისეთ ქმედებებს, რომელთა შესრულებაც თითოეული მუსლიმის ვალია. ესენი რვაა; ფარზი, ვაჯიბი, სუნნეთი, მუსთეპაბი, მუპაპი, ჰარამი, მექრუპი და მუფსიდი.

1 — **ფარზი:** უზენაესი ალლაპის მიერ ძვირფას ყურანში ღიად გაცხადებული ბრძანებები, რომლის შესრულებაც აუცილებელია, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში ადამიანს პასუხისმგებლობა ეკისრება. ის ვინც უგულებელყოფს და შესრულებაზე უარს იტყვის, რწმენას დაკარგავს. ფარზი ორ სახისაა:

**ფარზი ‘აინი:** ეს არის ვალდებულების სახეობა, რომელიც ყოველ ზრდასრულ და გონებასრულ მუსლიმს ეკისრება. რწმენა, ხუთი დროის ლოცვა, რამადანის თვის მარხვაში გატარება, ჰაჯობა და ზექათი. (ცნობილია 32 და 54 ფარზი)

**ფარზი ქიფაჟ:** ეს არის ვალდებულება, რომელსაც თუკი მუსლიმების გარკვეული ნაწილი შეასრულებს, დანარჩენები თავისუფლდებიან. მაგალითად მიცვალებულის განსასვენებელი (ჯანაზა) ლოცვა. თუ ერთ ადგილზე ჯანაზის ლოცვა საჭიროებს ყველა მუსლიმის ვალია რომ ილოცოს, მაგრამ თუ ზოგი მათგანი ილოცავს დანარჩენებზე აუცილებლობა მოიხსნება. ასეთივეა ყურანის სრულად დაზეპირება – “ჰაფიზობა”.

2 — **ვაჯიბი:** (ვალდებულება): ვაჯიბი, ეს არის ღვთისმსახურება, რომლის შესახებაც კატეგორიული ბრძანება არ არის. შესაბამისად შესრულება სავალდებულოა, ხოლო შეუსრულებლობის ნება არ არსებობს; მაგალითად: ვითრისა და ბაირამის ლოცვები, ყურბანის დაკლა, ფითრის გაცემა და სხვა. ვაჯიბი ფარზთან ახლოს დგას. ის ვინც ვაჯიბს არ ირწმუნებს ურწმუნოდ არ ჩაითვლება, თუმცა, საიქიო სასჯელს დაიმსახურებს.

3 — **სუნნეთი:** ის რაც უზენაეს ალლაპს ღიად არ უბრძანებია, მხოლოდ შუამავალი მუპამედის (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ) მიერ შექებული, მოწონებული, ან კიდევ ნანახი რაი-

მე ქმედება, რასაც არ შეწინააღმდეგებია. თქმა იმისა, რომ სუნეთი არ მომწონს, ურნმუნოების ტოლფასია, თუმცა მოგწონდეს, მაგრამ არ ასრულებდე სასჯელს არ ითვალისწინებს. აღსანიშნავია, ისიც, რომ სუნნეთის უმიზეზოდ არ შესრულება პიროვნებას მადლისგან უგულებელყოფს. მაგ: ეზნის კითხვა, ჯემა'ეთით ლოცვა, აბდესის აღებისას მისვაქის გამოყენება, წინდაცვეთა და სხვა. სუნნეთი ორი სახისაა:

**სუნნეთი მუექედე:** ეს არის სუნნეთი, რომელსაც აღლაპის შუამავალი (საღლაღლაპუ აღეპი ვე სელლემ) უწყვეტად ასსრულებდა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. მაგალითად ასეთებია, დილის ლოცვის ფარზის წინა ორი მუხლი სუნნეთი, შუადღის ლოცვის პირველი ოთხი და ფარზის შემდეგ ბოლო ორი მუხლი სუნნეთები. ამ სუნნეთების უმიზეზოდ მიტოვება არ შეიძლება. მისი არ მოწონება კი ურნმუნოების ტოლფასია.

**სუნნეთი ღაირი მუექედე:** აღლაპის შუამავლის მიერ ზოგჯერ ღვთისმსახურების მიზნით შესრულებული ქმედებები. მაგალითად სამხრობის (იქინდი) ლოცვის სუნნეთი, ძილისწინა (იათსი) ლოცვის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთი და სხვა. თუკი აღნიშნული სუნნეთები ხშირად იქნება გამოტოვებული, ადამიანის სასჯელის მიზეზი ან ჯილდოსგან უგულებელყოფა არ მოხდება. შესაძლოა მხოლოდ შეფაათისგან უგულებელყოფის მიზეზი გახდეს.

**სუნნეთი ქიფაიე:** მისაღმება, ეზანის კითხვა, ნამაზის ლოცვისას ყამეთი. მაგალითად რამდენიმე კაციდან ერთი რომელიმეს მისაღმება. აბდესის აღების, ჭამის დაწყების, ნებისმიერი სასიკეთო საქმის წამოწყებისას ბესმელეს წარმოთქმა.

**4 — მუსთეპაბი:** ეს არის სუნნეთი, რომელსაც ღაირი მუექედეს სტატუსი გააჩნია. ეს არის ის საკითხები, რომელიც აღლაპის შუამავალს მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთჯერ ან ორჯერ გაუკეთებია ან მოუწონებია. ახალ დაბადებულ ბავშვისთვის მეშვიდე დღეს სახელის დარქმევა, ლამაზად ჩაც-

მა, სასიამოვნო სუნამოს პკურება და სხვა. ვინც ასე მოიქცევა დიდ მადლს დაიმსახურებს. თუმცა ვინც არ შეასრულებს ის სასჯელს არ დაიმსახურებს და არც შუამდგომლობისგან (შეფა'ათი) იქნება უგულებელყოფილი.

**5 — მუპაჲი:** ისეთი საქმეები რომლის არც გაკეთებაა ნაბრძანები არც აკრძალვის შესახებაა გაცხადებული. თუკი კარგი მიზნისთვის გაკეთდება მადლის, ხოლო ცუდი მიზნით გაკეთების შემთხვევაში სასჯელის დამსახურების მიზეზი გახდება. როგორიცაა დაძინება, სხვადასხვა კერძების მირთმევა და სხვა. თუკი აღნიშნულ საკითხებს ისლამის შესაბამისად მორჩილების მიზნით შევასრულებთ ისინი მადლის მოგების მიზეზი გახდა.

**6 — ჰარამი:** აკრძალული. უზენაესი ალლაჲის მიერ სასტიკად აკრძალული ქმედებებია. ჰარამის ქმედების ჩადენა და ჰარამი საკვების გამოყენება კატეგორიულად აკრძალულია. ვინც ჰარამს ალალად, ხოლო ალალს ჰარამად გამოაცხადებს, რწმენიდან გაირიცხება და ურწმუნო გახდება. ჰარამი ქმედებებისგან განრიდება აუცილებელი და დიდი მადლიცაა.

**ჰარამი ლი-აინიჲი:** კაცის კვლა, ალკოჰოლური სასმელების მიღება, ღორის ხორცის ჭამა, მრუმობა, აზარტული თამაშები, სისხლის დალევა, მკვდარი საქონლის ხორცის ჭამა, ტყუილის თქმა, ქალების მკლავებ და ფეხებმოშიშვლებული ქუჩაში სეირნობა. რწმენას განუდგება ის, ვინც აღნიშნული ცოდვების ჩადენისას ბესმელეს წარმოთქვამს, ან ალალად ჩათვლის, ან კიდევ უზენაესი ალლაჲის მიერ ჰარამად დადგენილს უმნიშვნელოდ მიიჩნევს. თუკი ამ ყველაფერს ჰარამად ცნობს, შიშით თუმცა მაინც ჩაიდენს ცოდვას, რწმენიდან არ გავა და მხოლოდ საიქიო სასჯელს დაიმსახურებს. იმ შემთხვევაში თუკი დაუინებით გააგრძელებს აღნიშნული ცოდვების ჩადენას და მონანიების გარეშე გარდაიცვლება, ღვთის წინაშე ურწმუნოდ წარდგომის მიზეზი გახდება.

**ჰარამი ლი-ლაირიჲი:** ესენი თავისებურებით ალალია მაგრამ, იგი ჰარამია მაშინ, თუკი სხვის საკუთრებაშია. მაგალითად:

სხვის კუთვნილ ბალში შესვლა და მფლობელის ნებართვის გარეშე ხეხილის ნაყოფის ჭამა. ქონების უსამართლოდ მითვისება და გამოყენება, მიბარებული ამანათის მიმართ ლალატი. აღნიშნულ შემთხვევაში ბესმელე, რომ წარმოთქვას და ისე გამოიყენოს ან მიირთვას ურნმუნო არ გახდება. რამეთუ ის კონკრეტული პიროვნების უფლებაა და მისი გადახდის ან უკან დაბრუნების შესაძლებლობა არსებობს. უზენაესი ალლაპის მიერ აკრძალულისგან (ჰარამი) განრიდება ღვთისმსახურებაზე უფრო მეტად მადლიანია. ამისათვის მნიშვნელოვანია შევისწავლოთ აკრძალულები და მას საჭიროებისამებრ განვერიდოთ.

**7 — მექრუპი:** ეს არის ქცევა, რომელიც ისლამისა და ალლაპის შუამავლის შეხედულებით მოუწონარია და არაპირდაპირი მითითებით არის აკრძალული. მექრუპი ორი სახისაა:

**თაპრიმენ მექრუპი:** ეს არის რომელიმე ვაჯიბი ქმედების მიტოვება. იგი ჰარამთან ახლოსაა და მისი გაკეთება სასჯელის მიზეზი გახდება. მაგ: ლოცვა სწორედ იმ დროს როცა მზე ამოდის, როდესაც ზენიტშია და მის ჩასვლისას. ის ვინც აღნიშნულ დროებს მიზანმიმართულად არ დაემორჩილება, ურჩად ჩაითვლება და მისი ქმედება სასჯელის მიზეზი გახდება. ლოცვის დროს ვაჯიბების გამოტოვება თაპრიმენ მექრუპია და ასეთი ლოცვის თავიდან შესრულება სავალდებულოა. თუკი ადამიანი ლოცვისთვის განკუთვნილ ვაჯიბებს დავიწყების ნიადაგზე გამოტოვებს, სეპივ სეჯდეს შეასრულებს.

**თენზიპენ მექრუპი:** ეს არის ქმედება, რომელიც უზენაესი ალლაპისაა და შუამავალი მუპამმედის მიერ არაპირდაპირი გზით არის აკრძალული და ალალათან ახლოსაა. თუმცა მისი არ შესრულება, შესრულებაზე უფრო უმჯობესია.

**8 – მუფსიდი:** რელიგიურად ნებადართული ან კიდევ დაწყებული რომელიმე ღვთისმსახურების მომშლელი ქმედება. რწმენა, ნამაზი, ზექათი, ჰაჯობა, ნიქაპი, ყიდვა-გაყიდვის ჩაშლა და სხვა. მაგალითად: ალლაპზე ან ყურანზე შეურაცხყოფის მიყენება ურნუნოების ტოლფასია და რწმენის დაკარგვას გამო-

იწვევს. ლოცვისას სიცილი მოშლის, როგორც ლოცვას, ასევე აბდესაც. მარხულობის დროს შეგნებულად ჭამა-სმა მარხვას მოშლის.

ვინც ფარზებს, ვაჯიბებს, სუნნეთებს შეასრულებს ჯილ-დოს დაიმსახურებს, ხოლო ვინც ჰარამს განერიდება და მექ-რუპებისგან თავს შეიკავებს მადლის ღირსი გახდება. ერთი სარამისგან თავის შეკავების მადლი ერთი ფარზის სისრულეში მოყყვანაზე მეტად მადლიანია. ერთი ფარზის მადლი, ერთი მექ-რუპისგან თავის არიდებაზე უმჯობესია. ამასთან მექრუპისგან თავის არიდების მადლი კი სუნნეთის შესრულების მადლიანობას უსწრებს. მუბაპის სისრულეში მოყვანაც ასევე სამადლო ქმედებაა, თუმცა ეს სუნნეთის მადლს ვერ აღემატება.

## ისლამის პირობები

ისლამის პირობა ხუთია. ისლამის მიმდევარს მუსლიმი ჰქვია. ყველა მუსლიმი ვალდებულია ქვემოთ მოცემული ხუთი პირობა შეასრულოს:

1 — ისლამის უპირველესი პირობა (**ქელიმეი შეჰადეთია**).

ეს კი ნიშნავს წარმოვთქვათ და გულით ვირწმუნოთ სიტყვები: „ეშჰედუ ენ ლაა ილლაჰე ილლელლაჲ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ ლაბდუჲუ ვე რესულუჲ“. „ვადასტურებ, რომ არ არსებობს ალლაჲის გარდა სხვა სათაყვანებელი და ასევე ვადასტურებ, რომ მუჰამმედი მისი მონა-მსახური და შუამავალია“. არ არსებობს ცასა და დედამიწაზე ღვთისმსახურებისა და თაყვანისცემის ღირსი სხვა ვინმე ან რამე, გარდა ალლაჲისა. იგი მარადცოცხალია, უზენაესია, რომელიც ყოველგვარი ნაკლოვნებისგან შორს არის. დიახ ის „ალლაჲია“ და მისი წრფელი გულით რწმენა აუცილებელია.

2 — **ისლამის მეორე პირობა**, დღეში ხუთი დროის ლოცვაა. ყველა მუსლიმი ვალდებულია იცოდეს რომ დღეში, შესაბამისი პირობების დაცვით, ხუთი დროის ლოცვა მისთვის ძირითად აუცილებლობას წარმოადგენს. მორწმუნებ, ლოცვა ფარზების, სუნნეთებისა და ვაჯიბების ზედმინევნით დაცვით უნდა შეასრულოს და ასევე წრფელი გულით უზენაესი ალლაჲისკენ უნდა იყოს მიდრეკილი. ლოცვა, (ნამაზი) ძვირფას ყურანში სიტყვა „სალათით“ არის მოხსენიებული და მისი ღერძისიკონისეული მნიშვნელობა, ადამიანის მიერ ვედრების აღვლენით, ანგელოზების მიერ მონანიების გამოხატვითა და უზენაესი ალლაჲის მოწყალებით გა-

მოიხატება. ლოცვა თავდაპირველად „საწყისი თექბირით“ იწყება, რომელსაც თან ახლავს გარკვეული მოქმედებები და ყურანის კითხვა.

- 3 — **ისლამის მესამე პირობა, (ქონების ზექთის გადახდა).** ზექათის ლექსიკონისეული მნიშვნელობა სისუფთავე, შექება, საუკეთესო მდგომარეობაში მოყვანაა.

ზექათი, ყოველგვარი დაყვედრების გარეშე, უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით, ქონების განსაზღვრული ნაწილის იმ მუსლიმებზე გაცემას ნიშნავს, ვინც ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ნება ეძლევა აიღოს იგი (ზექათი).

ზექათის გადახდა უნდა მოხდეს შვიდი ჯგუფის ადამიანებზე. არსებობს ქონების ოთხი სასახეობა, რომლებიც ზექათის გადახდას ექვემდებარება: ოქროსა და ვერცხლის ზექათი, სავაჭრო ქონების ზექათი, მსხვილფეხა საქონლის, რომელებიც ექვს თვეზე მეტს საძოვრებზე იკვებება და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზექათი, იგივეა რასაც ოშური ეწოდება. უნდა აღინიშნოს, რომ ოშურის გადახდა მოსავლის აღებისთანავე უნდა მოხდეს, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ სამ სახეობას, მას შემდეგ რაც, მათი რაოდენობა ნისაბის ზღვარს აღემატება და მისი მფლობელობიდან ერთი წელი გავა.

- 4 — **ისლამის მეოთხე (რამანის თვის მარხვაში გატარება).** „სავმ“ ან „სიამ“ - არაბული სიტყვაა და ქართულად განდგომას, თავშეეკავებას, შეწინააღმდეგებას და მარხვის დაცვას ნიშნავს, ხოლო როგორც რელიგიური ტერმინი, ეს არის ცისკრის ანუ მეორე გარიურაუის დაფიქსირების დროიდან საღამომდე - მზის ჩასვლამდე მარხვის დაცვა. რამადნის მთვარეში სამი რამისგან თავშეეკავება გვამრთებს: ესენია: ჭმა, სმა და მეუღლესთან თანაცხოვრება. რამადნის მარხვა ცაზე მთვარის გამოჩენით დაიწყება.

5 — ისლამის მეხუთე პირობა ჰაჯია. მატერიალურად და ფიზიკურად შეძლების უნარიანი მორწმუნე სიცოცხლეში ერთხელ ვალდებულია, შეიმოსოს იპრამით, მოინახულოს მექაში არსებული ქა'ბა, შეასრულოს ტავაფი, სა'ი, არაფატზე „ვაყფე“ და სხვა რიტუალები, რასაც ჰაჯობა ითვალისწინებს. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ მოგზაურობა იყოს უსაფრთხო და პიროვნების უკან დაბრუნებამდე ოჯახის საარსებო სახსრები უზრუნველყოფილიყოს.

ზემოთ ჩამოთვლილ ხუთ პირობიდან ყველაზე მნიშვნელოვანი (**ქელიმეი შეჰადეთის**) წარმოთქმა და დაჯერებაა. ამის შემდეგ ნამაზის ლოცვაა. შემდეგ მარხვა. შემდეგ ჰაჯობაზე წასვლა და ბოლოს ზექათის გადახდაა. ისლამის სწავლულები თანხმდებიან იმაზე, რომ ქელიმეი შეჰადეთი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, რამეთუ იგი ისლამის უპირველესი ვალდებულებაა. ხუთი დროის ლოცვა შუამავლობის მეთორმეტე წელს, ჰიჯრეთიდან ერთი წლისა და რამდენიმე თვით ადრე მიღ' რაჯის ღამეს ფარძად დადგინდა. რაც შეეხება მარხვას, იგი ჰიჯრეთის მეორე წელს, შაბანის თვეში ფარზი გახდა. ზექათი ფარზი იმ წელს გახდა, როცა მარხვა ფარძად დადგინდა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჰაჯობა ჰიჯრეთის მეცხე წელს ფარზად დადგინდა.

## მასამაში

### ნამაზი

ჩვენს რელიგიაში რწმენის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთისმსახურება ნამაზი ანუ ლოცვაა. ნამაზი ყველაზე უპირატესი ღვთისმსახურებაა. ისლამის მეორე პირობაა. მას არაბულად „სალათი“ ეწოდება, რაც ვედრებას, პატიებას და შეწყალებას ნიშნავს.

ხუთი დროის ლოცვა უზენაესი ალლაჰის მიერ ყველაზე მეტად მოწონებული და ხშირად ნაბრძანები ღვთისმსახურებაა. ისლამის მიღების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი და უპირველესი ბრძანება ლოცვაა. განკითხვის დღესაც რწმენის მერე პირველი შეკითხვა ლოცვას შეეხება. ვინც ლოცვის შესახებ განკითხვას წარმატებით გაივლის სამარადისო ბედნიერებას მოიპოვებს. ჯოჯოხეთის ტანჯვისადან გადარჩენა და სამოთხეში დამკვიდრებაც ლოცვის სწორად და მოკრძალებით შესრულებაზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ ლოცვა უნაკლოდ შევასრულოთ თავდაპირველად უნაკლოდ აბდესის აღებაა მნიშვნელოვანი. ლოცვა ყოველგვარი სიზარმაცის გარეშე ხალისით უნდა დაიწყოს და ყველა მოქმედება უნაკლოდ და საუკეთესოდ უნდა იქნეს შესრულებული.

ლოცვა ყველა ღვთისმსახურებას მოიცავს და ადამიანებს უზენაეს ალლაჰთან აახლოებს. შუამავალმა (სალლაალლაჰუ ალეიჰი ვესელლეჰ) ბრძანა: (**ლოცვა რწენის საყრდენია. ლოცვის შემსრულებელი რელიგიის ადლიერებს, ხოლო მისი უარმყოფი რელიგიის ასუსტებს**). ლოცვის სწორად შემსრულებელი ცუდი და ავი ქმედებებისგან დაცულია. ყურანში უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „უეჭველად, ლოცვა განდევნის სიავენს და უკეთურს“ (სურა ანქებუთი, 29/45) ლოცვა, რომელიც ადამიანს სიავისგან ვერ იცავს თვალთმაქცობით შესრულებულია და რა თქმა უნდა ეს სწორი არ არის. ამისათვის მნიშვნელოვა-

ნია მორწმუნებ ლოცვა მთელი გულწრფელობით შეასრულოს. ისლამის სწავლულები დასძენენ: „თუკი რაიმეს სრულად ვერ ფლობთ, მცირედიც არ უნდა დაკარგოთ“. არ იქნება სწორი იმის თქმა, რომ ვინც ლოცვას არასწორად ასრულებს, ჯობია სრულებით არ ილოცოს. პირიქით უნდა ვეცადოთ უფრო სწორად და კარგად ვილოცოთ.

ლოცვა ჯემა'ეთით (ჯგუფურად) ილოცეთ ასე უფრო მეტი მადლის მომტანია. ლოცვის დროს გულები რიდითა და ალლაჰის სიყვარულით სავსე უნდა გქონდეთ. რადგანაც ადამიანის საიქიოს სასჯელისგან გადამრჩენი საშვალება ლოცვაა. უზენაესი ალლაჰი სურა მუ'მინუნის საწყის აიათებში ბრძანებს: „უეჭველად, ნეტარ არიან მორწმუნენი! ისინი, რომელნიც თავიანთ ლოცვაში მოკრძალებულნი აირან“.

საფრთხის შემცველ ადგილებში ლოცვის შესრულება კიდე უფრო მაღლია. მოსალოდნელი თავდასხმის დროს მებრძოლი ჯარისკაცის სულ მცირე მოქმედებასაც კი დიდი მნიშვნელობა გააჩინია. სწორედ ამიტომ ახალგაზრდების მიერ შესრულებული ღვთისმსახურება უფრო მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი მრავალი ცდუნების დაძლევის ფასად ასრულებენ ლოცვას.

ახალგაზრდობის ასაკში ადამიანის სამი მტერი ჰყავს, რომლებიც მას ღვთისმსახურების შესრულებაში დაბრკოლებას უქმნიან. ეშმაკი, ცუდი სურვილები და ცუდი მეგობარი. ამათგან ყველაზე საშიში ცუდი მეგობარია. თუ ახალგაზრდა მათ არ აყვება და ილოცავს მისი ფასი უფრო აიწევს. ახალგაზრდა ხანდაზმულ ადამიანზე გაცილებით უფრო მეტ მადლს მოიგებს და ამ მადლის სანაცვლო ჯილდოც გაცილებით დიდი იქნება.

## ვინ არის ვალდებული შეასრულოს ლოცვა?

მოწიფებულობის ასაკს მიღწეული, გონიერი და მორწმუნე ქალისა და მამაკაცისთვის ლოცვა აუცილებელი ანუ ფარზია. იმისათვის, რომ ადამიანს ლოცვის ვალდებულება დაეკისროს სამ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს:

1. მუსლიმი უნდა იყოს.
2. გონიერი უნდა იყოს.
3. მოწიფებულობის ასაკს უნდა იყოს მიღწეული.

ჩვენი რელიგიის მიხედვით ფსიქიკური პრობლემების მქონე და არასრულწლოვან ბავშვებისთვის ლოცვა სავალდებულო არ არის. მაგრამ მშობლების მიერ პატარობიდანვე სწავლება რეკომედირებული და მნიშვნელოვანია. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ყველანი მწყემსი ხართ და ოქვენივე სამწყსოს წინაშე პასუხისმგებლობა გეკისრებათ“. კიდევ ერთ პადისში ვკითხულობთ: „ამ ქვეყნად ყველა ბავშვი ისლამის ბუნებით იბადება, თუმცა შემდეგში მშობლები იუდიანად, ქრისტიანად ან ურნმუნოდ ზრდიან“.

მაშასადამე, ყველა მშობლის უპირველესი მოვალეობაა ბავშვს ყურანის კითხვა და ისლამი სწორად შეასწავლოს. ეს მოვალეობა უნდა შეასრულოს ყველა მშობელმა, ვისაც სურს რომ ამქვეყნად და საიქიოშიც დამშვიდებული იყოს. ამბობენ: „ხე ნერგობისას მოიხრებაო.“ თუ გაზრდილს მოხრას დავუპირებთ გატყდება ან დაზიანდება.

ბავშვი, რომელსაც გათავისებული არ აქვს ისლამის სიბრძნე, ცრუ ამხანაგებს იოლად აყვება და მარტივად შეიძლება აღმოჩნდეს ცდმილებაში. შედაგად კი ის მშობლებსა და თავის ქვეყნას მხოლოდ სიავეს მოუტანს.

## **ნამაზის მლოცველთა მდგომარეობანი ლოცვა, რომელმაც საპყრობილედან იხსნა...**

ხორასანის გუბერნატორი აბდულლაჰ ბინ თაჰირი ზედ-მიწევნით სამართლიანი ვინმე იყო. ერთხელაც ჯარისკაცებმა რამდენიმე მძარცველი დააკავა და ამის შესახებ გუბერნატორს აცნობა. თუმცა დაკავებულთა შორის ერთ-ერთი, რომელიც პორფესიით ხარატი გახლდათ, ნისაბურში გაიქცა. რამდენიმე სნის შემდეგ, როდესაც ღამე სახლში ბრუნდებოდა დააკავეს და სხვა მძარცველებთან ერთად გუბერნატორს წარუდგინეს. ციხეში ჩასვითო ბრძანა გუბერნატორმა. ხარატმა საპყრობილეში აბდესთი აიღო, ლოცვა შეასრულა, შემდეგ ხელები აღაპყრო და ასეთი ვედრება წარმოთქვა:

„ო, უზენაესო ალლაჰ! მიხსენი ამ განსაცდელისგან რადგან შენ ერთადერთმა უწყი, რომ მე უცოდველი ვარ, გემუდარები გადამარჩინე“. გუბერნატორმა იმ ღამე სიზმარი ნახა, თითქოს ოთხ ძლიერ კაცს, მისი ტახტის თავდაყირა გადმოაბრუნება სურდა, რა დროსაც გამოელვიძა. მაშინვე აბდესთი აიღო, ორი მუხლი ლოცვა შეასრულა და ისევ დაიძინა. დაძინების შემდეგ მოკლე დროში ანალოგიური სიზმარი ნახა. მაშინ, მიხვდა, რომ ვინმე უდანაშაულოს ცოდვა აწევდა.

ო, უზენაესო ალლაჰ! ერთადერთი და დიდებული მხოლოდ შენ ხარ. შენ, იმდენად დიადი ხარ, რომ ყველა ძლიერი თუ სუსტი, დიდი თუ პატარა, გასაჭირის დროს შენ შეგავედრებს და შეისმენ მათ მუდურას.

გუბერნატორმა მაშინვე ციხის უფროსს დაუძახა და ჰეითა: ვინმე უდანაშაულოდ ხომ არ გამოვკეტეთ საპყრობილეშიო. ციხის უფროსმა მიუგო: მე ეს არ ვიცი მაგრამ ერთი მსჯავრდებული ნამაზს ლოცულობს, ალლაჰს განუწყვეტლივ ევედრება და ტირის. გუბერნატორმა დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება და ის პიროვნება მასთან მასთან გამოკითხვაზე დაიბარა, როცა მიხვდა უდანაშაულობას უთხრა: ბოდიშს გიხდი ეს ათასი ვერ-

ცხლიც ჩემგან საჩუქრად აიღე და თუ რაიმე დაგჭირდეს მოდი და მე მთხოვე. მაშინ ხარატმა მიუგო: რა თქმა უნდა მიპატიებია, ამ საჩუქარს მადლიერებისთვის ვლებულობ, მაგრამ შენთან რაიმეს სათხოვნელად ვერ მოვალო. რატომ ჰკითხა ჰკითხა გუბერნატორმა? რადგან არ შეეფერება ჩემს მონამსახურებას, რამეთუ არ შემიძლია დიადი ალლაპის გარდა სხვას მიმემართო ჩემი დარდებით, როდესაც მან, ჩემისთან ლარიბის გამო, შენის-თანა დიდებული პიროვნების ტახტი რამდენჯერმე შეარყია. ლოცვის შემდეგ ალვლენილი ვედრების წყალობით რამდენჯერ მიხსნა გასაჭიროსგან. რამდენჯერ ვეწიე ბედნიერებას. მაშინ როცა, დიად გამჩენმა უსაზღვრო წყალობის კარი გამიღო, ფართოდ გაუშლია უკიდეგანო სიკეთის სუფრა, როგორ შეიძლება სხვა ვინმეს ვთხოვო რამე? ვინმემ თხოვა და არ უწყალობა? მაგრამ თუარ გეცოდინება, როგორ უნდა თხოვო ვერ მიიღებ. თუკი მის წინაშე თავმდაბლობით არ წარსდგები, წყალობას ვერ დაიმსახურებ.

ან არის ვინმე ვინც შეთხოვა და ვერ მიიღო? თუ თხოვნა არ იცის მაშინ ვერ მიიღებს.

ერთერთმა ღვთის საყვარელმა სწავლულმა - რაბიაი ადვიემ, ერთი კაცის ასეთი ლოცვა გაიგონა: „ო, ჩემო ალლაპ, გთხოვ გამიღე მოწყალების კარი“. მაშინ უთხრა: „ო, უგუნურო, განა დღემდე ალლაპის მოწყალების კარი დახშული იყო, რომ გახსნას ევედრები? „მოწყალების კარი შესაძლოა ყოველთვის ღია იყოს, თუმცა მის მისაღებად კაცთა გულები ყოველთვის ღია არ არის. ამისათვის კი ვალდებული ვართ მას ვედრებით მივმართოთ“.

გულის კარების გახსნისა და გასუფთავებისათის უნდა ვილოცოთ. უზენაესო ალლაპ, ყველას დარდისაგან მხსნელი მხოლოდ შენ ხარ! ნუ გაგვიმეტებ საიქიოს ტანჯვისათვის, ყველა გაჭირვებულის დამხმარე მხოლოდ შენ ხარ. გთხოვ ამქვეყნა-დაც და საიქიოშიც ჩვენთვის სასარგებლო და სასიკეთო საქმე-ები მოგვმადლე. ამ ქვეყნად და საიქიოში არავისზე დამოკიდებული არ გაგვხადო. აამიინ!

## სახლში ხანძარი გაჩნდა

ერთ-ერთი ძვირფასი სწავლული, ხამიდ თავილი ერთხელ მესჯიდში ლოცვას ასრულებდა. ამ დროს მის სახლში ხანძარი გაჩნდა. ხალხი შეიკრიბა და ცეცხლი ჩააქრო. სწავლულს ცოლი გაუბრაზდა: სახლი იწვის ხალხი ცეცხლს აქრობს, ათასი საქმეა შენ კი ამისთვის არაფერს აკეთებო. სწავლულმა მიუგო, ვფიცავ ალლაპის სახელს, რომ არაფერი არ გამიგიაო. აი, ამდენად ჩაუღრმავებოდა იგი ალლაპს და ცდილობდა მასთან მიახლოვებას, რა დროსაც საკუთარი თავიც ავიწყებოდა.

## როგორც წყლის დუღილი ქვაბში

ძვირფას თანამიმდევართაგან (რადიალლუჟ ანჳ) აბდულ-ლაპ ბინ შეპირი მოგვითხრობს: ერთხელ ალლაპის შუამავალ-თან (სალლალლაპუ ალეიიპი ვესელლემ) ერთად მის გვერდით ლოცვას ვასრულებდი. ლოცვის დროს მისი მკერდიდან ისეთი ხმა ისმოდა, როგორ ხმასაც ქვაბში წყლის დუღილი გამოსცემს.

## ფეხში შერჭობილი ისარი

ალლაპის შუამავლის (სალლალლაპუ ალეიიპი ვესელლემ) საყვარელი სიძე -ძვირფასი ალი (რადიალლუჟ ანჳ) ლოცვის დროს იმედნად მოკრძალებული იყო, რომ თუნდაც დედამინა დაქცეულიყო ვერაფერს გაიგებდა. ერთერთ ბრძოლაში ძვირ-ფას ალის ფეხში ისარი იმდენად ღრმად შეერჭო ძვლამდის მიეღწია. გარშემო მყოფებმა მის ამოღებას შეეცადნენ, თუმცა ამაოდ ბოლოს ექიმს აჩვენეს, ექიმმა ურჩია: ისრის ამოღების პორცესი ძალიან მტკივნეული იქნება, ამიტომ საჭიროა ძლიე-რი გამაყუჩებელი, სხვაგვარად ამ ტკივილს ვერ აიტან. მაშინ

ძვირფასმა ალიმ მიუგო: „ამისათვის ტკივილგამაყუჩებელი არაა საჭიროა, ცოტა დაველოდოთ, ლოცვის დრო მოვიდეს და ლოცვაზე რომ დავდგები მაშინ ამომილეთო“. მართლაც ასე მოხდა, ლოცვის დრო მოვიდა, ექიმმა ალის ისარი ამოილო და ჭრილობა შეუხვია. როდესაც ლოცვა დაამთავრა, იგი მიუპრუნდა ექიმს და კითხა: „რა ქენით ისარი ამიოღეთ თუ არა?“ ამოვილეთ მიუგო ექიმმა. –მე ტკივილი არ მიგრძნია, ჩაილაპარაკა მან.

ამაში საკვირველი არაფერია!. შუამავალი იუსუფის სილამაზის წინაშე ეგვიპტელი ქალები იმდენად დავდავინყებით მოიხიბლენ, რომ ვაშლის გათლის დროს ხელის თითები დაისერეს, თუმცა ვერაფერს გრძნობდნენ. თუ ალლაჰის სიყვარულმა ადამიანს საკუთარი თავის სიყვარული დაავინა აქ საკვირველი არაფერია.

## გულის შემაღლებელი წამალი

ერთერთ სწავლულს ამირი ყაისს ფეხის კეთროვნება დაეწყო. მკურნალი ექიმები ეუბნებოდნენ, რომ უნდა მოიკვეთოსო. ამირი დაეთანხმა და ასეც მოიქცნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ კეთროვნება მთელ ფეხს მოედო, რისთვისაც ქირურგიული ჩარევა ისევ გახდა საჭირო. ექიმები ამბობედნენ, რომ, ძლიერი გამაყუჩებელია საჭირო, თორემ ამას იმდენად ძლიერი ტკივილი აქვს, ადამიანს გააგიუებსო. მაშინ ამირმა მიუგო: არ არის საჭირო ტკივილიგამაყუჩებელი, მოიყვანეთ ვინმე ისეთი, ვინც ყურანს კარგად და სასიამოვნოდ კითხულობს, როცა სახეზე ცვლილებას შემნიშნავთ უკვე ვეღარაფერს ვიგრძნობ და ოპერაცია მაშინ დაიწყეთ. მართლაც მოიქცენ ასე, მოიყვანეს საამო ხმით მკითხველი პიროვნება, ქირურგმაც თავისი საქმეს შეუდგა, ამირის ფეხი მოკვეთა, ჭრილობა მოუკერა, გაასუფთავა და შეხვევაც გაუკეთა. ბოლოს როდესაც ყურანის კითხვის ხმა

მიჩუმდა, ამირმა გონს მოეგო და იკითხა რა ქენით, დასრულდა ოპერაცია? მიუეგეს: „დიახ“. მაშინ ამირმა ითხოვა, მაჩვენეთ ჩემი ფეხი, რომელიც მომკვეთეთ. ამირმა მაღლა წამონია და თქვა: „ღმერთო ჩემო! შენ მწყალობელი ხარ, ხოლო მე შენი მონა-მსახური ვარ. შენ ხარ მრძანებელი და ალსრულებული საქმე, შენი ბრძანების შესაბამისია. ეს მხოლოდ ფეხია და განკითხვის დღეს, როცა მკითხვენ, რომ ცოდვისკენ ფეხი თუ გადაგიდგმიაო ოდესმე, ვიტყვი: შემეძლება ვთქვა, რომ არასოდეს შენი ბრძანების გარეშე, არც არასოდეს ფეხი გადამიდგამს და არც ერთხელ ამომისუნთქია.

## თავგანწირვა ნამაზისათვის

ერთხელ ერთ-ერთმა ბერძენმა ისლამი მიიღო. მისმა ახლო მეგობარმა ბერძენს გამუსლიმების საბაბი კითხა და თან გაუწყრა: წინაპართა სარწმუნოება ასე უცებ როგორ მიატოვეო? ბერძენმა შემდეგი ღრმაშინაარსიანი პასუხი გასცა: ერთხელაც, ტყვედ ჩავარდნილ ერთ-ერთი მუსლიმი ჩემთან დატოვეს. ვხედავ რომ ეს ტყვე ჩაკეტილ ოთახში, წელში ხან მოიხრება, ხან კიდევ გაიმართება. ვკითხე, რას აკეთებ მეთქი? მან სახეზე ხელები ჩამოისვა და მითხრა: ვლოცულობ და თუ ამისთვის, ნებას დავრთავდი, ყოველი ლოცვისთვის ერთ ოქროს მაჩუქებდა. მე სიხარბემ მძლია და დავეთანხმე. შემდეგში ფასი გავზარდე და ერთ ლოცვისთვის ათ ოქროს ვიღებდი. ტყვე ამაზეც თანახმა იყო. ტყვეს მიერ ლოცვისთვის გამოჩენილი თავგანწირვა ძალიან მაკვირვებდა. ერთხელაც ვუთხარი, უნდა გაგათავისუფლო მეთქი, ამ ამბავმა ძალიან გაახარა. მაშინ ხელები აღმართა და ჩემთვის დიად გამჩენს ასე შეავედრა: „ო, უზენაესო ალლაჰ! ეს ადამიანი შენი რწმენით აღამაღლე“ ამ დროს გულში ისლამის მიღების სურვილი გამიჩნდა, რომელმაც ისე სწრაფად იმატა ვერც კი წარმოიდგენ. მაღავე გადავწყვიტე მიმელო ისლამი და ქელიმეი შეჰადეთიც წარმოვთქვი.

## მეოთხე ნაილი

### ნამაზის სახეობები

მუსლიმებს სამი სახის ლოცვის ვალდებულება გააჩნიათ, ესენი ფარზი, ვაჯიბი და ნაფილეა.

- 1 — **ფარზი ნამაზები:** მასში შედის ყოველდღიური ხუთი დროის, ჯუმის ორი მუხლი და მიცვალებულის განსასვენებელი ლოცვა (ეს ბოლო ფარზი ქიფაეა).
- 2 — **ვაჯიბი ნამაზები:** მასში შედის ვითრის, ბაირამის, შეპირებული, დაწყებული მაგრამ დაუმთავრებელი ნაფილე ნამაზები. ასევე ვაჯიბია გამოტოვებული ვითირ ლოცვაც.
- 3 — **ნაფილე ნამაზები:** მასში შედის ხუთი დროის ლოცვის სუნნეთები, თერავიჰი და მადლის მოგების მიზნით შესრულებული შემდეგი ნამაზები: თეჰეჯუდი, იშრაყი, დუჰა, ევაბინი და ისთიხარი ნამაზები. ნაფილეს ლოცვა ფარზი არ არის. მას, ვისაც ვაჯიბი და ფარზი ნამაზები გამოტოვებული არ აქვს და ნაფილე ნამაზებს შეასრულებს, მადლს მოიგებს.

### ხუთი დროის ლოცვა

ყოველდღიურად ხუთი დროის ლოცვა უზენაესი ალლაჰის ერთ-ერთი ბრძანებაა. დიადი გამჩენი ყურანში ასზე მეტ აიათში ლოცვის აღსრულებას ბრძანებს. მოწიფებულობის ასაკს მიღწეული და გონიერი მუსლიმისთვის ყოველდღიურად ხუთი დროის ლოცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით ნაბრძანებია, როგორც ყურანში ასევე შუამავლის ჰადისებში.

სურა რუმის მეჩვიდმეტე და მეთვრამმეტე აიათში ვკითხულობთ: „**მაშ, ადიდე თალლაჰი როცა მოსალამოვდება და გა-**

რიურაჟისას, დღის ბოლოს და შუადღისას! და მას ეკუთვნის ქება-დიდება ცათა შინა და ქვეყანასა ზედა!“ სურა ბაყარას ორასოცდამეთვრამეტე აიათში ვკითხულობთ: „დაიცავით ლოცვები და შუა ლოცვა, (სამხრობის ლოცვა), და მოკრძალებით დადექით ალლაპის წინაშე“. აღნიშნული აიათი ლოცვების სისტემატიურად შესრულებას გულისხმობს. სურა ჰუდის 114-ე აიათში გაცხადებულია: „და დადექით ლოცვად დღის ორივე კიდეში და ლამის გარკვეულ საათებში. უეჭველად, კეთილი საქმენი განდევნიან ბოროტებანს. ეს არის შეგონება გონიერთათვის“.

შუამავალმა მუპამმედმა (სალლალლაპუ ალეიპი ვე სელ-ლემ) ბრძანა: „უზენაესმა ალლაპმა მუსლიმებს დღეში ხუთი დროის ლოცვა უბრძანა. დიადი გამჩენი ცოდვებს მიუტევებს მათ, ვინც სრულფასოვნად აბდესთს აიღებს, ხუთი დროის ლოცვას დროულად შეასრულებს და რუქუ'სა და სეჯდეს წესისამებრ სისრულეში მოიყვანს“.

ხუთი დროის ლოცვა ჯამში 40 მუხლისგან შედგება. აქედან 17 მუხლი ფარზი, 3 მუხლი ვაჯიბი, ხოლო 20 სუნნეთია.

- 1 - **დიღის ლოცვა:** სულ 4 მუხლია. პირველი 2 მუხლი სუნნეთი, ხოლო მეორე 2 მუხლი ფარზია. ეს სუნნეთი ძალიან მყარია, ამიტომ მას ზოგიერთი სწავლული ვაჯიბსაც უწოდებენ.
- 2 - **შუადღის ლოცვა:** 10 მუხლია. პირველი 4 მუხლი სუნნეთი, მეორე 4 მუხლი ფარზი, ბოლოს კი ისევ 2 მუხლი სუნნეთი.
- 3 - **სამხრობის (იქინდი) ლოცვა:** სულ 8 მუხლია. პირველი 4 მუხლი სუნნეთი, ხოლო მეორე 4 მუხლი ფარზია.
- 4 - **საღამოს ლოცვა;** სულ 5 მუხლისგან შედგება. პირველი 3 მუხლი ფარზი, ხოლო მეორე 2 მუხლი სუნნეთია.
- 5 - **ლამის ლოცვა:** ეს ლოცვა სულ 13 მუხლია. პირველი 4 მუხლი სუნნეთი, მეორე 4 მუხლი ფარზი, შემდეგ ისევ

2 მუხლი ბოლო სუნნეთი და ამის შემდეგ 3 მუხლი ვითორ ილოცება.

სამხრობისა და ღამის ლოცვის ფარზის წინა სუნნეთები ღაირი მუექქედეა. მათი ლოცვისას მეორე მუხლზე თაპიათზე დაჯდომისას, ეთთეპიათუს, ალლაჰუმმე სალლის და ალლაჰუმმე ბარიქის ვედრებები უნდა წავიკითხოთ. მესამე მუხლზე ფეხზე წამოვდგებით სუბჰანექეს ვიკითხავთ და ბესმელეს წარმოვთქვამთ. შუადღის ლოცვის პირველი ოთხი მუხლი, სუნნეთი მუექქედეა და მისი მადლიანობა უფრო მეტია. პირველ თაპიათზე, ისე როგორც ფარზი ლოცვების დროს მხოლოდ „ეთთეპიათუს“ ვკითხულობთ და მესამე მუხლის სალოცავად ფეხზე უნდა ავდგეთ. წარმოვთქვამთ ბესმელეს და ვიწყებთ სურა ფათიპას კითხვას.

შუადღის და ღამის ფარზი ლოცვის დასრულების შემდეგ ოთხი მუხლის ლოცვა და საღამოს წამაზის ფარზის შემდეგ ექვსი მუხლის ლოცვა მუსთეპაბია. დიდი მადლია.

ყველა მუხლის შესაბამისად არსებობს ფარზი, ვაჯიბი, სუნნეთი და მექრუპი. აღნიშნულ თემას შემდეგ ქვესათაურებში კიდევ დავუბრუნდებით.

## წამაზის ფარზები

ფარზი, ეს არის ღვთისმსახურების სახეობა, რომლის შესრულების მოთხოვნაც უზენაესი ალლაჰის მტკიცე ბრძანებას ექვემდებარება. ღვთისმსახურება, რომლიც ფარზები სისრულეში არ იქნება მოყვანილი, სრულფასოვნად არ ჩაითვლება. ლოცვის შესრულებისას 12 ფარზის ცალკეულად გათვალისწინება სავალდებულოა. აღნიშნულთა შორის ექვსი შიდა, ხოლო ექვსი გარე ფარზია. ლოცვის გარე ფარზებს, ლოცვის პირობებსაც უწოდებენ. რაც შეეხება ლოცვის შიდა ფარზებს, მას რუქუნი ჰქვია.

**ა) ლოცვის გარე ფარზები ასე გამოიყურება:**

- 1 — **ჰადესთენ თაპარეთი:** მცირე და დიდი განბანვის ანუ „აბდესთისა და ღუსლის“, შესრულება.
- 2 — **ნეჯასეთენ თაპარეთი:** ორგანიზმის, ტანსაცმლისა და სალოცავი ადგილის გასუფთავება.
- 3 — **სეთრი ავრეთი:** მამაკაცებისთვის –ჭიპიდან მუხების ჩათვლით, ხოლო ქალებისთვის –სახის, ხელის მტევნებისა და ფეხის ტერფების გარდა, მთელი სხეულის დაფარვა.
- 4 — „**ისთიყბალი ყიბლე**“, ლოცვის დროს ყიბლას მიმართულებით დგომა.
- 5 — **ვაყითი:** ლოცვის დროს ნიშნავს. ყველა ლოცვას თავისი დრო გააჩნია. დროის მოსვლამდის კონკრეტული ლოცვის შესრულება ნებადართული არ იქნება.
- 6 — **ნიეთი:** -განზრახვა. ლოცვაზე დადგომის წინ გადაწყვეტილების მიღებას ნიშნავს. განზრახვის გულით წარმოთქმა მნიშვნელოვანია. განზრახვა არ ჩაითვლება, თუკი ის მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. ლოცვისთვის განზრახვა ნიშნავს, დავაკონკრეტოთ რომელი დროის ლოცვა უნდა შევასრულოთ, ასევე ყურადღება გავამახვილოთ ლოცვის დროზე, ყიბლას მიმართულებაზე და მარტოდ თუ ჯემა’ეთთან ერთად ვასრულებთ. საწყისი თექბირის შემდეგ წარმოთქმული განზრახვა მიღებულად არ ჩაითვლება და შესაბამისად არც ლოცვა იქნება მიღებული. ალლაპის კმაყოფილების მოპოვებისთვის დავდექი ყიბლის მიმართულებით და განვიზრახე დღევანდელი დილის ლოცვის სუნნეთის შესრულება.

**ბ) ლოცვის შიგნით არსებული ფარზები**

ნამაზის შესასრულებლად დადგომის შემდეგ სავალდებულო შესასრულებელი ხუთი ფარზია. ესენია:

- 1 – **იფთითაჲ თექბირი:** ლოცვის დაწყების წინ „ალლაჲუ ექბერ“ წარმოთქმა. სხვა რომელიმე სიტყვის წარმოთქმა საწყისი თექბირის ადგილს ვერ დაიკავებს.“.
- 2 – **ყიამი:** ლოცვისას ფეხზე დგომას ნიშნავს. მას ვისაც ფეხზე დგომა არ შეუძლია დამჯდარი ილოცავს, და თუ არც დაჯდომა შეუძლია, დაწოლილ მდგომარეობაში მინიშნებით ილოცავს. სკამზე დამჯდარი ლოცვა მიზანშეწონილი არ არის.
- 3 – **ყირაათი:** ლოცვის დროს ყურანის კითხვა ფარზია – აუცილებელია. ლოცვის დროს ყურანი ფეხზე მდგარ მდგომარეობაში იკითხება.
- 4 – **რუქუ'ი:** **სიტყვა რუქუ'ი** წელში მოხრას ნიშნავს, იგი ლოცვის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც წელში მოხრითა და ხელების მუხლებზე დაწყობით სრულდება.ამ დროს მლოცველი სამჯერ წარმოთქვამს, „**სუბჰან რაბბიელ ღ'აზიიმ**“. რუქუ'იდან წელში გასწორების დროს ვაბობთ შემდეგ სიტყვებს: (**სემი' ალლაჲ ლიმენ ჰამიდეჰ**), ხოლო როცა წელში სრულად გავსწორდებით ვიმეორებთ სიტყვებს: (**რაბბენა ლექელ-ჰამდ**).
- 5 – **სეჯდე:** ლოცვის ერთ-ერთ აუცილებლობას სეჯდე წარმოადგენს. იგი რუქუ'ის შემდეგ მუხლების, ხელების, შუბლისა და ცხვირის ძირს შეხებით სრულდება. სეჯდე ლოცვის დროს ყოველ მუხლზე ერთმანეთის მიყოლებით ორჯერ სრულდება და თითოეულ სეჯდეზე სულ მცირე სამჯერ გავიმეორებთ შემდეგ სიტყვებს: „**სუბჰან რაბბიელ ე'ღლა**“.
- 6 – **ყაღ'დეი ახირე:** ლოცვისას ბოლო დაჯდომას ნიშნავს. ლოცვის დასასრულს გარკვეული დროით დაჯდომა და დალოდება ლოცვის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ოთხმუხლიანი ლოცვის დროს, მეორე მუხლის დასასრულს დაჯდომა, ბოლო დაჯდომად ანუ „ყა'დეი

ახირად“, ითვლება. ბოლო დაჯდომის ხანგრძლივობა „თეშეპეტუდით“ განისაზღვრება, რაც „ეთთეპიიათუს“ კითხვისთვის საჭირო დროის ტოლია.

ლოცვა, რომ ღვთისმსახურებათა შორის ყველაზე მნიშნვენლოვანია, ამაზე მისთვის დამახასიათებელი პირობები მეტყველებს. გარდა ამისა, თუკი ლოცვის ვაჯიბების, სუნნეთების, მექრუპებისა და მუსთეპაბებზე გავამახვილებთ ყურადღებას, მონამსახურის დიადი გამჩენის წინაშე წარდგომის სერიოზულობას უკეთ გავიგებთ. მონა-მსახური დიადი გამჩენის წინაშე უძლური არსებები არიან, ისინი ყოველ წამს გამჩენს, უზენაეს ალლაჰს საჭიროებენ. ლოცვა ეს ის ღვთისმსახურებაა, რომელიც ადამიანს დიადი გამჩენის წინაშე უძლურებას ახსენებს.

## ლოცვის პირობები

ამ ქვეთავში; მცირე და დიდი განბანვა, ანუ აბდესთი და ღუსლი (მთელი სხეულის დაბანა), ასევე თეიმუმი იქნება განმარტებული. მაშ ასე:

## აბდესთი – მცირე განბანვა

აბდესთი ნამაზის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ყურანის ხელში აღების, ქა'ბას გარსშემოვლის –ტავაფის, სეჯდეს შესრულებისა და მიცვალებულის განსასვენებელი ლოცვის წინ აბდესთი მთავარი პირობაა. ყოველთვის აბდესთიანი ყოფნა, აბდესიანი ჭამა-სმა და ასევე აბდესთიანი დაწოლა დიდი მადლია.

თუ ადამიანი აბდესიანი გარდაიცვალა შეპიდის მადლით წავა. ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ალეიჰი ვე სელლეჰ) ბრძანა:

„ადამიანი, რომელიც აბდესთიანი გარდაიცვლება სიკვ-დილის ტკივილებს ვერ იგრძნობს, რამეთუ აბდესთი მორწ-მუნეობის ნიშანია, აბდესთი ნამაზის გასაღები და სხეულის ცოდვისაგან განწმენდი საშვალებაა.“

„როდეაც მუსლიმი ადგება და აბდესთს აიღებს მას ცოდ-ვები ყურებიდან, ცხვირიდან, თვალებიდან, ხელებიდან და ფეხებიდან დაშორდება და როცა დაჯდება, ცოდვა მიტევე-ბული დაჯდება.“

„ლოთისმსახურებათა შორის ყველაზე მნიშნველოვანი ლოცვა ანუ ნამაზია. მხოლოდ მორწმუნები, არიან ვინც სისტემატიურად აბდესთს ატარებენ. მუსლიმი დღისით და ღამით აბდესიანი უნდა იყოს. ამრიგად იგი უზენაესი ალლა-ჰის მფარველობაში იქნება...“

გარდა ამისა, არსებობს აბდესთის ფარზები, სუნნეთები, შესრულების წესები, ამკრძალავი და მომშლელი ფაქტორები. ვინც შეგნებულად აბდესის გარეშე ლოცვას შეასრულებს ცოდ-ვას ჩაიდენს. თუკი მოხდება ისე, რომ ლოცვის დროის ადგილი ექნება აბდესთის მომშლელ ფაქტორებს, მლოცველმა მაშინვე უნდა შეწყვიტოს ლოცვა, აბდესთი აიღოს და კონკრეტული ლო-ცვა ხელახლა შეასრულოს.

## აბდესთის ფარზები

ჰანეფის მეზჰების მიხედვით აბდესთის ფარზი ოთხია:

- 1 — პირსახის ერთჯერ დაბანა
- 2 — ორივე ხელის ინდაყვების ჩათვლით ერთჯერ დაბანა.
- 3 — თავის ერთი მეოთხედი ნაწილზე ერთხელ მესპი (სვე-ლი ხელის გადასმა).
- 4 — ორივე ფეხის კოჭების ჩათვლით დაბანა.

შაფი მეზჰების მიხედვით აბდესთის დროს განზახვა და თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელია.

## როგორ სრულდება მცირე განპანვა ანუ აბდესთი?

- 1 — აბდესთის დაწყებისას შემდეგ ვედრებას ვკითხულობთ: „ქება-დიდება ალლაჲს, რომელმაც წილად გვარგუნა რწმენა და ისლამი. დიდება ალლაჲს რომელმაც ისლამი განმანათებლად და წყალი გამწმენდად დაადგინა.“
- 2 — მარჯვენა ხელით სამჯერ პირს წყლით გამოვივლებთ. ამ დროს ვკითხულობთ: „ყოვლისშემძლე ალლაჲ! მე, შენს უმწეო მონას, მასვი ერთი ჯამი წყალი შუამავლის (სალლალლაჲუ ალეიჰი ვესელლემ) აუზიდან რათა ალარასოდეს განვიცადო წყრუვილი.“
- 3 — მარჯვენა ხელით სამჯერ ცხვირს წყლით გამოვივლებთ და მარცხენა ხელით მოვიწმენდთ. ამ დროს ვკითხულობთ: „ღმერთო ჩემო! მაგრძნობინე მე სამოთხის სურნელება, მიბოძე სამოთხის წყალობა და მაშორე სუნი ჯოჯოხეთისა.“
- 4 — პირსახეს სამჯერ ვიბანთ, ისე რომ წვერის ძირებიც დასველდეს. ამ დროს ვკითხულობთ: „ღმერთო ჩემო!  
გაათეთრე ჩემი სახე ისევე როგორც შენი ნათელით  
გაათეთრე მადლმოსილთა სახეები.“
- 5 — მარცხენა ხელით მარჯვენა მკლავი იდაყვის ჩათვლით უნდა დავიბანოთ. ამ დროს ვკითხულობთ: „ღმერთო ჩემო! მომეცი მე ცოდვა მადლის წიგნი მარჯვენა მხრდან და ჩემი ანგარიშგება გამიადვილე.“
- 6 — მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავი იდაყვის ჩათვლით უნდა დავიბანოთ, ამ დროს ვკითხულობთ: „ღმერთო ჩემო! ნუ მომცემ ცოდვა-მადლის წიგნ ზურგისა და მარცხენა მხრიდან და საიქიოს ანგარიშგებას ნუ გამიძნელებ.“

- 7 — ორივე მკლავის დაბანის შემდეგ სველი ხელი თავის 1/4 ნაწილზე უნდა გადავისვათ (მესპი). ამ დროს ვკითხულობთ: „ლმერთო ჩემო! ჩემი სხეული და თმები ჯოჯოხეთში არ დაწვა. განკითხვის დღეს, როცა აუტანელი სიცხე იქნება, მე შენი ჩრდილის ქვეშ მამყოფე.“
- 8 — შემდეგ ყურებზე მოვისვამთ სველ თითებს. ამ დროს ასე ვიკითხავთ: „ლმერთო ჩემო! მაქციე მე ჭკვიანი სიტყვის მსმენელად და ყველაზე საუკეთესოს შემსრულებლად“.
- 9 — შემდეგ კისერზე სველ ხელებს მოვისვამთ. ამ დროს ვკითხულობთ: „ლმერთო ჩემო! გადაარჩინე ჩემი კისერი ჯოჯოხეთის ცეცხლისაგან.
- 10 — ამის შემდეგ ჯერ კოჭის ჩათვლით მარცხენა ხელით მარჯვენა ფეხს დავიბანთ. ამ დროს ვკითხულობთ: „ლმერთო ჩემო! ფეხები გამიმაგრე ბენვის ხიდზე იმ დღეს, როდესაც მრავალს ფეხი დაუცდება“.
- 11 — ბოლოს სამჯერ მარცხენა ხელით მარცხენა ფეხი უნდა დავიბანოთ კოჭის ჩათვლით. ამ დროს ვკითხულობთ: „ლმერთო ჩემო! მაშინ, როდესაც ბენვის ხიდზე ცოდვილებს ფეხების დაუცდება, გთხოვ განმიმტკიცო ფეხი მე“.

ალლაპის მუამავალმა ბრძანა: „ვინც აბდესთის შემდეგ ქელიმეტი შეპადეთს წარმოთქვამს, მისთვის სამოთხის რვავე კარი გაიხსნება და იმ კარებიდან შევა, რომლისგანაც ისურვებს“. (ებუ დავუდი, ტაჰარეთი, 65; მუსლიმი, თიჯარეთი, 17)

თუ ეს ვედრებები არ იცით, მათ გარეშეც შეიძლება აბდესის აღება, თუმცა ცოდნა და კითხვა ძალიან დიდი მადლია. ვინც აბდესთის ვედრებები არ იცის, შეუძლია ქელიმეტი შეპადეთი წარმოთქვას და ასე შეასრულოს მცირე განბანვა.

## **აბდესთის სუნნეთები**

- 1 — აბდესთის „ბესმელეთი“ დაწყება.
- 2 — ხელების მაჯების ჩათვლით სამჯერ დაბანა.
- 3 — პირის წყლით სამჯერ გამოვლება.
- 4 — ცხვირის წყლით სამჯერ გამოვლება.
- 5 — პირ-სახის დაბანისას წარბების, წვერის, ულვაშების დასველება.
- 7 — წვერის სიღრმეში სველი ხელით შეხება.
- 8 — წვერის სველი თითებით ჩამოვარცხნა.
- 9 — კბილების გამოწმენდა, გასუფთავება. (მისვაქის გამოყენება სუნნეთია).
- 10 — მთლიან თავზე მესპი, -სველი ხელის გადასმა.
- 11 — ორივე ყურზე ერთხელ სველი ხელით შეხება.
- 12 — კისერის შემოწირულობაზე თითის გადასმა.
- 13 — ხელისა და ფეხის თითებს შუა დასუფთავება.
- 14 — დასაპანი ადგილების სამჯერ დაბანა.
- 15 — პირ-სახის დაბანის დროს განზრახვის წარმოთქმა.
- 16 — თანმიმდევრობის დაცვით დაბანა.
- 17 — დასაპანი ადგილების გულდასმით დაბანა.
- 18 — ყველა ორგანოს სწრაფად და თანმიმდევრულად დაბანა.

## **აბდესთის ალების წესები (ადაბი)**

აბდესთის წესებს -მუსთეჭაბებსაც უწოდებენ. ისინი სულ ოცდარვა არის. მათი გაკეთება მადლია, თუმცა არ გაკეთება ცოდვა არ არის. სუნნეთი შესრულება მადლის მომტანია, ხოლო შეუსრულებლობა მექრუჭი. ესენია:

- 1 — ლოცვის დროის დადგომამდე აბდესთის ალება.
- 2 — საპირფარეშოთი სარგებლობის დროს ყიბლას მიმარ-

თულებით ჯდომა თაპრიმენ მექრუჰია. (ჰარამთან ახლოს)

- 3 — თუკი სიბინძურე არ შეხებია, წყლით სარგებლობა.
- 4 — წყლით სარგებლობის შემდეგ შემშრალება.
- 5 — დაბანის შემდეგ სასირცხო ადგილების დაფარვა.
- 6 — აბდესთის დამოუკიდებლად აღება.
- 7 — აბდესის ყიბლას მიმართულებით აღება.
- 8 — თითოეული კიდურის დაბანისას „ქელიმეი-შეჰა-დე-თის“ წარმოთქმა.
- 9 — აბდესთის ვედრებების კითხვა.
- 10 — პირში წყლის გამოვლებისას მარჯვენა ხელით სარგებლობა.
- 11 — ცხვირის გამოვლებისას მარჯვენა ხელით სარგებლობა..
- 12 — ცხვირის გაწმენდისას მარცხენა ხელით სარგებლობა.
- 13 — პირის გამოვლებისას კბილების მისვაჟით გასუფთავება თუ მისვაჟი არ არის ჯაგრისის გამოყენება.
- 14 — პირის გამოვლებისას, თუ მარხვა არ არის, წყლის ღრმად გამოვლება, პირის ღრუს ღრმად გამოვლება აბდესთისა და ღუსლის დროს მადლია, ხოლო მარხვის დროს მექრუჰია.
- 15 — ცხვირის გამოვლებისას ხელით კარგად მოწმენდა.
- 16 — ყურზე მესპის დროს ცალი თითით ყურის შიგნით გამოწმენდა.
- 17 — ფეხის დაბანისას თითებს შორის გატარებისას მარცხენა ხელის გამოყენება.
- 18 — ხელების დაბანისას ბეჭედის მოხსნა, თუ ბეჭედი ძალიან მჭიდროდ გვაქვს საჭიროა მისი გულდასმით დატრიალება.
- 19 — თუნდაც წყალი უხვად იყოს, მისი უზომოდ ხარჯვისგან თავის შეკავება.

- 20 — წყლის ზომიერად გამოყენება, ზედმეტი მომჭირნეობა მიზანშეწონილი არ არის.
- 21 — თასით აბდესთის აღების შემდეგ თასის სავსე დატოვება.
- 22 — აბდესის აღების შემდეგ ორი მუხლი ლოცვის შესრულება.
- 23 — ლოცვის შემდეგ ახალი აბდესთის აღება.
- 24 — პირსახის დაპანისას, თვალის მიდამოების გულდასმით დაბანა.
- 25 — სახის, ხელებისა და ფეხების გულდასმით დაბანა.
- 26 — აბდესთის აღებისას ყურადღებით ყოფნა, ისე რომ წყალი ტანსაცმელსა და სხეულს არ უნდა შეეშეფის.
- 27 — იმ ვაჯიბის შესრულება, რომელიც ჩვენი მეზჰების მიხედვით მექრუჸი არ არის.
- 28 — აბდესთის აღების მსვლელობისას ან დასასრულს შემდეგი ვედრების კითხვა: (ალლაჰუმმეჯლელნი მინეთეგვაბინ).

## აბდესთის აღებისას აკრძალული ქცევები

აბდესის აღებისას ზოგიერთი ქცევები ჰარამი ან მექრუჸია: ასეთი სულ თორმეტია:

- 1 — საპირფარეშოთი სარგებლობის დროს არც ყიბლის მიმართულებით უნდა ვიყოთ და არც ყიბლა ზურგსუკან არ უნდა მოვიქციოთ.
- 2 — საპირფარეშოთი სარგებლობა ისეთ გარემოში, როცა ვინმე გვხედავს.
- 3 — საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ ტაჰარეთის –ანუ სისუფთავის დროს მარჯვენა ხელი არ უნდა იქნას გამოყენებული, გარდა საპატიო მიზეზისა.

- 4 — წყლის არ არსებობის შემთხვევაში საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ სისუფთავის საკვები პროდუქტის, საქონლის საკვების, ქვანახშირის, ძვლის, კერამიკის ნატეხისა და ფოთლების გამოყენება მექრუპი ანუ მოუწონარია.
- 5 — აუზში, სადაც აბდესთს ვიღებთ არ უნდა დავაბინძუროთ და ცხვირი არ უნდა მოვიწმინდოთ.
- 6 — დასაბანი ადგილები გადაჭარბების გარეშე სამჯერ უნდა დავიბანოთ.
- 7 — აბდესთის აღების შემდეგ ხელებისა და სახის შესამშრალებლად უსუფთაო პირსახოცის გამოყენება.
- 8 — პირის დაბანისას წყალი პირზე არ უნდა შევიშებოთ. შუბლიდან ქვემოთკენ უნდა დავიბანოთ.
- 9 — წყალს არ უნდა შევუბეროთ.
- 10 — პირი და თვალები მარგად არ უნდა მოვხუჭოთ. ტუჩებისა და თვალების მიდამოებში მშრალი ადგილი არ უნდა დაგვრჩეს. სხვაგვარად აბდესთი სრულად არ ჩაითვლება.
- 11 — მარჯვენა ხელით ცხვირი არ უნდა მოვიწმინდოთ.
- 12 — თავზე, კისერზე და ყურებზე მესპის დროს ხელი ერთზე მეტჯერ არ უნდა დავასველოთ.

**მისვაქის გამოყენება:** აბდესთის აღებისას მისვაქის გამოყენება სუნნეთი მუჟქედეა. ჰადისში ვკითხულობთ: „ჩემი უმმეთისოვის სირთულე რომ არ ყოფილიყო, ყოველი ლოცვის წინ მისვაქის გამოყენებას ვუბრძანებდი“. (ბუხარი, ჯუმა, 7)

მისვაქის გამოყენების 15 სასარგებლო თვისება:

- 1 — სიკვდილის დროს „ქელიმეი შეპადეთის“ ოქმის საბაბი გახდება.
- 2 — ღრძილებს გააძლიერებს.
- 3 — ნაღვლის პრობლემას წინ აღუდგება
- 4 — ამონახველის ამოღებაში დაეხმარება.

- 5 — პირის ღრუს შიდა ტკივილებს თავიდან ააცილებს.
- 6 — პირში არსებულ სუნს გააქრობს.
- 7 — უზენაესი ალლაპის კმაყოფილებას დაიმსახურებს.
- 8 — თავში არსებულ სისხლძარღვებს სიმტკიცეს შესძენს.
- 9 — ეშმაკს დაამწუხრებს.
- 10 — მხედველებას გააძლიერებს.
- 11 — მადლი და სიკეთე გამრავლდება.
- 12 — პიროვნება სუნნეთის მიხედვით მოიქცევა.
- 13 — პირის ღრუ სუფთა ექნება.
- 14 — მკაფიოდ საუბრის უნარი ექნება.
- 15 — მისვაჭის გამოყენების შემდეგ შესრულებული ლოცვა უფრო მეტი მადლის მომტანი იქნება.

„მისვაჭი“ არაბეთში არსებული ერთერთი ხის სახეობის (ერაქ) ტოტიდან მზადდება. ეს ხე თუ არ ინახება, შესაძლებელია ზეთისხილის ტოტის გამოყენებაც.

### **აბდესთის ალებისას რას უნდა მივაქციოთ ყურადღება**

გარდა გამოვუალი მდგომარეობისა, ქვემოთ ჩამოთვლილ წესებს ყურდადება უნდა მივაქციოთ.

- 1 — უნარშეზღუდული, რომელსაც ორივე ხელი პარალიზებული აქვს შესაძლებელია საპირფარეშოს სისუფთავის წესები სათანადოდ ვერ დაიცვას, ამისათვის ნება ეძლევა თეიმუმით განიწმინდოს.
- 2 — ავადმყოფს, რომელსაც არ შეუძლია შეასრულოს მცირე განბანვა –აბდესთი, ოჯახის წევრები უნდა დაეხმარონ.
- 3 — წყლის არ არსებობის შემთხვევაში ქვის ან ქვის მსგავსი საგნებით შეიძლება საპირფარეშოსთვის განკუთვნილი სისუფთავე სისრულეში მოიყვანონ.
- 4 — ფისიქიკურად აშლილი, გონებადაკარგული, ადამიანი,

რომელიც ოცდაოთხი საათის განმავლობაში გონის ვერ მოეგო, ამ პერიოდში გამოტოვებულ ლოცვას ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება. მათრობელა სასმელებით გაბრუებულმა გამოტოვებული ყველა ლოცვა უნდა აანაზღაუროს.

- 5 — აბდესთის აღების დროს უმჯობესია თავზე გვეხუროს.
- 6 — დაუშვებელია საპირფარეშოში ისეთი ატრიბუტებით შესვლა, სადაც ალლაპის სახელი იქნება გამოკვეთილი.
- 7 — საპირფარეშოში მარცხენა ფეხით უნდა შევიდეთ და მარჯვენათი გამოვიდეთ.
- 8 — საპირფარეშოში საუბარი არ შეიძლება.
- 9 — საპირფარეშოში ჩახედვა და ჩაფურთხება მოუწონარია.
- 10 — დაუშვებელია მცირე ან დიდი აბდესთის მოშლა წყალში, გზაზე ან სასაფლაოზე.

## აბდესთის მომშლელი ფაქტორები

შემდეგი შვიდი ფაქტორი აბდესთს მოშლის:

- 1 — საპრიფარეშოთი სარგებლობა
  - ა) გაზებზე გასვლა.
  - ბ) კლიზმის გამოყენება.
  - გ) შარდის გამონადენის შემთხვევაში აბდესთი მოიშლება.
- 2 — პირის ღრუდან ამოსული უსუფთაო რამე. მაგ: პირისავსე ღებინება, გადანერწყვული სისხლი, თუკი ნერწყვზე მეტი იქნება. კუჭიდან ან ფილტვებიდან ამონადენი სისხლი, თუნდაც მცირე რაოდენობით იყოს აბდესთს მოშლის.

- 3 — კანიდან გამონადენი:

ჩირქისა და სხვა სახის გამონადენი. მაგრამ იმ შემთხვევაში თუკი სისხლი აქეთ-იქეთ არ გადაიღვრება აბდესთი არ მოიშლება. თუ ჯაგრის და მისვაქის ხმარებისას პირის ღრუს მოედო აბდესი მოიშლება.

- 4 — ძილი. გვერდზე წამონოლილი ან რაიმეზე მიყრდნობით დაძინებისას აბდესი მოიშლება.
- 5 — გულის წასვლა, გონების დაკარგვა, სულიერი ავადმყოფობა, და სიმთვრალე აბდესს მოშლის.
- 6 — ლოცვისას ხმამაღალი სიცილი აბდესთსაც და ნამაზსაც მოშლის. მაგრამ თუ ბავშვი გაიცინებს არ მოიშლება. ლოცვისას გაღიმება არც აბდესთს და არც ლოცვას არ მოშლის.
- 7 — თუკი იცი, რომ აბდესთი აიღე, თუმცა მოშლას ვერ იხსენებ, აბდესი აღებულად ითვლება. თუ გახსოვს, რომ აბდესთი მოგრძალა და ახალი აბდესთის აღებას ვერ იხსენებ, აუცილებელია თავიდან აიღო.

## ფაქტორები რომლებიც არ მოშლის აბდესთს

- ქვემოთ მოცემული ფაქტორები აბდესთს არ მოშლის:**
- 1 — პირიდან, ყურიდან და სხეულზე გაჩენილი ჭრილობებიდან გამოსული მატლები.
  - 2 — ნახველის ამოღება,
  - 3 — სისხლის ღებინებისას, თუ სისხლი ნერწყვის ნახევარზე ნაკლებია.
  - 4 — კბილებიდან გამოდენილი სისხლი თუ ნერწყვის ნახევარზე ნაკლებია.
  - 5 — თავიდან გამოდენილი შედედებული სისხლი, ბევრიც რომ იყოს.

- 6 — კუჭიდან და ფილტვებიდან გამოსული შედედებული სისხლი. პირი სავსე თუ არ იქნება.
  - 7 — თუკი ყურებში ჩაწვეთებული ცხიმი, ყურიდან ან ცხვირიდან გადმოიღვარა.
  - 8 — ცხვირიდან მიღებული წვეთები, რამდენიმე დღის შემდეგ რომ გარეთ გამოიყოს.
  - 9 — რაიმეს ჩაკბეჩის დროს თუკი მასზე სისხლს დავინახავთ.
  - 10 — თუკი ტკივილის გარეშე ხახვის, კვამლის, გაზის ან სხვა მიზეზით ცრემლები წამოვიდა.
  - 11 — როცა ქალი ბავშვს მოაწოვებს.
  - 12 — ოფლის დენა, თუნდაც დიდი რაოდენობით.
  - 13 — ბუზის, რწყილისა თუ სხვა მწერის კბენისას სისხლის გამოწოვა.
  - 14 — მცირედი სისხლდენა თუ სისხლი აქეთ-იქით არ დაიღვრება, ასევე მცირედი ღებინება.
  - 15 — ჩაძინებისას მიყრდნობილი საგნის გამოწევისას თუ არ დავეცემით.
  - 16 — ლოცვისას ჩათვლემა.
  - 17 — მოხრილ მუხლებზე თავის დადებით ჩათვლემა.
  - 18 — ძირს დაჯდომით ჩაძინება, თუ არაფერს არ მივეყრდნობით.
  - 19 — უუნაგირო ცხოველზე ჩაძინება, ცხოველი თუ სწორ, აღმართში ან დაღმართში გადაადგილდება.
  - 20 — ლოცვის დროს გაღიმება.
  - 21 — ლოცვის დროს გაცინება, თუკი მხოლოდ ჩვენ გავიგონებთ ამით მხოლოდ ლოცვა მოიშლება.
  - 22 — თმის, ულვაშის ან წვერის შეჭრა.
  - 23 — ჭრილობის გარეთა კანის მოძრობა.
- აბდესთის სიმარტივე, (მესთი და ჭრილობაზე მესპი) სიტყვა მესპი, ხელის მოსმას, მოწმენდას ნიშნავს, არსებობს ორი სახის მესპი:

## 1 — მესთებზე მესპის გაკეთება

რა არის მესპი?

მესთი, ეს არის წყალგაუმტარი ფეხსაცმელი, რომელიც ჩვეულებრივი აბდესთის დროს სავალდებულო დასაბან ადილს ფარავს. მესთი იმდენად დიდი არ უნდა იყოს, რომ ფეხის თითები ბოლომდე ვერ წვდებოდეს. რამე თუ მესთის გაკეთების დრო გადასმული ხელის თითები ცარიელ ადგილას თუ მოხვდება, მაშინ მესპი მიღებული ვერ იქნება. მესთი იმდენად მყარი უნდა იყოს და ფეხზე მორგებული, რომ იგი ერთი საათის სავალ გზაზე ფეხიდან არ უნდა გაგვძვრეს.

მესპი, მესთის ზემოდან სრულდება და არ შეიძლება მესპი მესთის ქვემოდან ანუ ფეხის ქუსლის ქვეშ.

## როგორ სრულდება მესპი

სუნნეთის შესაბამისად მესპი მარჯვენა ხელის სველი თითების, მარჯვენა ფეხის მესთის ზედაპირზე, ხოლო მარცხენა ხელის სველი თითების მარცხენა ფეხის ზედაპირზე გადატარებით სრულდება. მესპის დროს ხელის თითები გაშლილ მდგომარეობაში უნდა იყოს. მარჯვენა და მარცხენა ხელების სულ მცირე სამ-სამი თითი უნდა გამოვიყენოთ. მესპი ტყავის ან სხვა წყალგაუმტარი მასალისაგან უნდა იყოს დამზადებული.

## მესპისათვის განკუთვნილი დრო

**თავდაპირველად** აბდესთს ავიღებთ და შემდეგ მესპებს ჩავიცვამთ. მესპების შემთხვევაში აბდესთის დრო 24 საათია. მოგზაურობაში მყოფთათვის ეს დრო 72 საათი ანუ სამი დღე და სამი ღამეა. დროის ათვლა იწყება მესპის ჩაცმის შემდეგ აბ-

დესთის მოშლის მომენტიდან. აბდესთის მომშლელი ფაქტორი, მოშლის მესპაც. გარდა ამისა ერთი ან ორივე მესპის გახდა და მესთისთვის განკუთვნილი დროის ამონურვა მესთს მოშლის. ასევე თუკი მესთი იმდენად გახეულია რომ ფეხის სამი თითი მოსჩანს აბდესთი მოიშლება.

## 2 — ჭრილობაზე და შეხვეულზე მესპი

ჭრილობა, მოტეხილობა და სხვ. თუკი წყლის შეხებით გაღიზიანდება, აბდესთის აღებისას ან ბანაობისას შესაძლებელია მესპი გავიკეთოთ.

თუ ჭრილობა ან მოტეხილობა სველი ხელის მოსმითაც (მესპითაც) გაღიზიანდება მაშინ მხოლოდ შეხვეულზე გავიკეთებთ მესპს. მაგრამ თუკი შეხვეულზე მესპის გაკეთება უარყოფით ზეგავლენას ახდენს, ამ შემთხვევაში მესპს აღარ გავიკეთებთ. აუცილებელია არ არის მესპი მთლიან ჭრილობაზე ან შეხვეულზე გაკეთდეს, ნახევარზე ან უფრო მეტ ადგილზე საკმარისია.

შეხვეულზე მესპის გაკეთება შესაძლებელია ვიდრე ჭრილობა განიკურნება.

თუკი შეხვეული ჭრილობის ნაჭერს გამოვიცვლით, მაშინ ახალ ნაჭერზე მესპი საჭირო აღარ იქნება. თუ ჭრილობის ან მოტეხილობის გამო ერთ ფეხზე მესპს გავიკეთებთ, მეორეს დაბანა საჭიროა და მასზე მესპის გაკეთება არ შეიძლება. ან კიდე ორივე ფეხზე მესპს ჩავიცვამთ და აბდესთის აღებისას მესპს გავიკეთებთ.

საპატიო მიზეზის მქონეს შეუძლია ნებისმიერ დროს აბდესთი აიღოს და ამ აბდესთით იმდენი ფარზი და ნააფილე ლოცვა შეასრულოს, რამდენიც სურს. შეუძლია ასევე იკითხოს ყურანი. თუმცა ლოცვის დროის გასვლის შემდეგ აბდესთი მოიშლება. ყოველი ლოცვის დროის დადგომისას ახალი აბდესთს აიღებს და ლოცვის დროის ამონურვამდე შეუძლია ნებისმიერი ლვთის-მსახურება შეასრულოს.

## ლუსლი- დიდი განპანვა

(მთელი სხეულის დაბანა)

იმისათვის, რომ ლოცვა სრულად ჩაითვალოს აბდესთისა და ლუსლის სწორად შესრულებაა საჭირო. მეუღლეთა თანაცხოვრების, დედათა წესისა და მშობიარობის შემდეგი პერიოდის დასრულების შემდეგ აუცილებელია მთელი სხეულის გულდასმით განპანვა. ესეიგი პირი და ცხვირი ღრმად უნდა გამოივლოს და მთლიანი ტანი გულდასმით დაიბანოს.

ალლაპის შუამავალი (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ) ბრძანებს: „ვინც დიდ განპანვას შეასრულებს, იმდენი მადლს დაიმსახურებს, რამდენი ბეწვიც აქვს სხეულზე და ამდენივე ცოდვა მიეტევება. სამოთხეში წოდება აუმაღლდება, ლუსლის –ანუ მთელი სხეულის განპანვის მადლი უხვია. ამდროს უზენაესი ალლაპი ანგელოზებს მიმართავს: „შეხედეთ ჩემს მონა-მსახურს ღამე წამოდგომა არ დაეზარა, გაიხსენა რა ჩემი ბრძანება უსუფთობისგან სრულად განიპანა. მოწმე იყავით, რომ მე მას ცოდვები მივუტევ“.

კიდევ ერთ ჰადისში ვკითხულობთ: „უსუფთაობის დროს, მაშინვე მთელი სხეული განიპანეთ, რამეთუ ამ ტიპის უსუფთაობა სწყინთ ანგელოზებს (ქირმენ ქათიბინ)“. იმამი გაზალი მოვითხრობს: „სიზმარში ერთი ვინმე ვიხილე, რომელმაც მითხრა, რომ მეუღლესთან თანაცხოვრების შემდეგ გარკვეული პერიოდი არ განვიბანე, ახლა კი ტანთ აალებული პერაგი მაცვია და ამისთვის ვისჯებიო. შუამავლის კიდევ ერთ ჰადისში ვკითხულობთ: „სახლში სადაც ცოცხალი არსებების ნახატები, ძალლები და მეუღლესთან თანაცხოვრების შემდეგ განუბანელი ვინმე იქნება, წყალობის ანგელოზები არ შევლენ“.

ვინც ერთი ლოცვის დროს უსუფთაოდ გაატარებს იმ ქვეყნად სასჯელს დაიმსახურებს. წყლით დაბანა თუ შეუძლებელია მაშინ თეიმუმი უნდა შევასრულოთ. უსუფთაობის დროს ადამი-

ანს ეკრძალება: 1 — ლოცვას შესრულება. 2 — ყურანის ხელში აღება. 3 — ქა'ბას გარსშემოვლა –ტავაფი. 4 — მეჩეთში შესვლა..

## **ლუსლის – დიდი განბანვის ვალდებულებები**

ჰანეფი მიმდინარეობის სწავლების თანახმად ეს ვალდებულება სამია:

- 1 — **პირის წყლით გულდასმით გამოვლება.** პირის ღრუ სრულად უნდა გამოვივლოთ, რათა მშრალი ადგილი არ დარჩეს.
- 2 — **ცხვირის წყლით კარგად გამოვლება,** ისე რომ მშრალი ადგილი არ უნდა დარჩეს.
- 3 — **სხეულის გულდასმით დაბანა.** ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს ჭიპს, ულვაშებსა და ყურებს. თუ ფჩხილებზე თვალის ქუთუთოებზე, ტუჩებზე ან სხეულის სხვა რომელიმე ნაწილზე არის ნივთიერებები რომლებიც წყალს არ ატარებენ, მაგალითად ფრჩხილების ლაქი და სხვა მსგავსი, უნდა მოვიშოროთ, სხვაგვარად სხეული განბანილად არ ჩაითვლება.

## **ლუსლის სუნნეთები**

- 1 — ხელების დაბანა.
- 2 — სასირცხო ადგილების დაბანა.
- 3 — მთელი სხეულის საგულდაგულოდ გასუფთავება, დაბანა
- 4 — სანამ დიდ განბანვას დავიწყებდეთ, ჩვეულებრივი აბდესთის აღება. პირის დაბანისას განზრახვის წარმოთქმა.

- 5 — მთელის სხეულის სამჯერ გულდასმით დაბანა
- 6 — მთელი სხეულის დაბანის შემდეგ, ბოლოს ორივე ფეხის დაბანა.

## როგორ სრულდება ღუსლი?

სუნნეთის მიხედვით დიდი განბანვა შემდეგნაირად სრულდება:

- 1 — თავდაპირველად ხელები და სასირცხო ადგილები უნდა დავიბანოთ,
- 2 — შემდეგ ჩვეულებრივი აბდესთი უნდა ავიღოთ და დიდი განბანვის განზრახვა წარმოვთქვათ, თუ ფეხებში წყალი არ გროვდება ფეხებიც უნდა დავიბანოთ.
- 3 — მთელ სხეულზე სამჯერ წყალი უნდა გადავივლოთ. ჯერ თავზე მერე მარჯვენა მხარზე შემდეგ მარცხენა მხარზე. პირველი დასხმის დროს სხეული ისე უნდა დავიბანოთ, რომ მშრალი ადგილი არსად დარჩეს.

დიდი განბავის დროს ერთ ადგილას დასხმული წყალი თუ სხვაგანაც მოხდება იმ ადგილსაც გაასუფთავებს, აბდესთის აღებისას კი ასე არ არის. განბანვის დასრულების შემდეგ აბდესთის აღება მექრუჟი ანუ მოუნონარია. აბდესთი დასაწყისში უნდა ავიღოთ, თუმცა აბდესთი თუ მოგვეშალა მისი გაახლებაა საჭირო.

## განმარტება

(დაპლომბილი და ჩასმული კბილი)

ჰანეფი მიმდინარეობის სწავლების თანახმად თუკი კბილებს შორის არსებულ სიცარიელეში ან გამოხრულ კბილებში

წყალი არ მოხდება, „ლუსლი“ ანუ დიდი განპანვა სრულად არ ჩაითვლება.

გამომდინარე აქედან, განკურნების მიზნით კბილის დაპლობვა ან მასზე გადაკვრა შესაძლებელია და იგი აბდესთს ხელს არ უშძლის. მაგრამ პროთეზი, რომლის ამოღება, ხელახლა ჩასმა შესაძლებელია დიდი განპანვის დროს პირის გამოვლებისას მისი გამოღება აუცილებელია.

ცნობილი ისლამის სწავლული თაჰთავი თავის ერთ-ერთ ნაშრომში წერს: „პიროვნება, რომელიც ჰანეფი მიმდინარეობის მიხედვით ასრულებს რელიგიურ დოგმებს და იქნება შემთხვევა, როცა იგი ამ მიმდინარეობის მიხედვით ვერ შეასრულებს ამათუ იმ ქმედებას, ნება ეძლება კონკრეტული ქმედება შეასრულოს შაფიი მიმდინარეობის შესაბამისად. თუმცა ამისათვის სათანადო საპატიო მიზეზი უნდა არსებობდეს და კონკრეტული ქმედება შაფიი მეზჰებით გათვალისწინებული წესების სრული დაცვით უნდა შეასრულოს. არასაპატიო მიზეზების ფარგლებში მსგავსი მოქმედება ნებადართული არ იქნება.

ასეთ დროს მან განზრახვა შემდეგ ნაირად უნდა წარმოთქვას. მაგ. (განვიზრახე დიდი განპანვა „ლუსლი“ მალიქის ან შაფის მეზების მიხედვით).

## ქალებისათვის დამახასიათებელი მდგომარეობანი

დედათა წესი:

არსებობს თერთმეტი სახის ლუსლის აბდესთი, რომელთაგან ხუთი ფარზია. მათ შორის ორი ქალებს ეხებათ და ეს დედათა წესია.

იბინი აბიდინი თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში (**მენ-ჰელ-ულ-ვარიდინი**) წერს: ყველა მუსლიმისთვის, განურჩევ-

ლად ქალისა და მამაკაცისა, ისლამის ძირითადი საფუძვლების (ილმიჰალის) შესწავლა აუცილებელი ანუ ფარზია. აგრეთვე ყველა მუსლიმი ქალი ვალდებულია იცოდეს დედათა წესის შესახებ ყველაფერი.

**დედათა წესი:** ეწოდება სისხლდენას რომელიც ცხრა წლის მონიფებულობის ასაკს მიღწეულ გოგონებში იწყება და სულმცირე სამ დღეს გძელდება. როდესაც გოგონას აღნიშნული ციკლი ეწყება, უკვე მონიფებულობის ასაკს მიღწეულად ითვლება და რელიგიური სხვადასხვა პასუხისმგებლობების შესრულების ვალდებულებაც ეკისრება. დედათა წესის პერიოდი სულმცირე სამი, ხოლო ყველაზე მეტი ათი დღეა. ყველამ თავისი დრო უნდა იცოდეს. გოგონამ დედისაგან, დეიდისაგან, ბებისაგან და სხვა ახლო ნათესავებისაგან უნდა შეისწავლოს. აღნიშნულ ციკლს სხვანაირად „პაიზი“ ეწოდება.

**„ნიფასი“.** დედათა წესი ანუ მშობიარობის შემდეგი პერიოდი. მშობიარობის შემდეგ ქალებში რამდენიმე დღეს სისხლდენა შეინიშნება. ამ პერიოდს „ნიფასი“ ეწოდება. ამას მინიმალური დრო არ აქვს და შესაძლოა 40 დღემდე გაგრძელდეს. 40 დღის შემდეგ თუკი სისხლდენა არ შეწყდება დიდი განბანვის შესრულება „ლუსლი“ და ლოცვის დაწყება ნებადართულია. თუკი სისხლდენა 40 დღეზე მეტსანს გაგრძელდა ეს ჯანმრთელობის პრობლემაზე მიანიშნებს და ქალმა შესაბამის ექიმს უნდა მიმართოს. ამ პერიოდში ქალს ნება არ ეძლება შეასრულოს ლოცვა, დაიცვას მარხვა, იკითხოს ყურანი, შეასრულოს სეჯდე, შევიდეს მეჩეთში ან შეასრულოს ტავაფი. სასურველია ქალებმა მეუღლებს აცნობონ დედათა წესის დროები და აღნიშნული ციკლის დასრულების შემდეგ ქალმა შეასრულოს დიდი განბანვა.

## **თეიმუმი**

თეიმუმი მიწით გასუფთავებას ნიშნავს, როდესაც მცირე ან დიდი განპანვისთვის წყალი არ მოიძებნება ან გამოსაყენებლად უვარგისია, მიწით, ქვით ან კიდევ ქვიშით თეიმუმი უნდა შევასრულოთ. ჰანგური მეზჰების თანახმად თეიმუმი, ლოცვის დროის დადგომამდე შეიძლება, ხოლო დანარჩენი სამ მეზჰების მიხედვით ნებადართული არ არის.

შემთხვევები როდესაც თეიმუმის შესრულება შეიძლება:

- 1 — როდესაც ღუსლისა და აბდესისათვის წყალი არ მოიძებნება.
- 2 — წყლის გამოყენების შემთხვევაში ავადმყოფობის ან სიკვდილის საფრთხის არსებობა.
- 3 — წყლის მახლობლად მტრის, შხამიანი ან მტაცებელი ცხოველის არსებობა.
- 4 — ციხეში ყოფნისას წყლის გამოყენების საშუალების არ არსებობა.
- 5 — სიკვდილის მუქარის შემთხვევა
- 6 — მგზავრობისას დასალევი წყლის გარდა სხვა წყლის არ ქონა.
- 7 — ჭიდან წყლის ამოღების შეუძლებლობა

## **თეიმუმის ფარზები**

თეიმუმის ფარზები სამია:

- 1 — დიდი ან მცირე განპანვისთვის (აბდესთი) განზრახვის ნარმოთქმა.
- 2 — ორივე ხელის მიწაზე შეხება, სახეზე ჩამოსმა ანუ მესპის გაკეთება.
- 3 — ორივე ხელის სუფთა მიწაზე შეხება, ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდეგ მარცხენა მკლავებზე მესპის შესრულება.

ზოგიერთი სწავლულის მიხედვით, თეიმუმის ფარზი ორია. ამ შემთხვევაში ისინი მეორე და მესამე ფარზს ერთ ფარზად მიიჩნევენ.

## თეიმუმის სუნნეთები

- 1 — ბესმელეთი დაწყება
- 2 — მიწაზე ხელისგულებით შეხება
- 3 — ხელის გულების მიწაზე გასმა-გამოსმა
- 4 — თუკი ხელის გულებზე მიწა დარჩა მისი ჩამოშორება.
- 5 — ხელების მიწაზე დადებისას თითების გაშლა.
- 6 — მტვერიანი ხელების სახეზე, შემდეგ ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდეგ მარცხენა მკლავზე გადასმა.
- 7 — აბდესთის შესრულების მსგავსად თეიმუმისაც სწრაფად შესრულება.
- 8 — მკვლავებზე და სახეზე ხელშეუხებელი ადგილის არ დატოვება.
- 9 — თეიმუმის დაწყებამდე წყლის ნახვისათვის ყველა შესაძლო გზის ძიება.
- 10 — ხელების მთელი ტანით მიწაზე მყარად შეხება.
- 11 — მკლავებზე სწორი მეთოდით გადასმა.
- 12 — თითებს შორის ადგილების შეხება, ხოლო ბეჭედის შემთხვევაში მისი ამოძრავება.

## რას უნდა მივაქციოთ თეიმუმის დროს ყურადღება

- 1 — თუკი ვინმე მოსწავლისთვის სწავლების მიზნით თეიმუმს შეასრულებს, აბდესთიანად არ ითვლება და შესაბამისად ლოცვის ნება არ ექნება.

- 2 — იმისათვის, რომ თეიმუმით ლოცვა შეასრულო მხოლოდ თეიმუმის განზრახვა საკმარისი არ არის, საჭიროა ლოცვის განზრახვის წარმოთქმაც.
- 3 — ერთი მიწით შესაძლებელია რამდენიმე ადამიანმა თეიმუმი შეასრულოს, რადგანაც თეიმუმის მიწა გამოყენებულად არ ჩაითვლება. ხელებიდან დაბერტყილი მიწა კი გამოყენებულად ითვლება.
- 4 — შაფისა და ჰანბელის მეზჰებში თეიმუმი მხოლოდ მიწით შეიძლება. ჰანეფი მეზჰების თანახმად, მიწის, კირის, ქვიშისა სხვა მსგავსი სახეობის გამოყენება ნებადართულია.
- 5 — ერთი თეიმუმით სხვადასხვა ლოცვის შესრულება შესაძლებელია.
- 6 — თუკი ადამიანმა იცის, ან ვარაუდობს, რომ ორ კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე წყალი მოიძნება, აუცილებელია მოძებნოს. ამ შემთხვევაში არარეალური და უსაფუძვლო ძებენა საჭირო არ არის.
- 7 — თუ თეიმუმი ისე შეასრულეთ, რომ არავისთვის გიკითხავთ წყლის არსებობის შესახებ და შემდეგ აღმოჩნდება, რომ სიახლოვეს წყალი მოედინება, თავიდან აიღეთ ჩვეულებრივი აბდესთი და შეასრულეთ ლოცვა.
- 8 — თუ წყალი ორ კილომეტრზე შორს არის თეიმუმი ნებადართულია.
- 9 — თუკი ადამიანს ჩანთაში არსებული წყალი დაავიწყდა და არ იმყოფება ქალაქში ან სოფელში, შეიძლება თეიმუმი შეასრულოს.
- 10 — თუკი ადამიანი დარწმუნდება, რომ წყალი არ მოიძებნება და ლოცვის შემდეგ აღმოაჩენს წყალს, აბდესთი აიღოს და უნდა შეასრულოს ლოცვა.
- 11 — სტუმარი ვალდებულია მასპინძელს წყალი მოსთხოვოს, თუ არ მიცემეს თეიმუმი შეასრულოს. თუ წყალი იყიდება, ფულის მქონე სტუმარმა უნდა იყიდოს.

თუკი მასპინძელი წყალს ძალიან ძვირად ყიდის მაშინ თეიმუმის შესრულება ნებადართულია. თუ სტუმარს რეალური ფასის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია, მაშინაც კი თეიმუმი ნებადართულია.

- 12 — თუკი უდაბნოში გზებზე მხოლოდ სასმელი წყალია, ამ დროს თეიმუმის შერულება ნებადართულია.
- 13 — თუკი წყალი ცოტაა, ჯერ დიდი განბანვის საჭიროების მქონემ უნდა განიბანოს, ხოლო შემდეგ მცირე აბდესთის არმქონე შეასრულებს მცირე განბანვას.
- 14 — დიდი განბანვის საჭიროების დროს თეიმუმის შესრულების შემდეგ თუკი აბდესთი მოგეშლებათ, წყლის სიმცირის შემთხვევაში, მხოლოდ აბდესთს აიღებთ.
- 15 — როცა დიდი განბანვის საჭიროების მქონეს სხეულზე გააჩნია ჭრილობები ან წითელა, ან ყვავილის დაავადება ნება ეძლება შეასრულოს თეიმუმი. თუკი სხეულის დაბანა ჯანმრთელობისთვის სირთულეს არ ნარმოადგენს, საჭიროა შეასრულოს დიდი და მცირე განბანვა.

## როგორ სრულდება თეიმუმი?

- 1 — თავდაპირველად დიდი ან მცირე განბანვისთვის წარმოვთქვამთ განზრახვას.

თეიმუმით ლოცვის შესასრულებლად მხოლოდ თეიმუმის განზრახვა საკმარისი არ არის, ლოცვისთვის ცალკე განზრახვა უნდა წარმოვთქვათ. ამ დროს მცირე და დიდი განბანვის (აბდესთისა და ღუსლის) ერთმანეთისაგან გამოყოფა საჭირო არ არის.

- 2 — ორივე მკლავი იდაყვებამდის დაიკაპინეთ, ორივე ხელის გაშლილი თითებით მინას, ქვას, ქვიშასა და სხვა. შეეხეთ და ორივე ხელის გული სახეზე მოისვით. თუ ხელები სახის სულ მცირე ნაწილზეც კი არ მოხვდა თეიმუმი შესრულებლად არ

ითვლება. იმისათვის, რომ ხელები სახის ყველა ადგილს შეეხოს, ხელები ერთმანეთან შეაერთეთ, შუბლთან მიიტანეთ და ქვემო ყბისკენ ნელ-ნელა ჩამოისვით. თითები უნდა შეეხოს შუბლს, თვალის ქუთუთოებს, ცხვირის ორივე მხარეს, ტუჩებსა და ყბას. ამ დროს ხელის გულები ლოყებს შეეხება.

3 – შემდეგ ხელის გულებით კიდევ ერთხელ შევეხოთ მიწას. ხელების მიწიდან აღების შემდეგ მარცხენა ხელის ცერა და ნეკა თითებს შუა სამი თითისაგან შორს დავიჭროთ, შუა სამ თითს ჩამოვისვამთ მკლავის გარეთა ნაწილზე მაჯიდან იდაყვის მიართულებით. შემდეგ მკლავს შემოვატრიილებთ და ნეკა და დიდ თითს ჩამოვისვამთ შიგნითა ნაწილზე იდაყვიდან მაჯის მიმართულებით. თუ ბეჭედი გვიკეთია უნდა მოვიხსნათ. იგივეს გავიმეორებთ მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავზე მესპის გაკეთებისათვის. ორივე მკლავზე მესპის გაკეთებით თეიმუმი შესრულებულად ჩაითვლება.

აბდესთისა და ღუსლისთვის ანუ დიდი და მცირე განბანვისთვის თეიმუმის ფორმა ანალოგიურია.

## თეიმუმის მომშლელი ფაქტორები

თეიმუმი მოიშლება მაშინ, როცა თეიმუმისთვის საჭირო გარემოება შეიცვალა და წყალი ინახა. ასევე აბდესთის მომშლელი ფაქტორების შემთხვევაში მოიშლება თეიმუმიც.

## აბდესის, ღუსლისა და თეიმუმის სარგებლობანი

ღვთისმსახურების მიზნით შესრულებული სისუფთავის ორივე სახეობას, სხეულის სიჯანსაღისთვის მნიშვნელოვანი-სარგებლიანობა გააჩნია. მას, როგორც ფიზიკური ასევე სუ-

ლიერი მიმართულებით საკმაოდ ბევრი სარგებლიანობა ახასიათებს. მათ შორის ზოგიერთი ესენია:

- 1 — ყოველდღიურ ცხოვრებაში არ რჩება ადგილი, სადაც არ ვეხებით. აბდესთის დროს პირის, ხელებისა და ფეხების დაბანა მიკრობებისაგან გაწმენდის საუკეთესო საშუალებაა. მით უფრო რომ ზოგი ბაქტერიები კანის გზით გადამდები არიან.
- 2 — ჩვენ ვიპანთ ცხვირს, რომელიც მთელი სასუნთქი გზების მაკონტროლებელია და რომელიც ორგანიზმს მტვრისაგან და ბაქტერებისაგან იცავს.
- 3 — პირის დაბანა თავის ტკივილებისა და დალლილობის საუკეთესო წამალია. ძარღვებსა და ნერვებს ამოძრავებს. ამიტომაა რომ მორწმუნე მოხუცებს სახე მუდამ ლამაზი აქვთ.
- 4 — მეუღლესთან თანაცხოვრების დროს ადამიანის ორგანიზმი ზედმეტად იტვირთება, იღლება და დუნდება. გულის მუშაობის რიტმი ირღვევა. ხოლო დიდი განბანვით სხეული ადრინდელ ფორმას იბრუნებს. სხეულის რეგულარული დაბანა არაჩვეულებრივი სამკურნალო საშვალებაა.
- 5 — ჩვენს სხეულს გარკვეული ელექტრონული ბალანსი გააჩნია და ჯანმრთელობაც ამაზეა დამოკიდებული. ზოგჯერ მრავალგვარი დაძაბულობის შედეგად ეს ბალანსი ირღვევა. ცხოვრების სტრესული ტვირთი თუ ნორმალურ ვითარებაში ოთხმაგია დიდი განბანვის საჭიროების დროს თორმეტამდე იზრდება. არსებობს რენტგენული სხივებით გადაღებული ადამიანის გარეკანის ფოტო, სადაც ჩანს, რომ მეუღლესთან თანაცხოვრების დროს ადამიანის კანიუამრავი სტატიკური ელექტროენერგიით იფარება და ეს ფენა ჟანგბადის თავისუფალ მოძრაობას აბრკოლებს. იგი აზიანებს კანის ფერსა და შემცველობას. ამიტომ ასეთ მდგომარე-

ობებში მნიშვნელოვანია სულ მცირე ნაწილიც დაუბანელი არ დარჩეს. წყლის წვეთებს მიაქვს უარყოფითი ენერგია და სხეულს ჩვეულ ფორმას უძრუნებს. თუ ამ მხრიდან შევხედავთ დიდი განბანვას, (ღუსლი) იგი სამედიცინო თვალსაზრისიდანაც აუცილებელი პროცედურაა.

- 6 — აბდესთისა და ღუსლის დროს სისხლძარღვები მოქმედებამი მოდის, რაც სისხლძარღვების შევიწროვებას წინ აღუდება. აბდესთის დროს ცხვირის უკანა მხარე და ლიმფური ჯირკვლები იწმინდება და აქტიურ ფორმაში მოდის. ასევე ლოყებისა და კისრის დაბანა ლიმფური ჯირკვლებისათვის სასარგებლოა. ამავე დროს რიმფოციდად წოდებული მებრძოლი უჯრედები მიკრობებს ეპრძვიან და სხეულს ავადმყოფობისაგან იცავენ.
- 7 — წყლის არ ქონის დროსაც თეიმუმი ასუფთავებს სხეულს უარყოფითი სტატიკური ელექტრონისაგან.

## 2 - ნეჟასეთთენ ტაპარეთ

(უსუფთაობისგან განწმენდა)

განსაკუთრებით მორწმუნის, რომელიც ლოცვას ასრულებს, სხეულზე, ტანსაცმელზე, სალოცავ ადგილზე სიბინძურე არ უნდა იყოს. თავსაფარი და მესპი ტანსაცმელად ითვლება. სხეულთან კავშირში მყოფი ყველა სამოსი საგულდაგულოდ სუფთა უნდა იყოს, ამას გარდა თუ ჯიბეში გაქვთ სპირტი, სპირტნარევი ოდიკოლონი, სისხლიანი ცხვირსახოცი, ლოცვა ნებადართული არ არის. ასევე სუფთა უნდა იყოს ორივე ფეხის დასადგამი და სეჯდეს შესასრულებელი ადგილი.

თუ კანზე, სხეულზე ან სალოცავ სხვა რომელიმე ადგილზე ხელისგულის ოდენა სიბინძურე მოიპოვება, ლოცვა თაპრიმენ

მექრუჟია და გასუფთავება ვაჯიბია -სავალდებულოა. თუ სიბინძურე ხელის გულზე უფრო მეტია გასუფთავების გარეშე ლოცვა არ შეიძლება. ამ შემთხვევაში გასუფთავება ფარზია. თუ სიბინძურე ხელისგულზე უფრო მცირეა მაშინ ლოცვა შეიძლება, თუმცა გასუფთავება სუნნეთია.

### **არსებობს ორი სახის დიდი და მცირე უსუფთაობა:**

- 1 — დიდ უსუფთაობაში შედის საქონლისა და ადამიანის განავალი ცხოველის ლეში, ტყავი, ხორცი, სისხლი, ყველანაირი სპირტიანი სასმელი, ღორის ხორცი, შინაური ცხოველების განავალი.
- 2 — მცირე უსუფთაობაში შედის ტანისამოსზე ლაქები, იმ ფრინველების განავალი, რომლის ხორციც არ იჭმება. ხოლო მტრედის, ბეღურასა და მის მსგავსი ხორცის საჭმელად ვარგისი ფრინველების განავალი უსუფთაობად არ ითვლება.

ღვინის გამოხდით მიღებული სპირტი და ალკოჰოლი უსუფთაობად ითვლება. ლოცვისას ის ადგილები სადაც ალკოჰოლი აცხია უნდა მოიწმინდოს და გასუფთავდეს.

მსგავსი სიბინძურის გასუფთავება ჩვეულებრივი წყლით, ვარდის წყლით და ძმრით შეიძლება. მაგრამ ჩვეულებრივი წყლის გარდა სხვა ნარევი წყლით აბდესთისა და ღუსლის შესრულება დაუშვებელია.

**ისთინჯა:** საპირფარეშოთი სარგებლობის შემდეგ სასირცხო ადგილების გასუფთავებას ისთინჯა ჰქვია. ისთინჯა სუნეთი მუექქედეა. საპირფარეშოთი სარგებლობის ქვით ან წყლით წინა და უკანა მხარის გასუფთავება სუნნეთია. მაგრამ თუ ამ დროს სასირცხო ადგილების სხვასთან გამჩენის საფრთხე არსებობს მაშინ ნებადართულია თავის არიდება, რადგან ასეთი ადგილების გამოჩენა ჰარამი ანუ აკრძალულია. ამიტომ ერთი ბრძანების სისრულეში მოყვანისას თუ ჰარამი უნდა დაირღვეს, მაშინ ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა გადაიდება.

ძვლით, აგურით, ნახშირით, ცხოველების საკვებით, სხვისი ქონებით, ზემზემის წყლით, ძირფასეულობებით, ქაღალდით გასუფთავება (ისთინჯა) თაპრიმენ მექრუპია. საპირფარეშოთი საარგებლობის დროს წინა ან უკანა მხარის ყიბლის მხარეს შებრუნება არ შეიძლება. თუ სხეულის რომელიმე ნაწილზე ხელის გულის ოდენა სიბინძურე დარჩა მისი დაბანა ფარზია. ასე ლოცვა არ შეიძლება.

**ისთიპრა:** მოშარდვის შემდეგ აბდესთის აღებამდის ცოტა ხნით მოცდას, გავლა-გამოვლას ნიშნავს. განსაკუთრებით მამაკაცებმა მოშარდვის შემდეგ მაშინვე აბდესთი არ უნდა აიღონ, რადგან შესაძლოა რომ საშარდო მილი მთლიანად არ იყოს დაცლილი, შარდის წვეთები შეიძლება იყოს დარჩენილი, რაც შემდეგში დაიცლება და აბდესთს მოშლის.

### 3 - სეთრ-ი ავრეთი

(სხეულის ის ნაწილი, რომლის გამოჩენაც აკრძალულია)

სხეულის იმ ნაწილს, რომლების სხვისთვის ჩვენება ან სხვების მიერ დანახვა ჰარამია **ავრეთი** ეწოდება. მამაკაცის ავრეთი მუცლიდან (ჭიბიდან) მუხლების ჩათვლითაა. ლოცვის დროს ამ ადგილების დაფარვა აუცილებელია. თუ ეს ადგილები დაფარული არ იქნება ლოცვა არ ჩაითვლება. ლოცვისას სხეულის სხვა ნაწილების (მკვლავების) დაფარვა (წინდების ჩაცმა) სუნნეთია, ხოლო აღნიშნული ადგილების ღია მდგომარეობაში ლოცვა მექრუპია.

ქალებისთვის პირსახის და ხელის გულების გარადა ყველა ადგილი ავრეთია. ხელების ზედა ნაწილის, ფეხებისა და თმების გამოჩენა ოთხივე მეზჲების მიხედვით ჰარამია. ამ ადგილების დაფარვა აუცილებელია. თუ ამ ადგილების ერთ მეოთხედზე მეტი დაუფარავი დარჩა, ლოცვა ირღვევა. ძალიან თხელი და გამჭვირვალე ტანისამოსი ჩაცმულად არ ითვლება.

ქალის, გარდა ლოცვისა, მარტოდ ყოფნის დროს მუხლისა და ჭიპს შორის ადგილის დაფარვა ფარზია, მუცლის და ზრუგის დაფარვა ვაჯიბი, ხოლო სხვა ადგილების დაფარვა მოკრძალებისა ზრდილობის გამოვლინებაა.

ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰჰ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანებს: „მეზობელი ქალებისთვის ანდა ამეგობრების ქალებისთვის არაკეთილი მზერა და საუბარი გაცილებით მეტი ცოდვაა, ვიდრე უცხო ქალს შეხედო განზრახვით. გათხოვილი ქალებისთვის შეხედვა გაუთხოვრებთან შედარებით ათასჯერ დიდი ცოდვაა. მრუშობის ცოდვაც ასეთია.“

ერთხელ ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰჰ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანა: „ო, ალი! არასოდეს შენი სასირცხო ადგილები არ გამოაჩინო. და ცოცხალსა თუ მკვდარს არავის ამ ადგილებზე არ შეხედო.“

სხვა ჰადისში ვკითხულობთ: „არასოდეს სასირცხო ადგილები არ გამოაჩინოთ. რადგანაც მუდმივად თქვენს გვერდით მყოფნი არიან, მათი მოგერიდოთ და მათ ჰატივი მიაგეთ.“ (ისინი ანგელოზები არიან).

ასევე სხვა ჰადისებში ვკითხულობთ: „დაიფარეთ თქვენი სასირცხო ადგილები და არავის აჩვენოთ მეუღლის გარდა. მარტო დარჩენის დროსაც დიადი ალლაჰისა რიდი გქონდეთ.“

„თუკი ვინმე ლამაზი ქალის დანახვისას მას თვალებს უმაღვე მოარიდებს, უზენაესი ალლაჰი თქვენ უდიდეს ჯილდოს გინყალობებთ და დიდ მადლად ჩაგითვლით.“

მნიშვნელოვანია სხვებს არასოდეს დავემსგავსოთ ჩვენი ტანისამოსითა და ჩაცმულობა. მოდას აყოლილები და ისინი ვინც თავის თავს პროგრესულს და მოაზროვნეს უწოდებს, კარგად დაფიქრდნენ ამ ჰადისების აზრს, მოერიდონ და გამოფხიზლდნენ.

ასევე ჰარამია თუ მამაკაცი სხვა მამაკაცის სასირცხო ადგილებს შეხედავს, და ქალი სხვა ქალის სასირცხო ადგილებს. ერთი და იგივე სქესისთვის ეს ადგილები ჭიპიდან მუხლებამდეა. უცნობი მამაკაცის შეხედვისას ხელებისა და სახის გარდა ყველა ადგილი ავრეთია.

საწოლს მიჯაჭვულმა ავადმყოფმა თუ იგი შიშველია, თავი საბნიდან უნდა გამოყოს და ისე უნდა ილოცოს. ასეთ დროს დაფარულად ჩაითვლება და ლოცვაც ნებადართულია.

მამაკაცი ახლობელ ქალს, რომლის ცოლად თხოვნა ეკრძალება, შეხედავს თავზე, სახეზე და წვივების დაბლა, მაგრამ მკერდზე, ზურგზე, თეძოებზე ვერ შეხედავს.

ქალისათვის: დეიდაშვილები მამიდაშვილები და ბიძაშვილები უცხო მამაკაცად ითვლება, ასევე დის ქმარი და მაზლიც უცხო არიან მისთვის. მათთან მარტო დარჩენა საუბარი და ხუმრობა ჰარამია. მამაკაცებისთვისაც დეიდაშვილებთან, ბიძაშვილებთან, მამიდაშვილებთან, ძმის მეუღლესთან და ცოლის დასთან მარტო დარჩენა და საუბარი მიუღებელია.

მამაკაცი აკრძალულ 18 კატეგორიის ქალთან ვერასდროს ვერ იქორწინებს. მათთან მარტო დარჩენა და ლაპარაკი ნებადართულია. ასევე ქალიც 18 კატეგორიის მამაკაცთან ვერ იქორწინებს. ესენია:

### **სისხლით და გვარით მონათესავეები**

#### **კაცები:**

1 – მამა.

2 – მშობლების მამები.

3 – ვაჟი. ვაჟის და გოგოს ვაჟიშვილები.

4 — ძმა.

5 — ძმიშვილი.

6 — დიშვილი.

7 — ბიძები. დედ-მამის ძმები.

#### **ქალები:**

1 — დედა.

- 2 — მშობლების დედები.
- 3 — ქალიშვილი, ვაჟისა და ქალიშვილის ქალიშვილები.
- 4 — და.
- 5 — დიშვილები.(გოგო)
- 6 — ძმიშვილები.(გოგო)
- 7 — დეიდა და მამიდა.

### **რძითა და ძუძუმტეობით მონათესავეები**

#### **კაცები:**

- 8 — მამობილი
- 9 — მამობილისა და დედობილის მამები
- 10 — ძმობილი, ძმობილისა და დობილის ვაჟიშვილები
- 11 — ძმობილი
- 12 — ძუძუმტეს დის ვაჟიშვილები.
- 13 — ძუძუმტეს ძმის ვაჟიშვილები
- 14 — ძუძუმტეს ბიძები ორივე მხრიდან.

#### **ქალები:**

- 8 — დედობილი
- 9 — დედობილის დედის და მამის დედა.
- 10 — დობილის გოგო, დობილის ბიჭის და დობილის გოგო-ნები.
- 11 — დობილი.
- 12 — დობილის გოგონები.
- 13 — ძმობილის გოგონები.
- 14 — დედობილის დეიდა და მამიდა.

### **ქორწინებით მონათესავეები**

#### **კაცები:**

- 15 — მამამთილი.
- 16 — გერი.
- 17 — მამინაცვალი.
- 18 — სიძე.

## **ქალები:**

- 15 — დედამთილი.
- 16 — გერი (გოგო).
- 17 — დედინაცვალი.
- 18 — რძალი

ყველა ქალი და მამაკაცი, ვინც ქუჩაში სასირცხო ადგილების დაუფარავად გამოდის და სხვის სასირცხო ადგილებს უყურებს, იმქვეყნიურ სასჯელს დაიმსახურებს.

## **4 - ისთიყბალი ყიბლე**

### **(ყიბლეს მიმართულებით დგომა)**

ლოცვისას ქა'ბას მიმართულებით უნდა დავდგეთ. ქა'ბა მექაში მდებარეობს. ამ ადგილს ყიბლე ეწოდება. თავდაპირველად ყიბლა იერუსალიმის მიმართულებით იყო. ჰიჯრეთიდან 17 თვის შემდეგ სამშაბათ დღეს ქა'ბაში გადაინაცვლა.

ყიბლა ქა'ბას შენობა არ არის, მიწის ნაკვეთია. ამიტომაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან ლოცვა ყიბლას მიმართულებით სრულდება.

მაგრამ არის გარემოება, რომელთა დროსაც როგორც და რომელ მხარეს დგომითაც შეგვეძლება, ლოცვას იმ მხარეს შევასრულებთ და ლოცვა მიღებული იქნება. აი ეს გარემოებებიც:

1 — ავადმყოფობის დროს. 2 - ქონების მოპარვის საფრთხის დროს. 3 - მტაცებელი ცხოველის საფრთხის დროს. 4 - მტრის მოსალოდნელი თავდასხმის დროს. 5 - ინდივიდუალური გარემოება, როცა ცხენიდან ჩამოქვეითების შემთხვევაში პიროვნება მასზე ხელახლა ამხედრებას ვეღარ შეძლებს.

მატარებელში, გემში და თვითმფრინავში ყიბლას მხარეს დადგომა აუცილებელი არ არის.

## 5 – ვაყითი-დრო

### (ლოცვის დრო)

ალლაპის შუამავალმა (სალლალლაპუ ალეიპი ვე სელლემ) ბრძანა: „ორი დღის განმავლობაში ჯებრაილმა ქა'ბას კართან იმამობა გამინია. ორივემ ცისკარობისას დილის ლოცვა, მზე როცა ზენიტს შორდებოდა შუადღის, როცა ყველაფრის ჩრდილი საკუთარი სიდიდის ტოლა იყო სამხრობის, მზის ჩასვილსას საღამოს, ხოლო შებინდებისას ღამის ლოცვა შევასრულეთ. მეორე დღეს დილის ლოცვა გამოენისას, შუადღის ლოცვა როცა ყველაფრის ჩრდილი საკუთარ სიდიდეს ორჯერ აღემატებოდა, საღამოს ლოცვა მარხვის გახსნის დროს, ხოლო ღამის ლოცვა ღამის მესამედში შევასრულეთ. შემდეგ მითხრა: ო, მუჟამჟედ! შენი და შენი წინამორბედი შუამავლების ლოცვის დროები ესენია. შენმა მიმდევრებმა ხუთი დროის ლოცვა ამ ორი დროის შუალედში შეასრულონ.

აღნიშნული ჰადისიდან ირკვევა, რომ ყოველდღიურად შესასრულებელი ლოცვების რაოდენობა ხუთია.

**დილის ლოცვის დრო:** იწყება მეორე გარიურაჟიდან და გრძელდება მზის ამოსვლამდე.

**შუადღის ლოცვის დრო:** არის დრო როცა ჩრდილი გაზრდას დაიწყებს და გრძელდება მანამ ვიდრე ჩრდილის სიდიდე ორჯერ გაიზრდება.

**სამხრობის ლოცვის დრო:** შუადღის ლოცვის დროის ამონურვიდან იწყება და მზის ჩასვლამდე გრძელდება.

მაგრამ, მაშინ როცა უკვე მზეს სიყვითლე შეემჩნევა ლოცვა მიუღებელია. ნაშუადღევის ლოცვის ამდენად დაგვიანება არ შეიძლება. თუმცა, საპატიო მიზეზებით დროულად ვერ შესრულებული ნაშუადღევის ლოცვა, საჭიროა მზის ჩასვლამდე იქნას შესრულებული.

**საღამოს ლოცვის დრო:** მზის ჩასვლიდან იწყება და შებინდებამდე გრძელდება.

**ღამის ლოცვის დრო:** იწყება საღამოს ლოცვის დროის ამონურვიდან და გრძელდება პირველ გარიურაჟამდე.

ლოცვა დროის დაფგომამდე არ შეიძლება.

დღის განმავლობაში არსებობს სამი დრო, როცა ლოცვის შესრულება მოუწონარია: ესენია: მზის ამოსვლისას, ჩასვლისას და როცა მზე ზენიტშია. ამ დროს არც **თილავეთ სეჯდეს** და არც ჯანაზის ლოცვა არ შეიძლება. მზის ჩასვლისას მხოლოდ იმ დღის სამხრობის ლოცვა შეიძლება შესრულდეს.

## პოლუსებზე, ლოცვისა და მარხვის შესახებ

ყველა ქვეყნისთვის ლოცვის დრო, იმ ქვეყნის ეკვატორიდან დაშორებისა და წელიწადის დროების მიხედვით განსხვავებულია.

67 გრადუსზე ჩრდილოეთ პოლუსის, ჩრდილოეთით ცივ ქვეყნებში შებინდების დაკარგვამდე ცისკარი იწყება. ბალტიის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში ზაფხულში არ ღამდება, შესაბამისად ღამისა და დილის ლოცვის დრო არ იწყება.

ჰანგური მეზჰების სწავლებით, დრო ლოცვის არათუ ერთ-ერთი მთავარი პირობა, არამედ მიზეზია. აქედან გამოდინარე ასეთ ქვეყნებში მყოფ მუსლიმებზე ეს ორი დილის და საღამოს ლოცვა ფარზი არაა. ზოგიერთი სწავლულის შეხედულებით, ასეთ ადგილებში მცხოვრებმა მუსლიმებმა, ლოცვა უახლოესი ქვეყნის ლოცვის დროების მიხედვით უნდა შეასრულონ.

შაბანის ოცდამეათე ღამეს ერთ რომელიმე ქალაქში მთვარის გამოჩენისას მთელ მსოფლიოში მარხვის თვე დაწყებულად ითვლება. (პოლუსებზე ან კიდევ მთვარეზე წამსვლელი მუსლიმები, სეფერი თუ არ არიან, ამ თვეში დღეები მარხვაში უნდა გაატარონ. იქ სადაც ასეთი დიდი დღეები არ არის მარხვა

ჩვეულებრივი დროების მიხედვით იქნება. თუკი ასეთ ადგილებში მარხვას ვერ დაიცავს, როდესაც მოხდება ისეთ ადგილებში, სადაც დღეები ხანმოკლეა, გამოტოვებულ დღეებს მაშინ აანაზღაურებს).

## ეზანი და ყამეთი

ეზანი ლოცვის დროის ყველასათვის შეტყობინებას წიშნავს. ხუთი დროის ლოცვის, გამოტოვებული ლოცვის ანაზღაურების და პარასკევს ანუ ჯუმის ლოცვის წინ ეზნის კითხვა მამაკაცისთვის სუნნეთი მუჟქქედეა. ქალების ეზანისა და ყამეთის კითხვა მექრუპია. ეზანი ხმამაღლა იკითხება, რათა სხვებმაც გაიგონ ლოცვის დროის მოსვლის შესახებ. ეზანი და ყამეთი ყიბლას მიმართულებით იკითხება. ამ დროს მისალმებაზე პასუხის გაცემა ან ლაპარაკი არ შეიძლება.

## როდის იკითხება ეზანი და ყამეთი?

1 — მინდორში ან სხვაგან, ღია ცის ქვეშ, გამოტოვებული ლოცვის მარტო ან ჯგუფურად შესრულების წინ, მამაკაცებისთვის ეზანის ხმამაღლა კითხვა სუნნეთია. თუ რამდენიმე გამოტოვებულ ლოცვას ერთად ვასრულებთ, მხოლოდ ერთ ეზანს ვიკითხავთ, ყამეთს კი თითოეული ნამაზისთვის ცალკ-ცალკე გავიმეორებთ.

2 — ოჯახში მარტო ან ჯემა'ეთით მლოცველთა მიერ ეზნის და ყამეთის კითხვა აუცილებელი არაა, რადგან მეჩეთში ნაკითხი ეზანი სახლსაც მოიცავს. თუმცა კითხვა უკეთესია. მეჩეთებში, დროის ლოცვების ჯგუფურად შესრულების შემდეგ, თუ სხვები იგივე ლოცვის შესასრულებლად დადგებიან, ეზანს და ყამეთს აღარ იკითხავენ. გზის პირას არსებულ მეჩეთში სადაც

იმამი არ არის და არც ჯემა'ეთია, ერთი და იგივე, ლოცვისთვის, სხვადასხვა ჯემა'ეთი ეზანსაც და ყამეთსაც იკითხვს. ასეთ სამ-ლოცველოში მარტო მღლოცველს შეუძლია ხმადაბლა ეზანი და ყამეთი იკითხოს.

3 — სტუმრად მისულებს შეუძლიათ ეზნის კითხვა, რო-გორც ჯემა'ეთით, ასევე მარტოდ ლოცვის წინ. ასევე მგზავრ-საც შეუძლია ეზნის კითხვა, რადგანაც, მეჩეთში წაკითხული ეზანი მის მიერ წაკითხულად არ ითვლება. თუ მგზავრებიდან ერთ-ერთი ეზანს იკითხავს სახლში, მისი მომდევნონი ლოცვას ეზნის გარეშე შეასრულებენ.

ჭკვიანი ბავშვისა და ბრძის მიერ ეზნის კითხვა ნებადართუ-ლია. მაგრამ ქალების, აბდესის არმქონეთა, მთვრალების, გო-ნებრივად განუვითარებელებისა და დამჯდარ მდგომარეობაში მყოფთა მიერ ეზანის კითხვა თაპრიმენ მექრუჰია.

ვინც ეზანს რიდით, პატივისცემით, ასოებისა და სიტყვების ზუსტი გამოთქმით კითხულობს, სამოთხეში პატივითა და მაღა-ლი წოდებებით დაჯილდოვდება.

თუ ეზანი სუნნეთის მიხედვით არ იკითხება, მაგალითად სიტყვები დამახინჯებული და ნათარგმნია რა თქმა უნდა ეს მი-უღებელია.

## განმარტება

(ეზანი)

ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „ვინც ეზნის გაგონებისთა-ნავე თვითონაც დაპალ ხმაზე აპყვება წამკითხველს, წარმო-თქმული თითოეული ბერის სანაცვლოდ ათასი მადლი და-ენერება და ათასი ცოდვა მიეტევება“.

ვინც ეზნის კითხვის ხმას გაიგონებს, მისი სიტყვების ხმა-დაბლა განმეორება სუნნეთია. როდესაც მოისმენს სიტყვებს

(ჰაია'ალეს-სელა) წარმოთქვს სიტყვები: (**ლა ჰავლე ველა ყუვ-ვეთე ილლა ბილლაპ**). ეზანის დასრულების შემდეგ ჯერ სელავათი გავიმეოროთ, ხოლო შემდეგ ეზანის დუა იკითხება.

### **როგორ იკითხება ეზანი?**

ელლაპუ ექბერ 4-ჯერ

ეშპედუ ენ ლააა ილაპე ილლელლააპ 2-ჯერ

ეშპედუ ენე მუჰამმედენ რესუულულლააპ 2-ჯერ

ჰაიაა ღ'ელას-სალააპ 2-ჯერ

ჰაიაა ღ'ელელ -ფელააპ 2-ჯერ

ალლააპუ ექბერ 2-ჯერ

ლაააა ილაპე ილლელლააპ 1-ჯერ

დილის ლოცვის ეზანის კითხვისას ემატება შემდეგი სიტყვები: „**ეს-სალაათუ ხაირუნ მინენ-ნევმ**“ იკითხება.

ყამეთის დროს კი ჰაიაა ღ'ელელ-ფელააპ-ის მერე ორჯერ „**ყად ყამეთის-სალააპ**“ იკითხება.

### **ეზანის სიტყვათა მნიშვნელობები:**

**ალლაპუ ექბერ:** ალლაპი უზენაესია. იგი, არაფერს საჭიროებს. ადამიანების ღვთისმსახურების გარეშეც უზენაესია და მისთვის ამას რაიმე სარგებელი არ გააჩნია. ამ მშვენიერი აზრის კარგად დასამახსოვრებლად სიტყვებს, „**ალლაპუ ექბერ**“ ოთხჯერ ვიმეორებთ.

**ეშპედუ ენ ლა ილაპე ილლელლააპ:** ალლაპს, მიუხედავად იმისა რომ არავის ღვთისმსახურება არ სჭირდება, უნდა ვემსახუროთ, ვადიდოთ და ვაღიაროთ მისი ერთადერთობა. ვამონმებ, რომ ალლაპი არის უზენაესი და იგი არაფერს და არავის არ ჰგავს.

**ეშპედუ ენე მუჰამმედენ რესუულულლააპ:** ვირწმუნე და ვაღიარებ, რომ მუჰამმედი არის რესული/შუამავალი უზენაესი ალლაპისა, რომ ალლაპი მისი შუამავლობით გვაცნობებს ყოველივეს.

**ჰაიკე ღ'ელეს-სელააპ:** ამ ორი წინადაღებით მოუწოდებს მუსლიმებს ლოცვისაკენ, რაც მათი ბედნიერებისა და გადარჩენის საშუალებაა.

**ლაა ილაპე ილლელლააპ:** არ არსებობს ღვთაება (ილაპი) გარდა ალლაპისა. ეს სიტყვები მუსლიმს უზენაესი ალლაპის წინაშე აგრძნობინებს უმნეობას. ვერც ვინმე შესძლებს შეასრულოს უზენაესი ალლაპის საკადრისი ღვთისმსახურება. ასევე არავინ არის მორჩილების ღირსი გარდა ალლაპისა.

ლოცვის დროს შეტყვობინებისათვის შერჩეული ამ სიტყვების მნიშვნელობა კარგად უნდა გავიაზროთ.

## 6 – ნიეთი

### (განზრახვა)

სალოცავად დადგომის წინ, რომელ ლოცვასაც ვასრულებთ, შესაბამისი განზრახვა უნდა წარმოვთქვათ. განზრახვის წრფელი გულით წარმოთქმა აუცილებელია. მაგ. დილის განზრახვას ასე ვიტყვით: „ლმერთო ჩემო! განვიზრახე დილის ლოცვის სუნნეთის შესრულება, დავდექი ყიბლას მიმართულებით, ჩემი ყიბლა ქა'ბაა. ამის შემდეგ წარმოვთქვამთ სიტყვებს: -ალლაპუ ექბერ“.

**იმამმა** ნიეთის წარმოთქმისას „მე ვარ იმამი იმათი, ვინც მომყვება“. ამ სიტყვების თქმა აუცილებელი არ არის, თუმცა ჯემა'ეთით შესრულებული ლოცვის მადლს ვერ მოიგებს. ასევე აუცილებელია, როცა ჯემა'ეთში იმყოფებიან ქალბატონებიც, იმამმა განზრახვაში ახსენოს ისინი. ლოცვის დროს უმთავრესი გულში არსებული განზრახვაა და მისი ენით წარმოთქმა მოწონებული ქმედებაა. თუმცა მისი წარმოუთქმელობის შემთხვევაშიც ლოცვა მისაღებია.

## **7 - იფთითაჲ თექბირი**

### **(პირველი თექბირი)**

განზრახვის შემდეგ ხელებს ყურების დონეზე ავწვეთ და ვიტყვით: „ალლააჲუ ექბერ“. ამას „თექბირი“ ეწოდება. იფთითაჲ თექბირი ლოცვის პირველი თექბირია და ამის თქმა აუცილებელი ანუ ფარზია. ზოგიერთი სწავლულის მიხედვით „იფთითაჲ თექბირი“ ლოცვის შიდა ფარზია.

## **ლოცვისას შესასრულებელი ფარზები**

ლოცვის დროს შესასრულებელ ფარზებს, რუქუნსაც უწოდებენ და ესენი ხუთია.

### **1 - ყიამი (ფეხზე დგომა)**

ლოცვისას ფეხზე დგომას ნიშნავს. ავადმყოფს მჯდომარედ არ შეუძლია, მაშინ ზურგზე დაწოლილ მდგომარეობაში იღოცავს, თუმცა სახე ყიბლისკენ, ხოლო ფეხები მოხრილი უნდა ჰქონდეს. ფეხზე დგომისას ფეხებს შორის დაშორება ოთხი თოთის ტოლი უნდა იყოს.

მჯდომარე მდგომარეობაში ლოცვა შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვისაც ფეხზე დგომა უჭირს, ვინც ავად არის და მრავალი ტკივილი აწუხებს, ვისაც მტრის თავდასხმის საფრთხე ემუქრება, ან ფეხზე დგომისას სასირცხო ადგილი გამოუჩნდება. მჯდომარედ მლოცველი რუქუ'ის დროს ცოტათი დაიხრება. თუ სეჯდეს დროს მოხრა რუქუ'ზე უფრო დიდი არ არის ნამაზი სრულფასოვნად არ ითვლება. სეჯდეს შესასრულებლად წინ სკამის, ან სხვა რაღაცის დადება არ შეიძლება, მექრუჟი ანუ მოუწონარია.

## 2 – ყირაათ

### (ყურანის კითხვა)

ლოცვისას ფეხზე დგომა და ყურანიდან რამდენიმე აიათის კითხვა ფარზია. მოკლე სურას კითხვა უფრო მაღლია.

სუნნეთისა და ვითორის ყველა მუხლზე, ხოლო და ფარზების პირველ ორ მუხლზე სურა ფათიჰას შედეგ ერთი მოკლე სურას ან რამდენიმე აიათის კითხვა ვაჯიბია. ფარზი ლოცვების პირველ ორ მუხლზე, ფათიჰას და ზამმი სურას კითხვა ვაჯიბია. თუკი ლოცვისას ხუთი ვაჯიბიდან რომელიმე დავიწყებული იქნება, სეპივ სეჯდეს შესრულებით უნდა იქნას გამოსწორებული. ლოცვის დროს ყურანის რომელიმე კონკრეტულ ენაზე თარგამნის კითხვა არ შეიძლება.

სუნნეთია, როცა იმამი, გარდა ჯუმისა და ბაირამის ლოცვისას, პირველ მუხლზე უფრო მეტ აიათს წაიკითხვას, ვიდრე მეორე მუხლზე. მარტოდ ლოცვისას შეიძლება ყველა მუხლზე ერთნაირად იკითხოს. იმამის მიერ რომელიმე დროის ლოცვისას, ყოველ მუხლზე ერთიდაიგივე სურას კითხვა და ამის წესად შემოღება, მუქრუპია. პირველ და მეორე მუხლზე ერთიდაიგივე სურას კითხვა თენზიჰენ მექრუპია. მეორე მუხლზე, ერთი სურას გამოტოვებით და შემდეგი სურას კითხვა მექრუპია. ყურანის სურების თანმიმდევრობით კითხვა, ყოველთვის ვაჯიბია.

## 4 – რუქულ’ი

### (წელში მოხრა)

ლოცვისას ყიამისა და ყირაათის შესრულების შემდეგ რუქულ’ის შესრულება ანუ წელში მოხრა ფარზია. წარმოვთქვამთ, „ალლაჰუ ექბერ“ და წელში მოვიხრებით. რუქულ’ის დროს მამაკაცები ხელის თითებს გაშლიან და მუხლებზე დაიწ-

ყობენ, ხოლო თავსა და ზურგს გამართულად დაიჭერენ. ქალები კი ოდნავ მოიხრებიან, ხელებს და ფეხებს გამართულად არ დაიჭერენ. ქალები თითებს არ გაშლიან. რუქულ'ზე სულ მცირე სამჯერ „სუბპანე რაბბიელ ღ'აზიიმ“ ვამბობთ. ამ სიტყვების ერთჯერ წარმოთქმის ტოლი დროით წელში მოხრილად ყოფნა ფარზია.

წელში გამართვისას „სემილ'ალლააჰუ ლიმენ ჰამიდეჰ“ ვიტყვით. ეს სუნნეთია. როდესაც წელში გავიმართებით ვიტყვით: „რაბბენა ლექელ ჰამდ“. ჯემა'ეთით ლოცვის დროს იმამი ხმამალლა იტყვის „სემილ'ელლააჰუ ლიმენ ჰამიდეჰ“, ჯემაეთი ამ დროს ჩუმად წარმოთქვამს: „რაბბენა ლექელ ჰამდ“. მის შემდეგ კვლავ თექბირს წარმოვთქვამთ და შევასრულებთ სეჯდეს.

## 5 – სეჯდე

სეჯდეს დროს ხელის თითები ერთმანეთთან შეერთებულია, ყიბლას პირდაპირაა და თავი ორი ხელის შორისაა მოქცეული. ამ დროს, მნიშვნელოვანი და აუცილებელია ის ადგილი, სადაც შუბლს და ცხვირს დავდებთ, სუფთა იყოს. თუკი რაიმე საპატიო მიზეზი არ არის, მხოლოდ ცხვირის სეჯდეზე შეხება ნებადართული არ არის. ასევე მხოლოდ შუბლის დადება მექრუჰია.

ორივე ფეხი ან ფეხის თითები აუცილებლად ადგილს უნდა ეხებოდეს, ეს ფარზია. სხვაგვარად ლოცვა არ ჩაითვლება შესრულებულად.

სეჯდეს დროს ფეხის თითების მოხრა და ყიბლას მხარეს მიბრუნება სუნნეთია.

მამაკაცებს ხელები მუცლიდან მოშორებით უჭირავთ და მუხლები იატაკს ეხება, ეს სუნნეთია. ყიამის დროს ფეხები ოთხი თითის მანზილზეა დაშორებული, სეჯდეს დროს ქუსლები ერთმანეთს ეხება, ეს სუნნეთია.

სეჯდეს შესრულებისას შარვალის წამოწევა, მკლავები და-კაპინებული, შარვალი აკეცილ მდგომარეობაში ლოცვა, მექ-რუპია. ასევე მნიშვნელოვანია მამაკაცებს თავზე ეხუროთ. უსუფთაო ან სამუშაო ტანისამოსით ლოცვა არასაპატიო მიზე-ზის შემთხვევაში მექრუპია.

## 6 - ყალდე-ი აახირი

(ბოლო დაჯდომა)

ბოლო მუხლის ლოცვის შემდეგ „ეთთეპიათუს“ კითხვის ტოლი დროით ჯდომა ფარზია. ჯდომისას ხელებს მუხლებზე დავიწყობთ, ამ დროს თითები გაშლილია. მამაკაცები მარცხე-ნა ფეხის თითებს, მარჯვნივ მიბრუნებულს ძირს დააწყობენ და მარცხენა ფეხზე ზემოდან დაჯდებიან. ამ დროს მარჯვენა ფეხი გამართულად უჭირავთ. თითები ძირს ეხება და ყიბლას მიმარ-თულებითაა მიქცეული. ასე ჯდომა სუნნეთია.

ქალები ძირს ჩვეულებრივად ჯდებიან. თეძოები ერთმანეთ-თან ახლოს უჭირავთ. მარჯვენა ფეხს მარჯვენა მხრიდან გა-რეთ გამოიტანენ, მარცხენა ფეხი მარჯვნივ მიმართული ფეხის თითებითურთ ქვევით დარჩება.

## როგორ სრულდება ნამაზი?

როგორ უნდა შეასრულოს ლოცვა მამაკაცმა, რომელიც მარტოდ არის?

მაგალითად დილის ორი მუხლი სუნნეთი ასე ილოცება:

- 1 — დავდგებით ყიბლას მიმართულებით, ფეხები ერთ-მანეთის პარალელურად და ოთხი თითის მანძილზეა დაშორებული, ამ დროს წარმოვთქვამთ განზრახვას:

„ღმერთო ჩემო! განვიზრახე დილის ლოცვის სუნნე-თის შესრულება, დავდექი ყიბლას მიმართულებით, ჩემი ყიბლა ქა'ბაა“. ამ დროს ხელებს მაღლა აკწევთ, ცერი თითებით ყურის ბიბილოს ვეხებით, ხელის გულები ყიბლეს მიმართულებით და გაშლილი გვიჭირავს. წარმოვთქვამთ „**ალლაჰუ ექბერ**“-ს და ხელებს მუცელზე (ჭიპის დონეზე) დავიწყობთ. ამ დროს მარჯვენა ხელი მარცხენას გარედან უნდა იყოს გადაჭდობილი.

- 2 — თვალებს სეჯდეს ადგილს არ ვაცილებთ და ვკითხულობთ „სუბხანექეს“. შემდეგ „ელ'უზუ ბესმელეს“ ვიტყვით და ვიკითხავთ სურა ფათიჰას. ამის შემდეგ ვიკითხავთ დამატებით სურას ანუ ზემმისურას. ამ დროს „ბესმელეს“ წარმოთქმა აღარ აირს საჭირო.
- 3 — ამის შემდეგ წარმოვთქვამთ „**ალლაჰუ ექბერ**“ და რუქულ’ის შესასრულებლად წელში მოვიხრებით. რუქულ’ზე ხელებს მუხლებზე ვიწყობთ, თვალებს ფეხის თითებიდან არ ვაცილებთ და სულ მცირე სამჯერ ვიმეორებთ სიტყვებს: „**სუბხან რაბბიელ ღ'აზიმ**“. ამ სიტყვების განმეორება შეიძლება 5-ჯერ, 7-ჯერ ან უფრო მეტჯერ.
- 4 — შემდეგ „**სემი ღ'ელლაჰუ ლიმენ ჰამიდეჰ**“ ვამბობთ და წელში ვიმართებით. წელში გამართვის შემდეგ ვიმეორებთ სიტყვებს: „**რაბბენა ლექელ ჰემდ**“.
- 5 — ფეხზე მცირეხნით ვჩერდებით, „**ალლაჰუ ექბერ**“ ვიტყვით და სეჯდეზე წავალთ. ამ დროს ჯერ მარჯვენა მუხლი, შემდეგ მარცხენა, მარჯვენა ხელი შემდეგ მარცხენა, შემდეგ ცხვირი და შუბლი ერთდროულად ძირს ეხება. ფეხის თითებს ვხრით ყიბლეს მიმართულებით. თავს ორ ხელს შორის განვათავსებთ, ხელის თითები ერთმანეთთან შეერთებულია. ხელის გულებს

იატაკს შევახებთ, ხოლო იდაყვებს არა. ასეთ მდგომარეობაში სულ მცირე სამჯერ ვიმეორებთ სიტყვებს: „**სუბხანე რაბბიელ ელ'ლა**“

- 6 — წარმოვთქვამთ, „ალლაჰუ ექబერს“ და სეჯდედან წამოვიმართებით. მარცხენა ფეხს გავშლით, თითები მარჯვენა ფეხისკენაა, მარჯვენა ფეხის თითები ყიბლას მიმართულებით იხრება და მარცხენა გაშლილ ფეხზე ვჯდებით, ხელებს მუხლებზე ვიწყობთ, ხოლო თითები თავისუფალ მდგომარეობაშია.
- 7 — ასე დიდხანს არ ვჩერდებით, გავიმეორებთ „თექ-ბირს“ და შევასრულებთ მეორე სეჯდეს.
- 8 — აქაც ისევ სულ მცირე სამჯერ ვიმეორებთ სიტყვებს: „**სუბჰანე რაბბიელ ე'ლლა**“. შემდეგ წარმოვთქვამთ „თექბირს“ და ფეხზე წამოვდგებით. წამოდგომისას ხელებს არ დავეყრდნობით. სეჯდედან ადგომისას იატაკს ვაშორებთ ჯერ შუბლსა და ცხვირს, შემდეგ ხელებს და ბოლოს მუხლებს.
- 9 — ფეხზე ავდგებით ვიტყვით „ბესმელეს, ვიკითხავთ სურა ფათიჰას, შემდეგ დამატებით სურას და ისევე წარმოვთქვამთ „თექბირს“ და რუქულ'ის შესასრულებლად წელში მოვიხრებით.
- 10 — ამის შემდეგ მეორე მუხლიც პირველი მუხლის მსგავსად სრულდება, მხოლოდ მეორე მუხლზე სეჯდეს შესრულების შემდეგ ფეხზე აღარ წამოვდგებით, მარცხენა ფეხზე დავჯდებით და ვიკითხავთ შემდეგ ვედრებებს: ეთთეჰიიათუ, ალლაჰუმე სალლი, ალ-ლააჰუმე ბაარიქ, რაბბენა აათინა, რაბბენელ'ფირ-ლი და მივცემთ სელამს ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდეგ მარცხენა მხარეს. „**ესსელლამუ ლ'ალეიქუმ ვე რაჰმეთულლააჲ**“.

ამის შემდეგ ვკითხულობთ: „**ალლაჰუმე ენთეს-სელამ, ვე მინქეს-სელამ, თებარექ-თე იაა ზელჯელაალი ველ-იქრაამ**“.

ამის შემდეგ ავდგებით და ვილოცავთ დილის ლოცვის ორ მუხლ ფარზის, რომელიც სუნნეთის ანალოგიურად სრულდება და განსხვავება მხოლოდ განზრახვაშია.

„ლმერთო ჩემო! განვიზრახე დილის ლოცვის ფარზის შესრულება, დავდექი ყიბლას მიმართულებით, ჩემი ყიბლა ქა'ბაა, -ალლაჰჲ ექბერ“.

ლოცვის შემდეგ ვკითხულობთ: „აიეთ-ელ ქურსს“ შემდეგ 33-ჯერ „სუბჰანელლაჰ“, 33-ჯერ „ელჰემდულილლაჰ“, 33-ჯერ „ალლაჰჲ ექბერ“. ამის შემდეგ ვკითხულობთ შემდეგ ვედრებას: „ლა ილაჰე ილლალლაჰჲ ვეჰდეჰჲ ლაა შერიქელეჲ, ლეჰჲულ-მულჲუ ვე ლეჰჲულ-ჰამდუ ვე-ჰუვე ლ'ალა ქულლი შეინ ყადირ“. ამის შემდეგ ხელებს აღვაპყრობთ და აღვავლეთ ვედრებას. მამაკაცები ხელებს მკერდის სიმაღლეზე იკავებენ, იდაყვებს არ ხრიან, ხელისგულებს შლიან და ცისკენ მიაპყრობენ. ისე როგორც ლოცვის დროს ყიბლა ქა'ბაას მიმართულებითაა, ასევე ვედრების მიმართულებაც ზეცისკენაა. ვედრების დასრულების შემდეგ, სურა ფათიჰას ვკითხავთ და ხელებს სახეზე ჩამოვისვამთ.

ოთხმუხლიანი ნამაზების დროს, მეორე მუხლის შემდეგ დავჯდებით, მხოლოდ „ეთთეპიათს“ ვიკითხავთ და მესამე მუხლის სალოცავად წამოვდგებით. სუნნეთების მესამე და მეოთხე მუხლზე სურა ფათიჰას მერე დამატებითი სურა იკითხება. ფარზების მესამე და მეოთხე მუხლზე კი, დამატებითი სურა არ იკითხება, მხოლოდ სურა ფათიჰას ვკითხულობთ: სამმუხლიან ფარზის ლოცვისას პირველ და მეორე მუხლზე როგორც სურა ფათიჰა, ასევე ზამმისურა იკითხება. ვითირ ნამაზის სამივე მუხლზე ფათიჰა და ზამმისურა იკითხება. ვითრის შემთხვევაში მესამე მუხლზე ზამმისურას შემდეგ ხელახლა „თექბირს“ წარმოვთქვამთ ვიკითხავთ „ქუნუთის“ ვედრებას. ეთთეპიათზე დაჯდომისას ალლაჰჲ მე სალლი და ბარიქი იკითხება.

## **როგორ უნდა შეასრულოს ლოცვა ქალბატონმა, რომელიც მარტოდ არის?**

მაგალითად დილის ლოცვის სუნნეთი ასე სრულდება:

1 — სხეული იფარება ისე, რომ თავიდან ფეხებამდე სხეულის ფორმა არ ჩანდეს. მხოლოდ სახე და ხელები რჩება დაუფარავი. ლოცვის თანმიმდევრობა ისეთივეა, როგორც ზემოთ ავხსენით მამაკაცის შემთხვევაში მარტოდ ლოცვის თანმიმდევრობა.

ხელები მამაკაცების მსგავსად ყურებამდე არ აწევენ. მხრების დონეზე აწევენ, წარმოთქვამენ „ალლაჰუ ექბერს“ და ხელებს მკერდის დონეზე დაიწყობენ. რუქულ’ის დროს წელში ოდნავ მოიხრებიან. ჯდომის დროს თეძოებზე დაჯდებიან, ე. ი. მარჯვენა და მარცხენა ფეხები მარჯვენა მხარესა მიქცეული და ისე ზიან. ლოცვისას ქალებისათვის დახურვის ყველაზე კარგი ფორმა, ხელებსაც რომ დაფარავს ისეთი თავსაფარი და ფეხებსაც რომ დაფარავს ისეთი კაბაა.

### **ნამაზის ვაჯიბები**

**ნამაზის ვაჯიბებია:**

- 1 — სურა ფათიჰას კითხვა.
- 2 — სურა ფათიჰას შემდეგ ზამმისურას კითხვა.
- 3 — ზამმისურას წინ სურა ფათიჰას კითხვა
- 4 — სურა ფათიჰას შემდეგ ფარზების პირველ და მეორე მუხლებზე, ხოლო სუნნეთების ყველა მუხლებზე ზამმისურეს კითხვა.
- 5 — სეჯდების თანამიმდევრობით შესრულება.
- 6 — სამ და ოთხ მუხლიანი ლოცვისას მეორე მუხლის შემდეგ დაჯდომა. ბოლო დაჯდომა (ყალ’დეი ახირი) ფარზია.

- 7 — მეორე მუხლის შემდეგ დაჯდომისას ეთთეპიათუს კითხვის შემდეგ, დაუყოვნებლივ მესამე მუხლის სალოცავად ადგომა.
- 8 — სეჯდეს დროს შუბლთან ერთად ცხვირის ძირს ერთდოულად დადება.
- 9 — ბოლო დაჯდომისას ეთთეპიათუს კითხვა.
- 10 — ლოცვის თითოეული მუხლის თანმიმდევრობით შესრულება. ამას „თაღ’დილი ერქანი“ ანუ ლოცვისას თანმიმდევრობის და ყველა წესის დაცვა, ეწოდება.
- 11 — ლოცვის დასასრულს „ესსელამულ’ალეიქუმ ვე რაჲ მეთულლაჲ“-ის წარმოთქმა.
- 12 — ვითრის ლოცვის მესამე მუხლზე, სურა ფათიპას და ზემმისურას შემდეგ ყუნუთის ვედრებების კითხვა.
- 13 — ბაირამის ლოცვისას „თექბირების“ წარმოთქმა.
- 14 — დილის, ბაირამის, ჯუმის, თერავიპის, ვითრის, სალამოს და ღამის ლოცვების ჯგუფურად შესრულებისას, პირველ და მეორე მუხლზე იმამის მიერ ხმამაღლა კითხვა.
- 15 — შუადლის და სამხრობის ლოცვის ყველა მუხლზე, სალამოს ლოცვის მესამე, ღამის ლოცვის მესამე და მეოთხე მუხლებზე იმამმა ჩუმი ხმით უნდა იკითხოს.

**ყურბან ბაირამის** წინა დღის დილის ლოცვიდან მოყოლებული ბაირამის მეოთხე დღის სამხრობის ლოცვამდე ყოველი ფარზი ლოცვის შემდეგ თექბირები უნდა ვიკითხოთ. ამ თექბირებს „თეშრიყ თექბირები“ ეწოდება და მისი კითხვა ვააჯიბია.

## სეპივ სეჯდე

მლოცველს ნებსით თუ უნებლიერ რომელიმე ფარზძი რომ გამორჩეს, ლოცვა მოიშლება. მაგრამ თუკი ვაჯიბის შესრულება დაავიწყდა დასასრულს სეპივ სეჯდე ანუ გამოსასწორები სეჯდე უნდა შეასრულოს. სხვაგვარად ლოცვა სრულფასოვნად არ ჩაითვლება. ლოცვისას რომელიმე სუნნეთის გამოტოვების შემთხვევაში ნამაზი არ მოიშლება და სეპივ სეჯდეს შესრულებაც საჭირო არაა. სეპივ სეჯდე ლოცვის ფარზის დაგვიანების, ვაჯიბის დაგვიანების ან გამოტოვების შემთხვევაში ლოცვის დროს დაშვებულ ნაკლოვნებას სრულჰყოფს.

თუკი ერთი ლოცვის დროს რამდენიმე შეცდომას დავუშვებთ, დასასრულს სეპივ სეჯდეს ერთხელ შესრულება საკმარისია. იმამის დაშვებული შეცდომის შემთხვევაშიც სეპივ სეჯდეს შესრულება საჭიროა. თუკი ჯემატის წევრი რაიმე შეცდომას დაუშვებს, სეპივ სეჯდეს ამ შემთხვევაში არ შეასრულებს.

სეპი სეჯდეს, ლოცვის დასასრულს ბოლო დაჯდომის დროს ვიკითხავთ, „ ეთთეპიათს“ მხოლოდ მარჯვენა მხარეს მივცემთ სელამს, შემდეგ ორ სეჯდეს შევასრულებთ, დავჯდებით და კვლავ ეთთეპიათს, **ელლაპუმმესელლის, ელლაპუმმებარიქისა და რაბბენას** ვედრებებს ჩავიკითხავთ, სელამს მივცემთ და ლოცვას ასე დავასრულებთ.

### შემთხვევები როცა სეპივ სეჯდე უნდა შევასრულოთ:

ადგომა იმ დროს, როცა ჯდომა ვაჯიბი-საჭირო იყო. დაჯდომა ადგილზე, იმ დროს როცა უნდა წამოვმდგარვიყავით. ხმამაღლა კითხვის ნაცვლად ჩუმად კითხვა. ჩუმად კითხვის ნაცვლად ხმამაღლა კითხვა. ვედრების ნაცვლად ყურანის კითხვა, ყურანის კითხვის ნაცვლად ვედრების კითხვა. მაგალითად სურა ფათიჟას ნაცვლად ეთთეპიათუს კითხვა ანდა პირიქით. ასეთ დროს სურა ფათიჟა გამოტოვებულად ითვლება. ლოცვის დასრულებამდე მისალმება, ფარზი ლოცვების მესამე და მეო-

თხე მუხლებზე სურა ფათიშას მერე ზემმისურას კითხვა, ხოლო პირველ ორ მუხლზე სურა ფათიშას მერე ზემმისურას დავიწყება, ბაირამის ლოცვისას თექბირების გამოტოვება, ვითრის ლოცვისას ყუნუთის ვედრების გამოტოვება.

**თილავეთი სეჯდე:** ყურანიში არის 14 სეჯდე აიათი. მისი წაკითხვის ან მოსმენის შემთხვევაში „თილავეთი სეჯდეს“ შესრულება სავალდებულო ანუ ვაჯიბია. აღნიშნული აიათების დაწერის დროს თილავეთი სეჯდეს შესრულების საჭიროება არ არსებობს.

იმისათვის, რომ თილავეთი სეჯდეს შესრულების საჭიროება დადგეს, მნიშვნელოვანია ადამიანის ხმით იყოს წარმოთქმული. რადიოდან, მიკროფონიდან, გაგონილი ხმა ადამიანის ხმა არ არის, მკითხავის მსგავსი ხმაა. ამიტომ ასეთ დროს თილავეთი სეჯდეს შესრულება არ არის საჭირო. თილავეთი სეჯდე აბდესიანმა უნდა შეასრულოს. წარმოვთქვამთ განზრახვას-ნიეთს, დავდგებით ყიბლას მიმართულებით, ვიტყვით „ალლაჰჲ ექბერ“ და შევასრულებთ სეჯდეს. სეჯდეზე სამჯერ წარმოვთქვამთ: „სუბჰანე რაბბიელ ელ’ლა“, შემდეგ ვიტყვით „ალლაჰჲ ექბერ“-ს და ფეხზე წამოვდგებით. თილავეთი სეჯდეც ასე დასრულდება.

თუკი ლოცვისას ყირაათის დასაწყისში ან შუაში სეჯდე აიათებს ვიკითხავთ, მაშინვე ერთ რუქულ’ს და სეჯდეს ვასრულებთ, ფეხზე ვდგებით და ლოცვას ვაგრძელებთ. თუ ამ აიათებს ყირაეთის დასასრულს ვიკითხავთ, განსაკუთრებით სეჯდეს აღარ შევასრულებთ, რადგანაც უკვე ნამაზის სეჯდე უნდა შევასრულოთ, რაც თილავეთი სეჯდეს ადგილსაც დაიჭერს. ჯემაეთით ლოცვის დროს, იმამი სეჯდეს აიათს თუ წაიკითხავს, ჯემა’ეთის წევრებმა თუნდაც ვერ მოისმინონ, იმამთან ერთად სეჯდე უნდა შეასრულონ. ჯემა’ეთეთ რუქულ’ზე ნიეთი უნდა გააკეთოს. შესაძლოა ლოცვის დასრულების შემდეგაც შეასრულოს.

**მადლიერების სეჯდე: ისეთივეა, როგორიც თილავეთი სეჯდე.** ადამიანი, რომელიც რაიმე დარდს გადარჩება ანგა-საჭირს დააღწევს თავს, ან კიდევ რაიმე სასიხარულო ამბავს გაიგებს, მადლიერების ნიშნად სეჯდე უნდა შეასრულოს. მად-ლიერების სეჯდე „თილავეთი სეჯდეს“ მსგავსად სრულდება.

## **ნამაზის სუნნეთები**

- 1 — ლოცვის დროს ხელების ყურების დონემდე აწევა.
- 2 — ხელის გულების ყიბლასკენ მიმართვა.
- 3 — თექბირის შემდეგ მერე ხელების შეკვრა.
- 4 — მარჯვენა ხელის მარცხენას გარედან გადაჭდობა.
- 5 — მამაკაცისთვის ხელების მუცლის დონეზე, ხოლო ქა-ლებისთვის ხელების მკერდის დონეზე დაჭერა.
- 6 — იფთითაპ თექბირის შემდეგ „სუბჰანექს“ კითხვა.
- 7 — იმამის და მარტოდ მლოცველის მიერ „ელ'უზუ ბესმე-ლეს“ კითხვა.
- 8 — „ბესმელეს“ კითხვა.
- 9 — რუქულ'ზე სამჯერ „სუბხან რაბბიელ ლაზიმ“-ის წარმოთქმა.
- 10 — სეჯდეზე სამჯერ „სუბჰან რაბბიელ ელ'ლა“-ს წარ-მოთქმა.
- 11 — ბოლო ჯდომისას „ალლაჰუმე სალლისა“ და „ალლა-ჰუმე ბაარიქის“ კითხვა.
- 12 — სელამის მიცემის დროს ორივე მხარზე შეხედვა.
- 13 — პირველ მუხლზე მეორე მუხლისგან განსხვავებით უფრო გრძელი ზამისურას კითხვა.
- 14 — რუქულ'იდან წელში გამართვისას „სემი ლ'ალლაჰუ ლიმენ ჰემიდეჰ“-ს წარმოთქმა.
- 15 — რუქულ'იდან წელში გასწორების შემდეგ „რაბბენა ლექელ ჰამდ“-ის წარმოთქმა.

- 16 — სეჯდეს დროს ფეხის თითების მოხრა და ყიბლას მხარეს მიმართვა.
- 17 — რუქულ’ისა და სეჯდეების შესრულებისას „თექბირის“ წარმოთქმა.
- 18 — ხელების და მუხლების ძირს დადება.
- 19 — ფეხები ყიამის დროს ერთმანეთისგან ოთხი თითის დაშორებაზე, ხოლო სეჯდეს დროს ერთად უნდა იყოს შეერთებული.
- 20 — სურა ფათიპას შემდეგ „აამიინ“-ის წარმოთქმა, რუქულ’ზე წასვლამდე თექბირის წარმოთქმა, რუქულ’ის დროს ხელის თითების გაშლა და მუხლებზე დაწყობა, სეჯდეს დროს თექბირის წარმოთქმა, დაჯდომისას მარცხენა ფეხის გაშლა, მარჯვენა ფეხის სწორად დაჭერა და ორ სეჯდეს შორის ასეთნაირად დაჯდომა.

საღამოს ლოცვის დროს მოკლე, ხოლო ღამისა და დილის ნამაზის დროს კი გრძელი სურეების კითხვა. ჯემა’ეთით ლოცვისას მლოცველების მიერ სურა ფათიპასა და ზამმისურას არ კითხვა. ამ დროს მლოცველი იკითხვას „სუბჰანეს“, გაიმეორებს თექბირებს, და იკითხავს სალლი-ბარიქის ვედრებებს. ასევე „სუბჰანე რაბბიელ ღაზიიმ“ წარმოთქმის ტოლი დროით წელში მოხრილი გაჩერება.

## ნამაზის მუსთეპაბები

- 1 — ლოცვისას სეჯდეს ადგილზე ცქერა.
- 2 — რუქულ’ის შესრულების დროს ფეხებზე ყურება.
- 3 — სეჯდეს დროს ცხვირის წვერზე ყურება.
- 4 — ეთეპიათზე ჯდომისას მუხლებზე ყურება.
- 5 — სურა ფათიპას შემდეგ დილისა და შუადღის ლოცვის

- დროს გრძელი, საღამოს ნამაზებზე მოკლე ზამმისურას კითხვა.
- 6 — იმამზე მიმყოლების „თექბირის“ ჩუმად წარმოთქმა.
  - 7 — რუქულ'ზე თითების გაშლა და მუხლებზე დაწყობა.
  - 8 — რუქულ'ის დროს თავისა და კისრის გამართულად დაჭერა.
  - 9 — სეჯდეს დროს ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა მუხლის ძირს დადება.
  - 10 — სეჯდეს დროს თავის ორ ხელს შორის განთავსება.
  - 11 — სეჯდეს შესრულებისას, ჯერ ცხვირის, შემდეგ შუბლის დადება.
  - 12 — ლოცვის დროს დამთქნარების შემთხვევაში პირის ხელის ზურგით დაფარვა.
  - 13 — სეჯდეს დროს, მამაკაცების იდაყვების ზემოთ დაჭერა, ქალების მთლიანი მკლავის ძირს შეხება.
  - 14 — სეჯდეს დროს მამაკაცების ხელების და ფეხების მუცლისგან მოშორებით დაჭერა.
  - 15 — რუქულ'სა და სეჯდეზე სამჯერ თესპიჰის წარმოთქმის დროით გაჩერება.
  - 16 — სეჯდეს დროს თავის წამოწევის შემდეგ, ხელების აწევა.
  - 17 — ჯერ ხელების შემდეგ კი მუხლების წამოწევა.
  - 18 — დაჯდომის დროს ხელების თეძოებზე დალაგება, თითების ყიბლას მიმართ სწორედ დაჭერა, არც მოხრა და არც თამაში.
  - 19 — მარჯვნივ და მარცხნივ მისალმების დროს თავის მიბრუნება.
  - 20 — მისალმებისას მხრებზე ყურება.

## ნამაზის მექრუჭები

- 1 — ტანსაცმლის ჩაცმის მაგივრად, წამოხურვა და ისე ლოცვა.
- 2 — სეჯდეს შესრულების დროს ქვედაბოლოს და შარვლის აკეცვა.
- 3 — შარვლის, ქვედაბოლოსა და მკლავების დაკაპინება და ლოცვის ისე შესრულება.
- 4 — უსარგებლო და ფუჭი ქმედებები.
- 5 — სამუშაო ან ისეთი სამოსის ჩაცმა, რომლითაც უფრო-სების წინაშე ვერ წარსდგები.
- 6 — პირში რაიმე ისეთის დატოვება, რაც კითხვის დროს ხელს შეგიშლის.
- 7 — ლოცვის თავილიად შესრულება.
- 8 — საპირფარეშოში გასვლის საჭიროების შემთხვევაში, თავის შეკავება და ასეთ მდგომარეობაში ლოცვა.
- 9 — ლოცვის დროს სეჯდეს ადგილიდან ქვის ან მინის ხელით მოცილება.
- 10 — ლოცვის დროს თითების გატკაცუნება.
- 11 — ლოცვის დროს ხელის მუცელზე გვერდით დადება.
- 12 — თავის მარჯვნივ მარცხნივ მიტრიალება, გარშემო მყოფთა დათვალიერება. (მკერდის მიმართულების შეცვლის შემთხვევაში ლოცვა ირღვევა).
- 13 — ეთეპიათუს კითხვის დროს მარცხენა ფეხზე არ დაჯდომა.
- 14 — სეჯდეს დროს მამაკაცის იდაყვების ძირს დადება.
- 15 — ადამიანების სახის პირდაპირ ან ხმამაღლა მოლაპა-რაკეთა პირდაპირ ლოცვის შესრულება.
- 16 — ვინმეს მისალმებაზე ხელის ან თავის დაქნევით პა-სუხის გაქცემა.
- 17 — ლოცვისას დამთქნარება.

- 18 — ლოცვისას თვალების დახუჭვა.
- 19 — იმამის მიჰრაბის გარეთ დგომა
- 20 — ჯემა'ეთის განცალკევებით იმამის ნახევარ მეტრზე მეტი სიმაღლეზე დგომა.
- 21 — ჯემა'ეთისგან განცალკევებით იმამზე ძალიან დაბლა დგომა.
- 22 — წინა რიგებში ადგილების შემთხვევაში, უკანა რიგებში განცალკევებით დგომა.
- 23 — რაიმე ცოცხალი არსების გამოსახულების მქონე ტან-საცმლის ჩაცმა.
- 24 — კედელზე ან რაიმე თვალსაჩინო ადგილზე სურათის ჩამოყიდება და მის წინ ნამაზის ლოცვა.
- 25 — ცეცხლის პირდაპირ ლოცვა.
- 26 — ლოცვის დროს აიათების ხელით გადათვლა.
- 27 — თავიდან ფეხებამდე ერთი ფეშტემლის ჩაცმა და ასე ლოცვა.
- 28 — თავის შემონირულობაზე ნაჭრის შემოხვევა, ხოლო შუა ადგილის ღიად დატოვება და ასე ლოცვა.
- 29 — პირისა და ცხვირის მოწმენდა.
- 30 — არასაპატიო მიზეზით ნახველის ამოღება.
- 31 — ხელების მოძრაობა და თამაში.
- 32 — ლოცვის რომელიმე სუნნეთის გამოტოვება.
- 33 — ბავშვით კალთაში ლოცვის დაწყება. (როცა ამის საჭიროება არ არსებობს)
- 34 — მოკრძალებაში ხელისშემშლელ გარემოებაში ლოცვა. მაგ: გემრიელი საჭმლის გვერდით ლოცვა, როცა მისი სურნელება გონებას გიფანტავს.
- 35 — ფარზების შესრულების დროს აუცილებლობის გარეშე კედელზე ან რაიმეზე მიყრდნობა.
- 36 — რუქულ'ის შესრულებისა და წამოდგომის დროს ხელების ყურების დონეზე ატანა.

- 37 — რუქულ’ზე მოხრის დროს ზამმისურას კითხვის დასრულება.
- 38 — სეჯდესა და რუქულ’ის შესრულების დროს იმამზე გასწრება.
- 39 — ლოცვა იმ ადგილებში, სადაც შესაძლოა უსუფთაობა იყოს.
- 40 — სასაფლაოს პირდაპირ ლოცვა.
- 41 — ეთოვეპიათ-ის კითხვისას სუნნეთის შეუსაბამოდ დაჯდომა.
- 42 — პირველთან შედარებით მეორე მუხლზე სამი ან უფრო მეტი აიათების კითხვა.

## **ლოცვის გარეთ მექრუჭი ქცევები**

- 1 — საპირფარეშოში და სხვა ნებისმიერ ადგილას ყიბლას მიმართულებით აბდესთის მოშლა.
- 2 — მთვარისა და მზის პირდაპირ აბდესთის მოშლა.
- 3 — პატარა ბავშვების ყიბლას პირდაპირ დაყენება და მოშარდვინება. ამაზე მშობელმა უნდა გამოიჩინოს ყურადღება.
- 4 — ყიბლას პირდაპირ აუცილებლობის გარეშე ფეხების ან ერთი ფეხის გაშლა.
- 5 — ყურანის და რელიგიური წიგნების მიმართულებით ფეხების გაშლა. თუ წიგნები მაღალ ადგილზე დევს, მაშინ მექრუჭი არ არის.

## **ნამაზის მომშლელი ფაქტორები**

- 1 — აუცილებლობის გარეშე დახველება ან ყელის გაწმენდა და დახველებით.

- 2 — როდესაც ვინმეს დააცემინებს და ლოცვის პროცესში მყოფი იტყვი, „იერჰამუქელლაჲ“.
- 3 — მარტოდ მლოცველი გვერდით ჯგუფურად მლოცველების იმამს თუ რაიმე შეცდომას შეუსწორებს, მისი ლოცვა მოიშლება, თუკი იმამი მიიღებს ამ შესწორებას მაშინ იმამის ლოცვაც მოიშლება.
- 4 — ლოცვის პროცესში „ლაა ილააჲე ილლალლაჲ“ სიტყვებს იმ მოტივით წარმოთქვამ, რომ ვინმეს პასუხი გასცე. თუ მიზანი მხოლოდ სხვებისთვის შეტყობინებაა მაშინ ლოცვა არ მოიშლება.
- 5 — სასირცხო, (აკრძალული) ადგილის გამოჩენა.
- 6 — ტკივილის ან სხვა მისი მსგავსი მიზეზის გამო ტირილი. თუ ტირილის მიზეზი სამოთხეზე ფიქრი ან ჯოჯოხეთისგან შიშია მაშინ ლოცვა არ მოიშლება.
- 7 — სიტყვებით ან ხელით მისალმებაზე პასუხი.
- 9 — ლოცვის დროს ისეთი მოძრაობების შესრულება რომლებიც სხვას აფიქრებინებს, რომ შენ ლოცვას არ ასრულებ.
- 10 — ლოცვის დროს რაიმეს ჭამა ან დალევა.
- 11 — ლოცვის დროს ლაპარაკი.
- 12 — იმამის გარდა სხვა ვინმესთვის შეცდომაზე მითითება.
- 13 — ლოცვის დროს ხმამაღალი სიცილი.
- 14 — ლოცვის დროს ოხვრა და კვნესა.

## **ლოცვის მოშლა შესაძლებელია (მუპაჲია) შემდეგ შემთხვევებში:**

- 1 — გველის მოსაკლავად (თუ საფრთხეს გვიქმნის).
- 2 — გაქცეული ცხოველის დასაჭერად.
- 3 — ცხვრის ფარის მგლისაგან გადასარჩენად.

- 4 — გადმოღვრის ალბათობის დროს ქვაბის გადასარჩენად.
- 5 — საკმარისი დროის შემთხვევაში, აბდესთის აღების მიზნით, შესაძლებელია ლოცვის მოშლა.
- 6 — თუკი პიროვნებას საპირფარეშოთი სარგებლობის ძლიერი მოთხოვნილება შეაწყებს, შეუძლია ლოცვა მოშალოს.

### **შემთხვევები, რომლის დროსაც ლოცვის მოშლა ფარზია:**

- 1 — რათა გადავარჩინოთ ჭაში ჩავარდნილი ვინმე, დაწვის საფრთხისას პირისპირ მყოფი ვინმე, დახრჩობის პირას მისული ვინმე ან კიდევ ბავშვის ხმა, რომელიც შველას ითხოვს.
- 2 — დედის, მამის, ბებიისა და ბაბუის დაძახების შემთხვევაში ფარზი ნამაზის მოშლა ნებადართულია მაგრამ, თუ აუცილებლობა არ არის, არ უნდა მოვშალოთ. ნაფილე და სუნნეთი ლოცვების მოშლა შეიძლება. თუ ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს თქვენი შველა სჭირდებათ, თუნდაც ფარზ ლოცვას ვასრულებდეთ უნდა-შეწყვიტოთ და დავეხმაროთ.

### **ჯემალ'ეთით ლოცვა**

სულ მცირე ორი მამკაციდან თუკი ერთი მათგანი იმამია ეს უკვე ჯემაეთია. მამაკაცებისათვის ფარზი ნამაზის ჯემაეთით შესრულება სუნნეთია. ჯუმისა და ბაირამის ლოცვების ჯემაეთით შესრულება ფარზია. ჰადისებში ვკითხულობთ:

„ჯემა’ეთით შესრულებული ლოცვის მადლიანობა, მარტოდ შესრულებულ ლოცვას 27-ჯერ აღემატება“.

„ვინც აბდესთს აიღებს და მეჩეთში ჯემა’ეთთან ერთად ლოცვის შესასრულებლად წავა, უზენაესი ალლაჰი ყოველი ნაბიჯისათვის თითო მადლს დაუწერს, თითო ცოდვას მიუტევებს და სამოთხეში მის წოდებას აამაღლებს“

ჯემა’ეთით ლოცვა მუსლიმებს შორის ერთიანობას უზრუნველყოფს, სიყვარულსა და პატივისცემას ზრდის. ჯგუფი ერთად იკრიფება და ერთმანეთის დარღვა და სატკივარს იზიარებს. ეს ჯგუფები არის ყველაზე ნათელი მაგალითი მუსლიმების ერთ სისხლად, ერთ ორგანიზმად, ერთ მუშტად შეკვრისა და გაერთიანებისა. ავადმყოფებს, ხეიბრებს და დასუსტებულებს ჯემაეთით ლოცვის შესრულების ვალდებულება არ ეკისრებათ.

ჯემა’ეთით ლოცვის დროს ადამიანს, რომელსაც მღლოცველები მიჰყვებიან იმამი ეწოდება. როგორც იმამს, ასევე ჯემა-ეთს თავისათვის საჭირო პირობები გააჩნია.

## იმამობისათვის საჭირო პირობები:

იმამობისათვის ექვსი პირობაა საჭირო. აქედან თუნდაც ერთი აკლდეს მისი იმამობა და მასთან ერთად შესრულებული ლოცვა მიღებულად არ ჩაითვლება.

- 1 — მუსლიმი უნდა იყოს. ვისაც ებუ ბექრის და ომერულ ფარუყის (რადიელლაპუანჰუმა) ჰალიფობის არ წამს, ასევე არ წამს მი’რაჯის და საფლავის სასჯელის იმამი ვერ იქნება.
- 2 — მოწიფულობის ასაკს უნდა იყოს მიღწეული.
- 3 — გონიერი უნდა იყოს. მთვრალი და გონებირვად ჩამოუყალიბებელი ვინმე იმამი ვერ გახდება.
- 4 — მამაკაცი უნდა იყოს. ქალი მამაკაცების იმამი ვერ გახდება.

- 5 — სულ მცირე სურა ფათიშასა და რამენიმე აიათის უშეც-დომოდ კითხვა უნდა შეეძლოს. ვისაც რამდენიმე აიათის სწორად დაზეპირება და წაკითხვა არ შეუძლია, იმამი ვერ გახდება.
- 6 — უნაკლოობა. ხეიბარი, რომელიც ლოცვის პირობებს სრულფასოვნად ვერ ასრულებს, ჯანმრთელების იმამი ვერ გახდება.

საერთო თვალსაზრისით იმამმა საჭიროა სწორად და გამართულად წაიკითხოს ყურანი. ლამაზი ყურანი, სწორად წაკითხული ყურანია. ლოცვის პირობების მიმართ უპატივცემულო ადამიანის უკან არ ილოცება. (**ლოცვაზე ღვთისმოშიშების უკან დადექით**) ეს ჰადისი ჯუმის ლოცვის წინამძღოლ მართველებს ეხებათ და არა მეჩეთის იმამებს.

იმამობისათვის ყველაზე შესაფერისი პიროვნება რელიგიური კანონებისა და წესების ყველაზე კარგად მცოდნეა. მათ შორის უმჯობესია, ვინც ყურანს უშეცდომოდ, გამართულად და ლამაზად კითხულობს. თუ აქაც თანასწორობაა, მაშინ ვინც ყველაზე მეტად ღვთისმოშია. თუკი აქაც თანასწორობაა მაშინ, უპირატესობა ასაკობრივად უფროსს უნდა მიენიჭოს.

მონის, ბედუინის, ბრმის, ცოდვილის, იმამობა მექრუჟია. იმამმა მლოცველთა მომაბეზრებლად ლოცვა დიდხანს არ უნდა გააჭიანუროს.

მარტო ქალების ჯემა'ეთით ლოცვა მექრუჟია. თუ ნამაზს იმამი და ერთი კაცი ლოცულობენ, მლოცველი იმამის ცოტა უკან დადგეს. თუ მლოცველები ორი ან ორზე მეტი არიან იმამი მათ წინ გავა. მამაკაცს ნება არ ეძლევა ბავშვების ან ქალების უკან ლოცვაზე დადგეს.

იმამის უკან რიგში ჯერ მამაკაცები დგებიან, მათ უკან ბავშვები და მათ უკან ქალები.

თუ ერთ რიგში ქალები და მამაკაცები არეული არიან, მამაკაცების ლოცვა მოიშლება. დამჯდარი, ფეხზე მდგომის, მგზავრი ადგილობრივის, ფარზის მლოცველი ნაფილეს მლოცველის

იმამი რომ გახდეს, შეიძლება. ნაფილეს მლოცველი ფარზის მლოცველის იმამი ვერ გახდება. ნამაზის დასრულების შემდეგ თუ ვინმე შეიტყობს, რომ იმამი უაბდესო იყო, ლოცვა თავიდან უნდა შეასრულოს.

რელაიბის, ყადირის და ბერათის მსგავსი ლოცვბის ჯემა'ე-თით შესრულება მექრუჰია.

ვინც იმამს რუქულ'ზე მიუსწრებს და მიჰყვება, ის მუხლი ჩაითვლება, რუქულ'ის შემდეგ თუ მიუსწრობს და მიჰყვება ის მუხლი აღარ ჩაეთვლება.

იმამზე ადრე რუქულ'ზე წასვლა, სეჯდეზე წასვლა და სეჯ-დედან თავის აწევა თაპრიმენ მექრუჰია. ფარზი ნამაზების შემ-დეგ ადგილის შეცვლა მუსთეპაბია.

თუ მუსლიმი ხუთი დროის ლოცვას ჯემა'ეთთან ერთად შეასრულებს ისეთ მადლს მოიგებს, თითქოს შუამავალთან ერთად ელოცოს.

ჯემა'ეთით ლოცვას ძალიან ბევრი სარგებლიანობა გააჩ-ნია. ამიტომ უმიზეზოდ არ უნდა მივატოვოთ. უნდა ვეცადოთ ხუთი დროის ლოცვა ჯემა'ეთთან ერთად შევასრულოთ. განკითხვის დღეს უზენაესმა ალლაპმა მიწის შვიდი ქვესკნელი და ცის შვიდი წყება და ყველა ცოცხალი არსებები სასწორის ერთ მხარეს რომ დადოს და მეორე მხარეს კი ჯემა'ეთით შესრულებული ლოცვების მადლი, ლოცვის მადლი უფრო დიდი იქნება და სასწორს გადასწონის.

## არსებობს იმამზე მიყოლის ათი პირობა

- 1 — იფთითაპ თექბირის ანუ საწყის თექბირამდე იმამზე მიყოლისთვის განზრახვა „**მივყვები იმამს**“.
- 2 — როდესაც ჯემალ'ეთში არიან ქალბატონები საჭიროა იმამმა განზრახვაში ისინიც ახსენოს. მამაკაცებისთვის ცალკე განზრახვა საჭირო არ არის, თუმცა იმამი ჯემალ'ეთით ლოცვის მადლს ვერ მოიგებს.

- 3 — ჯემაღ'ეთი იმამის უკან უნდა დადგეს, სულ მცირე მათი ქუსლები, იმამის ქუსლების უკან უნდა იყოს.
- 4 — იმამი და ჯემაღ'ეთი ერთი და იგივე ლოცვას უნდა ას-რულებდეს.
- 5 — იმამსა და მამაკაცებისგან შემდგარ ჯემა'ეთის მწკრივებს შორის ქალების რიგი არ უნდა იყოს.
- 6 — იმამსა და ჯემა'ეთს შორის სავალი გზა ან მდინარე არ უნდა იყოს.
- 7 — იმამი ან ჯემაღ'ეთის რომელიმე წევრი არ უნდა იმყოფებოდეს ისეთ ადგილზე საიდანაც იმამს ვერ ხედავს ან მისი ხმა არ ესმის.
- 8 — იმამი გადასაადგილებელ რომელიმე ცხოველის ზურგზე, ხოლო ჯემაღ'ეთი მიწაზე, ანკიდევ პირიქით მდგომარეობაში არ უნდა იყოს.
- 9 — იმამი და ჯემაღ'ეთი ორ სხვადასხვა ისეთ გემებზე არ უნდა იმყოფებოდენ, რომლებიც ერთმანეთისგან ცალ-ცალკე გადაადგილდება.
- 10 — სხვა მეზჰების იმამზე ჯემა'ეთის მიყოლის მდგომარეობასთან დაკავშირებით შემდეგი გადმოცემა არ-სებობს: იმამს, რომელსაც კონკრეტული მეზჰების მიხედვით, არანაირი ნაკლი არ აქვს, შეუძლია სხვა მეზჰების მიმდევარმა მასთან ერთად ლოცვა შეასრულოს.

ჯემაღ'ეთი თუ ერთ კაციანია, ის პიროვნება იმამის მარჯვნივ დადგება. მარცხნივ დადგომა მექრუჟია, უკან დადგომაც მექრუჟია. თუ ჯემაეთი ორი ან მეტია ისინი იმამის უკან დადგებიან.

იმამთან ერთად შესრულებული ლოცვა ცალკე შესრულებულ ლოცვის მსგავსია, თუმცა როცა იმამი ხმამაღლა ან ჩუმად კითხულობს ყურანს, ჯემა'ეთი ამდროს არაფერს არ კითხუ-

ლობს. როდესაც იმამი სურა ფათიშას ხმამაღლა წაკითხვას და-ასრულებს, ჯემა'ეთი ხმადაბლა იტყვის „აამიინ“. რუქულ'იდან წამოდგომისას იმამი იტყვის: „**სემი ღ'ალლაჲუ ლიმენ ჰამი-დეჲ**“ ამ დროს ჯემა'ეთი გაიმეორებს შემდეგ სიტყვებს: „რაბბე-ნა ლექელ ჰემდ“. მის შემდეგ წარმოთქვამენ რა სიტვებს, „ალ-ლაჲუ ექბერ“ ჯემა'ეთი იმამათან ერთად სეჯდეს შეასრულებს. რუქულ'ის, სეჯდების და ჯდომის დროს ჯემაეთს ინდივიდუალურად შესრულებული ლოცვის მსგავსად შეუძლია იყითხოს.

რამადნის თვეში ვითრი ლოცვა ჯემაეთთან ერთად სრულდება, სხვა დროს კი ყველა თავისით დამოუკიდებლად.

## მესბუქის ნამაზი

იმამზე მიმყოლი ჯემა'ეთი ოთხი ჯგუფისაა. ესენია. **მუდ-რიქი, მუყთედი, მესბუყი, ლაჲიყი.**

**მუდრიქი,** ეს არის მლოცველი, რომელიც იფთითაპ თექ-ბირს იმამთან ერთად იწყებს.

**მუყთედი,** ეს არის პიროვნება, რომელმაც იფთითაპ თექ-ბირს ვერ მიუსწრო.

**მესბუყი,** ეს არის პიროვნება, რომელმაც პირველ მუხლზე ვერ მიუსწრო.

**ლაჲიყი,** ეს არის პიროვნება, რომელმაც იფთითაპ თექბირს მიუსწრო, ლოცვა იმამათან ერთად დაიწყო, თუმცა ლოცვის დროს აბდესთი მოეშალა, ხელახლა აიღო აბდესთი და იმამს ლოცვის დასრულებამდე მიუსწრო. თუ ეს პიროვნება ამ დროს ამქვეყნიურ არაფერს იღაპარაკებს, გააგრძელებს ჩვეულებრივად იმამზე მიყოლას. თუმცა აბდესთის ადგილი მეჩეთთან ახლოს უნდა იყოს, ძალიან თუ დამორდება ლოცვა მოიშლება.

მესბუქი, ანუ ვინც პირველ მუხლს ვერ მიუსწრო, როდესაც იმამი ორივე მხარეს სელამს მიცემს, ადგება და იმ მუხლებს ილოცავს, რომლებსაც ვერ მიუსწრო.

**ამ ხუთ რამეს თუკი იმამი არ აკეთებს, არც ჯემა'ეთი გა-აკეთებს:**

- 1 — თუკი იმამი ყუნუთის ვედრებებს არ იკითხავს არც ჯემა'ეთი წაიკითხავს.
- 2 — თუკი იმამი ბაირამის ლოცვაზე თექბირებს არ წარმო-თქვამს, არც ჯემა'ეთი გაიმეორებს.
- 3 — თუკი იმამი ოთხმუხლიანი ლოცვის დროს მეორე მუხლზე არ დაჯდება არც ჯემა'ეთი დაჯდება.
- 4 — თუკი იმამი სეჯდეს აიათს წაიკითხავს და თილავეთი სეჯდეს არ შეასრულებს, არც ჯემა'ეთი შეასრულებს.
- 5 — თუკი იმამი სეპივ სეჯდეს არ შეასრულებს, არც ჯემა-ეთი შეასრულებს.

**ამ ოთხ რამეს თუკი იმამი გააკეთებს, ჯემა'ეთი არ გაა-კეთებს:**

- 1 — თუკი იმამი ორზე მეტ სეჯდეს შეასრულებს, ჯემა'ეთი არ შეასრულებს.
- 2 — თუკი იმამი პირველ მუხლზე ბაირამის თექბირს სამზე მეტს წარმოთქვამს ჯემა'ეთი არ გაიმეორებს.
- 3 — თუკი იმამი მიცვალებულის განსასვენებელი ლოცვის დროს ოთხზე მეტ თექბირს წარმოთქვამს, ჯემა'ეთი არ გაიმეორებს.
- 4 — თუკი იმამი მეხუთე მუხლზე წამოდგება ჯემა'ეთი არ ადგება, იმამს დაელოდება და ლოცვის დასრულე-ბისთვის სელამს ერთად მიცემენ.

**შემდეგ ათ რამეს იმამი თუ არ გააკეთებს, ჯემა'ეთი გაა-კეთებს:**

- 1 — იფთითაპ თექბირის დროს ხელების მაღლა აწევა.
- 2 — სუბჰანექეს კითხვა.
- 3 — რუქულ'ზე წასვლისას თექბირის წარმოთქმა
- 4 — რუქულ'ზე „სუბჰანე რაბბიელ ღ'აზიმ“-ის კითხვა.
- 5 — სეჯდეს დროს თავის ძირს დადებისას და აწევისას თექბირის წარმოთქმა.

- 6 — სეჯდეს დროს „სუბჰანე რაბბიელ ეღ'ლა“ კითხვა.
- 7 — თუკი იმამი, „სემიღ'ლლაჰაჰუ ლიმენ ჰემიდეჰ“-ს არ იტვის, ჯემა'ეთი მაინც წარმოთქვამს, „რაბბენა ლექელ ჰამდ“.
- 8 — ეთეპიათუს ბოლომდე კითხვა.
- 9 — ლოცვის დასასრულს სელამის მიცემა.
- 10 — ყურბან ბაირამის დროს 23 ფარზი ლოცვების დასრულების შემდეგ თექბირიყ თექბირების კითხვა.

## **იფთითაჲ თექბირის მნიშვნელობა და მადლი**

თუ ადამიანი იფთითაჲ თექბირს იმამთან ერთად დაიწყებს, ისე დაცვივდება ცოდვები, როგორც შემოდგომაზე ხეებს ფოთლები.

ერთხელ როდესაც ალლაჰის შუამავალი ლოცვას ასრულებდა, მასთან მივიდა ერთი კაცი, რომელმაც დილას ლოცვის საწყის თექბირს ვერ მიუსწრო და უთხრა: მე დილას საწყის თექბირს ვერ მივუსწარი, მაგრამ ამის მერე ერთ მონა გავათავისუფლე და მაინტერესებს თექბირის მადლი დავიმსახურე თუ არაო. მაშინ შუამავალი (სალლალლაჰუ ელაიჰი ვესელლემ) მიუბრუნდა ებუ ბექირს და ჰეკითხა: რას იტყვი შენ ამ საკითხთან დაკავშირებით. ებუ ბექირმა მიუგო: მე რომ თვალ მარგალიტით დატვირთული ორმოცი აქლემი მყავდეს და ორმოცივე რომ ღარიბებს ვაჩუქო, იფთითაჲ თექბირის მადლს მაინც ვერ დავიმსახურებ.

**ამის შემდეგ შუამავალმა ომერს კითხა შენ რას იტყვი ამ საკითხის შესახებ?** ომერმა მიუგო: თვალ-მარგალიტით დატვირთული იმდენი აქლემი, რომ მყავდეს, რამდენიც მექასა და მედინას გზებს სრულად დაიკავებდა, და ეს ყველაფერი ღარიბებს დავურიგო, იფთითაჲ თექბირის მადლს მაინც ვერ ვენევი.

ამის შემდეგ შუამავალმა (სალლალლაპუ ელაიჰი ვესელ-ლემ) ოსმანს კითხა, შენ რაღას იტყვი ამ საკითხთან დაკავშირებით? ოსმანმა მიუგო: მთელი ღამე ორი მუხლი ნამაზი რომ ვილოცო და თითოეულ მუხლზე ყურანი თავიდან ბოლომდე, რომ ვიკითხო, იფთითაპ თექბირის ტოლ მადლს მაინც ვერ დავიმსახურებ.

ბოლოს ალლაპის შუამავალმა (სალლალლაპუ ელაიჰი ვესელლემ) ანალოგიური კითხვით ალის მიმართა. ალიმ მიუგო: აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე ურნწმუნოებს ღვთის მიერ მონიჭებული ძალით რომ ვებრძოლო და დავამარხცო, იმამთ-თან ერთად შესრულებულ იფთითაპ თექბირის მადლს ვერ დავიმსახურებო.

ბოლოს ალლაპის შუამავალმა (სალლალლაპუ ელაიჰი ვესელლემ) იქ მყოფებს მიმართა: „მორწმუნენო! იფთითაპ თექ-ბირის მადლი ანგელოზებმა განკითხვის დღემდე რომ წე-რონ, ვერ ამოწურავენ“...

## სასახლეში გაკეთებული მეჩეთი

იმამი აზამ ებუ ჰანიფეს მოსწავლე, იმამი ებუ ისუფი, ჰარუნ რეაშიდის მმართველობის დროს ყადი იყო. ერთ დღეს ებუ იუ-სუფი, როდესაც ჰარუნ რეშიდთან იმყოფებოდა, ერთმა პიროვ-ნებამ მეორეს უჩივლა. ჰარუნ რაშიდის ვეზირმა თქვა, რომ იგი მოწმე იყო ყველაფრის რაც მოხდა. იმამ უბუ იუსუფმა მის მოწ-მეობას არ დათანხმდა. ჰალიფამ უარის მიზეზი ჰკითხა. იმამ ებუ იუსუფმა მიუგო: ერთ დღეს მას რაღაც საქმე დაავალეთ. მან გითხრათ: თქვენი მონა-მორჩილი ვარ. ეს თუ მართალია მო-ნის მოწმობა არ შეიძლება და თუ ტყუილია ტყუილის მთქმელის მოწმეობაც არ შეიძლება. ხალიფამ თქვა: მე ვიქნები მოწმე, თა-ნახმა იქნებით? არა, არ ვიქნები. რატომ? შენ ლოცვებს ჯემა'ე-თით არ ლოცულობ. ჰალიფამ მიუგო: მართალი ბრძანდებიო და მაშინვე სასახლეში მეჩეთის გაკეთება ბრძანა. ამის შემდეგ ლო-ცვებს ყოველთვის ჯემა'ეთით ასრულებდა.

## ჯუმა ნამაზი

უზენაესმა ალლაჰმა პარასკევი-ჯუმა დღე მუსლიმებისთვის განსაკუთრებულ დღედ დაადგინა. გამომდინარე აქედან, ჯუმა დღეს შუადღეს ჯუმის ლოცვა დიადი გამჩენის ბრძანებაა. უზენაესი ალლაჰი სურა ჯუმას მე-9-ე და 10-ე აიათებში ბრძანებს: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! როცა მოგიხმობენ ლოცვისთვის პარასკევ დღეს, მაშინვე ისწრაფეთ ალლაჰის ხსენებისკენ და შეწყვიტეთ ვაჭრობა. ს თქვენთვისვეა უკეთესი, რომ იცოდეთ თქვენ! ხოლო როცა დასრულდება ლოცვა, მიმოიფანტეთ დედამიწაზე, ეძიეთ ალლაჰის მადლისგან და მრავალჯერ ახსენეთ ალლაჰი, ეგების გადარჩეთ!“

ლოცვის დასრულების შემდეგ ვისაც სურს თავის საქმეს დაუბრუნდება, ვისაც უნდა მეჩეთში დარჩება ვედრებას აღავლენს და ყურანს იკითხავს. ჯუმის ლოცვის დროს ვაჭრობა და სხვა საქმეები ცოდვად ითვლება.

ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰჲ ალეიჰი ვე სელლემ) სხვადასხვა ჰადისებში ბრძანებს:

(მუსლიმი, რომელიც პარასკევობით დიდ აბდესს აიღებს, მეჩეთში ჯუმას ილოცავს ერთი კვირის ცოდვები მიიღებენ) და ყველა გადადგმული ნაბიჯისათვის მადლი დაეწერება)

(დღეთა შორის პარასკევი ყველაზე მადლიანია, პარასკევი დღე ამქვეყნად და სამოთხეში მუსლიმთა ბაირამია)

„ვინც უმიზეზოდ სამ ჯუმა ნამაზს არ შეასრულებს მათ-თვის უზენაესი ალლაჰი გულის კარებს დალუქავს“.

(ჯუმა ნამაზის მერე არის საათი როდესაც ვედრება აუცილებლად შესმენილი იქნება)

(ჯუმა ნამაზის მერე, ვინც შვიდჯერ სურა იჰლასს, ფელეყსა და ნაასს იკითხავს უზენაესი ალლაჰი ერთი კვირა ცუდ საქმეებისგან, უბედური შემთხვევებისაგან დაიფარავს)

(როგორც შაბათი დღე ებრაელებს, ხოლო კვირა დღე ქრისტიანებს ებოდათ. ასევე პარასკევი დღე მუსლიმებისაა. ამ დღეს მუსლიმთათვის, სიკეთე ხვავი და ბარაქა მოაქვს)

პარასკევობით შესრულებული ღვთისმსახურების სანაცვლო მადლი სხვა დღეებში შესრულებულს სულ მცირე ორჯერ აღემატება. ასევე პარასკევ დღეს ჩადენილი ცოდვა ორჯერ მეტად ჩაითვლება.

პარასკევი სასაფლაოების მონახულების დღეა, ამ დღეს საფლავში მყოფთა ტანჯვა შეჩერებულია. რამადნის თვეში და პარასკეობით გარდაცვლილი მუსლიმები სასაფლაოს ტანჯვას არ გაივლიან. პარასკევობით ჯოჯოხეთი ძალიან ცხელია, უზენაესმა ალლაპმა შუამავალი ადემი პარასკევ დღეს გააჩინა, სამოთხიდან პარასკევს დღეს გამოიყვანა და სამოთხის მკვიდრნი დიდებულ ალლაპს პარასკეობით იხილავენ.

## ჯუმა ნამაზის ფარზები

ჯუმა (პარასკევ) დღეს 16 მუხლი ილოცება. მათ შორის ორი მუხლის ლოცვა ფარზია. იმისათვის, რომ ჯუმა ნამაზი ფარძი იყოს, არსებობს ორი აუცილებელი პირობა:

1 — ედა.

2 — ვუჯუბი.

ედას პირობათგან ერთი რომელიმეს ნაკლოვნება, ჯუმის ლოცვას არასრულფასოვანს გახდის. ამასთან ვუჯუბის პირობათაგან ერთი რომელიმეს ნაკლოვნება ლოცვის სრულფასოვნებას ხელს არ შეუშლის.

ედა —

იმისათვის, რომ ჯუმა ნამაზი მიღებული რომ იყოს  
არსებობს შვიდი პირობა:

1 — ჯუმა ნამაზი ქალაქში, რაიონში ან სოფელში მეჩეთში უნდა შესრულდეს.

- 2 — სახელმწიფო მეთაურის ან გუბერნატორის ნებართვით. აგრეთვე მათ შეუძლიათ უფლებამოსილება სხვასაც გადასცენ.
- 3 — შუადღის ნამაზის დროს შესრულება.
- 4 — ლოცვის დროის ფარგლებში ხუტბის წაკითხვა. „ისლამის სწავლულები დასძენენ, რომ ჯუმის ჰუტბა ისეთივეა, როგორც ლოცვის დროს „ალლაჰუ ექბერის“ წარმოთქმა.

ხუტბა არაბულად იკითხება. იმამი ჩუმად „ელ'უზუ ბესმელეს“ შემდეგ ხმამაღლა „ჰამდსა და სენას, ქელიმეი-შეჰადეთსა და სალათუ-სელამს იკითხავს. შემდეგ ჯილდოსა და სასჯელის მიზეზებს გაიხსენებს და ყურანიდან შესაბამის აიათს წაიკითხავს. ამის შემდეგ მცირე ხნით დაჯდება, შემდეგ ისევ ადგება და მეორე ხუტბას წაიკითხავს. მორწმუნებისთვის ვედრებას აღავლენს, ოთხი ჰალიფას სახელის გახსენება მუსთეჰაბია. ხუტბას მოკლედ კითხვა სუნნეთია, ხოლო გრძლად კითხვა მექრუჰია.

- 5 — ჯუმის ლოცვის წინ ხუტბის წაკითხვა.
- 6 — ჯუმა ლოცვის ჯემა'ეთით შესრულება.
- 7 — მეჩეთის კარები ყველასათვის ღია უნდა იყოს.

## ჯუმა ნამაზის ვუჯუბის ანუ აუცილებლობისთვის 9 ჰირობა არსებობს

- 1 — მოგზაურობაში არ უნდა იმყოფებოდეს. მგზავრებისთვის ფარზი არ არის.
- 2 — ჯანმრთელი უნდა იყოს. (ავადმყოფებისათვის, ავადმყოფების მომვლელთათვის და ზედმეტად ხანდაზმულებისთვის ფარზი არ არის).
- 3 — თავისუფალი უნდა იყოს.

- 4 — მამაკაცი უნდა იყოს. (ქალებისათვის ფარზი არ არის).
- 5 — გონიერი და მოწიფებულობის ასაკს უნდა იყოს მიღწეული.
- 6 — მხედველობის მქონე უნდა იყოს. (თუნდაც თანმხლები ჰყავდეს ბრძანათათვის ფარზი არ არის).
- 7 — გადაადგილების უნარი უნდა ჰქონდეს.
- 8 — თავისუფალი უნდა იყოს, მათთვის ვისაც მთავრობისა და მტრის შეზღუდვა არ აქვს.
- 9 — არ უნდა იყოს თოვლის ქარიშხლის ტალახისა და სიცივის სარფრთხე.

## ჯუმა ნამაზი როგორ ილოცება?

პარასკევ დღეს შუადღის ლოცვისთვის ეზნის კითხვის შე-დეგ 16 მუხლი ლოცვა სრულდება. თანამიმდევრობა ასეთია:

- 1 — ჯერ ჯუმა ნამაზის „პირველი ოთხი მუხლი სუნნეთი“ უნდა შევასრულოთ. ეს სუნნეთი შუადღის ლოცვის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის მსგავსად სრულდება. განზრახვა შემდეგნაირია: „ღმერთო ჩემო! განვიზრახე, ჯუმის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის შესრულება, დავდექი ყიბლას მიმართულებით, ჩემი ყიბლა ქა'ბაა, -ალლაჰჰ ექბერ“.
- 2 — შემდეგ მეჩეთში ჯერ შიდა ეზანი და ხუჭბა იკითხება.
- 3 — ხუჭბის შემდეგ ყაამეთი იკითხება და ჯემა'ეთით ჯუმის ორი მუხლი ფარზი სრულდება.
- 4 — ამის შემდეგ ოთხი მუხლი ჯუმა ნამაზის „ბოლო სუნნეთი“, სრულდება. ეს ოთხი მუხლი სუნნეთი შუადღის ნამაზის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის მსგავსია.
- 5 — ამის შემდეგ ისეთი მუხლი „ზუხრი აახირი“ ფარზი ილოცება. განზრახვა შემდეგნაირად სრულდება: „ღმერთო ჩემო! განვიზრახე, ოთხი მუხლი ზუხრი ახირი ილოცება?“

- რის შესრულება, დავდექი ყიბლას მიმართულებით, ჩემი ყიბლა ქა'ბაა, -ალლაჰუ ექბერ“. „ზუხრი ახირი“ შუადღის ლოცვის ფარზის მსგავსად სრულდება.
- 6 — ბოლოს კი ორი მუხლი „დროის სუნნეთი“ სრულდება, რომელიც დილის ორი მუხლი სუნნეთის მსგავსად სრულდება: „ღმერთო ჩემო! განვიზრახე, დროის ორი მუხლი სუნნეთის შესრულება, დავდექი ყიბლას მიმართულებით, ჩემი ყიბლა ქა'ბაა, -ალლაჰუ ექბერ“.
  - 7 — ლოცვის დასასრულს ვკითხულობთ „აიათელ-ქურსს“ და აღვავლენთ ვედრებას.

## სუნნეთები, რომელიც ჯუმა დღეს უკავშირდება:

- 1 — პარასკევის ხუთშაბათი დღიდან შეგებება.
- 2 — პარასკევ დღეს დიდი განბანვის შესრულება –(ღუსლი).
- 3 — თმების შეჭრა, წვერის მოწესრგება, ფრჩხილების დაჭრა და სუფთა ტანსაცმლის ჩაცმა.
- 4 — ჯუმის ლოცვაზე შეძლებისდაგვარად ადრე წასვლა.
- 5 — მეჩეთში წინა რიგებში დადგომისთვის ჯემა'ეთის წევრების შეწუხებისგან თავის შეკავება.
- 6 — მეჩეთში მლოცველებსწინ არ უნდა გავუაროთ.
- 7 — ხუტბის კითხვისას ლაპარაკის შეწყვეტა, ასევე თუკი ვინმე ისაუბრებს შენიშვნის მიცემისგან თავის შეკავება.
- 8 — ჯუმის ლოცვის დასრულების შემდეგ სურა ფათიჰას, ქაფირუნის, იჰლასის, ფელეყისა და ნაასის შვიდჯერ კითხვა.
- 9 — სამხრობის (იქინდი) ლოცვამდე მეჩეთში დარჩენა ლოცვა და ღვთისმსახურება.

- 10 — ეპლი სუნნეთის სწავლულების დარიგებების მოსმენა და დროის წიგნის კითხვაში გატარება.
- 11 — ჯუმა დღის ღვთისმსახურებაში გატარება.
- 12 — პარასკევ დღეს სალავათის ხშირად განმეორება.
- 13 — ყურანისა და განსაკუთრებით **სურა ქეპფის** კითხვა.
- 14 — მოწყვალების -სადაყის გაცემა.
- 15 — დედ-მამის ან მათი სასაფლაოების მონახულება.
- 16 — ოჯახში კერძების მომზადება და ტკბილეულის გამოცხობა.
- 17 — არასავალდებულო „ნააფილე“ ლოცვების შესრულება. ვისაც აქვს, მათთვის უმჯობესია გამოტოვებული ლოცვების შესრულება.

## **ბაირამ ნამაზები**

რამადან და ყურბან ბაირამის პირველ დღეს მზის ამოსვლის შემდეგ ბაირამის ლოცვა მუსლიმი მამაკაცებისათვის ვაჯიბია.

ბაირამის ნამაზის პირობები ჯუმა ნამაზის პირობების მსგავსია, განსხვავება ისაა რომ ბაირამ ნამაზზე ხუტბა სუნნეთია და ლოცვის შემდეგ იკითხება.

რამადან ბაირამის ლოცვამდე ტკბილის მირთმევა, დიდი განბანვის შესრულება, მისგაეს გამოყენება, საუკეთესო ტანსაცმლის ჩაცმა და ფითრის გაცემა ლოცვის წინ და გზაში ნელნელა თექბირის კითხვა მუსთეპაბია.

ხოლო ყურბან ბაირამის დროს ლოცვაზე ნასვლისას გზად თექბირების ნარმოთქმა, ლოცვამდე უჭმელობა და ლოცვის შემდეგ ყურბნის ხორცით ჭამის დაწყება მუსთეპაბია.

ბაირამის ნამაზები ორ მუხლიანია. ბაირამის ლოცვა ჯემა'ეთით სრულდება.

## როგორ სრულდება რამადან ბაირამის ლოცვა

1. სადღესასწაულო ლოცვა -ბაირამ ნამაზი დილას მზის ამოსვლიდან 45 წუთის შემდეგ სრულდება. თუკი რამადნის სადღესასწაულო ლოცვის შესრულება საპატიო მიზეზების გამო პირველ დღეს ვერ მოხერხდა, შესაძლებელია მისი მეორე დღეს შესრულება. სადღესასწაულო ლოცვა, ჰანბელი მიმდინარეობის მიხედვით ფარზი ქიფაიე, ჰანეფის მიხედვით ვაჯიბი, ხოლო შაფისა და მალიქის მიმდინარეობის მიხედვით სუნნეთია. რაც შეეხება სადღესასწაულო ლოცვის პირობებს იგი ჯუმის ლოცვის ანალოგიურია და ის ვინც ვალდებულია ილოცოს ჯუმა, ასევე ვალდებულია შეასრულოს სადღესასწაულო ლოცვაც.

2. სადღესასწაულო ლოცვა ორი მუხლისგან შედგება, თუმცა სხვა ორ მუხლიანი ლოცვებისგან თითოეულ მუხლზე სამ-სამი დამატებითი „თექბირებით“ განსხვავდება. „დამატებითი „თექბირები“ პირველ მუხლზე ვედრება „სუბჰანექს“-ა და სურა „ფათიჰას“ შორის, ხოლო მეორე მუხლზე რუქულზე წასვლის წინ უნდა წარმოვთქვათ. ამას კი ისლამის ტერმინოლოგიაში „ზევაიდი თექბირები“ ეწოდება. განზრახვა შემდეგნაირად სრულდება: „„ღმერთო ჩემი! განვიზრახე, რამადან ბაირამის ორი მუხლი ვაჯიბი ლოცვის შესრულება, დავდექი ყიბლას მიმართულებით, ჩემი ყიბლა ქა'ბაა, -ალლაჰჰუ ექბერ“.

3. სადღესასწაულო ლოცვის დასრულების შემდეგ, ისე როგორც ჯუმის ლოცვის შემთხვევაში ხდება, იკითხება ხუტბა-ქადაგება. ქადაგების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს სოციალური თანადგომის, ერთიანობისა და დღის წესრიგში არსებულ საკითხების შესახებ. გამომდინარე იქედან, რომ ჯუმისა და სადღესასწაულო ლოცვის დროს ჯამა'ეთი მრავლად არის, ისინი ამ დროს უფრო ყურადღებით უსმენენ. იმისათვის, რომ ასეთ დროს უფრო მეტმა მუსლიმმა შეძლოს ლოცვის შესრულება,

მეჩეთში შეკრებილმა ჯამა'ეთმა ყურადღება უნდა გამოიჩინოს და შესაძლებლობის ფარგლებში მჭიდროდ დადგენ ლოცვაზე.

## თეშრიყ თექბირები

ყურბან ბაირამის წინა დღეს –არაფა დღეს დილის ლოცვის დროს იწყება და მეოთხე დღეს სამხრობის ლოცვის დროს ჩათვლით ყოველი ფარზი ლოცვის დასრულების შემდეგ განურჩევლად მამაკაცისა და ქალისა, თეშრიყ თექბირების წაკითხვა ვაჯიბი ანუ სავალდებულოა.

თეშრიყ თექბირები არ იყითხება ჯანაზის ლოცვის შემდეგ. ჯემა'ეთის ლოცვის შემთხვევაში თუკი იმამს დაავიწყდება, ჯემა'ეთის წევრებმა უნდა გაიმეორონ.

**თეშრიყ თექბირი:** „ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ, ლაა ილააჰე ილლელლააჰუ ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ ვე ლილ-ლაჰილჰამდ“

## მზადება სიკვდილისთვის

სიკვდილის ხშირად გახსენება ყველაზე დიდი დარიგებაა. ყველა მორწმუნისთვის სიკვდილის ხშირად გახსენება სუნნეთია, რადგან სიკვდილის გახსენება მიზეზი ხდება ალლაჰის ყველა ბრძანების შესრულების, ცოდვებისაგან განდგომის, ჰარამ ქმედებაზე უარის თქმის. ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანებს: „ხშირად გაიხსენე სიკვდილი, რომელიც ანადგურებს ცხოვრებისეულ სიტკბოს და ბოლოს უდებს გართობა-მხიარულებას!“ (თირმიზ, 2307) ზოგიერთ სწავლულს სიკვდილის გახსენება ყოველდღიურ წესად ჰქონდა დადგენილი. ხოლო დიდი სწავლული მუჰამმედ ბუხარი, საკუ-

თარ თავს მკვდარსა და საფლავში განსვენებულს წარმოიდგენდა.

ამქვეყნისადმი გადაჭარბებული სიყვარული დიდხანს სიცოცხლის სურვილს ნიშნავს. ლოცვასა და ღვთისმსახურებისთვის დიდხანს სიცოცხლის სურვილი კი ამას არ ნიშნავს. ვისაც გულში ამქვეყნისადმი გადაჭარბებული სიყვარულის ცეცხლი უნთია, ღვთისმსახურებას საჭირო დროს არ ასრულებენ, მონანიებას თავს ანებებენ და გულები უუხეშდებათ. სიკვდილი აღარ ახსენდებათ, რჩევა-დარიგებებში სასიკეთოს ვერაფერს ხედავენ. ასეთი ადამიანი ამქვეყნიური ქონებისა და საკუთრების მოსაპოვებლად მთელ სიცოცხლეს ხარჯავს. საიქიოს ივიწყებს, მარტო ქეიფს, დროსტარებას და სიამოვნებას მისდევს.

ჰადისებში ვკითხულობთ:

„წარმოიდგინეთ სიკვდილი სანამ მოკვდებოდეთ. სანამ ანგარიშწორებაზე წარსდგებოდეთ, საკუთარი თავი თავადვე განიკითხეთ!“

„ვინც დღე და ლამე სიკვდილს იგონებს, განკითხვის დღეს შეჰიდების გვერდით იქნება“

„სიკვდილი ხშირად გაიხსენეთ, რამეთუ სიკვდილის გახსენება ადამიანს ცოდვების ჩადენისაგან იცავს და მავნებელი ქმედებებისგან შორს დადგომის საბაბი ხდება.“

## რა არის სიკვდილი?

სიკვდილი არ ნიშნავს ყველაფრის დასასრულს. სიკვდილი სულის და სხეულის განცალკევებაა, სულის მიერ სხეულის დატოვებაა. სიკვდილი ადამიანის ერთი მდგომარეობის მეორეთი შეცვლაა, ერთი სახლიდან მეორეში გადაბარგების მსგავსია. ომერ ბინ აბდულაზიზმა პრძანა: „თქვენ მარადიულობისთვის ხართ გაჩენილი, მაგრამ ერთი სახლიდან მეორეში გადაინაცვლებთ“. სიკვდილი საჩუქარია, ჯილდოა მუსლიმისთვის. ცოდ-

ვილთათვის კი საშინელი უბედურებაა. ღირსეული მორწმუნე სიკვდილის მერე ამქვეყნიური ტანჯვისა და დაღლილობისაგან თავისუფლდება. ხოლო სასტიკი ადამიანების სიკვდილის შემდეგ ქვეყანა და ადამიანები ბედნიერებასა და მშვიდობას ეზიარებიან ხოლმე. აი ერთი ძველი ფრაზა, რომელიც სასტიკი ადამიანის სიკვდილის შესახებ არის ნათქვამი:

„არც თვითონ მოისვენა, არც ხალხი მოასვენა,  
ალიგავა პირისაგან მიწისა, გაუძლოს მას საფლავმა.“

მუსლიმის სხეულიდან სულის განშორება, ადამიანის ტყვეობიდან განთავისუფლებას ჰგავს, მუსლიმი სიკვდილის შემდეგ ამქვეყნად დაბრუნებას ალარინატრებს. სიკვდილი მუსლიმისთვის საჩუქარია. მისი საფლავის ცხოვრება კი სამოთხის ბალებს, ურწმუნოსი კი ჯოჯოხეთის ორმოების მსგავსია.

## სიკვდილი სინამდვილეა

განა სიკვდილისაგან გადარჩენა შესაძლებელია? რა თქმაუნდა არა. ადამიანს თავისი სიცოცხლის ერთი წამითაც კი გადავადება არ შეუძლია. როცა დადგება უამი, მოკვდება. ეს დრო ზუსტი და სწრაფია. და როგორც ყურანში ვკითხულობთ: „... როცა მოვა დრონი მათნი, არც ერთი საათით გადავადდება და არც დაჩქარდება!“ (სურა ელრაფი, 7/34)

ადამიანი კვდება იქ, სადაც და როდესაც ალლაჰი საჭიროდ მიიჩნევს. კვდება და ტოვებს ყველაფერს; ქონებას, საკუთრებას, ოჯახსა და შვილებს.

უზენაესმა ალლაჰმა უწყის თუ რამდენჯერ ამოვისუნთქავთ დღეში. მისი ცოდნა ყოვლის მომცველია. და თუ ცხოვრებას ღვთისმსახურებაში გავატარებთ, დასასრულიც ბედნიერი იქნება, რადგან ალლაჰუ თეალა აზრაილს უბრძანებს: „ჩემი ერთგული მსახურების -მორწმუნების სული იოლად და უმტკივნეულად ჩაიბარე, ხოლო მტრებისა და ურწმუნოების

**მტკიცნეულად**“. რაოდენ სასიხარულოა ეს ცნობა მორწმუნეთათვის და რა სამწუხაროა ურწმუნოთათვის.

## **მიცვალებულის ნამაზი**

ადამიანის გარდაცვალებისას მისი ახლობელი მამაკაცებისთვის და თუ მამაკაცი არ ჰყავს ქალებისათვის მიცვალებულის განსასვენებელი ლოცვა ფარზი ქიფაიეა. ეს არის ლოცვა აღლაპისათვის და ვედრება (დუა) მიცვალებულისათვის.

## **მიცვალებულლის ნამაზის პირობები:**

- 1 — მიცვალებული მუსლიმი უნდა იყოს.
- 2 — განბანილი უნდა იყოს. თუ დაუბანელი მიცვალებული საფლავში ჩაასვენეს, და თუ ჯერ მიწა დაყრილი არ აქვს, უნდა იქნას ამოსვენებული, განბანილი და ამის შემდეგ უნდა შესრულდეს ლოცვა. მიცვალებულისა და იმამის ადგილი სუფთა უნდა იყოს.
- 3 — მიცვალებულის სხეულის ნახევარი და თავის ნახევარზე მეტი ნაწილი სახეზე უნდა იყოს.
- 4 — მიცვალებული მიწაზე ან ქვაზე უნდა იქნა დასვენებული. მიცვალებულის თავის მხარე იმამის მარჯვნივ, ხოლო ფეხების მხარე იმამის მარცხნივ უნდა იქნას განთავსებული.
- 5 — მიცვალებული იმამის წინ უნდა იყოს.
- 6 — მიცვალებულსა და იმამს სასირცხო ადგილები დაფარული უნდა ჰქონდეთ.

## **მიცვალებულის განსასვენებელი ლოცვის ფარზები:**

- 1 — ოთხჯერ თექბირის წარმოთქმა.
- 2 — ფეხზე დგომა.

## **მიცვალებულის განსასვენებელი ლოცვის სუნნეთები:**

- 1 — სუბჰანექეს კითხვა.
- 2 — სელავათის კითხვა.
- 3 — მიცვალებულისთვის, და ყველა მუსლიმის შეწყალების და ცოდვების მიტევების ვედრების ნაკითხვა.

მიცვალებულის ნამაზის მეჩეთში შესრულება არ შეიძლება.

ბავშვი, რომელიც ცოცხალი დაიბადება და შემდეგ გარდაიცვლება, მას სახელი უნდა დაერქვას, განიბანოს, სუდარათი უნდა შეიმოსოს და მისი გასასვენებელი ლოცვა უნდა შესრულდეს.

მიცვალებული ტარების დროს ოთხვე მხარიდან უნდა გვეჭიროს. ჯერ მიცვალებულის თავის მხარე, მარჯვენა მხარზე, შემდეგ ფეხის მხარე მარჯვენა მხარზე, შემდეგ ფეხების მხარე, მარცხენა მხარზე დადებით სულ მცირე ათიოდე ნაპიჯს ატარებენ. საფლავთან მისვლისას მიცვალებულს მხრებიდან ძირს ჩამოასვენებენ და შემდეგ დაჯდებიან. დასაფლავების შემდეგ უმჯობესია ვისაც არ ეჩქარება, რამდენიმე ხნით დაჯდეს და დაელოდოს.

## **როგორ სრულდება მიცვალებულის ნამაზი?**

მიცვალებულის განსასვენებელი ლოცვა ოთხი თექბირის-გან შედგება. თითოეული თექბირი, ერთი მუხლი ლოცვის მსგავსია. პირველ თექბირზე ხელები ყურების დონეზე უნდა მივიტანოთ. დანარჩენ სამ თექბირზე, როცა იმამი წარმოთქვამს სიტყვებს: „ალლაჰუ ექ्सერ“ ჯემა’ეთი ვალდებულია მხოლოდ გაიმეოროს.

- 1 — პირველი თექბირის შემდეგ, ხელებს ჭიპის დონეზე შევკვრავთ და **სუბჰანექეს - „ვეჯელლე-სენააუქეს“** თან ერთად ვიკითხავთ.

- 2 — მეორე თექბირის შემდეგ ელლაპუმმე სალისა და ელ-ლაპუმმე ბარიქს ვიკითხავთ.
- 3 — მესამე თექბირის შემდეგ ვინც ჯანაზის ვედრება იცის იკითხავს, ხოლო ვინც არ იცის იკითხვას იმ ვედრებას, რომელიც იცის. მაგალითად: „რაბბენაა ათინა, ან წარმოთქვას სიტყვები: „ალლაპუმელფირლი“ ან კიდევ იკითხოს სურა ფათიჰა.“
- 4 — მეოთხე თექბირის შემდეგ ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ სალამი უნდა მივცეთ.

ოთხ თექბირსა და ორივე მხარეს მისალმებას ხმამაღლა მხლოდ იმამი წარმოთქვამს. სხვები ჩუმი ხმით იმეორებენ.

ლოცვის შემდეგ მიცვალებულის გვერდით ვედრების აღვლენა მექრუჟია.

## თერავიჟის ნამაზი

### თერავიჟი - რამადნის თვის ლამის ლოცვების ნაწილია

მეჩეთები რამადნის პერიოდში თერავიჟის დროს სულ სხვა სილამაზეს იძენს. თერავიჟი ლამის ლოცვების ნაწილია. არაბული სიტყვა „თერავიჟი“ წარმოებულია სიტყვა „დასვენების“ მნიშვნელობის მქონე „თერვიჟიდან“, რომელიც შემდგომ აღნიშნული ლოცვის სახელად დამკვიდრდა. თერავიჟი რამადნის თვის დამახასიათებელი სუნნეთია, რომლის ყოველ მეოთხე მუხლზე შევისვენებთ ხოლმე. ლოცვისას ფეხზე დგომის დროს წაკითხული აიათები, რუქულ’ისა და სეჯდეს დროს წარმოთქმული ღვთის სადიდებელი (თესბიჟათი) სიტყვები, და „თაპიიათის“ კითხვა, გულში არსებულ დარდებს გაფანტავს. სწორედ ამიტომ ეწოდა მას „თერავიჟი“, რაც აღნიშნულ ლოცვას ნამდვილად შეეფერება.

თერავიჟის ლოცვა, როგორც მამაკაცისთვის, ასევე ქალისთვის „სუნნეთი მუექედედ“ არის შეფასებული. თერავიჟი

არა მარხვის, არამედ რამადნის თვის სუნნეთია. ამასთან ერთად, უნდა ვიცოდეთ, რომ თეჲჟჯუდის ლოცვამ - თორმეტ, ხოლო თერაპევტის ლოცვამ 20 მუხლს არ უნდა გადააჭარბოს. თერავიპტის ლოცვა ძილისწინა ლოცვის შემდეგ და ვითრის ლოცვამდე უნდა შესრულდეს. რაც შეეხება თერავიპტის ჯემა'ეთით ლოცვას, ისლამის დოგმატიკის მიხედვით, სუნნეთი ქიფაიეა. თერავიპტი ათი სელამითა და 5 „თერვიპტათი“ სრულდება. გარდა ამისა, ის ყოველ მეორე მუხლზე სელამის მიცემით ილოცება. ასევე, ნებადართულია თერავიპტი ყოველ მეოთხე მუხლზე სელამის მიცემით შევასრულოთ. ყოველ მეოთხე მუხლზე მცირე შესვენება ამავე ლოცვის ნაწილია. ამრიგად, თერავიპტის დასრულების შემდეგ, მხოლოდ რამადნის თვეში, ვითრის ლოცვა ჯემა'ეთთან ერთად სრულდება.

## მაცხოვი დანიშნულები

### სეფერი - ანუ ლოცვა მოგზაურობაში ყოფნის დროს

ჰანეფი მეზჰების თანახმად, ვინც თხუთმეტ დღეზე ნაკლები დროით საცხოვრებელი ადგილიდან ოთხმოცდაათი და მეტი კილომეტრით შორს სამოგზაუროდ წავა მგზავრად ითვლება.

მგზავრი ოთხმუხლიანი ფარზი წამაზებს მხოლოდ ორ მუხლად შეასრულებს. ოთხ მუხლს ილოცავს მხოლოდ მაშინ, როცა ჯემა'ეთით ლოცვისას მგზავრობაში არ მყოფ იმამს მიჰყება. იმ შემთხვევაში თუკი მოგზაურობაში მყოფი ვინმე არამგზავრების იმამი გახდება, თვითონ ორი მუხლის შემდეგ ლოცვას დაასრულებს, ხოლო ჯემა'ეთი მესამე და მეოთხე მუხლებს იმამის გარეშე ილოცავენ და ისე დაასრულებენ. მგზავრს ნება ეძლევა მესაპი სამი დღე-ლამის განმავლობაში ჰქონდეს. ასევე ნება ეძლევა არ დაიცვას მარხვა და გაცდენილი დღეები რამადნის მთვარის დაასრულების შემდეგ აანაზღაუროს. უნდა ითქვას, რომ თუკი მარხვა მგზავრისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს უმჯობესი იქნება მარხვა არ შეეყვიტოს. მგზავრისთვის არც ყურბნის დაკლაა ვაჯიბი -სავალდებულო და არც ჯუმის ლოცვაა ფარზი.

კონკრეტული ლოცვის დროის ამონურვის შემდეგ თუკი ვინმე გზას დაადგება და აღნიშნული დროის ლოცვა არ აქვს შესრულებული, ორ მუხლს ილოცავს. მაგრამ თუკი ვინმე ნამაზის დროის დასასრულს სახლში დაბრუნდება და კონკრეტული დროის ლოცვა არ ექნება შესრულებული, მაშინ ჩვეულებრივად ოთხ მუხლს ილოცავს.

ისლამის ერთ-ერთ წყაროში (**ნი’მეთი ისლამში**) წერია: ვისაც ფეხზე დგომა არ შეუძლია, ყოველთვის და ყველგან ნაფილე ნამაზების დამჯდარი შესრულების ნება ეძლევა. რუქულის დროს ტანით მოიხრება, ხოლო სეჯდეს დროს, თავს ძირში

შეახებს. ალსანიშნავნია, რომ თუკი ფეხზე დგომა შეუძლია და დამჯდარი ასრულებს ლოცვას მაშინ ნახევარ მადლს მოიგებს. ასეთები ხუთი დროის ლოცვის სუნნეთები და თერავიჲი ნაფილე ნამაზებია. გზაში ანუ ქალაქისა და სოფლის გარეთ, ნაფილე ნამაზის ცხოველზე ამხედრებულ მდგომარეობაში შესრულება შეიძლება. ყიბლას მიმართულებით გაჩერება, რუქულ'სა და სე-ჯდეს შესრულება აუცილებელი არ არის. რუქულ'ის დროს სხე-ულით ცოტას მოიხრება, სეჯდეს დროს კი გაცელებით მეტად. ნაფილე ნამაზის მლოცველი თუ დაიღლება, ნება ეძლევა დაეყ-რდნოს ჯოზზე ან მიეყრდნოს კედელს. თუ აუცილებლობა არ მოითხოვს ფარზი და ვაჯიბი ლოცვების ცხოველზე ამხედრე-ბულ მდგომარეობაში შესრულება დაუშვებელია. მხოლოდ გან-საკუთრებული საჭიროების მდგომარეობაში ნებადართულია. აუცილებლობა შეიძლება შემდეგი მიზეზებით ნარმოიშვას: ქო-ნების, ცხენის, სიცოცხლის საფრთხის არსებობა, ნივთების მო-პარვის საფრთხე, მტრისა და მტაცებელი ცოველების საფრთხე, ტალახი, წვიმა, მგზავრის ავადმყოფობა, გზაზე მარტო დარჩე-ნის საფრთხე, ცხენზე დამოუკიდებლად შეჯდომის უუნარობა და მსგავსი. თუ შესაძლებელია უნდა ჩამოქვეითდეთ, დაადგი-ნოთ ყიბლას მიმართულება, დადგეთ და ისე შეასრულოთ ლოც-ვა. თუ ვერ ახერხებთ ჩამოქვეითებას ცხენი მიაპრუნეთ ყიბლას მიმართულებით, თუ ესეც შეუძლებელია, იმ მიმართულებით ილოცეთ, საითკენაც ცხენი დგას.

როდესაც ჯაფერ თაიარი ეთიოპიაში გემით მოგზაურობ-და იგი შუამავლის (სალლალლაჲუ ალეიჲი ვესელლემ) მიერ ნასწავლების შესაბამისად მოქმედებდა: მცურავ გემში ფარ-ზი და ვაჯიბი ლოცვების შესრულება ჩვეულებრივ შეიძლება. გემზე ასევე ნებადართულია ლოცვა ჯემაღ' ეთით შესრულდეს. მცურავ გემში, რუქულ'ისა და სეჯდეს შესრულება სავალდებუ-ლოა. ლოცვის დაწყებისას ყიბლას მიმართულებით დგომა საჭ-იროა. ასევე მნიშვნელოვანია სისუფთავე.

გემი, რომელსაც შუა ზღვაში ღუზა აქვს ჩაშვებული და ძალიან ირწევა, ითვლება, როგორც მცურავი გემი. ნაპირზე მდგომ გემში მჯდომარედ ფარზი ლოცვის შესრულება არ შეიძლება. თუ ნაპირი ახლოსაა მიწაზე ჩამოსვლაა საჭირო, თუ გემის წასვლის ან ქონებისა და სიცოცხლის დაკარგვის საფრთხეა, მაშინ გემზევე ფეხზე მდგომარედ ლოცვა შეიძლება.

ისლამის სწავლულის, -იბნი აბიდინის თანახმად, თუ აუცილებლობა არ არის ფარზი და ვააჯიბი ლოცვები სამგზავრო ტრანსპორტიდან უნდა ჩამოვქვეითდე და ისე უნდა შევასრულოთ. ამიტომ ამ ყველაფრისთვის წინასწარ უნდა მოვემზადოთ.

მგზავრი მატარებელში და გემში ყიბლას მხარეს დადგება, გვერდით კომპასს დაიდებს, გემის შებრუნებისას თვითონ ყიბლას მხარეს უნდა შემოტრიალდეს. მკერდით თუ ყიბლიდან სხვა მხარეს შებრუნდა ლოცვა მოიშლება. შაფი მეზჰების თანახმად, ოთხმოც კილოეტრზე მეტ მანძილზე მგზავრობისას, იქინდის ნამაზი შუადღის ნამაზის დროს, ხოლო ღამის ნამაზი საღამოს ნამაზის დროს, ან კიდევ შუადღის ნამაზი, იქინდის ნამაზის, ხოლო საღამო ნამაზი ღამის ნამაზის დროს ერთად შეიძლება შესრულდეს. ამას ისლამის ლიტერატურულ ტემი-ნოლოგიაში –ჯემ’ი ეწოდება. გზავრობის დასრულების შემდეგ ორი დროის ლოცვის გაერთიანება ანუ „ჯემ’ი“ არ შეიძლება.

## ავადმყოფობის დროს ნამაზი

თუკი აბდესთის დამრღვევი რაიმე სხეულიდან მუდმივად მოედინება საპატიო მიზეზად ითვლება, მაგ. სისხლდენა, მშობიარობის შემდეგი სისხლენა, ჩირქი, წყალი, ცრემლები და სხვა. მედიკამენტების ან სხვა საშუალებით ამის შეჩერება საჭიროა. საჭიროა ბამბა ან ტამპონი გამოვიყენოთ რათა აბდესთი არ მოგვემალოს და შარდმა თეთრეულზე არ გამოჟონოს. ბამბა კი

შარდს შეიწოვს და აბდესთი არ დაირღვევა. მაგრამ შარდმა თუ ბამბიდანაც გამოჟონა აბდესთი მოიშლება. ქალებმა ყოველთვის საფენები უნდა გამოიყენონ. დენა თუ არ შეჩერდება, ყოველი ნამაზისთვის ახალი აბდესთი უნდა აიღონ და ლოცვა ასე შეასრულონ. საპატიო მიზეზის მქონეს ერთი აბდესთით ნება ეძლევა ფარზი, ნაფილე და გამოტოვებული ლოცვა შეასრულოს. ასევე შეუძლია ყურანი ხელში აიღოს. ლოცვის დროის დასრულებისთანავე აბდესთი მუიშლება. შეიძლება უცაბედად ცხვირიდან სისხლი წამოვიდეს, ასეთ დროს აბდესთი ირღვევა. მცირე ხანს დავიცდით, თუ სისხლდენა არ შეწყდება და ნამაზის დრო იწურება აბდესთს თავიდან ავიღებთ და ვილოცავთ, მაგრამ იმ აბდესთით მეორე ნამაზს ვეღარ ვილოცავთ. იმისათვის, რომ მიზეზი საპატიოდ ჩაითვალოს, აბდესთის მომშლელი ფაქტორი სისტემატიურად უნდა მეორდებოდეს. ასევე თუკი აბდესთს აიღებს და ფარზის ლოცვას ისე შეასრულებს, რომ აბდესთი არ მოეშლება, ასეთი მდგომარეობა საპატიოდ არ ითვლება. საპატიო მიზეზის მქონეს ამ მიზეზის გამომწვევი უსუფთაობა (ნეჯასეთი) თუკი თანასაცმელზე აღმოაჩნდება და ეს თუ მიდმივად ასე არ ხდება, უნდა გაირეცხოს.

ავადმყოფობის მატების შიშის მქონე დიდი აბდესთის ნაცვლად თეიმუმს შეასრულებს. მაგრამ ამ საფრთხის, შიშის შესახებ გამოცდილი მუსლიმის ან მუსლიმი ექიმის რჩევაა საჭირო. ზოგჯერ უსახლკარობა და სიცივეც ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი ხდება. ჰანეფი მეზჰების მიხედვით მორწმუნე ერთი თეიმუმით რამდენსაც ისურვებს იმდენი ფარზი ლოცვის შესრულება შეუძლია. შაფი და მალიქი მეზჰების მიხედვით კი ყველა ახალი ფარზ ლოცვა ახალი თეიმუმის აღებას მოითხოვს.

თუ სხეულზე ბევრი ჭრილობაა, თეიმუმი სრულდება. თუ ჭრილობები ნახევარზე ნაკლებია, ჯანმრთელი ადგილები დაიბანება და ჭრილობაზე მესპი სრულდება. გამომდინარე იქედან, რომ დიდი განბანვის დროს სხეული ერთ მთლიან ორგანოდ ითვლება, მთელი სხეულის ნახევარი თუ ჭრილობა აქვს, მაშინ

მესპი უნდა შესრულდეს. მესპი, როცა ჭრილობებისთვის მავნებელია, სახვევის ზემოდან სრულდება, თუ ესეც მავნებელია არ შეასრულებს. თუ აბდესთის და ღუსლის დროს თავზე მესპი მავნებელია არ შეასრულებს. თუ ხელზე ჭრილობა გაქვთ ან ეგზემა გაწუხებთ და წყალს ვერ იყენებთ, თეიმუმი შეასრულეთ. ვისაც ხელები და ფეხები არ აქვს და თუ სახეც ნაიარევია შეიძლია აბდესთის გარეშე შეასრულოს ლოცვა. ბავშვები, დაქირავებული მოსამსახურები ვალდებული არიან აბდესთის ალებაში ავადმყოფს დაეხმარონ. დახმარება სხვებსაც შეუძლია, მაგრამ ისინი იძულებულნი არ არიან. ცოლ-ქმარი არ არის ვალდებული აბდესთის ალებაში ერთანეთს დაეხმარონ.

თუ ჭრილობები ბევრია და მათი დაბანა არ შეიძლება, სახვევის ზემოდან ერთხელ მესპი შესრულდება. თუ სახვევის მოხსნა მავნებელია მის ქვეშ ჯანმრთელი ადგილებიც არ დაიპანება, აბდესთის მერე სახვევი აუცილებელი არ არის. თუ სახვევი მესპის შემდეგ შეიცვალა, მასზე ახალი მესპი საჭირო არ არის.

პიროვნება, რომელიც ავადმყოფობის გამო ფეხზე ვერ დგება ან ფეხზე დგომის შემთხვევაში მდგომარეობის გაუარესების საფრთხე არსებობს, ლოცვა დაჯდარმა უნდა შეასრულოს. რუქულ'ის დროს ცოტა მოიხრება, შემდეგ ნელში გაიმართება და ჩვეულებრივად ორჯერ სეჯდეს შეასრულებს. თავის, თვალისა და მუხლის ტკივილიც საპატიოდ ითვლება. თუკი არსებობს იმის ალბათობა, რომ ფეხზე მდგარი ლოცვის დროს მტერი შეგამჩნევთ, ნებადართულია დამჯდარ მდგომარეობაში შეასრულოთ ლოცვა, რამეთუ ასეთი საფრთხე ჩვეულებრივ საპატიო მიზეზად ითვლება. ვისაც ფეხზე დოგმა უძნელდება, შეუძლია საწყისი თექბირი ფეხზე მდგომმა წარმოთქვას, შემდეგ დაჯდეს და ისე გაარძელოს ლოცვა.

ვინც სეჯდეს ვერ ასრულებს რუქულ'ი და სეჯდე დამჯდარმა შეასრულოს, სეჯდეზე უფრო მეტად მოიხაროს. ვინც სხეულს ვერ ხრის თავი მოხაროს. რაიმეს ზემოდან სეჯდეს შესრულება მექრუჟია. თუ მჯდომარედ შესრულება შეუძლია, დაწოლი-

ლი შესრულება ნებადართული არ არის. ალლაპის შუამავალმა (სალლალლაჲუ ალეიპი ვესელლემ) ერთხელ ერთი ავადმყოფი მოინახულა, რომელსაც ბალიში დაედო წინ და ზემოდან სეჯ-დეს ასრულებდა. ალლაპის შუამავალმა ბალიში გამოართვა, მაშინ ავადმყოფმა შეშა დაიდო წინ, შუამავალმა ისიც გამოართვა და უთხრა: „თუ ძალა შეგწევს სეჯდე მიწაზე შეასრულე, ქვემოდან რაიმე არ დაიდო და სეჯდე ისე არ შეასრულო, სე-ჯდეზე რუქულ’თან შედარებით უფრო მეტად მოიხარე“.

მეჩეთში წაუსვლელობისთვის რამდენიმე მიზეზიარსებობს: წვიმა, ძლიერი სიცხე ან სიცივე, თავდასხმის ან მტრის შიში, მარტო დარჩენის საფრთხე, უკუნი სიბრძელე, ღარიბი მოვალის დაპატიმრების შიში, სიბრმავე, დამბლა, ხეიბრობა, ხანდაზმულობა, სიარულის შეუძლებლობა, მეცნიერული გაკვეთილის გამოტოვების შიში, საყვარელი საჭმელის გამოტოვების შიში, მძიმე ავადმყოფის მოვლის ვალდებულება, ქარიშხალი, ღრმად მოხუცებულობა და სხვა. მეჩეთში ფეხით წასვლა, ტრანსპორტით წასვლაზე უფრო მეტი მადლი მომტანია. მეჩეთში სკამზე დამჯდარი ლოცვა არ შეიძლება. ისეთი ლვთისმსახურება, რომელსაც ისლამი არ გვამცნობს (**ბიდათი**) (სიახლის შემოტანა) იქნება. ბიდათი კი დიდი ცოდვაა.

თუ ავადმყოფს წამოწევა არ შეუძლია, ლოცვა ზურგზე დაწოლილმა, თუ ესეც არ შეუძლია გვერდზე დაწოლილმა, შეასრულოს. თუ ყიბლას მიმართულებით ვერ მიბრუნდება, რომელ მხარესაც გაუადვილდება იმ მხარეს ილოცოს. ზურგზე მწოლიარეს თავქვეშ რაიმე შემოუდეთ, სასურველია მუხლები მოხაროს. თუკი პიროვნება იმდენად მძიმე ავადმყოფია, რომ მინიშნებითაც კი ვერ შეასრულებს ლოცვას, ნება ეძლევა მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ შეასრულოს გამოტოვებული ლოცვები. თუკი ლოცვის დროს იმდენად ცუდად შეიქმნება, რომ ლოცვის გაგარძელებას ვეღარ შეძლებს შეუძლია ლოცვა მოშალოს. თუკი ვინმე გონებას დაკარგავს და ხუთი დროის ლოცვის გასვლამდე გონება დაუბრუნდება, გამოტოვებულ ლოცვებს

აანაზღაურებს, ხოლო თუკი უფრო მეტი ხნით გაგრძელდა, მაშინ გამოტოვებულ ლოცვებს აღარ აანაზღაურებს.

გამოტოვებული ლოცვის დორულად ანაზღაურება ფარზია. აუცილებელია. თუკი სიცოცხლის ბოლომდე გამოტოვებული ლოცვების ანაზღაურებას ვერ მოასწრებს, გარდაცვალების შემდეგ დატოვებული ქონებიდან (ფიდიეს) გამოსასყიდის მიცემისთვის ანდერძი უნდა დატოვოს.

## გამოტოვებული (ყაზა) ნამაზები

გამომდინარე იქედან, რომ ლოცვა სხეულით შესასრულებელი ღვთისმსახურებაა, იგი ყველა ადამიანმა თავად უნდა შეასრულოს, სხვა ვერ შეასრულებს. დროულად ლოცვას „ედა“ ეწოდება, შესრულებული ლოცვის ხელებლა შესრულებას (იადე), ხოლო დროის გასვლის შემდეგ ლოცვას კი „ყაზა“ ანუ გამოტოვებული ლოცვა ეწოდება.

ხუთი დროის ლოცვისას და ასევე გამოტოვებული ლოცვისას თანმიმდევრობის დაცვა საჭიროა. ჯუმის ფარზის ლოცვა იმ დღის შუადღის ლოცვის დროზეა საჭირო. თუკი პიროვნებას დიღის ლოცვაზე ჩაეძინა და ვერ შეასრულა, თუნდაც ჯუმის ჰუტბის კითხვისას გაახსენდეს, მაშინვე უნდა ილოცოს გამოტოვებული დიღის ლოცვის ფარზი. „ვისაც რომელიმე დროის ლოცვის შესრულება დაავიწყდება ან ლოცვის დრო ძიღში გაატარებს, და ეს მაშინ გაახსენდება, როცა ჯემა’ეთით ლოცვას ასრულებს, იმამთან ერთად ლოცვა დაასრულოს და შემდეგ გამოტოვებული ლოცვა აანაზღაუროს. „ვინც ლოცვას ძიღის ან დავიწყების გამო გამოტოვებს, შედეგი ნამაზის ჯემაეთით ლოცვისას, თუ გაახსენდა, ჯემაეთით ნამაზი დაამთავროს და ამის შემდეგ წინა ნამაზი ილოცოს!“

გამოტოვებული ფარზი ლოცვების შესრულება აუცილებელია, ვაჯიბი ლოცვების ანაზღაურება სავალდებულოა, ხოლო,

სუნნეთების ანაზღაურება ნაპრძანები არ არის. ჰანეფი მეზების სწავლულები გვამცნობენ რომ სუნნეთი ლოცვების შესრულება მხოლოდ თავის დროზეა ნაპრძანები. დროულად ვერ შესრულებული სუნნეთები პიროვნებას ვალად არ დაეწერება. ამიტომაც გამოტოვებული სუნნეთი ლოცვების შესრულება არ არის ნაპრძანები. გამონაკლისია მხოლოდ დილის ლოცვის სუნნეთი, ის ვაჯიბთან ახლოსაა. თუკი დილის ლოცვა მზის ამოსვლამდე (თავის დროზე) ვერ შევასრულეთ, მზის ამოსვლის შემდეგ შუადღემდე, ფარზთან ერთად სუნნეთიც უნდა ვილოცოთ. მაგრამ თუკი მოხდება ისე, რომ შუადღის შემდეგ ვილოცავთ, სუნნეთს აღარ შევასრულებთ. საპატიო მიზეზის შემთხვევაში ფარზების დამჯდარ მდგომარეობაში ლოცვა ნებადართულია.

ნამაზის უმიზეზოდ, სიზარმაცის გამო შეგნებულად გამოტოვება დიდი ცოდვაა. დროულად შეუსრულებელი ლოცვების ანაზღაურება საჭიროა. ფარზი და ვაჯიბი ლოცვების დროულად ვერ შესრულების ორი მიზეზი არსებობს: პირველი, მტრის პირისპირ ყოფნა, ხოლო მეორე, მგზავრის შიში ქურდის, მტაცებელი ცხოველისა და მტრის გამო. დანარჩენ შემთხვევაში ლოცვის სამომავლოდ გადადება არ შეიძლება. დავიწყებისა და ძილის დროს გამოტოვებული ლოცვა როცა გაგვასენდება, მაშინ უნდა შევასრულოთ. ასევე სასიკვდილოდ განნირულის ძახილის გამო ლოცვის გადავადება ნებადართულია. მაგრამ კრიტიკული ვითარების ამონურვისთანავე უნდა ვილოცოთ. სამი დროის გარდა, თავისუფალ დროს ანაზღაურების პირობით, ბავშვებისა და ოჯახისათვის საჭირო საკვების შოვნამდე ნამაზის ლოცვის დაგვიანება ნებადართულია. უფრო მეტი ხნით დაგვიანდება ცოდვა იქნება. მით უფრო, რომ უსაყვარლესმა ფეილამბერმა და მეომრებმა ხენდეყის ბრძოლის დროს ოთხი ნამაზი ვერ ილოცეს, მაგრამ საღამოს, მიუხედავად იმისა, რომ მეომრები დაჭრილი და დაღლილ-დაქანცულები იყვნენ, ოთხივე დროის ლოცვა ჯემაღ'ეთით შეასრულეს. ერთი ფარზის მეორე ფარზის მოსვლამდე დაგვიანება და ერთად ლოცვა დიდი ცოდ-

ვაა. ყველა ლოცვა თავის დროზე უნდა შევასრულოთ. როცა ერთი დროის ლოცვის არ შესრულება დიდ ცოდვად ითვლება, წარმოიდგინეთ რამდენად დიდი ცოდვა იქნება, ვინც მთელ ცხოვრებას ან ცხოვრების დიდ ნაწილს არცერთ ლოცვას არ ასრულებს.

ალლაპის შუამავალი (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ) ბრძანებს: „**ლოცვა რწმენის დედაბოძია**“. ლოცვის შემსრულებელი რწმენას გააძლიერებს, ხოლო ლოცვაზე უარის მთემელი, რწმენას გაანადგურებს“. (თირმიზი, იმანი, 8) ერთ-ერთ ჰადისში ვკითხულობთ: „**განკითხვის დღეს რწმენის შემდეგ პირველი კითხვა ლოცვას შეეხება**“. მაშინ უზენაესი ალლაპი ადამიანს უბრძანებს: „ო, ადამიანო! თუკი ლოცვის შესახებ ანგარიშნორებას წარმატებით გაივლი, გადარჩები და სხვა განკითხვებიც გაგიადვილდება“. ხოლო სურა ანქებუთის 45-ე აიათში უზენაესი ალლაპი ბრძანებს: „**უეჭველად, ლოცვა განდევნის სიავენს და უკეთურს. და რა თქმა უნდა ალლაპის ხსნება მნიშვნელოვანია**“...

ალლაპის შუამავალი (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ) ბრძანებს: - „**ადამიანი უზენაეს ალლაპთან ყველაზე ახლოს სეჯდეს შესრულების მომენტშია**“. (ებუ დავუდი, სალათი, 148)

ორი მდგომარეობის დროს შესაძლოა მორწმუნებ ლოცვა დროულად ვერ შეასრულოს. 1. საპატიო მიზეზის გამო, 2. მიუხედავად იმისა, რომ ლოცვის შესრულების ვალდებულება გათავისებული აქვს, სიზარმაცე სძლევს.

ფარზი ლოცვის დროის გასვლის შემდეგ შესრულება ან უმიზეზოდ გადავადება დიდი ცოდვაა. ამ ცოდვას შემდეგში ლოცვით ვერ გამოისყიდის. გამოტოვებული ლოცვის შემდეგ სინანულის გამოხატვა მნიშვნელოვანი ქმედებაა. ამის შემდეგ შეიძლება გვქონდეს მიტევების იმედი. თუ ადამიანს აქვს საშუალება აანაზღაუროს თავის დროზე ვერ შესრულებული ლოცვები და თუ ამას არ აკეთებს მძიმე ცოდვის ჩამდენი ხდე-

ბა. ამიტომ გამოტოვებული ლოცვის დროულად შესრულება აუცილებელია. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია გამოტოვებულ ლოცვებს ყურადღება მივაქციოთ. გამოტოვებული ლოცვების გადავადება, თავის დროზე ვერ შესრულებულზე უფრო დიდი ცოდვაა. გამოტოვებული ლოცვის განზახვით შესრულება ჩადენილი ცოდვის მიტევების მიზეზი გახდება.

## განმარტება

**(ნებადართულია თუარა, რომ სუნნეთების  
ნაცვლად, გამოტოვებული ლოცვები შევასრულოთ?)**

ცნობილი სწავლული აბდულყადირ გეილანი თავის ნაშრომში (**ფუთუჟ-ულ ლაიბ**) წერს:

მორწმუნებ თავდაპირველად ფარზები უნდა შეასრულოს. შემდეგ სუნნეთები. ამის შემდეგ ნაფილები. თუ ფარზები შესასრულებელი აქვს მაშინ სუნნეთების შესრულება უადგილოა, რადგან ვისაც ფარზი გამოტოვებული აქვს და მისთვის სუნნეთების შესრულება არ იქნება მიღებული. ალი იბნი ები ტალიბი გადმოგვცემს: ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანა: „ვისაც ფარზი ნამაზები შესასრულებელი აქვს, გამოტოვებულ ნამაზების ლოცვით სრულჰქმანს“. ჰანეფი მეზჰების მიმდევარი ერთ-ერთი სწავლული აბდულყადირ დეპლევი ბრძანებს: ჰადისი გვასწავლის, რომ ვისაც ფარზები შესასრულებელი აქვს მის მიერ შესრულებული ნაფილე ლოცვები მიღებული არ იქნება. როდესაც ერთ-ერთი მუსლიმი სწავლული მუჰამმედ სადიყი გამოტოვებული ლოცვების შესახებ საუბრობდა, იბნი ნუჯეიმის მიმართ დასმული შეკითხვა გაიხსენა: იბნი ნუჯეიმის ჰკითხეს: თუკი ვინმეს გამოტოვებული ანუ დროულად ვერ შესრულებული ლოცვები ექნება და ეს პიროვნება დიღლის, შუადღის, სამხრობის, საღამოსა და ღამის ლოცვის სუნნეთებს გამოტოვებული ლოცვების განზრახვით

შეასრულებს, მას სუნნეთები შეუსრულებლად ჩაეთვლება? იბნი ნუჯეიმმა მიუგო: სუნნეთები შეუსრულებლად არ ჩაეთვლება, რადგან ხუთი დროის სუნნეთების ლოცვა, ამ დროში ფარზის გარდა სხვა ლოცვების შესრულებას ნიშნავს. ეშმაკს სურს ადამიანმა საერთოდ არ შეასრულოს ლოცვა, ამიტომ ფარზის შემდეგ სხვა ნამაზების შესრულება ეშმაკის ნინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია. მორჩმუნეს სუნნეთების ნაცვლად, გამოტოვებული ლოცვების შესრულებით, სუნნეთები შესრულებულად ჩაეთვლება. რამეთუ ვისაც ფარზი არ აქვს შესრულებული და სუნნეთებს ასრულებს, ეს უადგილოა. ვინც ლოცვის ვალით იძევებად წარსდგება სამოთხეში ვერ დაიმკვიდრებს.

## როგორ სრულდება გამოტოვებული ნამაზები?

გამოტოვებული ნამაზები დროულად უნდა შევასრულოთ და მოვინანიოთ, რათა დიდი ცოდვების გამო სასჯელისგან გადავრჩეთ. ამიტომ (ყაზა) გამოტოვებული ნამაზები უნდა ვილოცოთ. ვინც თავის დროზე სიზარმაციის გამო არ შეასრულა ლოცვა, თუმცა როცა გონის მოეგო და გადაწყვიტა ლოცვაზე ყურადღების მიქცევა, მან თავდაპირველად დროის ფარზ ნამაზებთან ერთად გამოტოვებული ლოცვები უნდა აანაზღაუროს. აღნიშნულ მიდგომას ოთხივე მეზჰები იზიარებს. ჰანეფი მეზჰების თანახმად ნამაზის არ შესრულება „ექბერი ქებაირი“ ანუ დიდი ცოდვაა. ამიტომაც თავისუფალ დროს გამოტოვებული ლოცვების დროულად შესრულება მნიშნველოვანი ვალდებულებაა. შუადღის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის ლოცვისას, თავდაპირველად შუადღის განზრახვა უნდა წარმოთქვას, ბოლო ორი მუხლის ლოცვისას პირველად გამოტოვებული დიღლის ნამაზის ფარზი, სამხრობის ოთხი მუხლი სუნნეთის ლოცვისას პირველად გამოტოვებული სამხრობის, საღამოს ნამაზის

სუნნეთისას, პირველად გამოტოვებული საღამოს ნამაზის, ღა-  
მის პირველი ოთხი მუხლი სუნნეთის ლოცვისას, პირველად გა-  
მოტოვებული ღამის ფარზის, ბოლო სუნნეთის ლოცვისას პირ-  
ველად გამოტოვებული ვითრის განზრახვა უნდა წარმოთქვას.  
გარდა ამისა კარგი იქნება თავისუფალ დროს გამოტოვებული  
ნამაზების შესრულება. როდესაც გამოტოვებული ლოცვების  
ანაზღაურებას დაასრულებს, შეუძლია დაიწყოს ნაფილების  
შესრულება.

## ნაცილი VI

### ვინც ნამაზებს არ ასრულებს

ებუ ბექირი (რადიალლაჲ ანჲ) გვამცნობს: „როდესაც ლოცვის დრო დადგება, ანგელოზები იტყვიან: (ო, ადამიანთა მოდგმავ! წამოდექით! და ადამიანთა სასჯელად გამზადებული კოცონი ლოცვით ჩააქრეთ)!“ ერთ-ერთ ჰადისში ალლაჲის შუამავალი (სალლალლაჲუ ალეიჲი ვესელლემ) ბრძანებს: „ლოცვაა, რომელიც მუსლიმს ურნმუნოსგან განარჩევს“. ე.ი მუსლიმი ნამაზს ასრულებს, ურნმუნო – არა, ხოლო ფარისეველი (მუნაფიყი) ზოგჯერ ლოცულობს, ზოგჯერ – არა. ფარისეველნი ჯოჯოხეთში დიდ ტანჯვას გაივლიან. ერთერთ ჰადისში ვკითხულობთ: „ლოცვის არ შემსრულებელი განკითხვის დღეს უზენაეს ალლაჲს განრისსხებულს იხილავენ!“

ჰადისოლოგები ერთხმად აცხადებენ, რომ „ვინც ლოცვას დროულად არ ასრულებს და მას მნიშვნელობას არ ანიჭებს, რწმენას დაშორდება. მაშ, წარმოიდგინეთ რა ბედი ელის მათ ვინც ლოცვას თავის მოვალეობადაც კი არ მიიჩნევს? მას ვინც სიკვდილისას ურნმუნოდ კვდება? ეჭლი სუნნეთის სწავლულები ერთხმად აბობენ რომ იბადეთები რწმენის ნაწილი არ არის. ფიქიპის იმამები, იმამი აჰმედ იბნი ჰანბელი, აბდულლაჲ იბნი მუბარექი, იბრაჲიმ ნეჰაი, ზუბეირ ბინ ჰარბი, ისჰაჟ იბნი რაჰევეიჲი, ებუ ბექრ იბნი შეიბე, ჰაქემ ბინ უთეიბე, დავუდ თაი და სხვები მიიჩნევენ, რომ ვინც ლოცვის შეგნებულად არ შეასრულებს დიდ ცოდვად ეთვლება და ურნმუნოებას დაუახლოვდება. მაშ, შენ, მორნმუნე ძმაო, არასოდეს არ მოდუნდე, არ დაიზარო და ლოცვა არ გამოტოვო. ყოველი დროის ლოცვა სიყვარულით შეასრულე! რადგანაც უზენაესი ალლაჲი ყველა თქვენგანს ჯილდოსა და სასჯელს საკუთარი ქცევების მიხედვით მოგიზღავს?

ჰანბელი მეზჰების თანახმად ის, ვინც ლოცვას ყოველგვარი მიზეზის გარეშე არ ასრულებს, რწმენას განშორდება. ნამაზის არ შემსრულებელი შაფი მეზჰების მიხედვით რელიგიიდან არ გადის, თუმცა სასჯელს იმახურებს. მალიქი მეზჰების მიხედვით ნამაზის არ შემსრულებლის სასჯელი, შაფი მეზჰების დოგმების ანალოგიურია.

ჰანეფი მეზჰების თანახმად, ვინც არ ასრულებს ლოცვას, უნდა მიეცეს დრო ლოცვის დაწყებამდე.

## ვინც ხუთ რამეს არ გააკეთებს, ხუთ რამეს ვერ ეღირსება:

- 1 — ვინც ქონების ზექათს არ გასცემს, ქონების სიკეთეს და სარგებელს ვერ ეღირსება.
- 2 — ვინც მოსავლის ზექათს (ოშურს) არ გასცემს, მოგებისას ხვავსა და ბარაქას ვერ ეღირსება.
- 3 — ვინც მოწყალებას (სადაყას) არ გასცემს, მისი სხეული ჯანმრთელობას დაკარგავს.
- 4 — ვინც უზენაეს ალლაპს არ შეევედრება, საწადელის ვერ მიაღწევს.
- 5 — ვინც ლოცვის დროის მოსვლისას მის შესრულებას არ ეცდება, სიკვდილისას ქელიმეი შეჰადეთს ვერ წარმოთქვამს.

ალლაპის შუამავალი ბრძანებს:

„ნამაზის უმიზეზოდ უგულებელყოფელს უზენაესი ალლაპი თხუთმეთი სირთულის ნინაშე დააყენებს. მათგან ექვსს ამქვეყნად, სამს სიკვდილის დროს, ხოლო სამს საფლავში და სამს კი განკითხვის დღეს, საფლავიდან წამოდგომის დროს გამოსცდისო“.

ამქვეყნად განსაცდელი ექვსი ტანჯვა:

- 1 — ვინც ლოცვას არ ასრულებს ცხოვრებაში ხვავსა და ბარაქას ვერ ნახავს.
  - 2 — სახეზე არასოდეს ექნება ის სილამაზე და მომხიბვლელობა, რომელიც ალლაპის რჩეულ ადამიანებს აქვთ.
  - 3 — მას სიკეთის სანაცვლოდ მადლი არ დაეწერება.
  - 4 — მისი ვედრება არ შეისმინება.
  - 5 — არავის არ ეყვარება.
  - 6 — სხვა მუსლიმების ვედრებები მას სიკეთესა და სარგებლიანობას არ მოუტანს.
- სიკვდილის დროს სამი სახის განსაცდელი:
- 1 — საშინლად, რთულად, წვალებით და მტკიცნეულად ჩააბარებს სულს.
  - 2 — მშიერი გარდაიცვლება.
  - 3 — თუნდაც წყალი დალიოს, წყურვილის ტანჯვა მაინც არ მოასვენებს.

საფლავში სამი სახის განსაცდელი:

- 1 — საფლავი მისთვის ვიწრო იქნება და იმდენად მოუჭერს, რომ ძვლები ერთმანეთში გაიხლართება.
- 2 — საფლავი ცეცხლით აივსება და დღე-ლამის განმავლობაში მუდმივად იტანჯება.
- 3 — უზენაესი ალლაპი საფლავში გველს მოუვლენს. იგი ჩვეულებრივი ამქვეყნიური გველებისნაირი არ იქნება. ყოველ დღეს და ყველა ლოცვის დროის მოსვლისას მას დაკბენს და მოსვენებას არ მისცემს.

საფლავიდან წამოდგომისას სამი სახის განსაცდელი:

- 1 — ჯოჯოხეთის ანგელოზები არ მიატოვებენ.
- 2 — უზენაეს ალლაპს განრისხებულს იხილავს.
- 3 — ანგარიშსწორება სასტიკი იქნება და ჯოჯოხეთში ჩააგდებენ.

## ნამაზის მლოცველთა სარგებლიანობა

არსებობს მრავალი ჰადისი, სადაც საუბარია ლოცვის მაღლისა და სარგებლობის შესახებ. აბდულპაქ ბინ სეიფუდ-დინ დეპლევი თავის ნაშრომში (**ეში-ათ-ულ-ლემეათ**) ლოცვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით ჰადისებზე წერს:

1 — ებუ ჰურაირას (რადიალლაჰპუ ანჰ) გადმოცემის თანახ-მად, ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰპუ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანებს: „ხუთი დროის ლოცვა და ჯუმა ნამაზი მომავალ ჰარას კევამდე, ხოლო რამადნის მარხვა მომავალ რამადნის მარხვამდე ყველა ცოდვებს გამოისყიდის. ვინც დიდ ცოდ-ვებს განერიდება მცირე ცოდვების მიტევების მიზეზი გახ-დება“. (მუსლიმი, ტაჰარეთი, 14) მცირე ცოდვების მიტევების შემდეგ, ღვთის ნებით დიდი ცოდვების სანაცვლო სასჯელის შემსუბუქდება. თუმცა ამისთვის მიტივების თხოვნა მნიშ-ვნელოვანია. თუკი პიროვნებას დიდი ცოდვები არ გააჩნია, მაშინ ღვთის წინაშე ხარისხით ამაღლდება. მათ ვისაც ხუთი დროის ლოცვებში ნაკლოვანებები აქვთ, ჯუმა ნამაზის ლოცვის სანაცვლოდ მიეტევებათ. და თუ ჯუმა ნამაზებიც ნაკლოვანია, მაშინ რამადნის მარხვის სანაცვლოდ მიეტევებათ. მცირე ცოდ-ვების მიტევება დიდ ცოდვების შემსუბუქების მიზეზი გახდება. ასევე უნდა ვიცოდეთ, რომ დიდი ცოდვების გამო მონანიება მნიშვნელოვანია.

2 — აბდულლაჰ იბნი მეს'უდი ამბობს: ერთხელ ალლა-ჰის შუამავალს ვკითხე: უზენაესი ალლაჰისთვის ყველაზე საყვარელი ქმედება რომელია? მიპასუხა: „**დროულად შესრულებული ლოცვა**“. ამის შემდეგ კი ალლაჰის ყველაზე საყვარელი საქმედ დედ-მამის სიყვარული და ჰატივისცემა, ხოლო შემდეგ ალლაჰის გზაზე ბრძოლა (ჯიპადი).

ისლამის პირველ წლებში ყველაზე რჩეული საქმე ჯიპადი იყო. დღეისათვის კი ენითა და კალმით ცოდვილთა წინააღმ-დეგ ბრძოლა ითვლება. ასეთი სახის ჯიპადისთვის, ფულით, სი-

ტყვით ან ქონებით ხელის შემწყობნიც ასეთივე მადლს და ჯილ-დოს დაიმსახურებენ. აიათები და ჰადისები გვიჩვენებს, რომ ნამაზი ზექათზე და მოწყალების გაცემაზე უფრო მაღლა დგას.

3 — დღეში ხუთი დროის ლოცვა უზენაესი ალლაპის ბრძანებაა. ვინც გულდასმით აბდესთს აიღებს, კონკრეტული დროის ლოცვას დროულად ყოველგვარი თანმიმდევრობისა და წესების დაცვით შეასრულებს, უზენაესი ალლაპი მიტევებასა და წყალობას აღუთქვამს.

აშკარად ვხედავთ, რომ ლოცვისთვის ყოველგვარი პირობების და წესების კარგად დაცვა აუცილებელია. უზენაესი ალლაპი თავისი აღთქმის ერთგულია. შესაბამისად ლოცვის დროულად შემსრულებლებს ცოდვებს მიუტევებს.

4 — „თქვენსა და ჩემს შორის დამაკავშირებელი ხიდი ლოცვაა, ვინც ლოცვას განუდგება, რწმენას დაშორდება.“ გამომდინარე აქედან, ნათლად ჩანს, რომ მუსლიმის უმთავრესი მანიშნებელი ლოცვაა, ვინც ლოცვას მნიშვნელოვან ვალებულებად არ მიიჩნევს რწმენას დაშორებულია.

5 — ებუ ზერი გადმოგვცემს: ერთხელ, შემოდგომის ჟამს ალლაპის შუამავალთან (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ) ერთად ქუჩაში ვსეირნობდით, ფოთოლცვენა იყო. შუამავალმა ხის ორი ტოტი მოტეხა, ტოტებს უმაღვე ფოთლები დასცვივდა, მაშინ შუამავალმა (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ) ბრძანა: „ო, ებუ ზერ! ვინც უზენაესი ალლაპის ბრძანების შესაბამისად ლოცვას შეასრულებს, ცოდვები ისე დაცვივდება, როგორც ამ ტოტებს ფოთლები.

როდესაც მუსლიმი რიდითა და კრძალვით ასრულებს ლოცვას, მას ცოდვები მიეტევება. ე.ი. უზენაესი ალლაპი მას ყველა მცირე ცოდვებს მიუტევებს.“

ნამაზის შემსრულებელი განკითხვის დღეს ნათელით მოსილი იქნება და აქედან გამომდინარე ჯოჯოხეთის სასჯელს გადაურჩება. თუ ადამიანი ნამაზს არ ასრულებს ნათელი და სიკეთე არ მიეკარება და სიმშვიდეს ვერ მოიპოვებს, პირიქით,

მისი ადგილი ყარუნისა და ფარაონის მსგავს ურნმუნოთან ერთად იქნება.

ვხედავთ, რომ ლოცვას სამარადისო ნათელი თან ახლავს. სხვაგვარად ცოდვილთა შორის აღმოჩნდება. ისლამის სწავლულები ღვთისმსახურებათა შორის მხოლოდ ნამაზის გამოტოვებას მიიჩნევენ დიდ ცოდვად, რომელსაც ურნმუნოებასთან აიგივებენ.

6 — ერთ-ერთი საპაპე, სახელად ებუ დერდა გადმოგვცემს: ალლაჰის შუამავალმა დამარიგა: „ცეცხლში რომ იწვოდე, ალლაჰი არასოდეს უარყო და მას არაფერი თანაუზიარო! ფარზი ნამაზები არ მიატოვო, ეს რელიგიის დაკარგვის მიზეზი გახდება. ალკოჰოლს არ გაეკარო რადგან ის ყველა სიავის საწყისია“.

ნებისმიერი სახის ალკოჰოლურ სასმელს ადამიანი გონების დაკარგვამდე მიყავს, გონება აღრეული პიროვნება კი ყველა ბოროტებას ჩაიდენს.

7 — აბდულლაჰი იბნი მესლ'უდ (რადიალლაჰი ანჰ) მოგვითხრობს: ერთხელ ალლაჰის შუამავალს (სალლალლაჰი ალეიჰი ვესელლემ) ვკითხე: უზენაესი ალლაჰის ყველაზე საყვარელი ქმედება რომელია? „დროულად შესრულებული ლოცვა“, მიპასუხა მან. სხვა ჰადისში ვკითხულობთ: „უზენაეს ალლაჰს ყველაზე მეტად ზუსტად დროის დაწყებისას შესრულებული ლოცვა უყვარს“. გარდა ამისა? „დედ-მამაზე კარგად მოქცევა“. კიდევ რომელია ყველაზე საყვარელი ქმედება? „ალლაჰის გზაზე ჯიჰადი -ბრძოლაა“, ბრძანა მან. ეს ორივე ჰადისი, ჰადისის ცნობილ წყაროებში -ბუხარსა და მუსლიმში, გვხვდება. სხვა ჰადისებში ასევე ვკითხულობთ: „საქმეთაგან საუკეთესო, მშიერის დაპურებაა“. კიდევ სხვა ჰადისში, „მისალმებაა“. ასევე კიდევ სხვა ჰადისში, „ლოცვაზეა საუბარი, მაშინ, როცა ყველა ღრმა ძილშია“. სხვა ჰადისში „ყველაზე საუკეთესო საქმე, ის არის, როცა მუსლიმის ხელით ან ენით არავის ზიანი არ მიადგება“.

8 — ერთ ჰადისში, „ყველაზე საუკეთესო საქმე, ჯიპადია“. სხვა ჰადისში, „ყველაზე საუკეთესო საქმე, ჰაჯობაა“. ასევე ჰადისებში გვხვდება უზენაესი ალლაჰის ხსენება. ჰადისებში კითხვის დამსმელისა და დროის შესაბამისად, განსხვავებული პასუხები გვხვდება. მაგალითად, ისლამის საწყის პერიოდში საუკეთესო ქმედებად ჯიპადი ითვლებოდა. დღეისათვის, ყველაზე საუკეთესო საკმე კალმით და სიტყვით ჭეშმარიტების ქადაგება, ურნმუნოთა შეგონებაა. ასეთი ჯიპადზე, ვინც მატერიალურად და ფიზიკურად, დამხმარება მადლისა და ჯილდოს მონაწილე გახდება. ძვირფას აიათებსა და ჰადისებში, ლოცვა და ზექათის გაცემა ყველაზე საუკეთესო ქმედებად არის წარმოჩენილი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა, მადლის მოგების თვალსაზრისით ლოცვაზე და ზექათის გაცემაზე უფრო წინ დგას. აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ მდგომარეობისა და ვითარების მიხედვით კონკრეტული ქმედებები წინ არის წამოწეული.

9 — უბადე ბინ სამითი (რადიელლაჰი ანჰ) მოგვითხრობს: ალლაჰის შუამავალი (სალლალლაჰი ალეიჰ ვესელლემ) ბრძანებს: „უზენაესმა ალლაჰმა ხუთი დროის ლოცვა ბრძანა. ვინც, გულდასმით აბდესთს აიღებს, ნამაზებს დროულად შეასრულებს, ასევე რუქულ’სა და სეჯდეს მოკრძალებით შეასრულებს, უზენაესი ალლაჰი მას მიტევებას ალუთქვამს“. მოცემული ჰადისი შერიცი იმამი აჰმედის, ებუ დავუდისა და ნესაიში გვხვდება. აქედან ნათლად ჩანს, რომ ლოცვის პირობებზე, რუქულ’ებზე და სეჯდეებზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანია. უზენაესი ალლაჰი დადებული აღთქმის ერთგულია.

10 — ცნობილი საპაბე ბურეიდე ესლემი (რადიალლაჰი ანჰ) გვამცნობს. ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰი ალეიჰ ვესელლემ) ბრძანა: „თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქმედება ლოცვაა. ვინც ლოცვას მიატოვებს რწმენას დაშორ-

**დება“.** ეს ჰადისი შერიცი, იმამი აპმედის, თირმიზის, ნესაისა და იბნი მაჯეს წყაროებში გვხვდება.

11 — ზეიდ ბინ ჰაალიდ ჯუპემი გვამცნობს. ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანა: „**მუსლიმი, რომელიც გულნრფელად და მოკრძალებით ორ მუხლს ნამაზს შეასრულებს, წარსული ცოდვები მიეტევება**“. უზენაესი ალლაჰი, მცირე ცოდვებს მიუტევებს. აღნიშნულ ჰადისს იმამი აპმედი გადმოგვცემს.

12 — აბდულლაჰ ბინ ამირ-ბინ ასი მოგვითხორბს: ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანა: „**ვინც ლოცვას შეასრულებს, მისი ლოცვა განკითხვის დღეს სინათლედ მოევლინება და მისი ჯოჯოხეთიდან გადარჩენის მიზეზი გახდება. ლოცვის არ შემსრულეს არც სინათლე ექნება და არც დაცვა**“. ჰადისიდან ნათლად იკვეთება, რომ ვინც ლოცვას ყურადღებით მოეკიდება, განკითხვის დღეს მისთვის სინათისა და გადარჩენის მიზეზი გახდება. ლოცვისგან შორს მყოფი სხვაგვარად ურნმუნოთა შორის აღმოჩნდება და არც საიქიო გადარჩენა მოელის მას.

13 — ებუ დერდა (რადიელლაჰ ანჰ) მოგვითხორბს: ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰ ალეიჰი ვესელლემ) ბრძანა: „**თუნდაც ცეცხლში დაიწვა, უზენაესი ალლაჰის სანინააღმდეგო არასოდროს არაფერი გააკეთო! ფარზი ნამაზები არ მიატოვო! ფარზებზე შეგნებულად უარის მთქმელი რწმენას დაშორდება. ალკოჰოლური სასმელისგან თავი შორს დაიკავე, რამეთუ იგი ყველა სიავის გასაღებია**“. აღნიშნულ ჰადისს იბნ მაჯე გადმოგვცემს. ვინც სიზარმაცის გამო ლოცვას არ შეასრულებს რელიგიას არ დაშორდება, თუმცა ცოდვად დაეწერება. ალკოჰოლური სასმელები გონებას ბინდავს და ადამიანი მდგომარეობიდან გამოყავს. ასეთი ადამიანისგან კი ყველანაირი სიავის ჩადენა მოსალოდნელია.

14 — ‘აბდულლაჰ იბნი ომერი (რადიელლაჰ ანჰ) გვამცნობს: ალლაჰის შუამავალმა (სალლალლაჰ ალეიჰი ვესელ-

ლემ) ბრძანა: „უზენაესი ალლაპი კმაყოფილი იქნება მისგან, ვინც დროის დადგომისთანავე ლოცვაზე დადგება. დროის მიწურულს მლოცველებს კი მიუტევებს“. (თირმიზი)

15 — უმმი ფერვე (რადიელლაპუ ანჰა) გადმოგვცემს: როდესაც ალლაპის შუამავალს (სალლალლაპუ ალეიპი ვესელ-ლემ) ყველაზე საუკეთესო საქმის შესხებ პეითხეს, ბრძანა: „ყველაზე საუკეთესო ქმედება დროულად შესრულებული ლოცვაა“. აღნიშნული ჰადისი იმამი აქმედის, თირმიზისა და ებუ დავუდის ცნობილ წყაროებში გვხვდება.

16 — ძვირფასი აიშე (რადიელლაპუ ანჰა) ბრძანებს: მოხლოდ ორჯერ ვნახე, როცა ალლაპის შუამავალმა ლოცვა დროის მიწურულს შეასრულა.

17 — ძვირფასი აიშე გადმოგცემს, რომ ალლაპის შუამავლის მიერ ნაფილე ღვთისმსახურების სახით უწყვეტად ასრულებდა დილის ლოცვის სუნნეთს. მოთხრობილია ბუხარისა და მუსლიმის ჰადისებში.

ისლამის ცნობილი სწავლული, იმამი რაბბანი, გვამცნობს: უზენაესი ალლაპის მიერ ყველაზე მოწონებული საქმეთაგან ერთ-ერთი ფარზი და ნაფილე ლოცვებია. ერთი ფარზის დროულად შესრულება, ათასი წელი ნაფილე ნამაზის ლოცვაზე მნიშვნელოვანია. ყველა სახის ნაფილე ასეთია, მაგალითად ნამაზი, ზექათი, მარხვა სულ ასეა. ასევე ერთი ფარზის შესრულებისას, მისი სუნნეთებიდან ერთი სუნნეთი და წესებიდან ერთი წესის გაკეთებაც, სხვა ნაფილებზე უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასია. ჰაზრეთი ომერი ერთ დღეს დილის ლოცვას უწინამდლოლებდა. ჯემა'ეთის ერთ-ერთი წევრი ლოცვას არ ესწრებოდა, როდესაც იკითხა მისი მეჩეთში არ მოსვლის მიზეზი, მიუგეს: ის ყოველ ღამე ნაფილე ლოცვებს ასრულებს. შესაძლებელია ჩაეძინა და ამიტომაც ვერ მოახერხა მოსვლა. მაშინ ომერმა (რადი-ალლაპუ ანჰა) თქვა: „უმჯობესი იქნებოდა მთელი ღამე ძილში გაეტარებინა და დილის ლოცვაზე არ დაეგვიანებინა.“

გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია, კარგი საქმეები მექრუპისგან მორიდებით შესრულდეს. რა თქმა უნდა ეს უფრო სასარგებლოა. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ერთი ლარი ზექათის გადახდა, ათასობით ლარის ნაფილე სადაყის გადახდაზე უფრო უკეთესია. (იმამი რაბბანი, 1034 /მ. 1624 წელს, ინდოეთში, ქალაქ სერკენდში გარდაიცვალა)

მაშ ასე, ღვთისმსახურება გულის სისუფთავეს კიდევ უფრო გაამუჯობესებს. ცოდვები კი გულს მცირე ლაქებად დაედება და თუკი ადამიანი არ მოინანიებს, საბოლოოდ გულის გაშავებას გამოიწვევს. ყველა მუსლიმი ვალდებულია რწმენის პირობები, ფარზები და ვაჯიბები ისწავლოს. არ ცოდნა საპატიო მიზეზად არ ჩაითვლება.

## ნამაზის ჭეშმარიტება

ისლამის უდიდესი სწავლული ‘აბდულლაჰ’ დეპლევი თავის ნაშრომში (**მექათიბ-ი შერიფე**) 85-თე წერილში წერს:

ნამაზის ჯემა’ ეთით ლოცვა და რუქულ’ ის შემდეგ წელში გასწორება, ორ სეჯდეს შორის დაჯდომა ალლაჰის შუამავალმა (სალლაჰჟ ალეიჰი ვესელლემ) გვამცნო. ყველაფერს თავისი ფუნქცია აქვს: რუქულ’ ს, ფეხზე დგომას, სეჯდეს, წელში გასწორებას, დაჯდომას და სხვა. თითოეული მათგანის მოკრძალებით და ფაქიზად შესრულება მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია ყურანის კითხვა, მისალმება, ცოდვების მონანიება და უზენაესი ალლაჰისათვის ვედრება. ამრიგად თითქმის ყველა ღვთისმსახურება ნამაზშია თავმოყრილი. ხეები და ბალახები ისე დგანან წელში გამართულნი, როგორც ლოცვის აღმსრულები. ცხოველები რუქულ’ ის მდგომარეობაში, და უსულო არსებები თითქოს „ეთთეპიათზზე“ სხედან. ნამაზი მი’რაჯის ღამეს ფარზად დადგინდა. ნამაზის დამცველი შუამავლებთან და ყოვლისშემძლე ალლაჰს დაუახლოვდება და მორჩილებს მის

ბრძანებებს. უზენაესმა ალლაპტი დაადგინა რა ნამაზის შესრულება, ეს მუსლიმებისთვის უდიდეს მოწყალებად იქცა. ამიტომაც განუსაზღვრელი მადლიერება უზენაეს ალლაპს. ჩვენ ყოველთვის მივესალმებით ალლაპის საყვარელ შუამავლებს და გვწამს მათი. ლოცვისას საოცარ სიმშვიდესა და სიმყუდროვეს მოვიპოვებთ ხოლმე.

ნამაზის ლოცვისას მართალია ალლაპის დანახვა შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია ვილოცოთ ისე თითქოს მას ვხედავდეთ, ამბობს ერთერთი სწავლული. ამ აზრს ისლამის ყველა სწავლული იზიარებს. სურა ბაყარას 143-ე აიათში ვკითხულობს: „**ალლაპი არ დაგიკარგავთ თქვენსავე რწმენას**“. მოცემული აიათი გვამცნობს, რომ ჩვენ მიერ შესრულებული ღვთისმსახურება არ დაიკარგება. გამომდინარე აქედან, უგულისყუროდ შესრულებული თითეული ლოცვა, მხოლოდ ჩვენთვისვეა დანაკარგი. ალლაპის შუამავალი ბრძანებს: „**ორივე თვალის სინათლე და გემო ლოცვაში**.“ აქედან შესაძლოა სხვა დასკვნაც გამოვიტანოთ. ყოვლისშემძლე ალლაპი თავის სიდიადეს მადლსა და ნათელს ნამაზში აერთიანებს, რაც ადამიანს შვებასა და ბედნიერებას გვრის. ვინც გარდა ლოცვისა, სხვა რამეში ეძიებს შვებას და ბედნიერებას -უგულურია და ის ჭეშმარიტი მორწმუნე არ არის, რადგანაც ნამაზის გამოტოვებით, იგი ყველა სხვა ღვთისმსახურებას უმნიშვნელოს ხდის.

## უპირატესობანი ნამაზის შესრულებისას

იმამი რაბბანი წიგნში „**მექთუბათი**“ პირველი ტომის 261-ე წერილში წერს:

„**აუცილებელია იცოდეთ, რომ ლოცვა ისლამის ხუთი პირობიდან მეორეა. ნამაზი ყველა ღვთისმსახურებას ერთად მოიცავს. ნამაზი ყველაზე ჭეშმარიტი ღვთისმსახურებაა, რომელიც ადამიანებს ალლაპთან აახლოვებს და სამოთხეში დამ-**

კვიდრების ერთ-ერთი მტკიცე წინაპირობაა. ჰადისში ვკითხულობთ: „ლოცვა მუსლიმის მი'რაჯია“. „ადამიანი უზენაეს ალლაპთან ყველაზე ახლოს სწორედაც, რომ სეჯდეს დროს არის!“ ზოგადად წარმატებებსა და გამარჯვებებში ნამაზის ლოცვის მადლიანობას ადამიანები ხშირად ხედავენ ხოლმე. რომ არა ლოცვა ადამიანები სიყვარულსა და სიკეთეს როგორ ისწავლიდნენ? ნამაზი დარდიან სულებს შვებას ჰგვრის, ავადმყოფობის განკურნებას ხელს უწყობს. ლოცვა ხომ გულის მკურნალია. ალლაპის შუამავალი (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ) ბრძანებს: „ლოცვა გულის სიმშვიდე და თვალის ჩინია“ ის რაც ხდება სამყაროში ყველაფერი უზენაესი ალლაპის ნების შესაბამისია. ამასთან ერთად ლოცვა ხომ მისი ბრძანებაა. ლოცვის გარეშე ამქვეყნიური სიამოვნებები უმნიშვნელო და უშინაარსოა. მნიშვნელოვანი საიქიოში დამკვიდრების გზაზე მადლისა და სიკეთის დამსახურებაა. ადამიანი ჭეშმარიტ ბედნიერებასა და სულიერ სიმშვიდეს იქ მოიპოვებს. რამეთუ უამრავი ამქვეყნიური ღირებულება საიქიოში გაუფასურდება. საიქიო სამოთხეში დამკვიდრებისთვის მი'რაჯი – ამ შემთხვევაში -ლოცვა, აუცილებელია. რადგან ალლაპის შუამავალმა (სალლალლაპუ ალეიპი ვე-სელლემ) ბრძანა: „მი'რაჯის ღამეს ჩააბარა სული ჭეშმარიტ მეპატრონეს და დაიმკვიდრა სამოთხეში სამარადისო სამყოფელი. ო, უზენაესო ალლაპ! გვარგუნე ძალა ვიმოქმედოთ მი'რაჯისთვის შესაფერისი ქცევებით. შუამავლებს არ მოაკლო მადლი და ჯილდო, რადგან ისინი შენი რჩეულები არიან და შენი ბრძანებების სისრულეში მოსაყვანად ჭეშმარიტი გზას ქადაგებდნენ.“

ყველა, ვინც მცდარ გზას ადგას შეგნებულად როდი აირჩია, მათ უბრალოდ არ გააჩნდათ სწორი ინფორმაცია ნამაზის ჭეშმარიტი მადლისა და უპირატესობების შესახებ, ამიტომაც ისინი ბედნიერებას სხვა რამეებში ეძიებდნენ. სხვა მიზნებისაკენ ლოცვის გარეშე ისწრაფოდნენ. ზოგმა ნამაზის ღირებულება და შვება მუსიკაში, გართობაში, თრობაში, საკუთარი თავისა

და გონების დაკარგვაში ეძება. სიმშვიდე ლამაზი ფარდების მიღმა, მუსიკასა და გართობაში ეძება. ცეკვასა და მხიარულებას მიჰყვა. მათ არ უწყოდნენ შემდეგი ჰადისის შინაარსს: „**და ნუ ეძიებთ შვებას აკრძალულსა და მოუწონარში!**“ დიახ, გამოუცდელი მოცურავე დახრჩობას რომ გადაურჩეს, ნებისმიერ ფესვსა და ბალას ებლაუჭება. ადამიანს ზღვარგადასული გატაცება სმენასა და მხედველობას წაართმევს. მათ ნამაზის სიახლოვე რომ ჰქონოდეთ, ამ მავნე საქმებს არ გაეკარებოდნენ, და ფიქრებშიც კი ადგილს არ დაუთმობდნენ.

უზენაესი ალლაპის მიერ ბოძებული ყველაზე დიდი ჯილდო და საჩუქარი ღვთისმსახურების (იბადეთის) სიამოვნებით შესრულება და ლოცვით არასოდეს დაღლაა. მხოლოდ ასეთ ადამიანებს ძალუბთ შეიცნონ ნამაზი მონიჭებული ნამდვილი გემო და ფასი. განსაკუთრებით კი ფარზი ნამაზებისა.

საკმარისია ადამიანმა იგემოს ნამაზის საოცარი სიამოვნება, რომ მაშინვე ბაგებიდან ეს სიტყვები აღმოხდება: „ო, ყოვლისშემძლე ალლაჲ, რა სასწაულია, უსაზღვრო მადლიერება შენ, რამეთუ შენ ახარებ მწუხარე სულებს და ეს არის ჭეშმარიტი ბედნიერება.

ყველა ღვთისმსახურება ადამიანებში ლოცვის სურვილის გაღვიძებას ემსახურება, რადგან საბოლოო და სამარადისო ბედნიერების მიღწევა მხოლოდ ლოცვით არის შესაძლებელი.

**ნამაზი** ღვთისმსახურებათა შორის ყველაზე ფასეულია. **ნამაზი** გატეხილი გულების გამამრთელებელი, ცოდვების მიტევების, სიავისგან დამცავი ფარია. ჰადისში ვკითხულობთ: „**ნამაზი გულის სიმშვიდე და სიხარულის წყაროა**“. **ნამაზი** სევდიან გულებს ნაღველს გაუქრობს. **ნამაზი** სულის საკვები და გულების მკურნალია. რამეთუ ლოცვა უზენაეს ალლაპთან დაახლოების ერთადერთი ჭეშმარიტი გზაა“.

იმამი რაბბანი, თავის ნაშრომში 1 ნაწილის, 266-ე წერილში ამბობს:

რელიგიასა და მრწამსში გათვითცნობიერების შემდეგ, ფიქტის (ისლამის სამართალი) შესწავლა აუცილებელია. ფარზების, ვაჯიბების, ჰალალი და ჰარამის, სუნნეთი და მექრუფების შესწავლა და შესაბამისად მოქმედებაა საჭირო. ფიქტის ცოდნა ყველა მუსლიმისთვის მნიშვნელოვანია. უზენაესი ალლაჰის ბრძანებების თანახმად, რელიგიური დოგმების შესაბამისად ცხოვრება, დღეში ხუთი დროის ნამაზის შესრულება მორწმუნის ცხოვრების მნიშვნელოვანი პრინციპებია. ნამაზი რწმენის საყრდენი ბოძია. გულისყურით მომისმინეთ! ჯერ, სუნნეთის შესაბამისად აბდესთი უნდა აიღოთ. აბდესთის აღებისას სხეულის დასაბანი კიდურები სამ-სამჯერ გულდასმით უნდა დაიბანოთ. თავზე მესპის დროს, თავის ყველა ნაწილზე ხელი უნდა გადაისვათ. ყურებზე დაკისერზე ასევე მესპი უნდა გააკეთოთ. ფეხის თითების დაბანისას (ფეხის თითების შუალედების გაწმენდისას) მარცხენა ხელის ნეკა თითით ფეხის თითების ქვედა მხარები უნდა დაიბანოთ. ეს მუსთეპაბი (მოსაწონი) საქმეა და გამოტოვება არ შეიძლება. ამრიგად სრულფასოვანი აბდესთით ლოცვისთვის უკვე მზად იქნებით. ყველა ეს უზენაესი ალლაჰის საყვარელი და მოწონებული ქმედებებია.

ნამაზი მორწმუნის მი'რაჯია, ანუ მი'რაჯის ღამეს შუამვლისთვის (სალლალლაჰუ ალეიჰი ვესსელლემ) ნაბოძები საჩუქარია. მამაკაცები, ნამაზის ჯემა'ეთით ლოცვისთვის უნდა ისწრაფოდნენ, უფრო მეტიც იმამის პირველი საწყისი თექბირი არ უნდა გამოტოვონ. (ქალების როგორც ჯემა'ეთით ნამაზის ლოცვის დროს, ასევე ყურანის ან მევლუდის მოსასმენად, ჯამეებში მამაკაცების გვერდით ყოფნა და შერევა ნებადართული არ არის)

ნამაზის დროულად შესრულება სავალდებულოა. მარტოდ ლოცვისას ყველა ნამაზი დროის მოსვლისთანავე უნდა სრულდებოდეს. სამხრობისა და იათსი (ღამის) ნამაზი იმამი აზამის მიხედვით უნდა ილოცებოდეს. ნამაზი რამდენადაც დაგვი-

ანებით ილოცება იმდენად მაღლი მცირდება. გამოტოვებული ლოცვის შესრულებით ცოდვა მიტევებული არ იქნება. მხოლოდ ვალი მოხდილად ჩაითვლება. ამ ცოდვის მისატევებლად მონანიება მნიშვნელოვანია.

ნამაზის დროს ყურანი სუნნეთის შესაბამისად უნდა იკითხებოდეს. რუქულ'ზე და სეჯდეზე ზედმეტი მოძრაობა არ შეიძლება. რამეთუ ისინი ფარზი ან ვაჯიბია. რუქული'დან წელში სრულად უნდა გაიმართო. ამის შემდეგ, ამ მდგომარეობაში განსაზღვრული დროით დგომა ფარზი ან სუნნეთი ან ვააჯიბია. ორ სეჯდეს შორის ჯდომაც ამის მსგავსია. ამათზე რა თქმა უნდა ყურადღების გამახვილებაა საჭირო. რუქულ'ზე და სეჯდეზე თესბიპი სულ ცოტა სამსამ ჯერაა, ყველაზე მეტი შვიდი ან თერთმეტია. იმამისთვის კი ჯემაღლეთის მიხედვითაა. ჯანმრთელი ადამიანისთვის, მარტოდ ლოცვისას თესბიპი სულ მცირე ხუთჯერ მაინც უნდა წარმოვთქვათ. სეჯდეს შესრულების დროს ჯერ მუხლები, შემდეგ ხელები, შემდეგ ცხვირი და ბოლოს შუბლი შეეხოს. მუხლებისა და ხელების შემთხვევაში თავ-დაპირველად მარჯვენა მხარე უნდა შეეხოს. ადგომის პროცესი დაჯდომის საპირისპიროდ გხორციელდება (ანუ შუბლით ცხვირით დაიწყება). ფეხზე დგომისას, სეჯდეს მიმართულებით, რუქულ'ზე ყოფნისას ფეხების, სეჯდეზე ყოფნისას ცხვირის, ჯდომისას კი ხელების შუაში ანდა მუხლებზე უნდა ვუცერდეთ. ალლაპის შუამავალი (სალლალლაპუ ალეიიპი ვესელლემ) ბრძანებს: ხელის თითების რუქულ'ის დროს გაშლა, ხოლო სეჯდეზე ერთმანეთზე შეერთება სუნნეთია. ალლაპის შუამავალი (სალლალლაპუ ალეიიპი ვესელლემ) ამ მოქმედებების სარგებლიანობაზე ფიქრობდა ასეც აკეთებდა. ჩვენ კი ვალდებული ვართ მისი სწავლების შესაბამისად მოვიქცეთ. ალლაპუ თეალამ ჩვენც და თქვენც ისლამის სწორი გზით ცხოვრება გვარგუნოს! აე, უზენაესმა ალლაპმა შუამავლის სიყვარულით მიიღოს ჩვენი ვედრება და ჭეშმარიტი გზით გვატაროს. აამიინ.

იმამი რაბბანი „რაჰმეთულლაპი ალეიიპი“ თავის ნაშ-  
რომის – (მექთუბათი) მეორე ნაწილის 69 -ე წერილში წერს:

უსაზღვრო მადლობა უზენაეს ალლაპს! მშვიდობა და  
სიკეთე ჰქონოდეთ ყველა მორწმუნება! დაე, არ აცდუნოს ისი-  
ნი ეშმაკამა და ჭეშმარიტი გზის მეგუზრად დარჩნენ. ამბობთ,  
რომ დღეში ხუთი დროის ლოცვებს ჯემა'ეთით ასრულებთ. ეს  
ძალიან კარგია, ამისათვის უსაზღვრო მადლობა უზენაეს ალ-  
ლაპს. როცა გული უზენაესი ალლაპისკენაა მიდრეკილი, ქცევ-  
ებითა და სამართალით სამაგალითოდ ცხოვრობ. დღესდღეიო-  
ბით ადამიანების უმრავლესობა ლოცვას უგულებელჲყოფს ან  
არ აქცევს მის თანმიმდევრობას ყურადღებას. თქვენ, როგორც  
ჩემი საყვარელი მეგობრები მინდა გესაუბროთ შემდეგ საკითხ-  
ზე: მინდა კარგად დაიმახსოვროთ! შუამავალი (სალლალლაპუ  
ალეიიპი ვესელლემ) ბრძანებს: „ყველაზე დიდი ქურდი ის არის,  
ვინც საკუთარ ნამაზს იპარავს“. მაშინ საპაბებმა ჰკითხეს:  
ო, ალლაპის შუამავალი! პიროვნება, როგორ შეიძლება იყოს  
საკუთარი ნამაზის ქურდი? „ვინც ნამაზის რუქუ'ს და სეჯ-  
დეს სრულყოფილად არ შეასრულებს“. შუამავალმა ასევე  
ბრძანა: „ვინც ნამაზის ლოცვისას რუქუ'ზე და სეჯდეზე  
გარკვეული დროით წელში მოხრილი არ გაჩერდება უზენ-  
აესი ალლაპის მის ნამაზს არ მიიღებს“. შუამავალმა როდე-  
საც ნახა, რომ ერთ-ერთმა პიროვნებამ ლოცვისას რუქუ'ი და  
სეჯდე სრულფასოვნად არ შეასრულა უთხრა: „იმისათვის,  
რომ ლოცვის ასე შესრულების გამო სხვა რწმენით გარდაიცვა-  
ლო არ გეშინია? ასევე ბრძანებდა: „თუკი ორ სეჯდეს შორის  
წელში გამართულად არ მოხდება დაჯდომა, ნამაზი სრულყ-  
ოფილი არ იქნება“. ერთხელ, როდესაც ალლაპის შუამავალ-  
მა დაინახა პიროვნება, რომელიც ლოცვისას, სუნნეთებს, ვა-  
ჯიბებს, მუსთეპაბებს უგულებელყოფდა, რუქულიდან ადგო-  
მისას უმალ რუქუ'ს ასრულებდა, ორ სეჯდეს შორის არ ჯდე-  
ბოდა, უთხრა: „თუკი ნამაზების ასეთი ფორმით შესრულებას  
გააგრძელებ, როცა გარდაიცვლები, განკითხვის დღეს ჩემი

**თანამიმდევრების რიგებში არ მოიხსენიები“.** ებუ ჰურეირე (რადიელლაპუ ანჭ) გადმოგვცემს, რომ, (ისინი ვინც, სამოცი წელი, ყველა ლოცვა შეასრულა, თუმცა არცერთი არ იქნა მიღებული, არიან მლოცველები, ვინც ლოცვის დროს რუქუ’ი და სეჯდე უგულისყუროდ ან არასრულფასოვნად შეასრულა.ზეიდ იბნ ვეპბიმ დაინახა, რომ ერთ-ერთმა პიროვნებამ რუქუ’ი და სეჯდე უგულისყუროდ შეასრულა. მაშინ იხმო იგი პიროვნება და ჰკითხა: რამდენი ხანია, რაც ასე ლოცულობ? ორმოცი წელია, მიუგო კაცმა. სამწუხაროა, რომ ამ ხნის განმავლობაში შესრულებული შენი ლოცვა ნაკლოვნებიბით არის სავსე.

გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია თითოეული ლოცვა მთელი მოკრძალებითა და სრულფასოვნებით იყოს გაჯერებული, გულწრფელობით აღსავსე იყოს და მთელი მონდომებით სრულყოფილი ლოცვისთვის უნდა ვისწრაფოდეთ. თუკი დავინახავთ, რომ სხვები შეცდომით ასრულებენ ლოცვას უნდა ვასწავლოთ შეცდომების გამოსწორება. მუსლიმების უმრავლესობა ამ საპატივცემულო მოქმედებებიდან შორს რჩებიან და ამ შესაძლებლობებს ხელიდან უშვებენ. ალლაპის შუამავალი (სალლალლაპუ ალეიიპი ვესელლემ) ბრძანებს: „ვინც გააცოცხლებს მივიწყებულ სუნნეთს, გამოდის რომ ვუყვარვარ მე, ხოლო ვისაც მე ვუყვარვარ სამოთხეში ჩემთან ერთად იქნება“. (თირმიზი, სუნენი, ‘ილიმი, 39/16 )

ჯემა’ეთით ლოცვისას რიგების სწორად და მჭიდროდ დგომას დიდი მნიშვნელობა აქვს. ალლაპის შუამავალი ჯერ რიგების სისწორეს გადახედავდა სისწორის დაცვისკენ მოუწოდებდა და ლოცვას ამის შემდეგ დაიწყებდა.

მუსლიმს, რომელსაც სურს ამქვეყნიური სიმშვიდე და საიქიო სამარადისო ბედნიერება, საკუთარი თავიდან შემდეგი სამი ჩვევა უნდა ამოიგდოს:

ხელთქმნილი კერპებისგან რაიმეს მოლოდინი, სულიერ ძმაზე ცილის წამება. სხვისი კუთვნილის არამსამართლებრივი გზებით მისაკუთრება.

## ნამაზის იდუმალება

იმამი რაბბანი (**მექთუბათი**) თავისი ნაშრომის პირველი ნაწილის, სამასმეოთხე წერილში წერს:

უსაზღვრო მადლობა უზენაეს ალლაჰს, ლოცვა და სალამი მის უსაყვარლეს შუამავალს (სალლალლაჰჲ ალეიჰი ვესელ-ლემ). დღადი გამჩენი სხვადასხვა აიათებში, კეთილის-მქმნელი მორნმუნების სამოთხეში დამკვიდრების შესახებ გვამცნობს.

რომელი ქმედებები იგულისხმება სიკეთეში? ნაგულისხმებია ყველა კეთილი ქმედება თუ ზოგიერთი? ჩვენდა სასიხარულოდ უზენაესმა ალლაჰმა გვამცნო რომ, სწორი საქმეები, ისლამის ხუთი პირობაა. ისლამის ამ ხუთი პირობის გულდასმით შესრულება, ჯოჯოხეთიდან გადარჩენის იმედია. სიკეთე ადამიანს ცოდვებისგან და ცუდი ქმედებებისგან იცავს. ყურანში სურა ანქებუთის ორმოცდამეხუთე აიათში ვკითხულობთ: „**აღ-ავლინე ლოცვა, უეჭველად, ლოცვა განდევნის სიავენს და უკეთურს**“.

პიროვნება, რომელიც ისლამის ხუთ პირობას შეასრულებს, შესაბამისად მის მადლსაც დაიმსახურებს. სურას ნისას ასორ-მოცდამეექვსე აიათში ვკითხულობთ: „...სულ მალე ალლაჰი მიუძღვნის მორნმუნებს უდიდეს ჯილდოს!“ სწორედ ამიტომ, ისლამის ხუთი პირობის, შესრულებისთვის მნიშვნელოვანია სულითა და გულით გარჯა.

ხუთი პირობიდან ყველაზე საუკეთესო, ნამაზი ანუ ლოცვაა. რადგან იგი რწმენის საყრდენი ბოძია. ნამაზის საკითხში ყველაზე მთავარი მისი დროულად და უშეცდომოდ შესრულებაა. ვინც ლოცვას სრული მოკრძალებით შეასრულებს, ის შესაბამის ჯილდოს დაიმსახურებს.

ლოცვაზე დადგომის წინ, „**ალლაჰჲ ექბერ**“ წარმოთქმა, რათქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ უზენაესი ალლაჰი რომელიმე არსების მისადმი მსახურებას საჭიროებს. ადამიანების მიერ ლოცვის შესრულება მას არაფერს შეჰმატებს. რაც შეეხება

ლოცვის შიდა „თექბირებს“ ისინი წრფელი გულით და ყოველგვარი ნაკლოვნებისგან დაცულ მსახურებად ითვლება.

ნამაზი მორწმუნის ამაღლებაა. ლოცვის დროს ასევე მნიშვნელოვანია „ეთეპიათუს“ კითხვა, რომელიც ალლაპის შუამავლის (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ) მი'რაჯის ღამის საჩუქარია. შესაბამისად, ვინც ლოცვას ასრულებს, ეს მისთვის თვით მი'რაჯი –ამაღლებაა.

ალლაპის შუამავალი (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ), ბრძანებს: **(ადამიანი, დიად გამჩენთან ყველაზე ახლოს ლოცვის შესრულების დროს იმყოფება).** ვინც ასრულებს ლოცვას, ის ესაუბრება უზენაეს ალლაპს, მას ევედრება და მის ძლევამოსილებას ითავისებს. სწორედ ამიტომ ლოცვის დროს მოკრძალება, ღვთისმოშიმობა, სწრფელე და დასასრულს ორივე მხარეს სელამის მიცემა მნიშვნელოვანია.

ალლაპის შუამავალი (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ) ლოცვის დასასრულს თესბიპს ბრძანებს, რაც 33-ჯერ სუბპანალლაპს, 33-ჯერ ელპამდულილლას, ხოლო 33-ჯერ ალლაპუ ექბერის“ წარმოთქმას ნიშნავს.

ვინც ლოცვას ყოველგვარი პირობების დაცვით შეასრულებს, გამოხატავს გულწრფელ მადლიერებას და წარმოთქვამს „ქელიმე-ი თევპიდს“, მის მიერ შესრულებული ლოცვა მიღებულად ჩაითვლება და თვითონ გადარჩენილთა შორის იქნება. „ღმერთო ჩემო! შუამავალი (სალლალლაპუ ალეიპი ვესელლემ)-ის საყვარელ უმმეთად და ლოცვის წესისამებრ უნაკლოდ შემსრულებელთა რიგებში გვამყოფე“. აამიინ!

**იმამი მუჰამმედი მეთერთმეტე წერილის მეორე ნაწილი-ში წერს:**

უზენაეს ალლაპს ადამიანები მარტოდ და უპასუხისმგებლოდ არ დაუტოვებია. არც სასურველი ყველაფერისგაკეთების ნება დაურთავს. ხორციელ მოთხოვნილებებზე დამორჩილება, სიამოვნებებზე აყოლა, ზღვარ გადასულობა, ცოდვის

მორევში ჩაფლობა და სხვა, ის პრინციპებია, რასაც ყოველი გონიერი ადამიანი უნდა განერიდებოდეს. მათ ამცნო ნებადართული გზების შესახებ და უბრძანა ეკეთებინა ისეთი ქმედებები, რაც უზენაესი ალლაპის დადგენილ ნორმებს არ ეწინააღმდეგება. აღნიშნულ უფლებებისა და აკრძალვებს (**ისლამის დოგმები –ისლამ-აპქამი**) ეწოდა. იმისათვის, რომ ამქვეყნად მშვიდობიანად იცხოვრო, ხოლო იმქვეყნად მარადიული ბედნიერება დაიმსახურო, ისლამის დადგენილი ნორმების შესაბამისად უნდა იცხოვრო. საჭიროა ადამიანმა დათმოს ისეთი თვისებები, რომლებიც ისლამს ეწინააღმდეგება. უზენაესი ალლაპისა და მისი ჭეშმარიტი რელიგიის -ისლამის შეუფერებელი საქციელი, საიქიონ სასჯელის საბაბი გახდება. ამქვეყნიური ცხოვრება, წარმავალი სიამოვნებაა. ხორციელი მოთხოვნილებებს ამყოლი და ზღვარგადასული პიროვნება სამარადისო და უსასრულო სიამოვნებებისგან შორს აღმოჩნდება.

უზენაესი ალლაპი ადამიანს ამქვეყნიურ სასარგებლოს არაფერს უკრძალავს, მხოლოდ მის სათანადო გამოყენებას უბრძანებს. იმისათვის, რომ ისლამს სწორად მიჰყევე, მნიშვნელოვანია იცოდე ეპლი სუნნეთის მიხედვით ისალმისა და რწმენის პირობები, ნებადართული და აკრძალულები, ფარზები და სუნნეთები. რა თქმა უნდა ყველგვარ აკრძალულსა და საეჭვო რამეებისგან საკუთარი თავის შორს დაჭერა თაყვას ანუ ღვთისმოსაობას მოითხოვს.

ალლაპის ბრძანებებსა და აკრძალვებს კი „ისლამ აპქამი“, ბრძანებებს „ფარზი“, აკრძალვებს (პარამი) ეწოდება. ისლამი ხუთი პირობიდან ყველაზე მთავარ ღვთისმსახურებას ნამაზი ანუ ლოცვა წარმოადგენს. ლოცვა, განზრახვით, სახით ყიბლისკენ ფეხზე დგომით, ფაათიპას კითხვითა და რუქუ'ისა და სეჯდეს შესრულებით შემოიფარგლება. მნიშვნელოვანია ლოცვის დროს ყიბლის მიმართულებით დგომა. ყოველდღიურად ხუთი დროის დროულად ლოცვა ამქვეყნიურზე ფიქრის

გარეშე, ჯემა'ეთთან ერთად მოკრძალებით უნდა სრულდებოდეს. ლოცვისას, ალლაპისა და მორწმუნის შორის ფარდები აიხდება. ხუთი დროის ლოცვა, ყოველდღე ხუთჯერ განბანვასა და ცოდვებისგან განწმენდას ნიშნავს. ყოველდღე ხუთი დროის ნამაზის სწორად მლოცველი შეჰიდის მადლს დაიმსახურებს.

სავაჭრო საქონლისა და პირუტყვის ზექათის გადახდა დროულად უნდა მოხდეს. ზექათის გაცემით ქონება არ შემცირდება. ქონება რომელზეც ზექათს არ გავცემთ ჯოჯოხეთის სასაჯელად იქცევა. უზენაესი ალლაპი მუსლიმებს, რომლის ქონება ნისაბის რაოდენობას აღემატება და მისი მფლობელობიდან ერთი წელი გავა, ზექათის გადახდის ვალდებულებას აკისრებს.

რამადნის თვეში, უზენაესი ალლაპის ბრძანების შესაბამისად მარხვა, შიმშილი და წყურვილი სულიერ ბედნიერებას უნდა გვანიჭებდეს.

ისლამის ბურჯი ხუთია: პირველი, (ეშპელუ ენ ლაა-ილააპე ილლელლაპ ვე ეშპელუ ენნე მუჰამმედენ ‘აბდუჰუ ვე რესუუ-ლუჰუ) წარმოთქმა, მისი მნიშვნელობის ცოდნა და დაჯერებაა. ამას (ქელიმეი შეჰიდეთი) ეწოდება. დანარჩენი ოთხი კი „ლოცვა, ზექათი, მარხვა და ჰაჯობაა. ამათგან ერთერთის შეუსრულებლობა, ისლამში ნაკლოვანებას გამოხატავს.

## ნამაზის შემდეგ ვედრება (დუა)

„ელჰამდულილლაპი რაბილ ღ'ალემინ. ესსელათუ ვესსელამუ ღალაა რესულინაა მუჰამმედინ ვე აალიპი ვე საპბიპი ეჯ-მეიღ’იინ“. ღმერთო ჩემო! მიიღე ჩემი ლოცვა! მომეცი სიშვიდე იმქვეყნად და ბოლო ამოსუნთქვისას შეჰიდეთის თქმა წილად მარგუნე. ჩემს ახლობელ გარდაცვლილებს ცოდვები აპატიე. „ალლაპუმმაღფირ ვერპემ ვე ენთე ხაირუნ რაპიმიინ, თევეფფ-ენი მუსლიმენ ვე ელ-ხიყნი ბის-სალიპინ. ალლაპუმმაღფირ-ლი

ვე ლი-ვალიდეიე ვე ლილმუ'მინინე, ველ მუ'მინაათი იევმე იეყუმულ ჰისაბა!

„ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც, დაგვიფარე ჩვენ ცეცხლის სასჯელისგან! ღმერთო ჩვენო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და მორწმუნებს იმ დღეს, როცა შედგება ანგარიშგება!

„ალლაჰუ ინ्�ნეჰე ლაფუვვუნ ქერიმუნ თუჰიბბულ 'აფვე ფალფუ'ანიი“. „ღმერთო ჩემო! შენ მპატიებელი ხარ, პატიება გიყვარს, მომიტევე მე“. ავადმყოფებს გამოჯაანმრთელება, დარდიანებს უდარდელობა არგუნე. დედაჩემს, მამაჩემს, შვილებს და ნათესავებს და ახლობლებს და ყველა რწმენით ძმებს საუკეთესო წლები, ლამაზი ზნეობა, საღი აზროვნება, ჯამრთელობა, სრული ჭეშმარიტება, უწყალობე. აამინ.

#### განმარტება: (დუა, ვედრების მიღების პირობები):

- 1 — მუსლიმი უნდა იყოს.
- 2 — ეპლი სუნნეთის მიმდევარი უნდა იყოს. შესაბამისად ოთხი მეზჰებიდან ერთერთი უნდა აირჩიოს.
- 3 — ფარზების შესრულება. იმისათვის, რომ ადამიანის ღვთისმსახურება მიღებული იქნას, მნიშვნელოვანია მან ყურადღებით შეასრულოს ფარზი ლოცვები და უმიზეზოდ არ გამოტოვოს. ეშმაკი, მუსლიმების საცდუნებლად, ფარზებს უმნიშვნელოდ მოაჩვენებს, ხოლო სუნნეთებს და ნაფილე ნამაზებს შეახალისებს. აგრეთვე მნიშვნელოვანია ნამაზები დროულად და თავის დროზე ილოცებოდეს.
- 4 — ჰარამებისგან განრიდება. ის ვინც ალალი სარჩოთი იკვებება, მისი ვედრება და ღვთისმსახურება მიღებული იქნება.
- 5 — ერთ-ერთი მუსლიმი სწავლული მუჰამმედ იბნი აჰმედ ზაჰიდი დასძენს: ჰადისის თანახმად, იმისათვის, რომ ვედრება მიღებული იყოს, ორი რამაა საჭირო: „პირველი, ვედრება წრფელი გულით უნდა იქნას ალვლენი-

ლი. მეორე, ნაჭამი და ჩაცმული ალალი უნდა იყოს. მორწმუნის ოთახში, თუკი რაიმე ჰარამი არსებობს, იქ აღვლენილი ვედრება- დუა, მიღებული არ იქნება“. „იპლასი“ მხოლოდ უზენაეს ალლაპტე ფიქრი, მხოლოდ მისგან მოლოდინია.

## ვედრება

**ღმერთოჩემო!** დასაწყისიდან დღემდე, ისლამის არაკეთილ-მოსურნებზე და შეცდომებზე მიყოლით, გაკეთებულ არასწორ ქმედებებს, სიავესა და შეცდომებს, ცუდ სიტყვებს, მოსმენილს, დანახულსა და გაკეთებულს, ვნანობ, პირობას ვდებ რომ კიდევ ერთხელ მსგავს სიტყვას არ წარმოვთქვამ და მიუღებელ ქმედებას აღარ ჩავიდენ. პირველი შუამავალი და ადამიანი –ძვირფასი ადემია (ალეიჰის-სელამ), ხოლო ბოლო ჩვენი შუამავალი „მუჰამედ ალეიჰის-სელამია“. ამ ორ შუამავალს შორის მოსული და წასულ ყველა შუამავლის მწამს -მჯერა. ყველა ჭეშმარიტია, -სწორია. „ამენთუბილლაპი ვე ბიმა ჯააე მინ ღინდ ილლაპ, ღალა მურადი რესულილლაპ, ამენთუბილლაპი ვე მელაიქეთი-პი ვე ქუთუბიპი ვე რუსულიპი ვე ლ-იევმილ აახირი ვე-ბილ ყადერი ხაირიპი ვე შერრიპი მინ-ალლაპი თელალაა, ველ-ბაღსუბელდელ მევთი ჰაყუუნ, ეშჰედუ ენ ლაა ილააპე ილლალლაპ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ ღაბდუჟუპ ვე რესულუპ.

## ნამაზის სარგებელი (ნამაზი და ჩვენი ჯანმრთელობა)

მუსლიმი, ნამაზს უზენაესი ალლაპის ბრძანების შესაბამისად ასრულებს. ალლაპის ბრძანებებში სხვადასხვა სარგებელია, ხოლო აკრძალულები აუცილებლად საზიანოა. აღნიშნულ სა-

სარგებლო და საზიანო რამეებისგან ზოგიერთი ცნობილია. ის-ლამი ადამიანის ჯანმრელობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ისლამის თანახმად ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთისმსახურება ლოცვაა-ნამაზია, რომელიც ზრდასრულ და გონიერ მუსლიმის სიცოცხლის ბოლომდე ევალება. ნამაზის ჯანმრთელობის მხრივ სარგებლობები ესენია:

- 1 — ლოცვის დროს რეგულარულად შესრულებული მოძრაობები გულის დალლილობას ხსნის. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული მოძრაობები სხვადასხვა დროს სრულდება ადამიანი მთელი დღის განმავლობაში მშვიდია.
- 2 — დღეში სულ მცირე ოთხმოცჯერ შესრულებული სეჯ-დეს დროს, ადამიანის თავში სისხლის მიმოქცევა ჩქარდება და ამ დროს ტვინი უკეთესად მუშაობს.
- 3 — ლოცვის შესრულებისას რა თქმა უნდა მოძრაობს თვალები, რაც ხელს უწყობს უკეთესად მიიღოს სისხლი და დაარეგულიროს თვალის წნევა. ეს ყველაფერი კი მას სხვადასხვა დავავადებებისაგან იცავს.
- 4 — ლოცვის დროს შესრულებული მოძრაოებები, კუჭში არსებული საკვების მონელებას უწყობს ხელს. ასევე ხელს უშლის თიკმელში კენჭის გაჩენას.
- 5 — ხუთი დროის ლოცვა და ამ დროს შერულებული მოძრაობები, ადამიანის სხეულს ზურგის, სახსრების და სხვადასხვა ავადმყოფისგან იცავს.
- 6 — სხეულის ჯანმრთელობისთვის სისუფთავე აუცილებელია. აბდესთი და დიდი განპანვა ჯამში სუფთა ორგანიზმს ნიშნავს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ნამაზი, სისუფთავის წინაპირობაა. სხეულის სისუფთავის გარეშე ნამაზი წარმოუდგენელია. ღვთისმსახურების ანუ იბადეთის შესრულებისთვის ადამიანი, სულიერად სუფთა და განწმენდილი იქნება.

- 7 — სხვადასხვა დროს ფიზიკური თერაპიის დროს შესრულებული ვარჯიშები, ძალიან ჰგავს ლოცვის დროს შესრულებულ მოძრაობებს, რაც სისხლძარღვებში სისხლის მოძრაობას და განახლებას უწყობს ხელს.
- 8 — ლოცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ძილის მოწესრიგების მიმართულებით. ლოცვის დროს სხეულში დაგროვილი სხვადასხვა ელექტრონები სეჯდეს შესრულებისას იფანტება. ამრიგად სხეული ისევ ნორმალურ მუშაობას უბრუნდება. ნამაზის აღნიშნულ სარგებლობებთან ერთად აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება სისუფთავეს, ზომიერ კვებას, საკვების სისუფთავეს და ნებადართულობას.

# მეშვიდე ნაწილი

## ნამაზის ისყათი. ისყათი და დევრი

(ნურ ულ-იზაჰ) – ში, (თაპთავ) – ში, (ჰალები)-ში, და (დარრ-ულ-მუხხთარ)-ში, (მულთეყა)-ში და (დარრ-ულ-მუნთეყა)-ში, (ვიყაე)–ში, (დურერ)-ში (ჯეპვერ)-ში და სხვა რელიგიურ წყაროებში, მარხვის ბოლოს ფითრისა და ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ისყათისა და დევრის საჭიროებაზეა მითითებული.

სიტყვა „ისყატი“ გაუქმებას, ვალიდან გამოსვლას ნიშნავს. „ისყატი სელა“ კი, მიცვალებულის ვალად დარჩენილი ფარზი და ვითრის ლოცვების ვალიდან გამოყვანის მიზნით, თანხის შეწირვაა, იმის იმედად, რომ ღვთის ნებით, მას მიეტევება, შეენევა და წაადგება. „ისყატი სავმი“ მიცვალებული ადამიანის ვალად დარჩენილი მარხვიდან გამოყვანაა.

- რით არის გამყარებული ისყატის კანონიერება?

მიცვალებულის ვალად დარჩენილი მარხვის სანაცვლოდ გაღებული გამოსასყიდი, რომელიც საპატიო მიზეზების გამო, ვერ შეინახა, აიათითა და და ჰადისით არის განმტკიცებული. ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ბრძანა: „თუკი ადამიანი გარდა-იცვლება ისე, რომ ვალად დარჩეს ერთი თვე მარხვა, ყოველი უმარხავი დღის სანაცვლოდ ერთი უპოვარი დააპუროს.“ (იბნი მაჯე, სიამი, 50)

ზემოთ ხსენებული ჰადისის თანახმად, ყოველი უმარხავი დღის სანაცვლოდ, ერთი უპოვარის დაპურება არის გაცხადებული. თუმცა ლოცვის სანაცვლოდ გამოსასყიდის შესახებ არც აიათი და არც ჰადისი არსებობს. მაში, საიდან დადგინდა „ისყატი სელა“?

„ისყატი სელა“ ე.ი. გარდაცვლილის ვალად დარჩენილი ლოცვების ვალიდან გამოყვანის მიზნით გამოსასყიდის გაცემას, ჰანეფი მეზჰების სწავლულები ერთგვარ სიკეთედ მიიჩ-

ნევენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო ლოცვის სანაცვლოდ გაცემული გამოსასყიდი, ლოცვის ადგილს ვერას-დროს დაიკავებს. (მაგრამ გაცდენილი მარხვისთვის გაცემული გამოსასყიდი მარხვად ჩაეთვლება და ვალიდან გამოიყვანს.)

თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიკვდილამდე ამგვარი გამოსასყიდის გაცემის ანდერძად დატოვება ერთგვარი მონანიებისა და სინანულის გამოვლინებაა. გარდაცვლილის ანდერძის გარეშე მემკვიდრეების მხრიდან შენირვის მიზნით გაღება კი, შეწყალების სურვილის მიზნით მიცვალებულისთვის სიკეთის თხოვნის ერთგვარი გამოვლინება. ამასთან ერთად, გამოსასყიდის გაღებით დარიბებს გულს უხარებს და მათ სხვადასხვა საჭიროებებს უკმაყოფილებს.

ზემოთ ხსენებული ასპექტების გათვალისწინებით, „ისყატი სელას“ ღვთის წიაღ მიღება, ე.ი. გარდაცლილის განვლილი ლოცვების ვალის მიტევება, ალლაპის წყალობისა და შემწეობის იმედით სრულდება.

რომ შევაჯამოთ:

გამოსასყიდის გადახდის მეთოდით, მარხვის ვალიდან გამოყვანის შესახებ კონკრეტული „ნასსი“ ანუ მტკიცებულება არსებობს. ლოცვაც, როგორც ღვთისმსახურება, მარხვის მსგავსია. უფრო მეტიც, მარხვაზე მნიშვნელოვანი. რამეთუ მონა-მსახურს იმიერ სამყაროში პირველად ლოცვის შესახებ მოეკითხება. არსებობს უამრავი გადმოცემა, რომ მისი ანგარიშსწორება, ვინც ლოცვის ვალით გარდაიცვლება, საკმაოდ ძნელია. აქედან გამომდინარე, თუკი აღარ არსებობს გაცდენილი ლოცვების ანაზღაურების საშუალება, გამოსასყიდი გადაიხდება იმ განზრახვითა და მუდარით, რომ ღვთის ნებით, ღვთიური მიტევების ხვედრი შეიქმნას. ვიმედოვნებთ, რომ გაღებული გამოსასყიდით დარიბები გაიხარებენ და მათი ვედრების საბაბით, ალლაპი ვალში დარჩენილ მონა-მსახურს ვალს მიუტევებს და თავის წყალობაში დაამკვიდრებს.

გამომდინარე იქიდან, რომ „ისყატი სელა“ შუამავლისა (ს.ა.ს.) და საპაბეების პერიოდში არ არსებობდა შესაძლოა თუ-არა ეს „ბიდ'ათად ჩაითვალსო? არის თუარა ამის გაკეთება ცოდვა?

იმის გათვალისწინებით, რომ „ისყატი სელა“ შუამავლისა (ს.ა.ს.) და საპაბეების პერიოდში არ არსებობდა, იმამი მუპამმე-დი (გამჩერნა მოწყალება მოილოს მასზე) გაცდენილ ლოცვის თემას მარხვასთან აკავშირებს და დასძენს, რომ არ უნდა იქნას აღქმული როგორც „აუცილებლად ლოცვის ვალის მოხდად“. ამასთან ერთად იგი იმ იმედით უნდა გაიცეს, რომ „ლვთის ნებით მიეტევება“. ამიტომ ის უნდა ალსრულდეს იმ იმედით, რომ ლვ-თის ნებითა და წყალობით მიეტევება, რომელიც ბიდ'ათად ვერ იქნება აღქმული.

### ზოგიერთი საკითხი „ისყატი სელას“ შესახებ

„ისყატი სელასა“ და „ისყატი სევმის“ შესასრულებლად, უპირველეს ყოვლისა, გარდაცვლილს ანდერძი უნდა ჰქონდეს დატოვებული. მაგრამ თუკი ანდერძი არ არსებობს, მაშინ მის მემკვიდრეებს შეუძლიათ გაიღონ, რაც ნებადართული და მიღე-ბულია.

გარდაცვალების წინ მორწმუნეს შეუძლია მხოლოდ თა-ვისი ქონების ერთი მესამედის ანდერძად დატოვება. ქონების დარჩენილი ნაწილი, ანუ ორი მესამედი მემკვიდრეების კუთვ-ნილებაა.

დღე-ღამის განმავლობაში, ვითირის ჩათვლით, ექვ-სი დროის ლოცვა არსებობს. გარდაცვლილის დანატო-ვარი ქონების ერთი მესამედით, ამ ექვსი დროის თითოეული ლოცვისთვის თითო „ფიდიე“ ანუ გამოსასყიდი გაიცემა. ფიდი-ემ ერთ ღარიბი დღე-ღამის განმავლობაში უნდა გამოკვებოს.

თუკი მომაკვდავი ანდერძს არ დატოვებს, მემკვიდრეე-ბი არ არიან ვალდებული ფიდიე გაიღონ. განსაკუთრებით

მემკვიდრეები თუ ლარიბები არიან, როგორც ადათი, ფილიეს გადახდის დაკისრება არ შეიძლება.

თუკი ის ლოცვის ფილიეს გაღებას ანდერძად დატოვებს, მაშინ მისი ამ გზით გაღება უფრო უკეთესია, ვიდრე გარდაცვლილის სულისთვის სხვა რამე სიკეთის გაკეთება. ფილიე უმჯობესია გარდაცვლილის დასაფლავებამდე გაიცეს. თუმცა დასაფლავების შემდეგაც ნებადართულია მისი გაცემა.

## რა არის დევრი?

გარდაცვლილის „ისყატისთვის“ ანდერძად დატოვებულიქონების ერთი მესამედი. თუკი ეს დანატოვარი ანდერძი სავალდებულო ლოცვებისა და მარხვის გამოსყიდვისთვის არ არის საკმარისი, მაშინ დევრის მეთოდს მიმართავენ.

დევრი შემდეგნაირად სრულდება:

უპირველესად უნდა დაანგარიშდეს, ისყატისთვის გამოყოფილი ფული გარდაცვლილის ვალებს ჰყოფნის თუ არა.

შემდეგ ისყატისთვის გამოყოფილი თანხა ლარის გადაეცემა. ლარიბიც მთელი გულით უკან აჩუქებს. ნაჩუქარი ფული, ისევ მას, ან კიდევ სხვა ლარის გადაეცემა. ასე მანამ გაგრძელდება, ვიდრე ყოველი ვალის სანაცვლოდ ფილიე არ გაიცემა. სწორედ ამ გაცემა-ჩუქების პროცედურას „დევრი“ ეწოდება.

## დევრის მეთოდი:

ვთქვათ, რომ გარდაცვლილ პიროვნებას, 2 თვის ანუ 60 დღის ლოცვის ვალი აქვს. ამ გარდაცვლილისთვის გასაცემი ფილიეს რაოდენობა, ერთი დღის განმავლობაში ვითირთან ერთად 6 დროის ლოცვის შესაბამისად დაანგარიშდება და შეადგენს  $60 \times 6 = 360$  ფილიეს. მაგალითად წელს ფილიე 9 ლარი იყო, მაშინ გარდაცვლილის ლოცვების გამოსყიდვისთვის  $360 \times 9 = 3240$

ლარი უნდა გაიცეს. დავუშვათ, რომ გარდაცლილმა დატოვა ან-დერძად ან მემკვიდრეებმა გაიღეს 420 ლარი.

ვხედავთ, რომ ისყატისთვის გამოყოფილი თანხა ყველა ვალს ვერ ისტუმრებს. სწორედ მაშინ მიმართავენ დევრს. 420 ლარი, 3240 ლარის საპირნონე, რომ გახდეს. მაშინ არსებული ფული 6 ჯერ დევრის მეთოდით უნდა დატრიალდეს.  $3240:420=6$

ფიდიეს ალებ-ჩუქების დროს აჩქარება არ არის კარგი, ეს პროცედურა დადგენილი მეთოდის შესაბამისად უნდა შესრულდეს. ანუ ფიდიე ლარიბს შემდეგი მეთოდის შესაბამისად ხელში უნდა გადაეცეს: „ამადა ამ ადამიანის ლოცვის გამოსასყიდი მიიღე“. ლარიბმაც უნდა თქვას: „მივიღე“, შემდეგ მთელი სიწრფელით უნდა წარმოთქვას „მე ეს ფული შენ გაჩუქე“ და უკან გადასცეს.

დევრი გაიცემა, როგორც ერთ ლარიბზე, ასევე ერთზე მეტზე. ამ ფულის ლარიბზე ჩუქება, ლარიბის გულუხვობის გამოვლინება და უკან ჩუქებაა, რა თქმა იმ საბაბით, რომ ისყატის შესრულება უნდა დევრის მეთოდის გამოყენებით. ამით პასუხისმგებლობა ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეს და იმის იმედით, რომ მას ღვთის ნებით მიეტევება, ყოვლად კარგი ქმედებაა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუკი ნამდვილად გულწრფელობით შესრულდება, უდიდესი მოწყალების ნიშანი და მართლმორწმუნის გრძნობის, შენევნის უაღრესად მნიშვნელოვანი რამ არის.

**შენიშვნა:** მემკვიდრეებს, რომელთაც არ სურთ დევრის მეთოდის შესაბამისად, ფიდიეს გადახდა ანუ დატრიალების მეთოდით, შეუძლიათ სხვა ქველმოქმედებაში გაიღონ, გარდაცვლილის სულისთვის ლარიბს ან საქველმოქმედო ორგანიზაციებს დაეხმარონ.

უზენაესმა ალლაპმა უკეთ უწყის.

## მერვე ნაწილი

### ოცდათორმეტი და ორმოცდათოთხმეტი ფარძი

როდესაც მოწიფებულობის ასაკს მიღწეული ბავშვი ან არა-მუსლიმი ვინმე ქელიმე-ითევზიდს, ანუ შემდეგ სიტყვებს წარ-მოთქვამს: „**ლაა ილააჰე ილლა-ლლააჰ მუჰამმედუნ რესუუ-ლულლაჰ**“) (არ არსებობს ღვთაება გარდა ალლაჰისა, მუჰამმე-დი მისი შუამავალია), გაითავისებს ამ სიტყვების მნიშვნელობას ის უკვე მუსლიმია. არამუსლიმი, რომელიც მიიღებს ისლამს, ყველა ცოდვა მიეტევება. მაშინ როგორც მუსლიმს შეეფერება და შესაძლებლობა მიეცემა საჭიროა დაიზეპიროს და გაითა-ვისოს რწმენის ექვსი პირობა - „ამენთუ“. ამის შემდეგ საჭიროა შეისწავლოს ყველაფერი, რაც ისლამმა ბრძანა და ის, რაც ის-ლამმა აკრძალა. თუ ყველა ფარზის შესრულების აუცილებლო-ბას არ იწამებს და უარყოფს იმას, რომ ჰარამისაგან შორს დოგმა არაა საჭირო მაშინ, რწმენა ადამიანს დატოვებს. თუ შესწავლილი საკითხთაგან და ქცევებისგან, რომელიმეს დაი-წუნებს ან უარყოფს, მაშინ ის რელიგიიდან გასულად ჩაითვ-ლება. მხოლოდ (**ლა ილაჰე ილლელაჰ**) თქმით ისლამის ზოგი ბრძანებების სისრულეში მოყვანა, ლოცვა, ჰაჯზე წასვლა, კარ-გი საქმეების კეთება, საკმარისი ვერ იქნება. აქვე მთავარია ირ-წმუნოს და გულით გაითავისოს ისლამისა და რწმენის ფარზები და მოინანიოს ის ქმდებები, რასაც მანმადე ზემოთ აღნიშნული საკითხების დაუჯერებლობით ავლენდა. ისლამის სწავლულებ-მა ჩამოაყალიბეს 32 და 54 ფარზი, რომლების დაჯერება, შეს-წავლა და გათავისება ყველა მუსლიმისთვის აუცილებელია.

## **ოცდათორმეტი ფარძი**

რწმენის პირობა: ექვსი (6)  
ისლამის პირობა: ხუთი (5)  
ნამაზის ფარზი: თორმეტი (12)  
აბდესთის ფარზი: ოთხი (4)  
ღუსლის ფარზი: სამი(3)  
თეიმუმის ფარზი: ორი (2)

### **(იმანის) რწმენის პირობები (6)**

- 1 — ალლაჰის არსებობის და მისი ერთადერთობის რწმენა.
- 2 — ანგელოზების რწმენა.
- 3 — ღვთიური წიგნების რწმენა.
- 4 — ალლაჰის შუამავლების რწმენა.
- 5 — საიქიოს რწმენა.
- 6 — განგების რწმენა. (ანუ რწმენა იმისა, რომ ყველაფერი სიკეთე და სიავე უზენაესი ალლაჰისგან მომდინარეობს).

### **ისლამის პირობები (5)**

- 7 — ქელიმეი შეჰადეთის წარმოთქმა.
- 8 — ყოველდღიურად ხუთი დროის ლოცვა.
- 9 — ქონების ზექათის გაცემა.
- 10 — რამადნის თვის მარხვაში გატარება.
- 11 — შეძლებისუნარიანი მუსლიმის სიცოცხლეში ერთხელ ჰაჯობაზე წასვლა.

## **ნამაზის პირობები (12)**

**ა-ლოცვის გარე ფარზი ექვსია.**

- 12 — ჰადესთან ტაჰარეთი.
- 13 — ნეჯასეთთენ ტაჰარეთი.
- 14 — სეთრი ავრეთი.
- 15 — ისთიყბალი ყიბლე
- 16 — ვაყითი.
- 17 — ნიეთი.

**ბ-ლოცვის შიდა ფარზი ექვსია.**

- 18 — იფთითაჭ თექბირი.
- 19 — ყიამი.
- 20 — ყირაათი.
- 21 — რუქუ'ღი.
- 22 — სეჯდე.
- 23 — ყაღ'დეი აახირე.

## **აბდესთის ფარძები (4)**

- 24 — პირისახის დაბანა.
- 25 — მკლავების იდაყვების ჩათვლით დაბანა.
- 26 — თავის ერთ მეოთხედზე მესპის გაკეთება.
- 27 — ფეხების დაბანა კოჭების ჩათვლით.

## **ლუსლის ფარზები (3)**

- 28 — პირის წყლით კარგათ გამოვლება.
- 29 — ცხვირის წყლით კარგათ გამოვლება.
- 30 — მთელი სხეულის გულდასმით დაბანა.

## თეიმუმის ფარზი (2)

31 — განზრახვა -ნიეთი.

32 — ორივე ხელის მიწაზე დადება, სახეზე ჩამოსმა (მესპის შესრულება), შემდეგ ხელახლა ხელების მიწაზე დადება და ორივე მკლავის თავიდან ბოლომდე მესპი.

## 54 -ფარძი

- 1 — ალლაპის ერთადერთობის რწმენა.
- 2 — ჰალალი ლუკმა.
- 3 — აბდესთის აღება.
- 4 — დღეში ხუთი დროის ლოცვა.
- 5 — მეუღლესთან თანაცხოვრების შემდეგ მთელი ტანის გულდასმით დაბანა.
- 6 — რწმენა, რომ სარჩის მბოძებელი უზენაესი ალლაპია
